



**ბურხით მოხული
გაქვალა**

7 ადამიანის მკვლელობაში
ბრალდებულები სასამართლო
დარბაზიდან გაათავისუფლეს

11 (249) 1... . ფანი ს...

1168
2005

**საღური სილუბები,
ჩრდილი სამოსი და
ნაწი ფერები...
— საგაზაფხულო მოდა
ერთო სქვიბინიკისაგან**



69

**გზავნილავი —
„იტალიელი“-გვგრადის
სასიყვარულო
თავგადასავალი...
მოს-კოვ-ვი!**

რა უნდა ვისოდეთ სპირიტუგმთან დაკავშირებით



**ინტერვიუ
ბლის-
გამოცანით...**

**ავატარქლო:
საქართველოში
ერ გავუიშვლდავი**



**„რა უმეატყო
კედეარასტობის?!“
— ანუ როგორ
ნაწილდავა როლები**

არ გაემობრჩეთ მარბის ნომერი!

134!

გვერდი

№ 3 (6)

ლიტენატუნული პალიბრა

- გურამ ფახანაშვილი
იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი
ანუ გრიმა და მთავარი
- ნიკო ყიფიანი
მოთხრობები
- რაშა ბუღაძე
ბოლო წარი
- ჰუმანიზმი
• იმს ონკონიძე
• ვაჟა ხონისაძე
• ჯორჯ უფანაშვილი
- ჯორჯ უფანაშვილი
თერთმეტი წელი (მთელი ბესელიანი)
- ბონის აყენის
თურქული გამბიტი (ვაშურის დაახლო)
- მიქაელანჯელო
სონეტები

მარტი, 2005

თქვენ სოც გაემობრჩევიანი აკითხვადი ბრძანდებით...

100+100 სარუქარი!

100 გრ. ნესკაფე 100 დღის განმავლობაში

მიირთვით **NESCAFÉ®**, ხოლო ქილა შეინახეთ გათამაშებამდე!

გათამაშება გაიმართება: 20 მაისს 2005წ

გათამაშების შედეგები იხილეთ პრესაში: ალია, 24 საათ

პრიზები გაიცემა:

შპს „მაკენ-ერიქსონ ჯორჯიას“ ოფისში მისამართზე:
თბილისი, ასათიანის 12ა.

25 მაისიდან 24 ივნისის ჩათვლით,

11 დან 18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

პრიზის მისაღებად წარმოადგინეთ:

100 გრ. ნესკაფე კლასიკის ცარიელი თუნუქის
ქილა მომგებიანი ნომრით და
პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: **43 40 00**

www.nescafe.com.ge





მინიატურები	
„Прости нас, Леопольдушка“ ანუ ღია წერილი „იმპერატორს“	3
ერთი კითხვა	4
კრიმინალური ქრონიკა	5
საგარეო	
გამოსდა ხელისუფლებისთვის? – რას აპირებს კანონი ოგულსმენს?!	6
ნარკოტიკა	
სუნიშვილები ბერძენიაში	8
ღიზინიერი	
ქალური სილუეტები, ზრალი სამოსი და ნაწი შერები – საბაგაფსულო მოდა ავთო ცქვიტინიძისაგან	9
საპატარალო	
„საქართველოში ვერ გავშიშვლავები“ – ინტერვიუ ბლიც-გამოცანით	10
გამოყენა	
მეივებით შექმნილი სურათები – გმანებით ნაპარნახავი ხელმწიფა	12
კრიმინალი	
შვილი აღამიანის მკვლელობაში ბრალდებულები სასამართლო ღარბაგიძან გაათავისუფლეს	13
სახე	
„რა შემატყო კვლარასტობის?!“ ანუ როგორ ნაწილდება როლები	16
გზავნილები	
„მას“ თვალებში ვერ შევხვდავ, მის ბარეში კი, საქართველოში რა მიხდება?!“	18
თაოკა	
„აღრე ჩხუბის ვაჟკაცური ვიცოლით და მტრობას“...	22
ოფსაიტი	
„ოპოზიციონერებს „მოსარეულებს“ ვიცნობ, მათი გაერთიანება გულწრფელი არ იქნება...“	24
სტუდია	
ვის უხდის ფულს პაკისტანელი მამაკაცი პირველი ღამისთვის და რა შემთხვევაში მოიყვანს ქართველ ცოლს	27
მოძღვრალი	
თამუნა ამონაშვილი გათხოვებაზე უიქროს	28
ტესტი	
ერთგული მკითხველი	29
პრობლემა	
„ალკოჰოლიკის თავის ტვინის სურათზე კარგად ჩანს სარიელი აღზილები...“	30
საკითხავი ქალებისთვის	
• ყელის მოვლა	32
• კარტოფილის კერძები	33

„ალკოჰოლიკის თავის ტვინის სურათზე კარგად ჩანს სარიელი აღზილები...“



„ქალმა თუ დაიწყო სმა, მას ძალიან უჭირს მერე, ამ სიამოვნებაზე უარის თქმა.“

იმ ქალის განკურნება კი, ვინც უკვე გალოთებულია და გავიდა „სოციალური რგოლიდან“, განსაკუთრებით ჭირს...“

30

საბაგაფსულო მოდა ავთო ცქვიტინიძისაგან

„თარჯიმანი მოდას ნამდვილად არ სჭირდება, რადგან მყიდველი თავად აკეთებს არჩევანს, მოსწონს თუ არა მას ესა თუ ის სამოსი. მაგრამ არაფერითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს მოდის მონა...“



9

შვიდი აღამიანის მკვლელობაში ბრალდებულები გაათავისუფლეს



უმენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სენსაციური განაჩენი გამოიგანა.

სამაგიეროდ, აღშფოთებას ვერ ფარავს საწინააღმდეგო მხარე. პროკურატურამ და დამარაღებულებმა განაჩენი შემდგომ ინსტანციაში საკასაციო წესით უკვე გაასაჩივრეს...

13

„საქართველოში ვერ გავშიშვლავები“ – ინტერვიუ ბლიც-გამოცანით

„მოდელობას თავს არ დავანებებ. თუ ჩემს შეყვარებულს არ ენდობება, თვითონ დამანებოს თავი, ეს მისი პრობლემა იქნება და არა – ჩემი“, – ამბობს ნონა დიაკონიძე – „ნიკა ქავთარაძის შოუს“ მონაწილე ერთ-ერთი მოცეკვავე...

ინტერვიუს ბოლოს კი, ბლიც-გამოცანაც გელით.



10

ჯანმრთელობა

- ასპირინი – პასუხი მრავალ კითხვაზე **34**
- კითხვა-პასუხი **34**
- მედიცინის სიახლეები **35**

ტაქარი

რა უნდა ვიყო სერიტიმითან ლაკაპშირებით? **36**

ფაქტობრივი

სამუშაო ეტოო, ვარსკვლავი, რომელმაც ხალხის სიყვარული დაიმსახურა **38**

სამყარო

ხშირად მოასმენინეთ მცენარეებს კლასიკური მუსიკა **40**

ქართული ფაქტობრივი

ლუბა ელიაშვილი. საბავშვო ვოიაჟი (ბაბრკელა) **42**

ვარსკვლავი

კაილის კომპლექსი – „მოსარულინ კი ვარ, რომ აღრე წარმატებას ვერ მივაღწიე...“ **46**

კომოდი

შეშორება

„უბერებელი“ „თეთრი რაში“ და რატომ იზვიანებს ბალატიონის ლეიტენანტი ალბომი **49**

შეშორებით თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდისიანე **50**

ანტიფაქტობრივი

ინფორმაციულ-შეშორებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან **52**

ოჯახი

ლუბას კულინარიით თათია გორგობიანი ჯერჯერობით კვაყოვილია **52**

ტუსაღი

„ჩემი ღაპარბული ბავშვობა“ (დასასრული) **54**

ავტო

მსახიობი

პანია ბლოკნობი, სხვირსახოსი, სუნამო... ნივთები, რომლებიც მსახიობს დაღებით მუხტს აქლავს **58**

კორესპონდი

კვირის (21-27 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი **60**

სქანვორდი

იუმორი

ტესტი

რამდენად კარგი ნერვების პატრონი ხართ? **63**

ქალეიდოსკოპი

ჩრელ-ჩრელი ამბები **64**

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომცემის კვირის პრესულ, სუიშაბათობით გავრთი „კვირის პალიტრის“ ღამატება ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: ვინა ტყემელაშვილი მენეჯერი: მათე კვიციანი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კლორში“

**„რა შეგებო კედერასტობის?!“
ანუ როგორ ნანიღებო როლები**




„სკეტი რომ დაიწერება, მაშინვე ვხვდებით, თუ ის როლი ვინ უნდა შეასრულოს. მაგალითად, ანდლულაძეს არაჩვეულებრივად გამოსდის ქალის როლი, ვანო საწყალ ადამიანებს თამაშობს კარგად და ა.შ. ჩვენთან რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრი ხომ არ არის, რომ როლების გამო ვხვდეთ ერთმანეთი!“

16

**თაქუნა ამონაგვილი
გათხრობაზე ფიქრობს**

„მომთხოვნი ვარ ჩემს საქმეში, თორემ ისე, ძალიან „ლაითი“ ადამიანი ვარ, ქალური და ამავდროულად – ბავშვური. ცხოვრება უფრო მარტივია, როცა ბავშვური თვალთუყურებ. ურთიერთობისას არ მიყვარს ბანალურობა...“



28

კაილის კომპლექსი



რას ფიქრობს იგი თავის ზღაპრულ დაბრუნებაზე? ამისათვის კაილი მართლაც ბევრს შრომობდა. – „მადონა მუდამ მიმნისაკენ მიისწრაფოდა, როდესაც მეც მოვიხილეთ, რომ ჩემი სიბრტყე მეთქვა, ძალისხმევა გავაათმაგე და ყველაფერი შესანიშნავად გამომივიდა.“

46

სანედისწერი ვოიაჟი


ლუბა ელიაშვილი

უცებ, მამაკაცის თავგანწირული ღრიალი გავიგონე და ვიდრე მივხვდებოდი, რომელ მხარეს გამეხედა, ჩემი სკამიდან ათ ნაბიჯში, რაღაც მძიმე, თეთრი საგანი დავარდა... იმ მომენტში უკვე ვიცოდი, რომ ეს ადამიანი ჩემი კარგი ნაცნობი და არშემდგარი თაყვანისმცემელი, სიმპათიური, ჭადარაფსიქიკური, ვახგანგ აბაშმაძე იყო...



42

„Прости нас, Леопольдушка“ ახე ტის წერილი რუსეთის „იმპერატორს“



თქვენო „საიმპერატორო“ უდიდებულესობავ, ვლადიმირ მეორე (ბოდიშ ვიხდი, თუ ნომერი შემეშალა, მაგრამ ვლადიმირ პირველი ხომ ლენინი იყო), ბავშვობა კასპში გაგიტარებიათ თურმე და კი გეცოდინებათ, რომ ქართველებს სტუმარი არ გვეჯავრება, მაგრამ ამ ბოლო დროს, ცოტათი „ჩავიჭერთ“ თქვენთან ურთიერთობაში: სულმოკლეობა გამოვიჩინეთ და „ცეცხლი შევინთეთ“ – გაიყვანეთ რუსეთის სამხედრო ბაზები-თქო... გარწმუნებთ, ასე ქართველი ხალხის მხოლოდ ერთი მუჭა – 90-95% ფიქრობს, თორემ, დანარჩენი უმრავლესობა „თქვენკენ ვართ“: იყავით, რამდენ ხანსაც გაგიხარდებათ და ერთ-ორ დღეში კი გაიყვანეთ ის ლოთები...

მართალია, ამოგვებრა, ბატონო, სული ამდენი მასპინძლობით: კრუხი აღარ გავაჩერეთ კვერცხებზე და მამალი – ღობეზე; იმ ანეკდოტისა არ იყოს, „ბატ-იც“ დაგიკალით, მაგრამ ოღონდ თქვენი ჩექმის ქუსლი გვფარავდეს და არ დავეძებთ!.. იმდენი შავი პური, ნიორი და ჭაჭა კი გვაქვს, თქვენს „აფიცრებს და სალდათებს“ რომ ეყოფათ. ძველი ქართული გამოთქმაც – სტუმარი ორი დღით ვიცი მეო – სპეციალურად თქვენთვის გადავაკეთეთ და ახლა ვამბობთ: სტუმარი 2 საუკუნე ვიცი მეო; მართალია, იმ ორ საუკუნესაც გადააცილეთ – სულ რაღაც 22 წელი, – მაგრამ აბა, როგორ გვინდა: 1921 წელს, გასაბჭოება რომ „მოვისურვეთ“ ქართველებმა, მაშინ ხომ კარგად გავიგეთ ფეხქვეშ თქვენს მე-11 არმიას!..



ორი საუკუნე და 2 წელი რომ ვახსენე, მიხვდით ალბათ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი ვიგულისხმე, რომლის პირობასაც დღემდე პირნათლად ასრულებთ, „царь-батюшка“ და ორი სამხედრო ბატალიონი (მაშინ „ბაზები“ რა იცოდნენ, რა იყო) დღესაც დგას ჩვენს მიწაზე. ჩვენც ვასრულებდით 222 წლის განმავლობაში „ბეზიათქვენისას“ (იმპერატორცა ეკატერინა მეორეს ვგულისხმობ) და 2003 წლამდე, რაც „მეფეები“ გვყოლია, ყველა რუსეთის არჩეულ-დამტკიცებული იყო. მერე კი „უსინდისოდ დავარდვიეთ“ ტრაქტატი და თქვენს დაუკითხავად ავირჩიეთ მეფე „მიხეილ I“. სწორედ იმან აგვიმღვრია წყალი და დასავლეთისკენ გაგვახელა, – ნახეთ, რა „გულავია“

ევროპაშიო! – თორემ, ჩვენ ტანია-გალიათიც არ ვიყავით უკმაყოფილო... ისე, ნუ გაუწყრებით, ბაზების გაყვანას რომ ვთხოვთ, არ არის ცუდი გულის ბიჭი. ამას იმ ჯარისკაცებზე ზრუნვით ამბობს: დალურჯდნენ მამლის კუჭვივით, ამდენი სმისგან და ეშინია, „ბელაია გარიჩკა“ არ დაემართოთო.

რაგა შეგკადროთ, დიღო ვალოდია-მეფეო, მაგრამ არც თქვენ ხართ „მამა აბრამის ბატონები“: იმ ტრაქტატის პირველი გვერდი რომ წავიკითხავთ მარტო და გვერდზე გადავიდით, მეორე გვერდიც ხომაა „სკრებით“ მიმაგრებული, სადაც გარკვევით წერია, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებაში უნდა დაეხმაროს. არ გეკადრება, შენ ნუ მომიკვდები! იმ „დურაქი-მამამაღლი“ ჟინინოვსკის აყოლა გარგია შენ?! მაგი ხომ იცი, ისეთი უმაძღარია, იმ მწერლისა არ იყოს, „ამ საღამოს რომ უთხრა,

შენია მთელი დედამიწაო, ხვალ უთენია ადგება და შემოლობვას დაიწყებს.“

შენ ჭკვიანი კაცი ხარ და აბა, შენ იცი, როგორ მოიქცევი! არაფერი ძნელი არ არის: ის შენი „სამშვიდობო“ ჯარები ენგურიდან ფსოუზე გადაიყვანე, ერგნეთიდან – როკის გვირაბის იქითა მხარეს და მორჩა. ამას თუ გააკეთებ, ის ორი გაღლეტილი ბაზა დარჩეს ისევ ჩვენთან. მშვენიერი ბიჭები ჩანან, გონიერები, ერთგულები: არყის ბოთლი, სადაც

არ უნდა გადაუგდო, ვარიანტი არ არსებობს, რომ არ იპოვონ. იმ ტანკებისა და ავტომატების ჯავრი ნუ გექნება, ტრაქტორებად და კომბლებად თუ გამოიყენებენ, თორემ, სროლით, კარგა ხანია, ვეღარ ისვრიან...

აბა, კარგად იყავი...

P.S. ვლ. პუტინის ბრძანება საქართველოში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზებს:

„დაუყოვნებლივ დატოვეთ საქართველოს ტერიტორია, ოღონდ, მგზავრობა რომ მშვიდობიანი იყოს, დაიცავით ძველი ტრადიცია – „Присядем перед дорогой“ და ერთი 10 წლით ჩამოგვქით“...

პროპოკატორი

„...არა სელოვნური გაერთიანება, არამედ მრავალფეროვანი პოლიტიკური სექტორის ჩამოყალიბებაა საჭირო“

— მალე, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ გიხილავთ. ოპოზიციური ძალების გაერთიანების პროცესში, თქვენ პარტია თუ ჩაერთვება?

დავით უსუფაშვილი:

— ჩვენს პარტიას აქვს და ექნება თავისი სამოქმედო გეგმა. ეს არის მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მხარს უჭერს კანონის, კერძო საკუთრების უზენაესობას. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი, მეწარმეების ხელშეწყობა იქნება. ასევე ვიმუშავებთ საპრეზიდენტო მმართველობის, საპარლამენტო მმართველობად გარდასაქმნელად, როცა ქვეყნის მართვის ფუნქცია დაეკისრება მინისტრთა კაბინეტს, რომლის ხელმძღვანელიც, გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლი-

დერი იქნება. „რესპუბლიკელები“ დღეს სწორედ ამ საკითხების განხილვით ვართ დაკავებული და სხვადასხვა ძალასთან გაერთიანებაზე ნაკლებად ვფიქრობთ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ოპოზიციური ძალების გაერთიანება დამლუპველი იქნება. ამას მარტივი ახსნა აქვს: გაერთიანების შემთხვევაში, ხელისუფლება ყოველთვის შეძლებს, მათგან ყველაზე უარესის გამორჩევას, მის გაპიარებას და საჭიროების შემთხვევაში, მასზე თავდასხმას, სადაც გამარჯვება ხელისუფლების მხარეზე დარჩება. მმართველ ძალას არ უნდა მივცეთ იმის უფლება, რომ ოპოზიცია წარმოაჩინოს ერთ სიბრტყეში. ასეთ დროს, ხელისუფლებასთან შედარებით, უარესი ძალის პროპაგანდირებით, ყველა ოპოზიციური ძალა ჩრდილქვეშ მოექცევა... დღეს, მმართველი პარტია პოლიტიკურ



პარტიად გარდაქმნას არ ცდილობს, ამიტომ მისი დაშლა გარდაუვალია. ამ ფონზე, არა ხელოვნური გაერთიანება, არამედ მრავალფეროვანი პოლიტიკური სექტორის ჩამოყალიბებაა საჭირო.

„საჭიროა მერაბიშვილის, ოქრუაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების საქმიანობის გამოაშავარაგება“



— თუ შიდა ქართლში განხორციელებული საკადრო წმენდა ოქრუაშვილის პოზიციების შესუსტებაზე იყო გათვლილი, თქვენი აზრით, რატომ არ შეეხო ის მიხეილ ქარელს, რომელ-

საც ოპოზიცია კონტრაბანდის მფარველობაში ადანაშაულებს?

ფიქრია ჩინრაძე, პარლამენტის წევრი:

— შესაძლებელია, შიდა ქართლში ჩატარებული საკადრო წმენდა უფრო ღრმა პროცესებს უკავშირდებოდეს, ვიდრე მერაბიშვილის და ოქრუაშვილის დაპირისპირებაა. შიდა ქართლში წამყვანი თანამდებობები თავდაცვის მინისტრისთვის სასურველ კადრებს უკავიათ. გამორიცხული არ არის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სწორედ ოქრუაშვილის გარემოცვის საკმაოდ დიდი გავლენის შესუსტება დაიწყო. თავდაცვის მინისტრის პოტენციური და მისი შორს მიმავალი ამბიციები ხელისუფლების პირველ პირს შეუძლებელია, არ აფიქრებდეს. რაც შეეხება მიხეილ ქარელს — ის ოქრუაშვილის კადრია, მაგრამ ბოლო დროს, თავდაცვის

მინისტრის გვერდის ავლით შეეცადა სააკაშვილის გულის მოგებას, რის გამოც ამ ეტაპზე, პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენა მოახერხა. ერთი რამ ფაქტია — თუ ხელისუფლებას რეალურად უნდოდა კონტრაბანდის წინააღმდეგ მართლული ღონისძიებების ჩატარება, პრეზიდენტის რწმუნებულისა და მისი გარემოცვის საქმიანობას უფრო საფუძვლიანად გამოიკვლევდა და მხოლოდ „ფასადური“ სამუშაოებით არ შემოიფარგლებოდა. სუბიტაშვილისა და მისი მსგავსი ფიგურების დაპატიმრება, კონტრაბანდის არნახულ მასშტაბებს ვერ შეამცირებს. საჭიროა მერაბიშვილის, ოქრუაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების საქმიანობის გამოაშავარაგება, რისი სურვილიც ხელისუფლებას არ გააჩნია.

გინდათ შედეგი? გააკითხეთ რეკლამა „გზაში“!

„რაო ეისი“ გავაძევეთ“

— რამდენიმე წლის წინ, როცა შევარდნაძემ ენერგობიექტების რუსეთისთვის გადაცემა დააპირა, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განგაში ატყეს. დღეს საქართველოს ენერგომომარაგება მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. არის თუ არა ეს შეცდომა?

სოსო ცინცაძე, პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი:

— ჩვენი ენერგეტიკა მართლაც, რუსეთზეა დამოკიდებული, ამიტომ, როგორც კი აღმასრულებელ ან საკანონმდებლო ორგანოში ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად და რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი განცხადებები გაკეთდება, კრემლიდან მოდის გზავნილი: შეგიწყვეტთ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის მოწოდებას... მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კი ფიქრობს — ოღონდაც სიცივესა და სიბნელებაში ნუ გვაყოფებენ და კომპრომისზე წავიდეთო. ჩვენში რატომღაც დამკვიდრდა აზრი, რომ სრულიად დაუცველები ვართ, მაგრამ რეალურად ასე არ არის. რუსეთი მუქარას ვერ შეასრულებს, რადგან დღეს საქართველოს უცხო ქვეყნების მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა აქვს. შევარდნაძის დროს, ყველაფერი სხვაგვარად იყო. რუსეთმა იცის — ელექტროენერჯია რომ შეგვიწყვიტოს, იმ დღესვე შეგვიძლია „რაო ეისი“ გავაძევეთ და მისი ქონების კონფისკაციაც კი მოვახდინოთ. ამით იზარალებენ რუსული კომპანიები და არა საქართველო. რუსეთის ეკონომიკური ბერკეტები პოლიტიკური ზეწოლისთვის ვერ გამოდგება, დაზარალება მხოლოდ ის მხარე, რომელიც პირობას დაარღვევს. ■

ღირეპტორი მშობლების ტყვეობაში...

— როგორც ამბობენ, განათლების ახალი კანონი სკოლის დირექტორებს მშობლების მძევლებად აქცევს, აკრედიტაციის საკითხი კი მოსწავლეებს არათანაბარ პირობებში ჩააყენებს...

დავით ზურაბიშვილი, განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:

— კარგი იქნებოდა, განათლების რეფორმასთან დაკავშირებით ჯერ ერთიანი კონცეფცია შემუშავებულიყო და ცალკეულ კანონზე მუშაობა შემდეგ დაგვეწყო, მაგრამ ავტორებმა გადაწყვიტეს, არჩევნების მოახლოებადღე, მოვევარებიანთ ის პრობლემები, რომლებიც ზედაპირზე დევს. ასეთი აჩქარების გამო კი შეიძლება, რაიმე გამოვჩჩქეს. განათლების კანონთან დაკავშირებით მეც მაქვს შენიშვნები, პირველ რიგში — სკოლის აკრედიტაციასთან დაკავშირებით. ამ კანონპროექტით, თუ რომელიმე სკოლამ მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა, მას მუშაობის უფლება შეუნარჩუნდება, მაგრამ აკრედიტაციას ვერ მიიღებს. ამ სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლეები კი გამოცდაზე არ დაიშვებიან. ეს აბსურდული მიდგომაა. არ შეიძლება, მოზარდმა სკოლაში ისწავლოს და გამოცდაზე ვერ გავიდეს. თუ სკოლა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სამინისტროს აქვს უფლება, იქ რეორგანიზაცია მოახდინოს, გამოცვალოს დირექტორი, მაგრამ ბავშვების ღირფრენცილება დაუშვებელია. საერთოდ, სკოლების აკრედიტაცია არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს; ჩემი აზრით, ეს არც საქართველოს სჭირდება. რაც შეეხება სკოლის მმართველობას — ის დირექტორის ხელში უნდა იყოს, სამეურვეო საბჭო კი, ამოწმებდეს, როგორ იხარჯება სასკოლო ბიუჯეტის სახსრები. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს საქართველოში აქტიური მშობლის „ინსტიტუტი“: თუ მშობლებს დირექტორის არჩევის უფლება მივეცით, დირექტორი მართლაც, მათი ინტერესების ტყვეობაში აღმოჩნდება. ეს სასწავლო პროცესს და მართვის სისტემას მთლიანად დაანგრევს. იმედი მაქვს, კანონპროექტში ეს შენიშვნები გათვალისწინებული იქნება. ■

მთაწმინდა-ქრწანისის სასამართლო მეტროპოლიტენის კოლისიილების საქმის განიხილავს

მთაწმინდა-ქრწანისის სასამართლოში თბილისის მეტროპოლიტენის ყოფილი თანამშრომლების საქმეს განიხილავენ. როგორც ცნობილია, ყოფილი სამართალდამცავები შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისგან სახელფასო დანაშაულების ანაზღაურებას მოითხოვენ. მოსარჩელების თქმით, 2004 წლის ნოემბერში, შს მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სამმართველოს სამასამდე თანამშრომელი სამსახურიდან უპირობოდ დაითხოვეს. მათივე თქმით, შს სამინისტროს, დათხოვნილი თანამშრომლებისთვის 2004 წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის სახელფასო დანაშაულების დავალიანება აქვს გასასტუმრებელი. ■

მეხრეკლასელ მოზარდს პირველკლასელი ბოგონას გაუპატიურებაში აღნაშაულებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „დაზარალებულ ოჯახთა კავშირი-ერთობა“ გურჯაანის რაიონული პროკურატურის გამოძიებებს, 14 წლის მოზარდის გ. ი-ს უკანონოდ დაპატიმრებაში აღნაშაულებს. გ.ი. მეცხრეკლასელი გახლავთ და წინასწარ პატიმრობაში პირველკლასელი გოგონას გაუპატიურების ბრალდებით იმყოფება. ინციდენტი გასული წლის 30 სექტემბერს მოხდა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და როგორც სამართალდამცავები ამბობენ, გ. ი. მოპოვებული მტკიცებულებებისა და აღიარებითი ჩვენების საფუძველზე დააკავეს. ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ გამოძიების მასალები პროკურატურის მიერ გაყალბებული და შეთხზულია. მათივე თქმით, დაკითხვისას დაზარალებულმა გოგონამ ხელი დაადო იმავე სკოლის მეოთხეკლასელ შ. ქ-ს, მასზე განხორციელებულ ძალადობაში გ. ი-ს მონაწილეობა კი საერთოდ უარყო. რაც შეეხება აღიარებით ჩვენებას,

ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამართალდამცავებმა გ.ი.-ს დანაშაული საკუთარ თავზე ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის შედეგად ააღებინეს.

სამტრედიის რაიონში კატრულახს თავს დაესხნენ

სამტრედიის რაიონში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებზე შეარაღებული თავდასხმა განხორციელდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, 15 მარტს, გამთენიისას, დაახლოებით 7 საათზე, პატრულმა, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ცენტრალურ ავტომანქანაზე მოძრავ თეთრ მსუბუქ ავტომანქანას გაჩერება მოსთხოვეს. გაჩერებისთანავე მანქანიდან შეიარაღებული პირი გადავიდა და პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა. შედეგად, პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი მსუბუქად დაიჭრა. პოლიცია თავდამსხმელებს დაედევნა, თუმცა მათი დაკავება ვერ მოახერხა. მიტოვებულ მანქანას სამართალდამცავებმა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში მიაკვლიეს.

პოლისია მანქანების გამტაცებლები დააკავა

14 მარტს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-4 განყოფილებისა და მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ნატახტრის საგუშაგოზე ავტომანქანების გამტაცებელთა ჯგუფის წევრები, მათ შორის ლიდერი – კასპელი, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი აკაკი მნათობაძე (მეტსახელად ზრამოი) დააკავეს. სამართალდამცავებმა მასთან ერთად აიყვანეს ღუშეთის რაიონის სოფელ მღაროსკარში მცხოვრები, ასევე ნასამართლევი, 1981 წელს დაბადებული დიმიტრი საღუნაშვილი. პოლიციის ინფორმაციით, მათ ბაქრადის ქუჩის ერთ-ერთი ეზოდან მოქალაქე შალვა თენიშვილის კუთვნილი ავტომანქანა „ოპელ ვექტრა“ გაიტაცეს.

რუბრიკა მოამზავა მემი ტანაშაძე

როგორც ჩანს, ვიდრე აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გაველენ, გამოცდის ჩაბარება თავად ხელისუფლებას მოუწევს. პირველი ტური — „უნარ-ჩვევების“ ტესტირებაში — კარგების ხმაურიანი ადებით დასრულდა. „ჩანისლული“ სტუდენტები, დაბნეული ომბუდსმენი, აღელვებული სამართალდამცავები და მომავალი საფეხბურთო მატჩის ბედით შეწუხებული პრეზიდენტი ერთმანეთთან სრულ დისონანსში აღმოჩნდნენ. რიტორიკულად ქცეული კითხვა კი — ვინ დაიცავს საქართველოში ადამიანის უფლებებს? — პაერში გამოვიდა...

გამოსდა ხელისუფლებისთვის?!

რას აკისრებს კანონი ომბუდსმენს?!

ლევან პერალიძე

სოზარ სუბარი, სახალხო დამცველი:

— მიუხედავად იმ კრიტიკისა, რომელიც ჩემი მისამართით გაისმა, მაინც ვერ დავადასტურებ სტუდენტების დარბევის ფაქტს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ არაერთხელ დაარღვია ადამიანის უფლებები, როცა მშვიდობიან მომიტინგეებს ხელკეტებით გაუსწორდა. ამ ფაქტებზე ჩვენ სათანადო რეაგირებაც გვქონდა. მაგრამ რუსთაველზე კარგების გაშლა მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის.

— კარგის ადების პროცესს თქვენც ადევნებდით თვალყურს. მოშიშმილე ახალგაზრდების ნიხლებით „გამასპინძლება“ მიზანშეწონილია? მათ ხომ კანონი არ დაურღვევიათ!

— თავისთავად, არასასიამოვნო ფაქტი მოხდა, მაგრამ მის იურიდიულ მიზანშეწონილობაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. მე სამედიცინო კოლეჯის სტუდენტთა ხელშეკრულების ტექსტს გავეცანი. სამწუხაროდ, მათი მოთხოვნები სამართლებრივ ჩარჩოში არ ჯდება. ამ ახალგაზრდებს შეუძლიათ სასამართლოში იჩივლონ და მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვონ. მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მათი უფლებების დარ-

ღვევა, ამ ეტაპზე ნამდვილად არ ხდება. სახალხო დამცველის და ადვოკატის ფუნქციები ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. ომბუდსმენი ყოველთვის მომჩივანი მხარის პოზიციებს ვერ დაიცავს.

— ბატონო სოზარ, თქვენ სწორედ იმ გუნდის წევრი იყავით, რომელიც დღეს ხელისუფლებაში იმყოფება. ომბუდსმენად დღევანდელი ოპოზიციის წარდგინებით რომ დანიშნულიყავით, მაშინაც ასეთსავე განცხადებებს გააკეთებდით?

— როდესაც ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს, მკაცრ შეფასებებს არ ვერიდები. უფლებების დაცვას პოლიტიკურ ინტერესებთან არანაირი კავშირი არა აქვს.

— თუმცა, თქვენი გამოს-



სტუდენტების თემის პოლიტიკურ მუშაობას მინც ნუ დამაბრალებთ...



ვშვების დარბევას წინ აღუდგეს და სამართალდამცველების კლანჭებიდან მოშინძილეები მაინც დაიცვას.

— როგორც თვითმხილველები ამბობენ, მშობლები შოკურ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტების ნაყვანის უფლებას არ აძლევენ მედპერსონალს. რა იყო ამის მიზეზი?

— უნდობლობა. როგორც ჩანს, მშობლების გარკვეული ნაწილი ეჭიმებასაც აღარ ენდობა. დასავლეთში იმავე ღამეს შეიტყვეს მომხდარის შესახებ. ამ სახის ინფორმაციები თანდათან გროვდება და ბოლოს, მკაცრი რეკომენდაციების მთელ არხას აგვაფარებენ ხოლმე თვალზე, ეს კი საქართველოს დემოკრატიული იმიჯის შენარჩუნებაში ძალზე შეუშლის ხელს.

— მაგრამ თუკი კანონით კარგების გაშლა ნებადართული არ არის...

— არც აკრძალულია!.. უბრალოდ, სამარცხვინოა, რომ მიტინგებით მოსული ხელისუფლება კარგების წინააღმდეგ გამოდის. კარავი ხომ მჯდომარე აქციის ერთ-ერთი ატრიბუტია. მათ არ უნდათ დაინახონ ის პრობლემა, რომელიც სტუდენტებს აწუხებს. ხელისუფლებას კომპრომისზე წასვლის ეშინია.

— თქვენი აზრით, სუბარის გადადგომის შემთხვევაში, ქვეყანაში უფლებების დაცვის თვალსაზრისით რაიმე შეიცვლება?

— ამის ილუზია ნამდვილად არ გვაქვს. თუ ამ პოსტზე ისევ ხელისუფლების მარიონეტი უნდა დაინიშნოს, ჯობს, ეს ინსტიტუტი საერთოდ გაუქმდეს. სანამ ომბუდსმენი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების დამცველი იქნება, მას ყოველთვის დაავიწყდება, რომ ორგანულმა კანონმა მას არა პარტიების, არამედ მთელი საზოგადოების უფლებების დაცვა დააკისრა.

ვლები, სადაც „შევარდნაძის კუდები“, „ისტორიის ნარჩენები“ ახსენეთ, პოლიტიკურ განცხადებებს უფრო ჰგავდა.

— სტუდენტების თემის პოლიტიზებას მაინც ნუ დამბარალებთ. ეს სწორედ მათ სცადეს, ვინც ნებისმიერი საკითხის აჟიტირებას საკუთარი ინტერესების დასაცავად იწყებენ ხოლმე.

— თუ ხელისუფლების განკარგულებით სტუდენტების დარბევის ფაქტი კიდევ გამეორდა, რა რეაქცია ექნება სახალხო დამცველს?

— ჩვენს ოფისში ათასზე მეტი საქმეა შემოსული, რომლებსაც ვსწავლობთ და სათანადო რეაგირებას ვახდენთ. არც ამის შემდეგ ვაპირებთ კანონდარღვევებზე თვალის დახუჭვას. თუ დავინახავთ, რომ სტუდენტების წინააღმდეგ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას შეეცდებიან, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ, რომ უფლებების დამრღვევი ვამხილოთ და ასეთ ფაქტზე, შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ.

— მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ომბუდსმენის მუშაობით უკვე უკმაყოფილოა...

— შესაძლოა, აქამდე ჩვენი მუშაობა არ ჩანდა, მაგრამ ვერ დამისახლებთ ვერც ერთ კონკრეტულ საქმეს, რომელიც მონაწილეობა არ მიგვიღია. მხარში ამოვუდევით თერჯოლასა და რუსთავში გამართული აქციების მონაწილეებს, საკმაოდ მკაცრი შეფასება მივეციით თბილისის მერიის წინ აქციის დარბევის ფაქტს, ჩავერიეთ უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორის დაცვის საქმეში. სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის ასევე მწვავედ რეაგირებდა პატიმართა წამების სხვადასხვა ფაქტზე. თუ დავინახავ, რომ თავს ვერ ვართმევ დაკისრებულ მოვალეობას, სხვების მითითების გარეშე გადავდგები.

ბატონი სოზარი გაწეული მუშაობით იწონებს თავს, ოპოზიცია და უფლებადაცვითი ორგანიზაციები ომბუდსმენის აპარატის სრულ რეორგანიზაციას მოითხოვენ.



სამარცხვინოა, რომ მიტინგებით მოსული ხელისუფლება კარგების წინააღმდეგ გამოდის

ნანა კაპაბაძე, „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის“:

— მე ამ დარბევის თვითმხილველი ვახლდით. ჯერ თავზე დააღეწეს ბავშვებს კარვები, შემდეგ კი სცემეს ისინი. ამას სოზარ სუბარი შორიდან უცქერდა, რის შემდეგაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ

საქართველოს ომბუდსმენი არ ჰყავს. სახალხო დამცველი ხელისუფლების მძევალია, მას საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება არ აქვს. სამწუხაროდ, ოპოზიციასაც არ შესწევს იმის ძალა, რომ 16-17 წლის ბა-

სწორი არჩევანის შედეგი
სახეზეა - 40კგ.

53 წლის ასაკადე მაწუხებდა ჭარბი წონა და ჯანმრთელობის უამრავი პრობლემა. უნიკალური მეთოდით, ყოველგვარი შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე დავიკელი 40კგ. მოვიწესრიგე ჯანმრთელობის ყველა პრობლემა. ვარ 59 წლის აბსოლუტურად ჯანმრთელი, შემძლია დაგეხმაროთ ანალოგიური შედეგის მიღებასა და შენარჩუნებაში. კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.

ჩანერა ნინასნარ
 ტ: 35-22-76;
 899-57-58-30 სერგო



შტუტგარტი — ქალაქი, სადაც არაფერი აოცებთ, მით უფრო არ ოცდება შტუტგარტის, შილერისა და ბეთჰოვენის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზის მსმენელი — იქაურები ხომ უძველეს მუსიკალურ ტრადიციებს არიან ნაზიარები. მსოფლიოს საუკეთესო სიმფონიური ორკესტრები, ფოლკლორული ანსამბლები და საბალეტო დასები მსმენელს ხელოვნების მარგალიტებს სთავაზობენ. ამიტომ განონასნორებული გერმანელები შემოქმედებით, თითქმის ყოველდღე, ასევე განონასნორებულად ტკებებიან. თუმცა, ტრადიცია 1-ელ მარტს დაირღვა — სწორედ მაშინ, როცა ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა — სუხიშვილების ანსამბლმა გერმანიაში გასტროლები დაიწყო.

ცოტა მოგვიანებით, დარბაზის ღირექტორი იტყვის — ამ კედლებს მაყურებელთა მსგავსი რაოდენობა ბოლო ათწლეულია, არ უნახავსო. ხალხი მართლაც, უამრავი მოვიდა, სალაროსთან რიგი კონცერტის დამთავრებამდე იდგა, უმეტესობას იმედი ჰქონდა, რომ დაკეტილ კარს მიღმა მანც შეაღწევდა. მქუხარე ტაშისა და ოვაციების გამო, წარმოდგენა 20 წუთით ადრე დაიწყო. ერთი საათი სცენაზე ქართული სისხლის ყვილსა და ცეცხლოვან ცეკვას გერმანელი მსმენელი გარინდული უცქერდა, მუსიკალურ სიჩუქს დროდადრო, ალტაცებული მაყურებლის ტაში და სტვენა არღვევდა. „ქართული“, „ხორუმი“, „ყაზბეგური“, „აჭარული“, „ჯეირანი“ — ნომრები ერთი მეორეს ცვლიდა და დარბაზი სულ უფრო იმუხტებოდა, ხევისურულ როკვასა და ქართული ხმლების ცეცხლოვან ზრიალს კი, არნახული ალტაცება მოჰყვა, ზუსტად 20 წუთი, ფეხზე წამოდგარი მაყურებელი ფანატიკურად სკანდირებდა.

გერმანელებისგან განსხვავებით, შტუტგარტში მცხოვრები ქართველებისთვის განსაკუთრებული მოლოდინის საგანი იყო საკონცერტო წარმოდგენის მე-

ორე ნაწილი — ახალი ცეკვების პრეზენტაცია. მოლოდინი ამ შემთხვევაშიც გამართლდა: „ზეკარმა“, „ილოურმა“ და „ჯუტამ“ ერთნაირად მოხიბლარაფინირებული გერმანელებიც და ტემპერამენტიანი ქართველებიც.

ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა კონცერტის დასასრულს. ოვაციას მოჰყვა მითხოვნა — „ზუგაბე!“ („გაიმეორეთ!“), მაყურებელი ანსამბლს ფარდის დაშვებას არ ანებებდა. კონცერტი კიდევ 15 წუთით გაგრძელდა. ჰოლში კი, მონუსხული მაყურებელი კიდევ ერთი საათი არ დაშლილა. „კვირის პალიტრისა“ და „გზის“ კორესპონდენტს ზოგიერთ მათგანთან გასაუბრების საშუალება მიეცა:



ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა კონცერტის დასასრულს. ოვაციას მოჰყვა მითხოვნა — „ზუგაბე!“...

ჰელმუტ კუზლირი, სტუდენტი:

— ავალტერბახიდან შეყვარებულთან ერთად ამ კონცერტის სანახავად საგანგებოდ ჩამოვედი, ვიცოდი, რომ ქართველები ძალიან კარგად ცეკვავდნენ, მაგრამ რაც სცენაზე ვნახე, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გადავწყვიტე, აუცილებლად ვიმოგზაურო თქვენს ქვეყანაში და ქართული ცეკვის კურსებიც გავიარო.

მაკა ბაშირი, თარჯიმანი:

— მე უკვე მათე ველოა, გერმანიაში ვცხოვრობ, ამიტომ ჩემთვის ქართული ცეკვის აქაურ სცენაზე ნახვას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბედნიერი და ამაყი ვარ, უსაზღვრო სიყვარული და სამშობლოს მონატრება — აი ყველაფერი ის, რასაც ამ წუთებში განვიცდი.

ჰანს მაიერი, პროფესორი:

— შოკირებული ვარ ნახვით, ყველანაირი მოლოდინს გადააჭარბა. უამრავი საკონცერტო ნომრისა და გამოსვლის მომსწრე ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი რამის წარმოდგენაც კი ვამიჭირდებოდა, ჩემთვის საქართველო ზღაპრულ ქვეყნად იქცა.

იპა ნაჭყავია, დიზაინერი:

— ამ კონცერტზე მოვდიოდი უდიდესი მოლოდინით და ამ მოლოდინმა ძალიან ამაფორიაქა. ეს განწყობა ალბათ, მთელი წელი გამყვება. ტრადიციულ ქართულ ცეკვებთან ერთად, ახალმა ნომრებმაც ალტაცებაში მომიყვანა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი უნარი თანამედროვე მსოფლიოში ღირსეულ ადგილს ნამდვილად დაიმკვიდრებს.

ინეს შიილტი, ინჟინერი:


— საკმაოდ ასაკოვანი კაცი ვარ და სუხიშვილების ანსამბლს ვიცნობ, მათი ცეკვები ჯერ კიდევ ამერიკაში მქონდა ნახაზი. დღეს კი გამოცა უკვლავმა ტრადიციამ, რომელიც თურმე, არასოდეს კარგავს ძალას. დღეს ზუსტად იმსვე განვიცდი, რაც წლების წინ, ამერიკაში განვიცადე.

ბოლოს დავეხმეთ, რომ 11 დღის განმავლობაში, ლეგენდარული ქართული ცეკვების ხილვის საშუალება კიდევ რამდენიმე გერმანული ქალაქის მაყურებელს მიეცა: ბადენ-ვიურტენბერგის დელაქალაქ შტუტგარტში დაწყებული ტურნე, ზაარის მხარეში — ზაარბრუკენიდან, ჰაიდელბერგამდე გაგრძელდა...

გიორგი კალანდია
შტუტგარტიდან
სპეციალურად
„გზისთვის“

ცნობილი ქართველი დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე მამობისთვის ემზადება, მაგრამ არც საკუთარ საქმეს დასტოვებს და ყოველ სამუშაო დღეს სახელოსნოში მისვლით იწყებს. სწორედ ამ სახელოსნოში „იზადება“ მოდური სამოსი, რომელსაც სამარკო ნიშნით — „ცქვიტინიძე“ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ იცნობენ. თუმცა, მოდის სამყაროში ამბობენ, რომ მოდას არც საზღვრები აქვს და არც თარჯიმანს საჭიროებს, რადგან მოდის მეტრები საკუთარი ხალხის სულს უსიტყვოდ გადმოსცემენ შექმნილ მოდელებში. ცნობილია, რომ ინგლისური მოდა ტრადიციების, ხარისხისა და ავანგარდის სიმბოლოდ გვევლინება, გერმანელებს ფუნდამენტალიზმი ასახაიათებთ მოდაში, ხოლო ფრანგული მოდა ყოველთვის შარმითა და ფანტასტიკურობით გამოირჩევა. აქვს თუ არა ქართულ მოდას შანსი, რომ მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში დაიმკვიდროს ადგილი? ამ და სხვა მოდურ კითხვებზე პასუხის გაცემა ქართველ კუტიურის ავტო ცქვიტინიძეს ვთხოვეთ.

ქართული სილუეტები, ქრეტი სამოსი და ხეი ფერები



უა ტუნიავილი

— ყოველი სამუშაო დღე ამ სახელოსნოში მოსვლით იწყება. პირველ რიგში, ჩავდივარ კონსტრუქტორთან, გამოწმობ, რა შესრულდა გასულ დღეს და ვაძლევ სხვა დავალებებს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ძალიან დატვირთული გრაფიკით ვმუშაობთ, ზოგჯერ კი შედარებით ნაკლები სამუშაო გვაქვს და დღეც ისეთი დატვირთული არ არის.

— რამდენად რთულია ურთიერთობა კლიენტებთან და რა ნიშნით ხდება მათი შერჩევა?

— ვერ ვიტყვი, რომ კლიენტებს რაიმე ნიშნით ვარჩევ. უბრალოდ მას, ვინც სახელოსნოში მოდის, ვურჩევთ შესაფერის სტილს, სილუეტს და შესაბამისად ვემსახურებით. თუმცა არსებობენ ადამიანები, ვისაც დელიკატურად ვაგრძობინებთ, რომ ის არ არის ჩვენი სამოსის ტარების ღირსი.

— როგორც ჩანს, მოდის სამყაროსთვისაც შესაძლოა, არსებობდნენ პატივსაცემი და არაპატივსა-

ცემი პერსონები. ასე არ არის?

— ასეთი კლიენტებისთვის არსებობს მალაზია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები იქ ვერ შეარჩევენ შესაფერის სამოსს, ვემსახურებით ინდივიდუალურად. წლების განმავლობაში მოდელიერისა და კლიენტის ურთიერთობა დაიხვეწა, ამიტომ გამოდის, რომ ადამიანს, რომელიც მოდის ჩემთან, აკმაყოფილებს ჩემი მომსახურება, ჩემი იდეები, სამოსი და ა.შ. საქართველოში ეს ურთიერთობები გარკვეულ კლუბურ სისტემად ჩამოყალიბდა და შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი კლიენტები უკვე ჩემთვის მეგობრებიც არიან.

— როდესაც ამა თუ იმ კლიენტისთვის იქმნება სამოსი, თქვენთვის აქვს მნიშვნელობა იმას, თუ საზოგადოების რომელ ფენას წარმოადგენს, რა სფეროში მოღვაწეობს ის?

— ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და ხშირ შემთხვევაში, არც კი ვიცი, რას წარმოადგენს ჩემი კლიენტი.

— მოდის საყაროში არსე-


ბობს ერთი ასეთი „ფრთიანი“ გამოთქმა, რომ მოდას არ გააჩნია საზღვრები და არც თარჯიმანს საჭიროებს. თქვენც ასე ფიქრობთ?

— თარჯიმანი მოდას ნამდვილად არ სჭირდება, რადგან მყიდველი თავად აკეთებს არჩევანს, მოსწონს თუ არა მას ესა თუ ის სამოსი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს მოდის მონა, ვინაიდან ხდები აბსოლუტურად შებოჭილი ადამიანი, რაც შემდგომ გარკვეულ კომპლექსებს წარმოშობს. სწორედ ასეთი ადამიანები ყოველ ახალ სეზონზე იძენენ განუსაზღვრელი რაოდენობის მოდურ და აქტუალურ სამოსს და ამისათვის კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ. ამის შემდეგ კი არკვევენ, რომ წინა სეზონზე შექმნილი სამოსი აბსოლუტურად გამოუსადეგარი ხდება. ამიტომ კლიენტის მხრიდან მოდა, ძალიან ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს.

— გასული საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიო მოდის სამყაროში ჩვენს მეზობელ რუსეთს

სლავა ზაიცემა გაუთქვა სახელი და მის კოლექციას „ნითელი დიორიც“ კი უწოდეს. როგორ ფიქრობთ — ჩვენს ქვეყანას რა შანსები აქვს დიდი მოდის ინდუსტრიაში?

— შემიძლია გავახაროთ, რომ გავხდი მაღალი მოდის ასოციაციის წევრი და 29 მარტს, მოსკოვში „გოსტინნი დეორში“ ვაწყობ ჩვენებას. სწორედ ამ ასოციაციამ მაღარა ერთ-ერთ საუკეთესო დიზაინერად. ამრიგად, საკმაოდ დიდი იმის შანსი, რომ ქართველი დიზაინერი სულ უფრო დიდ ასპარეზზე გავიდეს. შემიძლია ვითხრა, რომ



ეს ადამიანი სახელოსნოში ზომების ასაღებად მოვიწვიეთ, თუმცა მოუცლელობის გამო მოსვლა ვერ მოახერხა და სახელოსნოში საკუთარი ფოტო გამოგვიგზავნა...

მაქვს ძალიან ბევრი და საინტერესო შემთავაზება და არა მხოლოდ რუსეთის ბაზარზე გასასვლელად. ამიტომ ქართველებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რაც უკვე ხდება ქართული მარკის ირგვლივ, ბევრი კი ამას ალბათ შურით შეხვდება. თუმცა ორივე შემთხვევაში, ეს ჩემთვის რეკლამირება იქნება.

— რით ხასიათდება ქართული მოდა მსოფლიო მოდის სამყაროში?

— ხშირად, როდესაც ჩემს შემოქმედებაზე წერენ ისეთი ყურნალები, როგორიცაა „ვოგა“, „ელლი“, „ოფის ელლი“ და ა.შ. აღნიშნავენ, რომ ვარ ძალიან თამამი და კავკასიური. ჩემთვის

პროფესიონალის რეცენზია ყოველთვის მისაღებია. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ გვყავს მოდის პროფესიონალი კრიტიკოსები და შესაბამისად, არც რეცენზიებს წერს ვინმე. პირველად, ჩემი კოლექციის ანალიზს მოსკოვში შევეჯახე და კმაყოფილი დავრჩი.

— ავანგარდული მოდა თუ არსებობს ჩვენს ქვეყანაში?

— თავის დროზე მე სწორედ ავანგარდული მოდელებით გავხდი პოპულარული. იმ დროს დამწყები დიზაინერი ვიყავი, დროთა განმავლობაში კი მივხვდი, რომ საქართველოში ასეთი მოდელების შექმნას უბრალოდ აზრი არ ჰქონდა. ეს არის მაღალი კლასის მოდა, სამოსი, რომელსაც ფაქტობრივად, ვერაფერს ხმარობს, ეს უბრალოდ ხელოვნებაა. თავისთავად სიტყვა — „ავანგარდი“ ახალს ნიშნავს, ამიტომ ნოვატორული ელემენტები ყოველთვის უნდა შეიტანო შენს მოდელებში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცელოფანის კაბები კერო და შემდეგ ისინი გაყიდვად იყოს.

— როგორც ვიცი, ამჟამად ქმნით სამოსს გადაცემა „ეტალონის“ წამყვანისთვის (ეს გადაცემა სულ მალე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავა), რომელთან ურთიერთობისას, კურორტული შემთხვევა გქონდათ...

— ეს ადამიანი სახელოსნოში ზომების ასაღებად მოვიწვიეთ, თუმცა მოუცლელობის გამო მოსვლა ვერ მოახერხა და სახელოსნოში საკუთარი ფოტო გამოგვიგზავნა. რა თქმა უნდა, მას არ უგულისხმია, რომ სამოსისთვის ზომებს ფოტოდან განვსაზღვრავდით. უბრალოდ, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა იმ ადამიანზე, ვისთვისაც ეს-კიზს ვქმნიდით. თუმცა, იმ ადამიანებს, ვინც პირველად მოდის ჩვენს სახელოსნოში, ხშირად ემართებათ კურორტი, ჩვენ კი ვცდილობთ, რომ ეს არ შევიძინოთ.

— საუბრის დასასრულს კი გვითხარით, როგორი სამოსია აქტუალური ამ გაზაფხულზე?

— გაზაფხულზე მოდამია ქალური სილუეტები: ეს გახლავთ ბევრი „რუში“ ბოშურ სტილში, აბრეშუმის ჭრელი სამოსი, ნაზი ქალური ფერები. მამაკაცებისთვის რადიკალური ცვლილებები მოდის თვალსაზრისით არ არის მოსალოდნელი. მხოლოდ ერთი შემიძლია ვითხრა, რომ მოდურია ნაზი ფერის ჰალსტუხები, რაც ჩემი აზრით, არასდროს იქნება საქართველოში აქტუალური.

„მოდელობას თავს არ დაენებებ. თუ ჩემს შეყვარებულს არ ენდომება, თვითონ დამანებოს თავი, ეს მისი პრობლემა იქნება და არა — ჩემი“, — ამბობს ნონა დიაქონიძე — „ნიკა ქავთარაძის შოუში“ მონაწილე ერთ-ერთი მოცეკვავი, რომლისთვისაც „საპატარალოსთვის“ ჩანერილი ინტერვიუ პირველი აღმოჩნდა. რატომ აპირებს ზურგზე ჩემოდნის მოკიდებას, როგორ გაცურა ლამის ქვეყნის დასალიერს და ვინ შემოუფრინა მისი გულსთვის თბილისის ზღვას ვერტმფრენით — ყოველივე ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ. ინტერვიუს ბოლოს კ, ბლიცგამოცანაც გელით.

„საქართველოში ვერ გაუთქვამია“ ~ ინსერვიუ ზღვას ვერტმფრენით

მარი ჯაშარიძე

— ნონა, როგორ მოხვდი შოუში?

— ერთ დღეს, სააგენტოში, სადაც მოდელად ვმუშაობ, მასწავლებელმა გვითხრა — დღეს ნიკა ქავთარაძე მოვა და ამოარჩევს რამდენიმე გოგონას თავისი გადაცემისთვისო. მოვიდა, შეგვაგლო თვალდა 7 გოგო ამოგარჩია, თუმცა მხოლოდ 6 სჭირდებოდა. ამის გამო გახდა საჭირო კიდევ ერთი კასტინგის ჩატარება. მე და ერთი გოგო ვიყავით კონკურენტები, ერთმანეთს უნდა შეგვიბრბოდით ცეკვაში. ის გოგო თავისით გამოეთიშა კონკურსს და დავრჩი მე. მერე, ნიკამ მოიფანა ქორეოგრაფი, რომელმაც დადგა ის ცეკვა, რომელსაც შოუს დაწყებისას ვასრულებთ.

— მკაცრი უფროსია ნიკა?

— ზომიერად. ხანდახან გვეჩხუბება ხოლმე, მაგრამ ცდილობთ, არ გავაბრაზოთ და ისე მოვიქცეთ, როგორც გვეტყვის.

— როცა ერთნაირი კოსტიუმები გაცვივით და თავზეც პარკები გახურავთ, ერთმანეთს ძალზე ჰგავხართ. თვითონ ნიკა მაინც თუ არჩევს, რომელი — რომელი ხართ?

— თითქმის ვერაფერს გვცნობს, ნიკას გარდა. მხოლოდ მას არ ვერევი ერთმანეთში.

— ახლა, პირადად შენზე ვი-საუბროთ. ვისთან ერთად ცხოვრობ?

— მყავს დედა, რომელიც წინათ, ნიჩბოსანი იყო, ახლა კი „ავაზას“ სპორტსკო-

ლაში გოგონების გუნდს ავარჯიშებს ფეხბურთში. მამჩემი კადეტთა კორპუსში ფიზკულტურის მასწავლებელია. მყავს 4 წლის და.

— **სპორტსმენი მშობლების შვილი, სპორტის რომელიმე სახეობით თავად არ დაინტერესებულხარ?**

— დავდიოდი ცურვაზე, ფეხბურთზეც, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემგან სპორტსმენი არ დადგებოდა, ამიტომ მოდელიბა ვარჩიე.

— **რატომ გიჭირს ქართულად საუბარი?**

— დედის მხრიდან ბებია რუსი მყავს, სანახევროდ მისი გაზრდილი ვარ, ამიტომ რუსული უკეთ ვიცი, ვიდრე ქართული.

— **რამდენადაც ვიცი, დილის ტელეგადაცემებში, პროექტში — „ლამაზმანი“ — მონაწილეობდი. იქ როგორღა მოხვდი?**

— იქაც ჩემმა მასწავლებელმა, სვეტლანა ოგანმა მიმიყვანა. იქ მითხრეს, როდის ვიქნებოდი პირდაპირ ეთერში, როდის მესტუმრებოდნენ შინ. პირდაპირ ეთერის დროს, ძალზე ენერჯიულიბი, რადგან ქართულად ლაპარაკი მიჭირს. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა და იმ კვირამ, 4 გოგოს შორის გავიმარჯვე. შინ რემონტი გვაქვს და ამის გამო, გადალება ვერ მოხერხდებოდა. ახლობლებს ვთხოვე — დამეხმარეთ, ბინა მათხოვეთ გადაღებისთვის-მეთქი. გადაღების დროს, საძინებლის კარი გამოვალე და ვთქვი — ეს ჩემი საწოლა-მეთქი, — და მხოლოდ ამის შემდეგ შევიხველეთ ოთახში. გული გამისკდა, ისეთი დიდი საწოლი იდგა... სულ ახლახან კი, „ლამაზმანის“ მონაწილე ყველა გოგო გულაურში წაგვიყვანეს. თოვლში, საცურაო კოსტიუმებით გადავივალე; შარვალი კი მეცვა, მაგრამ წელს ზემოთ თითქმის შიშველი ვიყავი. საშინელება იყო, ასეთ ფორმად თოვლში წოლა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა?... კარგად ვინახისეთ, კმაყოფილი დავბრუნდი თბილისში.

— **გვიამბე შენს კარგსა და ცუდ თვისებებზე.**

— ჩემს თავზე კარგი რაღაცების ლაპარაკი მიჭირს. ცუდი თვისება ის მაქვს, რომ საშინელი გაბრაზება ვიცი. თუ გავბრაზდები, ვერაფერს ვაძაბრჩება, შესაძლოა, ისე ვიყვირო, რომ ყველაფერი შეზანზარდეს. ძალიან ვბრაზდები, როცა ჩემი და, ჩემს ტანისამოსსა და ფეხსაცმელს იცვამს. ჩემი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფუჭდება, როცა ის თავის პატარა ფენს ფიფს შიგ. მეგობარმა რომ ჩაიცვას ჩემი ტანისამოსი, არ გავლიზიანდები, მაგრამ უცხო ადამიანმა ჩემს ნივთებში არ უნდა აფათუროს ხელი.



თუ კარგ ხასიათზე ვარ, ყველაფერს დავალაგებ და დავანკრივებ

— **ხშირად ტირი?**

— არა, ტირილი არ მჭევი. თუ ძალიან მაწყენინებენ, მაშინ ვიტირებ. არც ბუტია ვარ. სულ ცოტა ხნით გავიბღუზები ხოლმე და მერე წყენა უცებ მავიწყდება. სამაგიეროდ, ძალზე ჯიუტი ვარ. რასაც გულში ჩავიდებ, იმას მაინც ვავაკეთებ და არავის ლაპარაკს ვურს არ დავუვადებ...

— **მამაშენს თუ მოსწონს, მოდელი რომ ხარ?**

— არ მოსწონს, მაგრამ მის შენიშვნებს არ ვუსმენ, რადგან მიმაჩნია, რომ ისეთს

არაფერს ჩავდივარ, რაც ჩემთვის მიუღებელი იქნება. მამა არც ისე მეცრია. ხანდახან, ზოგიერთ საკითხში შეიძლება, ისეთი სიმკაცრე გამოიჩინოს, რომ გაგიკვირდება, ხანდახან კი, სულ არაფერს ამბობს. თუნდაც დამიშალოს და კატეგორიულად ამიკრძალოს მოდელიბა, მაინც არ დავუჯერებ, რადგან ძალზე ჯიუტი ვარ.

— **დავუშვათ, ვინმე შეგიყვარდა. მან კი არჩევანის წინაშე დაგაყენა: ან სამოდელიო საქმე, ან — ოჯახი. რას იზამ?**

— მოდელიბას თავს არ დავანებებ. თუ ჩემს შეყვარებულს არ ენდობება, თვითონ დამანებოს თავი, ეს მისი პრობლემა იქნება და არა — ჩემი. თუმცა, საქართველოში ეს ბიზნესი ახალი ფეხადგმულია და ვფიქრობ, ჩემს კარიერას საზღვარგარეთ გავაგრძელებ. იქ კი, ნაკლებად სავარაუდოა, ისეთი თავყანისმცემელი გამოიჩინდეს, რომელსაც ჩემი მოდელიბა კომპლექსს გაუქრჩის...

— **რამიმე კონკრეტულ წინადადებას ელოდები უცხოეთიდან თუ უბრალოდ, ჩემოდანს აიკიდებ და ბედის საძებნელად ასე ნახვალ?**

— ალბათ, ასე მომიწევს — ავიკრებ გულა-ნაბადს და გავემგზავრები უცხოეთში. ვფიქრობ, გამიმართლებს, რადგან ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის ასე ხდება —

იშვიათად მიმართლებს, მაგრამ თუ მიმართლებს — ნაღდად.

— **საქმეს თუ დასჭირდება, გაშიშვლდები კიდევ?**

— ალბათ. საქართველოში ნამდვილად ვერ გაგშიშვლდები. თუმცა, გააჩნია, გაშიშვლებაში რას გულისხმობთ. მე გავიხიცი მხოლოდ „კუპალინის“ დონემდე, ისიც — საზღვარგარეთ. აქ, საქართველოში — გამორიცხვლია!..

— **საოჯახო საქმე თუ გეხერხება?**

— თუ კარგ ხასიათზე ვარ, ყველაფერს დავალაგებ და დავაწკრივებ ხოლმე. თუ არა და, მთელი დღე წამოწოლილი ვიქნები, წიგნს წავიკითხავ, დავხატავ ან სადმე ვიხეტივალ. ასე რომ, ზოგჯერ ზარმაცი ვარ, ზოგჯერ — არა.

— **ხეტიალი გიყვარს?**

— ერთ ამბავს გავიხსენებ. მეგობრებთან ერთად ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად წასული. კარტს ვთამაშობდით. შუალაშე იყო, როცა ისე, რომ არავისთვის მითქვამს, ავდექი და გარეთ გამოვედი. კარტა ხანს ვიარე, ვიდრე ზღვასთან მივიდოდი. გავიხსენებ და წყალში შევედი. დიდხანს ვცურავდი. როცა უკან მოვიხიდე, პლაჟი ისე შორს იყო, რომ ძალიან შექმინდა. სასწრაფოდ გამოვცურე უკან, ჩავიკვი და სულ სირბილ-სირბილით გავემურე სახლისკენ. მეგობრებს არც კი შეუნიშნავთ ჩემი არყოფნა. მეწყინა. თანაც, საკმაოდ შეშინებული ვიყავი, მაგრამ ახლა ამ ამბის გახსენებისას, ვხალისობ ხოლმე...

— **ბევრი თავყანისმცემელი გყავს?**

— არც ისე. მე ისე ვიქცევი, რომ ვცდილობ, თავყანისმცემლები არ „დავაგროვო“. ერთ უცნაურ თავყანისმცემელს გავიხსენებ. მამამისის მეგობარს ვერტმფრენი ჰყავდა. ერთხელ, თბილისის ზღვაზე ვიყავი. ამ ვერტმფრენზე დააწერა — „მიყვარხარ“ და რამდენიმე წრე დაარტყა თბილისის ზღვის გარშემო. დიდხანს შემასსოვრება ეს საინტერესო სიურპრიზი...

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— 30 წლის კაცი ალბათ, არ შემიყვარდება. 20-25 წლის მამაკაცები მირჩენია. გარეგნობას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, ხასიათს უფრო ვანიჭებ მნიშვნელობას...

— **შენს ინტერვიუს რომ გამომხაურებები მოჰყვება, ნაიკითხავ?**

— აუცილებლად. ახლაც კი ინტერესით ვკვდები, ვინ დამიქსიაჯებს.

თუ ჩემი „საპატარძლო“ მოეწონათ, შეგიძლიათ, დამიქსიაჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. თუ გამოიკნობთ, რომელია ნონა, მასთან შეხვედრის შანსიც მოგეცემთ (იხედა, შუაში რომ „თმაქორა“ ბიჭია, იმაში არ აგერევათ...).



თუ გამოიკნობთ, რომელია ნონა, მასთან შეხვედრის შანსიც მოგეცემთ (იხედა, შუაში რომ „თმაქორა“ ბიჭია, იმაში არ აგერევათ...).

ფერწერა მძივებით — მხატვრობის ამ მიმდინარეობას რთული და შრომატევადი სამუშაოს გამო ძალიან ცოტა მიმდევარი ჰყავს. საუკუნეების წინ, მძივებით დიდგვაროვანთა სამოსი „იხატებოდა“, ახლა კი ფერწერა მძივებით უმაღლესი სასულიერო პირების სამოსის შექმნისას გამოიყენება. მაგრამ უამრავი პანანინა ბისერისგან დახატული პორტრეტები, ნატიურმორტიები თუ პეიზაჟები ყველა დროში დიდი იშვიათობა იყო. ქალბატონი ნელი ბერბინა 5 წელია, რაც ნებისმიერ ფორმის, ფერისა და ზომის მძივისგან ქმნის ნახატებს. ამ დღეებში მისი ნამუშევრების რიგით მეოთხე გამოფენა მოეწყო, რომლის ექსპონატებიც შემდეგ, მოსკოვში, ზურაბ წერეთლის გალერეაში გაიგზავნება.

ნეა ტუხიაშვილი

— პროფესიით ჟურნალისტი გახლავართ. წლების განმავლობაში, კინოსტუდიაში ვმუშაობდი. ხატვის არც ნიჭი მქონია და არც რაიმის დახატვის სურვილი. დეიდა მყავდა მხატვარი, სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ არც საკუთარი სახელოსნო ჰქონდა და არც ცხოვრებამ შეუქმნა იმის პირობები, რომ საკუთარი პროფესიით ვმუშავა. ყოველთვის ვიზოვდი დეიდას, რომ ჩემი პორტრეტი დაეხატა, ამას რატომაც თავს არიდებდა. აჩემებული ჰქონდა — თამარ მეფე უნდა დავხატო, — მაგრამ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ საწადელი ვერ აისრულა... დახლოებით 5 წლის წინ კი, დეიდა დამესიზმრა; თითქოს საყველურებით შევხვდი, — არც მე დამხატე და არც თამარ მეფე-მეთქი!.. მან მიპასუხა, — შენ თვითონ დახატე, უეჭველად გამოვიგია... რა თქმა



მძივებით შექმნილი სუტათები — ზმანებით ნაკარნახევი ხელოვნება

უნდა ამ სიზმარისთვის ყურადღება არც მიმიქცევია, ვიდრე სიზმრად თვითონ თამარ მეფე არ გამომეცხადა. გაოცებული ვუყურებდი და ვკვითხებოდი: ცოცხალი თუ იყავით, თქვენს საფლავს რატომ ეტბენ-მეთქი?... შემდეგ, ზმანება გაქრა, რაღაც ხმამ კი ყურში

ლი ამ სიზმრის ხილვის შემდეგ, რომ რაღაცა ძალამ საწოლიდან წამომაგლო და ხელში ფანქარი ამაღებინა. თამარ მეფის პორტრეტი დავხატე. მოვიანებით ექსპერტებმა ეს ნამუშევარი შედეგად შეაფასეს...

— მძივებით ხატვის იდეა როდის გაგჩინდა?

— პირველი ნამუშევრის შექმნას საკმაოდ ბევრი დრო — 6 თვე მოვანდომე. მინდოდა, რომ თამარს მეტყველი თვალები ჰქონოდა. და მიუხედავად იმისა, რომ ისინი მძივებისგან იქნებოდა გაკეთებული, თოჯინის თვალებს არ უნდა დამსგავსებოდა. მძივებს ბავშვობიდან ვაგროვებდი, ყოველთვის მიყვარდა მძივებით თამაში და საგულდაგულოდ ვსინჯავდი თითოეულ ცალს. როდესაც თამარ მეფის პორტრეტი დავხატე, გადაწყვიტე, რომ მძივებით მომერთო, სწორედ აქედან განიდა მძივებით „ხატვის“ იდეა. სხვათა შორის, ჩემი პირველი ნამუშევარი 10 ათას დოლარად შეაფასეს. მაგრამ ფული მაშინ ძალიან მჭირდებოდა და ერთ-ერთ აქსურ კომპანიას მხოლოდ 4 ათას დოლარად მივიყიდე. სხვათა შორის, ჩემს ნამუშევრებში თამარის მეფობის 4 პერიოდი მაქვს ასახული და რამდენიმე სურათი ნამდვილი მარგალიტებითაა შექმნილი.

— მძივებთან ერთად, ფერწერისას ბუმბულსაც იყენებთ...

— ეს არის სხვადასხვა ფერინველის ბუმბული, რომელსაც ვაგროვებ და შემდეგ, მძივებთან ერთად, სურათების შექმნისას ვიყენებ. მძივებით და ჩიტის ბუმბულით „დახატული“ სურათები საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება. ამიტომ საზოგადოების მხრიდან დაინტერესებაც დიდია. ცოტა ხნის წინ, ინგლისის დედოფლის და დავით სარაჯიშვილის პორტრეტები დამიკვეთეს. უკვე დავასრულე მათზე მუშაობა და გამოფენაზეც წარმოვადგინე. ფერწერა მძივებით ისე გამოტაცებს ხოლმე, რომ თავს ვერ ვანებებ და შრომაში დამეხსნება ვაივარება. ვატყობ, რომ ასეთმა დატვირთვამ ნეგატიურად იმოქმედა ჩემს ჯანმრთელობაზე და ვაპირებ, რომ ცოტა ხნით ტაიმ-აუტი ავიღო.

— როგორც ვიცო, თქვენი ნამუშევრების გამოფენა მოსკოვშიც გაიმართება. ხომ არ აპირებთ სხვა ქვეყნებსაც გააცნოთ მძივებით შექმნილი სურათები?

— ჩემი ნამუშევრებით ბატონი ზურაბ წერეთელი დაინტერესდა და გასაცნობად მასალები მოსკოვში გაუგზავნა. ცოტა ხანში კი ალბათ, ნახატებთან ერთად, მეც ვავეზო ხავრები. რაც შეეხება უფრო შორეული ქვეყნების „დაპყრობას“ — მსგავსი წინადადებებითაც მომმართეს და მითხრეს, რომ უცხოეთში ამ სახის ნამუშევრები საკმაოდ ძვირად ფასობს. ისეთი კოლოსალური თანხები დაასახელეს, რომ დიად ვერც განვაცხადებ...



შვიდი კრიზისის მკვლევარები ბრალდებულნი სასამართლო დაჯიბრებენ გაათიანისფლად

ვინ ამოხცა სამი ბავშვი და მათი მშობლები?

– ბურუსით მოცული მკვლელობა კვლავ გაუხსნელი რჩება

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ სენსაციური განაჩენი გამოიტანა. პროკურატურის მიერ 7 ადამიანის განზრახ მკვლელობაში (დამამძიმებელი გარემოებებით) ბრალდებული სამი განსასჯელი — 40 წლის ზურაბ ქუშხველი, 50 წლის გენადი პატარაშვილი და 41 წლის ნიკო ჭამაშვილი სასამართლომ გაამართლა. ორი მათგანი — პატარაშვილი და ჭამაშვილი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ქუშხველი კი, მხოლოდ ქურდობისათვის შეფარდებული სასჯელის მოსახდელად დარჩა გისოსებს მიღმა. აღნიშნული განაჩენი მოსამართლე გიორგი ქოიავამ გამოიტანა. სხვათა შორის, მის პრაქტიკაში ეს უპრეცედენტო შემთხვევა როდი გახლავთ. 2002 წლის ივლისში, მან სამხედრო აკადემიის კურსანტის — 22 წლის ვიქტორ ბიჩუკის მკვლელობაში ბრალდებულ 7 განსასჯელს ასევე გაამართლებელი განაჩენი გამოუტანა და პირდაპირ დარბაზიდან გაათავისუფლა.

მეზო სანაპა

ზემოთ აღნიშნული განაჩენის გამო აღფრთოვანებას ვერ ფარავენ, ამჟამად უკვე ყოფილი პატიმრების დამცველები (როსტიაშვილი, სალუქვაძე, ასალაძე), მოუხედავად იმისა, რომ პროცესის დაწყების პირველსავე დღიდან, ისინი ვერ ურთივლდებოდნენ სხვა აზრს, თუ არა თავიანთი კლიენტების გამართლებას. სამაგიეროდ, აღშფოთებას ვერ ფარავს საწინააღმდეგო მხარე. პროკურატურამ და დაზარალებულმა განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში საკასაციო წესით უკვე გაასაჩივრეს. ისინი არ ეთანხმებიან მოსამართლის პოზიციას, განაჩენს უსაფუძვლოს და უკანონოს უწოდებენ და აცხადებენ, რომ საზარელი მკვლელობა, რომელსაც 7 ადამიანის, მათ შორის არასრულწლოვნების სიცოცხლე შეეწირა, სწორედ იმ პირებმა ჩაიდინეს, რომლებიც მოსამართლე ქოიავამ უდანაშაულოდ გამოაცხადა.

მკვლელობა თიანეთის რაიონის სოფელ არტანში 1996 წლის 24 სექტემბერს მოხდა. ღამით ბოროტმოქმედმა (თუ ბოროტმოქმედებმა) ცეცხლსასროლი იარაღით მძინარე ბავშვები პირდაპირ საწოლში ჩაცხრილა, ავტომატით გამოასალმა სიცოცხლეს მათი მშობლებიც, ოჯახში შემთხვევით სტუმრად დარჩენილი ნათესავიცა და მოხუცი მეზობელიც. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 40 წლის პავლე ბერიანიძეს სხეულზე 5 გამჭოლი ჭრილობა აღენიშნებოდა, დაზიანებული ჰქონდა ასევე მარჯვენა საძილე არტერია. მის ცოლს — 35 წლის სონია

წიკლაურ-ბერიანიძეს აღენიშნებოდა 3 გამჭოლი ცეცხლსასროლი ჭრილობა — საძილე არტერიის, საყლაპავის, ხორხისა და კისრის ძალების დაზიანებით. მათი შეიღების — 15 წლის მათა ბერიანიძის სხეულზე — ერთი გამჭოლი და ერთი — ბრმა, 14 წლის ნინო ბერიანიძის სხეულზე — 5 გამჭოლი და ერთი — შემხები, 9 წლის გიორგი ბერიანიძის სხეულზე კი, 3 გამჭოლი და ერთი შემხები ცეცხლსასროლი ჭრილობა დააფიქსირეს. ნინო და გიორგი ძირითადად, თავის არეში იყვნენ დაჭრილები, მათს კი სასიკვდილო დაზიანებები მუცლისა და გულმკერდის არეში აღენიშნებოდა. რაც შეეხება ოჯახის სტუმრებს — 45 წლის შოთა წიკლაურს (ის სონია წიკლაურის ძმა გახლდათ) და 70 წლის ევა პაპიაშვილს, ექსპერტებმა მათ სხეულებზე 3-4 ჭრილობა დათვალეს. დაზიანებები მათაც თავის არეში ჰქონდათ მიყენებული.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გვაჰბიდან ამოღებული შინაგანი ორგანოების გამოკვლევით რაიმე მომწამლავი, გამაბრუნებელი ან სანარკოზო ნივთიერება აღმოჩენილი არ იქნა.

აღნიშნული მკვლელობის შესახებ 2004 წლის „გზის“ №36-ში ვწერდით. მაშინ პროკურატურა სიამაყითა და მთელი კატეგორიულობით აცხადებდა, რომ ამ საზარელ მკვლელობაში დანაშაულები პირები, მართალია, 7 წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც დააკავეს და მათი ბრალის დამდასტურებელი მტკიცებულებებიც წარმოადგინეს სასამართლოში. სასამართლოს განაჩენით კი ჩანს, რომ მტკიცებულებების უმეტესი ნაწილი

ილი ყალბი იყო, ჩვენები კი, ბრალდებულთა ცემისა და წამების შედეგად გახლდათ მიღებული. რეალურად, პროკურატურის ძირითად და ერთადერთ მტკიცებულებას, ყაჩაღობისა და ქურდობისთვის გასამართლებული პატიმრის, ქუშხველის ახლობლის — გიორგი იმერლიშვილის მამხილებელი ჩვენება წარმოადგენდა. მოულოდნელად, წლების შემდეგ დაწერილ ჩვენებაში იმერლიშვილი ქუშხველს, პატარაშვილსა და ჭამაშვილს, ბერიანიძეების ოჯახის ამოწყვეტაში აშხელდა. დასახელებული პირები და აწ გარდაცვლილები ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. აღნიშნული ჩვენების საფუძველზე, სამივე დააკავეს და ბრალიც წაუყენეს. ბრალდების თანახმად, ბერიანიძეები სამმა მეზობელმა დაყაჩაღების მიზნით ამოხცა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულთაგან ერთ-ერთი — პატარაშვილი, 9 წლის გიორგის ნათლია გახლდათ...

ბერს მათი დანაშაულის არ სჯეროდა. სამაგიეროდ, ამაში დღემდე მტკიცედ არიან დარწმუნებული (როგორც თავად აცხადებენ) გარდაცვლილთა ნათესავები. გამოძიების პარალელურად, მკვლელობის სხვა ვერსიებიც ვრცელდებოდა.

ერთ-ერთის მიხედვით, დანაშაული შურისძიების მოტივით მოხდა, მკვლელობა შეკვეთილი და პროფესიონალი კილერების მიერ გახლდათ ჩადენილი. მეორე ვერსიის თანახმად, დანაშაული ოჯახის წევრმა — ბავშვების ბაბუამ ჩაიდინა. ვიდრე ამ ვერსიებზე უფრო კონკრეტულად შევჩერდებით, მანამდე, მოკლედ ბერიანიძეების ოჯახის ისტორიასა და გამოძიების მასალებში წარმოღვენილ ფაქტებს შეგახსენებთ.

თიანეთის რაიონის სოფელ არტანში ცოლ-ქმარი სონია და პავლე ბერიანიძეები თავიანთ 3 შვილთან ერთად ცხოვრობდნენ. მათ მეზობლად, ოდნავ მოშორებით ცხოვრობდა პავლე ბერიანიძის დედ-მამა, მეორე რძალსა და შვილიშვილებთან ერთად. პავლე ბერიანიძეს ძმა გაურკვეველ ვითარებაში დაეღუპა; მოულოდნელად, მისი თავგაჩენილი ვაჟი სოფლის უკაცრიელ ადგილას იპოვეს. პროკურატურამ მომხდარი ფაქტი მაშინვე უბედურ შემთხვევად გამოაცხადა, თუმცა სავარაუდო მკვლელობის

შესახებ მოსახლეობაში ეჭვები დღემდე არ გამქრალა...

1994 წელს, მატერიალური გაჭირვების გამო, სონია და პავლე ბერიანიძეები იძულებული გახდნენ, სამუშაოდ რუსეთში გამგზავრებულიყვნენ. 2 წლის განმავლობაში, ისინი სეზონურ სამუშაოზე ჩაიღონდნენ მოსკოვში. მათივე ნათესავების თქმით, იქ ფუნთუშასა და ლვეხელს აცხოვრდნენ და ყიდდნენ. 1996 წლის სექტემბრის დასაწყისში, ცოლ-ქმარი არტანში დაბრუნდა. ჩამოიტანეს სხვადასხვა ნივთი და ასევე, დაზოგილი 7.000 დოლარი. ამის შესახებ სოფელში არაერთმა ადამიანმა შეიტყო, მათ შორის მეზობლებმაც.

ბრალდების თანახმად, ბერიანიძეების მიერ თანხის ჩატანის შესახებ შეიტყვეს ქუშხეველმა, პატარაშვილმა და ჭამაშვილმაც. განიზრახეს ოჯახის დაყარება, მოილაპარაკეს, წინასწარ შეადგინეს გეგმა და მის განხორციელებას 1996 წლის 24 სექტემბერს შეუდგნენ. დღის პირველ ნახევარში, პატარაშვილი და ქუშხეველი თბილისში გაემგზავრნენ, რათა ქუშხეველის ნათესავის – გიორგი იმერლიშვილისთვის, ავტომანქანა ეთხოვათ. ამ მანქანის გამოყენებას ისინი ყაჩაღური თავდასხმის დროს აპირებდნენ. ყვითელი ფერის „ვაზ 2105“ იმერლიშვილისგან მოტყუებით წაიყვანეს. გვიან ღამით მათ, შეთანხმებისამებრ, ჭამაშვილიც შეუერთდა. მანქანა ბერიანიძის სახლიდან დაახლოებით 200 მეტრში, მოფარებულ ადგილზე გაჩერეს, ნორებს ქსოვილი ჩამოაფარეს და თავად, „აკს“-ის მოდელის ავტომობილით შეიარაღებულები, ნიღბებფარებული, ბერიანიძის სახლის მეორე სართულზე ავიდნენ. შეთანხმებული იყვნენ, რომ თუკი რომელიმე ოჯახის წევრი თუნდაც ერთ-ერთ მათგანს შეიცნობდა, ყველას დახოცავდნენ. ბოროტმოქმეტა მიერ ფულის ძებნის მომენტში გაღვიძებულმა ბინადრებმა ქუშხეველი, პატარაშვილი და ჭამაშვილი ხმებით იცნეს; მათაც არ დაყოვნეს და ოჯახის ყველა წევრს სათითაოდ დაუშინეს ტყვიები, არც მძინარე ბავშვები დაინდევს...

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბოროტმოქმედებმა ფულს მაინც ვერ მიაგნეს. მხილების შიშით, სწრაფად მიატოვეს შემთხ-

ვევის ადგილი და მოშორებით დაყენებულ იქნა 2105“-ით გაეცალნენ იქაურობას. გამართნენ დაბა თიანეთისკენ, იქ ახლობელს – 18-19 წლის ჯარჯი ჯაბანაშვილს დააავალეს, რომ მანქანა იმერლიშვილისთვის მიეყვანა, თან მომხდარის შესახებაც ყველაფერი უთხრეს მას. ჯაბანაშვილმა მანქანის დაბრუნებისას იმერლიშვილს უთხრა, რომ ღამით მკვლელობა მოხდა და რომ მისი ავტომანქანა არავის შეუძნევა; თანაც, ქუშხეველის დანაბარები გადასცა – გირჩევ, მანქანა გადაამლო და მოგვიანებით, როცა პირადად შეგვხვდები, ყველაფერს მოგიყვებიო...

შემინებულმა იმერლიშვილმა, კვალის სრული გაქრობის მიზნით, ავტომანქანა ნაწილებად დაშალა და გაყიდა, ტექნიკური პასპორტი დაწვა, მომხდარი მკვლელობის შესახებ კი არავისთვის უთქვამს. ამ ყველაფრის გამხელა მან მხოლოდ წლების შემდეგ, ციხეში, მისთვის ქურდობის გამო შეფარდებული სასჯელის მოხდის პერიოდში გადაწყვიტა და ნათესავი – ქუშხეველი და დანაშაულის სხვა თანამონაწილეები გასცა... პროკურატურის ინფორმაციით, ჩაღნილი მკვლელობის შემდეგ, იმის გამო, რომ ქუშხეველი დროულად ვერ იქნა მხილებული აღნიშნულ დანაშაულში, ისევ აგრძელებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს – ეკრიძოდა, ქურდობდა. აღნიშნულ საბრალდებო დასკვნას, ბრალდებულები, ისევე როგორც მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები, ასურდულსა და არაღოგიკურს უწოდებდნენ. მათი თქმით, წარმოუდგენელი იყო, რომ ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც ამას პროკურატურა აღწერდა. „ყველაზე ცივისსლოან ყაჩაღსაც კი გაუჭირდება მძინარე ბავშვების საწოლში ჩაკბრევა“; – ამბობდნენ განსასჯელთა მხარის წარმომადგენლები. ქუშხეველი გიორგი იმერლიშვილთან ერთად ჩაღნილ ქურდობებს აღიარებდა, მაგრამ ასევე აცხადებდა, რომ მას არასდროს განუზრახავს ყაჩაღური თავდასხმა, მით უმეტეს არ აიღებდა ხელს მეზობლის ოჯახზე. მისი თქმით, მას ვერც პატარაშვილი და ჭამაშვილი გააკეთებდნენ, რადგან სწორედ მკვლელობის ღამით, ისინი მასთან ერთად მეზობელ სოფელ-

ში ქეიფობდნენ. განსასჯელები აცხადებდნენ, რომ მათ საკუთარი ალიბის მოწმეებიც ჰყავდათ. ისინი პოლიციელების მიერ ჩაღნილი სამინელი წამების ფაქტებზე ლაპარაკობდნენ. მათი ადვოკატების თქმით, პროკურატურა შეეცადა, წლების მანძილზე გაუხსნელი საქმე როგორმე გახსნილად გამოეცხადებინა. მზად იყვნენ, ნებისმიერისთვის მიეწერათ იგი, ქუშხეველის სახით კი, შესაფერისი კანდიდატურა იპოვეს. შესაბამისად, ორგანიზებული ბანდის იმპტირების მიზნით, პატარაშვილი და ჭამაშვილიც, როგორც მასთან დაახლოებული პირები ჩართეს საქმეში.

ზურაბ ქუშხეველის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებიდან:

„1996 წლის 24 სექტემბერს, დილით, არტანში გენადი პატარაშვილს შეგვხვდი. გადავწყვიტეთ, ერთად გვექიფო. დაახლოებით 11 საათისთვის, ჩემთვის უცნობი მწყემსი მოვიდა და გენადის ცხვარი აჩუქა. მოვილაპარაკეთ, საღამო ხანს სოფელ ლიშოში შეგვკრებილიყავით და იქ გვექიფო. ამ დროს, პავლე ბერიანიძის ეზოში ღობეს აშენებდნენ. პატარაშვილმა მათაც გადასძახა და დააბთიფა, მაგრამ მოუცვლელობის გამო, უარი უთხრეს. საღამოს ჭამაშვილთან ერთად წავედით დაბა თიანეთისკენ. თან გვექონდა 3 ლიტრი არაყი და ცხვრის ხორცი. გზაში მანქანა გავეიფუჭდა, დიდხანს მოეუნდით გაკეთებას და გზა დაახლოებით საღამოს 10-ის ნახევრისთვის განვაგრძეთ. თიანეთში ღამის 11-12 საათისთვის ჩავედით... ჩემი დის სახლში მივედით, მაგრამ შინ არავინ დავგვხვდა, ამიტომაც მეზობლად მცხოვრებ მართლხელა გივი ბალიაშვილს მოვიკითხეთ. გადავწყვიტეთ, მასთან დავრჩენილიყავით. ბალიაშვილმა მივეილო, საჭმელიც გაამზადა. ღამის 2 საათზე დავექიფეთ დასაძინებლად. დილით, დაახლოებით 9 საათზე გავეკვიდით და ისევ განვაგრძეთ ქეიფი. იქაური მეზობლებიც შემოგვიერთდნენ. 12 საათი იქნებოდა, როცა ჯულხა ჯაბანაშვილი მოვიდა და გვითხრა, არტანში ღამით ბერიანიძეებს თავს დასხმან და ყველანი



ნინო ბერიანიძე



მაია ბერიანიძე



პავლე ბერიანიძე



სონია ვიკლაძური-ბერიანიძე შვილთან გიორგისთან ერთად

ამოუხრავთ... არტანში რომ ჩავედით, დღის 3-4 საათი იყო, რადგან გზაში მანქანა ისევ გავეიფუჭდა და მისი შეკეთება მოვიხიდა. ბერიანდის სახლიდან უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. მომხდარის შესახებ ლაპარაკობდნენ. ცოტა ხანი მეც ვაჭერდი. მერე მინ წავედი ტანსაცმლის გამოსაცვლელად და 15-20 წუთში პოლიციაც მომდგა. მიმიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, იქ სასტიკად მეკრეს და მწამეს, ბერიანდის ოჯახის წევრების მკვლელობას მედავებოდნენ. ნიღბანი პირები მეკრდნენ, წყლით სავესე პლასტმასის ბოთლებით. როცა ვაივს, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრე ვიყავი, ამისთვისაც მწამეს, მთხოვდნენ, შემეგინებინა გამსახურდიასთვის. ჩემზე, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ზეწოლას ახორციელებდნენ...”

მაგრამ მაშინ, ქუშხველის მკვლელობაში მხილება, მტკიცებულებების არარსებობის გამო, ვერ მოახერხეს. მის მსგავსად, მკვლელობის მეორე დღეს, სხვებიც წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. მოსახლეობის თქმით, სოფელში არ დარჩენილა ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცი, რომელიც პოლიციას არ დაუკავებია და არ უცქემია. ამ გზით ცდილობდნენ დაკავებულთა გატეხას და მათგან დანაშაულის აღიარების მიღებას, თუცა ბოლოს, მაინც იძულებული გახდნენ, საქმის ძიება შეეწყვიტათ, მამხილებელი საბუთების არარსებობის გამო. გამოძიება მხოლოდ 7 წლის შემდეგ განახლდა, მას შემდეგ, რაც იმერლიშვილმა „სიმარტილის თქმა“ გადაწყვიტა. აღიარებითი ახსნა-განმარტება პროკურატურამ ქუშხველისგანაც მოიპოვა.

„2003 წლის 10 ოქტომბერს, მიმიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მომთავსეს საკანში, სადაც ხუთმა უცნობმა ნიღბოსანმა მეცა და სასტიკად მწამა. თან ჰქონდათ დიპლომატი, რომელშიც დენის აპარატი იყო. თითებზე სველი ნაჭრები შემომხვეს და დენი შემომიერთეს, თავზე რაღაც ჩამომაცვეს და სუნთქვა დამიხშეს. მეკრდნენ ხის ხელკეტებით, შემდეგ საკანში ჩამიყვანეს, იატაკზე რაღაც სითხე დაასხეს და კვლავ ჩართეს დენი. ისე სამხილად მწამეს, რომ საბჭერ გულიც წამივიდა. აი, ასეთი ზეწოლის ქვეშ დამაწერინეს აღიარებითი ახსნა-განმარტება – თითქოს პატარაშვილთან და ჭამაშვილთან ერთად არტანში ბერიანდიების მკვლელობა ჩავედინე. საპრობოლოეში რომ გადამიყვანეს, იქაც მთხოვეს ახსნა-განმარტების გადაწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წამებითა და მოკვლით მეშუქებოდნენ. მუქარის ქვეშ გამაშიშვლეს და სურათები გადამიღეს; მთხრეს – ამ კადრებს საპრობოლოეში პატიმრებს ვაჩვენებთ... იძულებული ვავხდი, დავმორჩილებოდი“.

ქუშხველის ახსნა-განმარტება სასამართ-

ლომ, საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, ბრალულობის მტკიცებულებად არ ჩათვალა. პროცესზე დაიკითხნენ აღიარების მოწმეებიც. მათ დაადასტურეს, რომ ქუშხველი, პატარაშვილი და ჭამაშვილი 1996 წლის 24 სექტემბრის საღამოდან, 25 სექტემბრის შუადღემდე, მართლაც, ქეფობდნენ ბალიშვილის ოჯახში. რაც შეეხება ვიორგი იმერლიშვილის მამხილებელ ჩვენებას, სასამართლომ ის სარწმუნოდ არ მიიჩნია. როგორც განაჩენშია აღნიშნული, იმერლიშვილის ჩვენებაში მნიშვნელოვანი უზუსტობები დაფიქსირდა, რაც მისი სიტყვების სიყალბეზე მიუთითებდა. იმერლიშვილმა არაერთხელ აღნიშნა, რომ 1996 წლის 24 სექტემბერს დილით, ბინაში, რომელშიც იმ დროს თავად ქეფობდნენ და ბავშვობის მეგობარი, თელაველი ვიორგი წიქარიძე. სასამართლომ დაადგინა, რომ წიქარიძე 238-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით, ვერ კიდევ 1996 წლის მაისში დააპატიმრეს. ის საპრობოლოეში იმყოფებოდა 1998 წლის თებერვლამდე და შესაბამისად, 1996 წლის 24 სექტემბერს ვერანაირად ვერ მოხვდებოდა იმერლიშვილის ბინაში. ამასთანავე, სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ჯარჯი ჯაბანაშვილმა კატეგორიულად უარყო ქუშხველის დავალებით იმერლიშვილისთვის ავტომანქანის მიყვანის ფაქტი. გაირკვა ისიც, რომ იმერლიშვილი ქუშხველზე განაწყენებული იყო, რადგან ამ უკანასკნელს ემართა მისი ფული – დაახლოებით 2.000 დოლარი, თანხას კი არ იხდიდა. სასამართლო სხდომაზე მოისმინეს აუდიოკასეტა, რომელზეც ჯაბანაშვილისა და იმერლიშვილის საუბარი იყო ჩაწერილი. აუდიოჩანაწერში ისმის, თუ როგორ იმუქრება იმერლიშვილი ქუშხველის მისამართით და ამბობს, რომ აუცილებლად „ჩაძირავს“ მას, გადაუხდელი ვალის გამო. პროცესზე იმერლიშვილმა განაცხადა, რომ ამ საუბარს მასა და ჯაბანაშვილის შორის მართლაც, ჰქონდა ადგილი, მაგრამ არ იცოდა, მისი ფარული აუდიოჩანაწერის შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მამხილებელი ჩვენებები იმერლიშვილმა განაწყენების ნიდავზე მისცა სამართალდამცველებს. გარდა ამისა, კოლეგიის აზრით, საგულისხმოა ისიც, რომ 2003 წლის 20 ოქტომბერს ჩატარებული, სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტის თანახმად, ქუშხველს სხეულზე ნამდვილად ეტყობოდა მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით მიყენებული სისხლნაჟღერებები, აგრეთვე ექსკორაცია წელის არეში, ხერხემალთან, ყოველივე ეს კი სარწმუნოს ხდის ქუშხველის ჩვენებას, სამინისტროს შენობაში მისი წამების შესახებ.

იმის გამო, რომ გამოძიების მიერ ბრალდებულთათვის ბრალის დასადასტურებლად

ვერც ჩხრეკისას იქნა მოპოვებული რაიმე ნივთმტკიცება და არც სხვა უტყუარი მტკიცებულებები იყო საქმეში, სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში სამივე განსასჯელი გაამართლა, საქმე კი გამოსაძიებლად, საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაუბრუნა. მართალია, საკასაციო პალატას აღნიშნული განაჩენის კანონიერებასთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა ვერ არ უთქვამს, მაგრამ ბევრი უკვე მიიჩნევს, რომ საქმე კვლავ გაუხსნელი დარჩება. ვერსიებმა კი, რომლებიც მკვლელობის პირველსავე დღეებიდან ვრცელდებოდა, მოსახლეობა კიდევ უფრო დააფიქრა. ერთ-ერთის თანახმად, ცოლქმარი – პავლე და სონია ბერიანდიები მოსკოვში საეკვო ბიზნესს ეწეოდნენ; ვარაუდობენ, რომ ისინი ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ, რადგან ღვეზლისა და ფუნთუშის ცხოვრებით, 2 წლის მანძილზე იხველა თანხას ვერ მოაგროვებდნენ. მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება კი ოჯახს, მეზობლების თქმით, აშკარად დაუტყო. ვერსიის თანახმად, ნარკობიზნესში ჩაბმულ ცოლქმარს მოსკოვის მეწილეებთან უთანხმოება მოუხდათ, მათ თანხის არათანაბარ განაწილებაში დასდეს ბრალი და ამ მოტივით, ოჯახზე შურისძიება განიზრახეს... მეორე ვერსია პავლე ბერიანდის მამის – მიხეილ ბერიანდის სახელს უკავშირდებოდა. ამ ვერსიის თანახმად, ბუნებით აგრესიულ და კონფლიქტურ მიხედვით ბერიანდიეს არაერთხელ მოსვლია უთანხმოება ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით ხშირად ეჩხუბებოდა შვილებს. ვარაუდობენ, რომ მორიგი კონფლიქტის საფუძველზე, განაწყენებულმა, სწორედ მან ჩაიდინა მკვლელობა. ამ ვერსიის საფუძველს საქმის მასალებში დაფიქსირებული ერთი გარემოება იძლევა: მკვლელობის მეორე დილით, 1996 წლის 25 სექტემბერს, პავლე ბერიანდის სახლში პირველი სწორედ მიხეილ ბერიანდი მივიდა; ის მეორე სართულზე ავიდა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, ვერც ერთი მოკვლული ვერ შენიშნა. „არავინ გამოძებნა“ – თქვა მან. შვილის სახლში ასე აღრიანად მისვლის მიზეზად ბერიანდიემ ის დაასახელა, რომ უნდოდა, მისთვის ხორცი მოეკითხა. ხორციით სავესე ქილა შესასვლელში – ე.ი. სწორედ იქ დადო, სადაც, საქმის მასალების მიხედვით, დაცხრილილი შოთა წიკლაშვილი იწვა. ბერიანდიე აცხადებს, რომ არ შეუნიშნავს, თუ ის მკვდარი იყო... რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ვერსიას, მას მიხედვით ბერიანდიე, ისევე, როგორც მისი ოჯახის წევრები, კატეგორიულად უარყოფენ და აპსურულულს უწოდებენ. თუმცა, პროკურატურას ალბათ, ზემოთ ნახსენები ვერსიების გარდა, სხვა ვერსიებზე მუშობაც მოუწევს. ■



გადაცემა — „შაბათის შოუ“ თანდათან უფრო პოპულარული ხდება. ამ გადაცემის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენელი, რომელსაც ძალიან უყვარს სკანდალი და ინტრიგა, ვასო ფხაკაძე, 27 წლისაა და ჯერაც არ დაოჯახებულა. რა საერთოა „შაბათის შოუსა“ და ვეტექიმს შორის, სოცავენ თუ არა ერთმანეთს შოუს მონაწილეები და ვინ მოიპარა მათი იდეა, — ამ ყველაფერზე თავად ვასო მოგვიყვება.

„მას შეძეცემ ჰედმასცემის?!“ ახსოვს ნაწილდებს მოლოები

ნათია ქვიციანი

— ვასო, რას შვრები, როგორ ხარ?

— ძალიან კარგად ვარ, მშვენივრად ვგრძნობ თავს. განსაკუთრებით ის მიხარია, ჩვენი გადაცემა ასეთი კარგი რომ გამოვიდა... ახლა შენ რომ მოხვედი, სკეტჩებზე ვმუშაობდი. ჩვენთან ასე ხდება ხოლმე: რაიმე თემას ავირჩევთ და მერე ამ თემაზე ყველანი ცალ-ცალკე სკეტჩებს ვწერთ. ერთსა და იმავე ხუმრობას არასოდეს ვიმეორებთ. იცი, რამდენი გვაქვს დაწერილი?.. „შაბათის შოუს“ სცენარისტებიც და შემსრულებლებიც ჩვენ ვართ. ჩვენთან არის ორი ადამიანი, რომელიც სცენარს წერს, მაგრამ კადრში არ ჩანს. „ფარული კამერის“ ჯგუფის წევრებიც ჩვენთან არიან და რა თქმა უნდა, სცენარსაც წერენ.

— ისე, პროფესიით ვინ ხარ?

— ვეტექიმი ვარ. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს, მაგრამ მხოლოდ ზოოვეტი დაავითაურე. ერთი დიპლომი ხომ მაინც უნდა მქონოდა!.. გამოთქმა ხომ იცი — რამდენი პროფესიაც გაქვს, იმდენი ადამიანი ხარ... თეატრალურშიც მინდოდა ჩაბარება, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა. ამას ძალიან ვნანობ, რადგან ვფიქრობ, რომ მსახიობის ნიჭი, ასე თუ ისე, მაქვს. ერთი პერიოდი, ფოთის ტელევიზიაშიც ვმუშაობდი. მერე გავიცანი დათო გოგიჩაიშვილი, რომელმაც შემომთავაზა — ასეთი პროექტი მაქვს (მაშინ „ღამის შოუზე“ იყო ლაპარაკი) და ჩემთან წამოდიო. ასეც მოვიქეცი. სხვათა შორის, ვეტექიმიდანაც ვარ ნამუშევარი, კატებსა და ძაღლებს ნემსს ვუკეთებდი. ჩემი საკუთარი კლინიკა მქონდა. ლაბორა-

ტორიაშიც ვმუშაობდი. რომ არ მოიწამლო, ეს იმისთვის არის საჭირო...

— მე რომ არ მოვიწამლო, თუ კატები და ძაღლები?

— არა, მხოლოდ ძაღლები და კატები. შენზეც უნდა ვიზრუნო, რადგან ჩემი პროფესია ფართომასშტაბიანია. ვეტერინარ ექიმს, იმისთვის, რომ ადამიანი არ მოიწამლოს, საკვები პროდუქტის შემოწმებაც ევალება.

— მერე, ასეთი სერიოზული საქმიანობიდან ამ არასერიოზულ სფეროზე რატომ გადამოერთე?

— იმიტომ, რომ ეს საქმიანობაც ძალიან მომწონს. დემრთმა ქნას, რომ იუმორი ყოველთვის იყოს. მაგრამ თუ ხუმრობას ოდესმე თავს დაგანებებ, აუცილებლად ძველ პროფესიას დაგუბრუნდები. შრომის ანაზღაურება აქ უფრო კარგია, თანაც მიყვარს ეს საქმე, თუმცა, ის საქმეც მიყვარს. ვეტექიმი როცა ვიყავი, მაშინაც ვხუმრობდი, ძაღლებს და კატებს ვართობდი და იცი, როგორ მოსწონდათ?! შენ გგონია, მარტო ნემსის გაკეთება ვიცი? ოპერაციებსაც ვაკეთებდი. მაგალითად, ყურებს და კულს ვჭრიდი ძაღლებს. ისე, ძაღლებში კარგად ვერკვევი, რადგან ნადირობა ძალზე მიყვარს. ფოთში ბიძაჩემთან რომ ჩავდივარ ხოლმე, ყოველთვის სანადიროდ მივდივართ. აი, ასე მიმართლებს, რადგან კარგ ადამიანებს ყოველთვის უმართლებთ, ბოროტი არ უნდა იყო.

— მოდი, ისევ „შაბათის შოუს“ დაგუბრუნდეთ. ყველა გადაცემაში სხვადასხვა საუკუნის ადამიანებს ასახიერებთ. თქვენს კოსტიუმებსა და დეკორაციებზე ვინ ზრუნავს?

— ჩვენს კოსტიუმებზე ეკა ამამუკელი ზრუნავს. იგი მხატვარია და ძალიან კარგად ართმევს თავს ამ ყველაფერს.

ძალიან კარგი გოგოა, ამიტომ ჩვენი „ძმა“. ერთ ამბავს მოგიყვები. ერთხელ გადაწყდა, რომ მე და მიშა ანდლულაძეს პედერასტების როლი უნდა შეგვესრულებინა, მაგრამ მე სადღაც ვიყავი წასული და ეს ამბავი ჯერ არ ვიცოდი. შევდივარ ოთახში, სადაც ეკა დგას და ვილაცას ტელეფონით ელაპარაკება, კოსტიუმების საკითხს აგვარებს. უეცრად მომიბრუნდა და მკითხა — ვასო, შენ და ანდლულაძე ხართ, ხომ, პედერასტებიო? — და ისევ ტელეფონით საუბარი განაგრძო. ჯერ გამიკვირდა, ლამის გავვიფიქრა — რა შემატყო პედერასტობის-მეთქი?! მერე, რომ ამიხსნეს, რაც ხდებოდა, ბევრი ვიცინეთ. ახლაც ვხუმრობთ ხოლმე, რომ მე და მიშა პედერასტები ვართ... ვახო ჭვლიძე ხომ იცი, „ღამის შოუს“ დირექტორი? ის დეკორაციებზე ზრუნავს. ელიავას ბაზრობაზე ყველა იცნობს და კარგი „გამარჯობით“ ხვდება. მაგარ სუპერ-დეკორაციებს აკეთებს. ამ მასალებს, რა თქმა უნდა, ვვიღულობთ, კოსტიუმებს კი — ვქირაობთ. წინა გადაცემაში რომ აივანი იყო, სადაც ანდლულაძე იდგა და მეზობლის ქალებს ელაპარაკებოდა, ჩვენი გაკეთებულია — „კურიერის“ დეკორაციებისგან „ნარჩენებისგან“ ავაწყვეთ.

— ყველაზე მეტად პოპულარობა ჟურნალის რედაქტორის როლმა მოგიტანა...

— კი, ანუა. ყველა მაგას მეუბნება. ინტრიგაა, ეს, გენაცვალე, ინტრიგა!..

— როცა ვინმეს როლს ასრულებ, იცი, ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრების წესი თუ ეს იმ პროვიზაცია?

— რედაქტორები როგორ ცხოვრობენ, ნამდვილად არ ვიცი, უბრალოდ, მგონია, რომ ისინი ასეთები უნდა იყვნენ. რედაქტორი არის გიჟი და ჟურნალისტიც

ისეთივე ჰყავს, როგორსაც ვანო ჯავახიშვილი ასრულებდა... რა თქმა უნდა, ყველა რელაქციაში ასეთი რამ არ ხდება, მაგრამ მაინც ასეა. დანარჩენ ადამიანებსაც ჩემი წარმოსახვის მიხედვით ვბაძვ. ჩვენთან იცი, როგორ ხდება? რაიმე სკეტჩი რომ დაიწერება, მამინვე ვხვდებით, თუ ის როლი ვინ უნდა შეასრულოს. მაგალითად, ანდლულაძეს არაჩვეულებრივად გამოსდის ქალის როლი, ვანო საწყალ ადამიანებს თამაშობს კარგად და ა.შ.

— ე.ი. როლები განაწილები-სას, ნაწყენი არავინ რჩებით, ხომ?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენთან რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრი ხომ არ არის, რომ როლები გამოვხოცოთ ერთმანეთი... ამ თეატრებში ადრე, ასე ნამდვილად ხდებოდა. გუშინ მალაზიაში შევედი და გამყიდველმა მითხრა — აუ, როგორ ჰგავხარ იმ ბიჭსო! — ვისმეთქი? — ვკითხე. — აი, „შაბათის შოუში“ რომ არის, მევის როლი რომ შეასრულაო. — დიას, ქალბატონო, ყველა ასე მეუბნება და ალბათ, მართლა მაგრად გვაგვარ-მეთქი, — ვუბასუხე... ისე, კარგია, როცა ქუჩაში გცნობენ, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის სასიამოვნო. ბიჭები რესტორანში რომ შევიდვართ, კუპეში შევიპარებთ ხოლმე, რომ ვინმემ არ დაგვიხანოს, თორემ, მერე დაიწყება მთვრალი კაცების შემოტევა: ბიჭებო, თქვენთან ერთად გვინდა ქეიფიო! — და ა.შ. რესტორანში 500 კაცი მაინც ქეიფობს და ყველასთან თითო ჭიქა რომ დავლიო, ხომ წარმოგიდგენია, რა მომივა...

— ყველა სიკეთესთან ერთად, თურმე, კარგი ცეკვაც გცოდნია...

— ბავშვობიდან დავლიოდი ცეკვაზე. ბოლოს აქვე, შინაგანი ჯარების ანსამბლში ვცეკვავდი. შემოღობისდაგვარად ვმღერი კიდეც. მოკლე, ყველაფერი შემოიღობია.

— სანთლით საძებარი სასიძო ყოფილხარ...

ჩვენთან იცი, როგორ ხდება? რაიმე სკეტჩი რომ დაიწერება, მამინვე ვხვდებით, თუ ის როლი ვინ უნდა შეასრულოს...



— აბა, რა... მშობლებთან ერთად ვცხოვრობ. მომავალი მეუღლის კანდიდატურაც ჯერ არ შემირჩევია. ასე, რომ...

— ...გასათხოვარ გოგონებს დიდი შანსი გვაქვს. ვიფიქრებთ ამაზე...

— კი, ბატონო. მაგრამ შინ არასოდეს ვარ და ტელევიზიაში თუ ვინმე გამოწყვებით, რაზეა ლაპარაკი!...

— ახლა კი ის მითხარი, რა კრიტერიუმებით არჩევთ სტუმრებს, გადაცემაში მოსაწვევად?

— სცენარს რომ ვწერთ, მერე ვვიქრობთ, ამა თუ იმ სიუჟეტში რომელი ცნობილი ადამიანი გამოგვადგება. ლელა წურწუშია რომ იყო ბაზრობის გამყიდველი, ხომ კარგად შეასრულა?... ასე, წინასწარ ვიცით ხოლმე, ვინ როგორ შეასრულებს თავის როლს. პოლიტიკოსი რომ მოვიყვანოთ, რომელმაც მხოლოდ ტრიბუნაზე გამოსვლა იცის და ზოგჯერ იმასაც ვერ ახერხებს, იმან რა როლი უნდა შეგვისრულოს?... მაგალითად, ახლა, ნატო გელაშვილი გვყავს სტუმრად. პრობლემებს არც ერთ სტუმართან არ წავწყდომივართ. ყველას მოსწონს ჩვენი ხუმრობა და გადაცემაში მოსვლაზე უარს არავინ ამბობს.

— როგორც ვიცი, „ნიკა ქვათარაძის შოუ“ თქვენი დიდი კონკურენცია და მასზე არცთუ ისე კარგი აზრის ხარ.

— ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ, ჩვენ — ჩვენსას. უბრალოდ, ის არის, რომ მათ „ღამის შოუს“ ფორმატი აქვთ. როცა გოგინა (დათო გოგინაიშვილი. — ავტ.) ამერიკაში წავიდა და მათ უთხრა — ჩვენ ასეთივე ფორმატის გადაცემა უნდა გავაკეთოთო და ამერიკელებიც დათანხმდნენ, ვიფი იყო?... იმათ კი, არავისთვის არაფერი უკითხავთ. ლიცენზია ხომ უნდა ჰქონდეთ?!

— ჩემი სუბიექტური აზრით, „ნიკას შოუ“ სულაც არ ჰგავს „ღამის შოუს“. მათ მსგავსი გადა-



ცემა — „VIP-შოუ“ — ჯერ კიდევ ტელეკომპანია „202-ში“ ჰქონდა...

— მერე ისიც ასეთი არ იყო?... კლიპის გარჩევის იდეა ჩვენი იყო და აქედან წასულმა ხალხმა იქ გააკეთა...

— ნიკა ქვათარაძე თქვენს ჯგუფში არასოდეს ყოფილა...

— კი, მაგრამ გიგა ნასარიძე ხომ წავიდა აქედან?! თუმცა, ეს იდეა ვინ წაიღო, არ ვიცი.

— რატომ წავიდა გიგა?

— არ ვიცი. ალბათ, იქ უფრო უნდოდა, თუმცა ამბობს, რომ ხელფასი იქ უფრო ნაკლები აქვს. ისედაც — 100 ან თუნდაც 500 დოლარის გამო, მე არსად არ წავალ, რადგან აქაურობას ძალიან შევეჩვიე, ბიჭებთან ძალიან ემეგობრობ და ვინც არ უნდა შემომთავაზოს, არსად წავალ.

— შემოსავალი გყოფნის?

— საბანი სადამდეც გავწვდება, იქამდე უნდა დაიფარო, — ხომ იცი? მინდა, რომ უფრო მეტი მქონდეს, მაგრამ... ჯერ გვაცალე, კაცო, კიდევ ვაპირებთ ახალი პროექტების განხორციელებას...

— ამ პროექტებისთვის ამერიკელთა თანხმობა მიღებული გაქვთ?

— ამას ჯერ ვერ გეტყვი, საიღუმ-ლოა. ისე, ხომ ვართ მაგრები! „ღამის შოუც“ კარგია და „შაბათის შოუც“...

— თუმცა, ამ ბოლო დროს, „ღამის შოუ“ ისეთი კარგი აღარ არის, თქვენმა გადაცემამაც დაჩრდილა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ...

— „ღამის შოუ“ სულ სხვა ფორმატის გადაცემაა. მას უფრო სერიოზული ხალხი და პოლიტიკოსები უყურებენ. „შაბათის შოუ“ უფრო სასაცილოა...



ამჯერად, პირდაპირ მკითხველის მესიჯით დავინწყებ: „ამერიკაში ვცხოვრობდი 3 წელი. შარშან დავბრუნდი. სწორედ იქ მომხდარი ამბავი უნდა მოგიყვეთ. ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. ზამთარი იყო. შინიდან ისე გამოვედი, რომ თბილად არ ჩამიცვამს. სულ მთლად გაყინული ავედი „მარშრუტკაში“... სდექ, მორჩა! ამის მერე, საინტერესო აღარ არის: ნიუ-იორკში რომ „მარშრუტკაში“ ასვალ და მძღოლს ეტყვი — ასახვევთან გამიჩერეო — ამაზე „ნაღდი“ რა უნდა იყოს?! მით უმეტეს მაშინ, როდესაც უამრავი ადამიანი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს და საკუთარი თვალით აქვს ნანახი მსოფლიოს არაერთი დიდი ქალაქი... აი, მომდევნო რესპონდენტის მონათხრობი რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს.

მარი ჯაფარიძე

„50 მეტრი ვიფრინეთ“

„მქონდა ბენიერება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, ამერიკაში მეცხოვრა. ნიუ-იორკთან ახლოს პატარა, სოფლის ტიპის დასახლებაში ვცხოვრობდი, ლამაზ და კონტა სახლში, 4 ძაღლთან ერთად. მათ მომვლელად ვმუშაობდი. სახლის პატრონი ახალგაზრდა მამაკაცი იყო. თვითონ ქალაქში ცხოვრობდა, მე და ძაღლებს მხოლოდ კვირაში ერთხელ გვაკითხავდა. იქვე, მეზობელ სახლში ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრობდა, რომელიც დიდი ტრაილერის მძღოლი გახლდათ. კვირაობით იკარგებოდა ხოლმე. შინ სულ 2-3 დღე რჩებოდა და ისევ საქმეზე მიემგზავრებოდა. ერთ საღამოს, თავისი სახლის კიბეზე იყო ჩამოშვდარი. მე კი ეზოში, მწვანე ბალახზე წამოწოლილი, წიგნს კკითხულობდი და თან იქვე მორბენალ ძაღლებს ვადევნებდი თვალს. ეს ჩემი მეზობელი თავზე წამომაღლა. ერთმანეთი გავიცანი. მერე, საღამოებს ერთად ვატარებდით ხოლმე. რაღა თქმა უნდა, სექსიც გვქონდა. შემეყვარდა ეს ადამიანი... ერთხელ შემომთავაზა, მისი მანქანით გაგვესიერნა. კარგა ხანს ვიარეთ და ბოლოს, ერთი მთის წვერზე აღმოვჩნდით. მანქანა ისე გააჩერა, რომ წინა მინიდან საუცხოო ხედი იშლებოდა. კარგა ხანს ვსაუბრობდით. მერე ჩამიხუტა და სწორედ ამ დროს, ხელი რაღაც ღლიაკზე მომიხვდა. მანქანა ადგილიდან დაიძრა. ხმამაღლა დავიყვირე. სემმა გულში ჩამიკრა და



ეს მოხდა საზღვარგარეთ

„მას“ თვალეში ვერ შევხედავ, მის გარეშე კი, საქართველოში რა მინდა?!“

ჩენი ტრაილერი მთის წვერიდან ძირს გადაეშვა. სულ მალე, მანქანა მიწაზე თავდაყირა ევლო, ჩვენ კი ორივენი ცოცხლები ვიყავით. 50 მეტრი ვიფრინეთ ჰაერში და დღერთმა გადაგვარჩინა... იქიდან ფეხით დავბრუნდით. გზაზე საპატრულო მანქანა შემოგვხვდა და სახლამდე მიგვიყვანა. სამწუხაროდ, ჩემი და სემის ურთიერთობა მას შემდეგ დასრულდა, რაც საქართველოში დავბრუნდით. ძალიან არ განვიცდი, თუმცა მასთან ძალზე ბენიერად ვგრძნობდი თავს. ნატო“.

უცხოურ ფირმაში მუშაობთ და მაღალი ხელფასი გაქვთ? გილოცავთ! მით უფრო მოსალოცად გექნებათ საქმე, თუ შეფი კაბინეტში ვინძობთ და გაუწყებთ, რომ ექვსი თვით ინგლისში, ფირმის სათავე ოფისში მოგიწევთ კვალიფიკაციის ამაღლება. თუ სასიყვარულო ინტრიგის ხელოვნებასაც ფლობთ, შესაძლოა, საქართველოში ისეთ ქმართან ერთად დაბრუნდეთ, რომ თქვენი მეგობრები შურით გულზე გასკდნენ...

ინგლისელი ბოსი და ქართველი ქმარი

„სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ უცხოური ფირმა ვაკანსიაზე კონკურსს

აცხადებდა. ანკეტაში მითითებულ ყველა პირობას ვაკმაყოფილებდი — ინგლისურად ვიცოდი, გერმანულიც, კომპიუტერული პროგრამებიც და მუშაობის გამოცდილებაც მქონდა. ძალზე ბევრი მსურველი იყო და გამარჯვების იმედი სულ არ მქონდა. ბოლო ეტაპზე, 20 გოგო დავრჩით. ბოლოს, თანამშრომლის შერჩევა გარეგნობისა და ეტიკეტის ცოდნით უნდა მომხდარიყო. მოკლედ, გავიმარჯვე, არჩევანი ჩემზე გაკეთდა. ძალზე ბენიერი ვიყავი, რადგან საკმაოდ მაღალი ანაზღაურება მექნებოდა და თანაც, ჩემს საყვარელ საქმეს ვააკეთებდი. ჩემი ინგლისელი ბოსი კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობით და ყოველი კვირის ბოლოს, მაღლობას მიცხადებდა. ერთხელ თავისთან კაბინეტში დამიბარა და მაუწყა — 6 თვით ინგლისში მოგიწევს წასვლა, რომ დაბრუნდები, ჩემს მოადგილედ დავინშნავო (მანამდე, მარკეტინგის მენეჯერად ვმუშაობდი). რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. სულ მალე, გავემგზავრე კიდეც. სასტუმროში იტალიელ გოგოსთან ერთად ვცხოვრობდი (ჩემსავით იქ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული 20 ადამიანი იყო). რაოდენ გასაკვირად არ უნდა მოგეჩვენოთ, გერმანიის წარმომადგენელი, ქართველი მამაკაცი გახლდათ. ყოველდღე სემინარზე ვხვდებოდით

ერთმანეთს. საღამოს კი, დროს ისევ ერთად ვატარებდით. მე და დათომ, როგორც ქართველებმა, შესანიშნავად გავუგეთ ერთმანეთს. თუმცა, მას დავუმაღლე, რომ მარკეტინგის მენეჯერი ვიყავი და თავი ფირმის ვიცე-პრეზიდენტად გავაცანი. ის ძალზე წარმოსადგეი მამაკაცი იყო და გაცნობისთანავე დავადგი თვალი. გასაქანი არ მივეცი, სხვა გოგონებთან ურთიერთობის ყველა გზა მოუჭერი... 6 თვე საკმარის აღმოჩნდა იმისათვის, რომ უზომოდ შექვეყარებინა მისთვის თავი და ცოლობა ეთხოვა. ჯერ მე დავბრუნდი თბილისში, ორი კვირის შემდეგ – დათო. ჩემს მეგობრებს რომ ვუამბობდი – ასეთი და ასეთი მამაკაცი გავიცანი და ვთხოვდები-მეთქი, ეგონათ, ვფანტავიორობდი, მაგრამ ქორწილში რომ დავვატიე და დათო რომ გავაცანი, სულ გადაირივნენ. მოკლედ, ჩემმა უცხოეთში მოგზაურობამ მშვენიერი შედეგი გამოიღო“.

თანამედროვე „დეკაბრისტის“ ცოლი

„ერთ ზაფხულს, დასასვენებლად ანტალიაში წავედი. იქ გავიცანი ულამაზესი მამაკაცი – დენისი. ჩემს თავს მაგარ ქალად სულაც არ ვთვლი და მიმანია, რომ ერთი ჩვეულებრივი, საშუალო გარეგნობის ვარ. სწორედ ამიტომ, დენისის მიერ გამოჩენილმა სულ მცირე ყურადღებამაც კი თავბრუ დამახვია. დავყავდი რესტორნებში, ყიდულობდა უამრავ საჩუქარს, თანაც, ძალზე ყურადღებიანი და თბილი ადამიანი გახლდათ. აბა, ვინ იტყოდა უარს ასეთ კაცთან ურთიერთობაზე?! მით უმეტეს, რომ ის ბანკის ვიცე-პრეზიდენტი იყო... უკვე გეგმას ვადგენდი – სად გავატარებდით თაფლობის თვეს, როგორ მოვაწყობდით ბინას, სადაც ერთად ვიცხოვრებდით, რამდენი შვილი გვეყოლებოდა და რას დავარქმევდით მათ... დენისი ჩემზე ადრე გაემგზავრა თავის სამშობლოში და ჩემი კოორდინატებიც ჩაიწერა. შემპირდა, თბილისში აუცილებლად მოგებნის, როგორც კი დაბრუნდებიო. ვთხოვე – შენი კოორდინატებიც დამიტოვე-მეთქი, მაგრამ მიპასუხა – მაინც გაგიჭირდება ჩემი პოვნა, ხან თათბირზე ვარ, ხან – მივლინებაში, თანაც მოსკოვში 3 ბინა მაქვს და ხან სად ვათევ დამეს, ხან – სადო. გულმა რეჩნი მიყო, მაგრამ არ შევიძინე. თბილისში გულდამძიმებული, მაგრამ მაინც მოლოდინით აღსავსე დავბრუნდი. ყველა ახლობელს გული გავუწყალე დენისზე ლაპარაკით, მაგრამ არავის ვუმხელდი, რომ ტელეფონის ნომერი არ დამიტოვა. გავიდა ერთი თვე...“

ყველანაირი იმედი დავკარგე საიმისოდ, რომ მას ოდესმე კიდევ ვნახავდი. ასე გავიდა 6 ცრემლიანი თვე... ერთ მშვენიერ დღეს, ტელეფონმა დარეკა. ყურმილში დენისის ხმა გავიგონე. მთხოვა, მოსკოვში ჩავსულიყავი. მეზავრობის ფული ვისესხე, მოსკოვში ჩავფრინდი და მითითებულ მისამართზე მივედი. იქ მოხუცი ქალი დამხვდა – დენისის ბებია ყოფილა. მან ამისნა, რომ დენისი დაუჭერიათ და პატიმრობაში იმყოფებოდა... ციხიდან მირეკავდა. მის სანახავად რომ მივედი, ხელი მოხოვა... ახლა მისი ცოლი ვარ. ორ თვეში ერთხელ ჩავდივარ მოსკოვში მის მოსანახულებლად. ბებო გარდაიცვალა, ბინა ანდერძით მე მერგო. დენისის გამოსვლამდე კი, სულ 8 თვე დარჩა. ვფიქრობ, წინ ბენდიერი დღეები მელის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით, „დეკაბრისტის“ ცოლივით, შორეულ რუსეთში, ციხეში ვნახულობ ჩემს ქმარს“.

შემდეგი რესპონდენტი უცხოეთში მომხდარ ამბავს არ გვიყვება, სამაგიეროდ, მთავარი მოქმედი პირები, შორეული კორეის „ბედკრული შვილები“ არიან...

„თუ დაგჭირდება, დამიძახე!“

„არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მაგრამ ერთი პერიოდი, საქართველოში უამრავი კორეელი ახალგაზრდა ცხოვრობდა. ისინი სტუდენტები იყვნენ და უმაღლეს განათლებას საბჭოთა კავშირში იღებდნენ. კორეელების ერთი ჯგუფი ქუთაისშიც ცხოვრობდა. ისინი საერთო საცხოვრებელში იყვნენ დაბინავებული და ქუთაისის გარეუბანში საბურთისო კვინდათ გაშენებული. მე ერთ-ერთ ორგანიზაციაში „ზავხოზად“ (დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში. – ავტ.) ვმუშაობდი. ჩვენთან, საპირფარეოში რამდენიმე განყოფილება გახლდათ, ოღონდ კანალიზაცია არ გვქონდა, სოფლის ტუალეტის ტიპის კაბინები იყო. ერთხელ, დირექტორმა დამიბარა, 250 მანეთი მომცა და მითხრა – 7 წელია, ტუალეტი არავის გაუწმენდა; მანქანა დაიჭირავე, მუშები მოიყვანე და საპირფარეოში გაწმინდეო. ვიფიქრე – ამდენი ფული რატომ უნდა გადავიხადო? კორეელებს ვეტყვი, იქნებ, სათბურისთვის ნაკელი სჭირდებათ, უფრო იაფად გამოვალ-მეთქი. საერთო საცხოვრებელში მივედი, ბიჭები მოვებენ და შევთავაზე – ასე და ასეა ჩემი საქმე და თუ ტუალეტის გასუფთავებაში დამეხმარებით, პატივისცემა ჩემზე იყოს-მეთქი. – რამდენია გასატანიო? – ასე, 3 მანქანა გამოვა-მეთქი. – რამდენიო? – მკითხეს და 3

თითი ერთმანეთზე გაუსვ-გამოუსვეს. მივხვდი, ფულზე მელაპარაკებოდნენ. 200-მეთქი, – ვუთხარი. სიხარულით დამთანხმდნენ. მეორე დღეს, საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს – საქმე გაკეთებულია, მაგრამ 3 კი არა, ორ-ნახევარი მანქანა გამოვიდაო. – მაშინ, 200-ზე კი არა, 170 მანეთზე შევთანხმდეთ-მეთქი, – ვუთხარი და გამიხარდა, რომ მთელი 80 მანეთი „მოვტევე“. კორეელმა სიხარულით ჩაიყო ჯიბეში ხელი და... 170 მანეთი გადმომიტოვა: – ვიცოდით, რომ კაცური კაცი იყავიო, – მითხრა, მხარზე ხელი დამარტყა და – თუ ოდესმე კიდევ დაგჭირდეთ, დავკიბხეო, – დაამატა... პირი ღია დამჩა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ იმ სიბინძურის გატანაში ფულს აქეთ გადამიხდიდნენ... ლექსო“.

ბევრს მიაჩნია, რომ ქალი მეტისმეტად დაბნეული მძღოლია, საგზაო მოძრაობის წესებს არღვევს და საავარიო სიტუაციაშიც ხშირად ქმნის. მაგრამ ჩვენი მომდევნო რესპონდენტის ნაამბობს თუ გაეცნობით, ირწმუნებთ, რომ ქალი ძალზე ფრთხილი და წინდახედული მძღოლი ყოფილა.

კანადაში – ავტოსადგომის გასაწმენდალ...

„რამდენიმე წლის განმავლობაში, კანადაში ვცხოვრობდი. მშვენიერი სამსახური მქონდა, საკუთარი ავტომანქანაც მყავდა და შემანერვივით დავდიოდი. ერთ ზამთარს, ძალზე დიდი თოვლი მოვიდა, უზარმაზარი ფოფქები ცვიოდა და თან ქარბუქიც იყო. მანქანა გარაჟიდან გამოვიყვანე და ქუჩაში გამოვედი. თითქმის ვერაფერს ვხედავდი. უეცრად, დავინახე თოვლსაწმენდი მანქანა. გაგონილი მქონდა, რომ ასეთ დროს, ამ მანქანის უკან სიარული ძალზე მოსახერხებელი იყო. ავდექი და კვალში ჩავუდექი. კარგა ხანს ვიარეთ ასე, ის – წინ, მე – უკან. მანქანა შეჩერდა, მძღოლი გადმოვიდა, ჩემს მანქანასთან მოვიდა და მეკითხება – რატომ დამდევე კუდში? მიზეზი ავუსხენი. კარგი, ეს ავტოსადგომი უკვე გავწმინდეთ, ახლა სხვაგან წავიდეთ, ორნი უფრო მხიარულად ვიმუშავეთო, – მითხრა... რაღა უნდა მეთქვა? თურმე, მთელი საათი ის ავტოსადგომს წმენდა და მეც გულმოდგინედ დავყვებოდი უკან...“

ბევრი ჩვენი თანამემამულე მუშაობს ამერიკაში. ერთ-ერთი რესპონდენტი 4 წლის გოგონას ძიძა გახლდათ და ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გაყრის ფაქტს შეესწრო...

რა ყარდა სახლში?

„ამერიკულ“ ამბებს ალბათ, ბლომად დაგიმსივებენ, მაგრამ ისეთს, როგორსაც მე მოგიყვებით, სხვა ვერაფერს გაამბობთ. ამერიკაში ჩასვლისთანავე ვიშოვე სამსახური. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს 2 წლის ჯენისთვის მიმა სჭირდებოდა. ძალზე საყვარელი გოგონა იყო, ქერა, ცისფერთვალება, „ბარბის“ ჰგავდა. მალე დაიპყრო ჩემი გული. ჯენის დედ-მამას ძალზე უყვარდა ერთმანეთი. მეც არ მერიდებოდნენ ხოლმე, ისე ეყვებოდნენ ერთმანეთს. სოფი (ჯენის დედა) მალე დამიმეგობრდა. თავის ქმარზე ხშირად მეჭორავებოდა. ხანდახან, კინკლაობდნენ კიდევ. მერე, ჩხუბს მოუხშირეს, ცალ-ცალკე თითხეხეში იძინებდნენ ხოლმე და ბოლოს გადაწყვიტეს, გაყრილიყვნენ. ბინა ელუარდის იყო. ამიტომ მე, სოფი და ჯენი დაქირავებულ ბინაში გადავედით. სოფიმ წამოსვლის წინა საღამოს, გამოსამშვიდობებელი ვახშამი მოაწყო. ათასგვარი საჭმელი მოზიდა, მათ შორის – კობორჩხალა და ხიზილალა. როდესაც ელუარდი დასაძინებლად წავიდა, მე და სოფი კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით. უცერად, სოფი ადგა, თვალი ჩამიკრა, კობორჩხალის მოზრდილი ნაჭერი ხიზილალის წვენი ამოავლო და ფარდის კარნიში გვერდიდან შეტენა (კარნიში დეკორატიული რკინის მილისგან იყო გაკეთებული, რომელსაც ბოლოები ღია ჰქონდა). მეორე დღეს, ავბარგეთ და ცალკე გადავედით საცხოვრებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ, სოფიმ მასწავლა – ელუარდმა ცოლი მოიყვანაო. მერე იმ სახლში ისეთი მყარად სუნით დამდგარა, რომ იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ახალ ცოლ-ქმარს ხელოსანი მოუყვანია, კანალიზაცია გაუწმენდია, მაგრამ ვერაფერმა უშველა. გადაწყვიტეს, ბინა გაეყიდათ, მაგრამ მაკლერი კლიენტებს მიიყვანდა თუ არა, ისინი თავქუდიმოგლეჯილები გარბოდნენ. ბოლოს, ელუარდი და თავისი ახალი ცოლი სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. სოფიმ დაურეკა და უთხრა – იმ ბინასთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, 10 ათას დოლარს გადაგიხდი და მე მომიდეო. სხვა გზა მაინც არ ჰქონდათ. ეს თანხა ამერიკაში „სემინის“ ფულია. მე, სოფი და ჯენი ისევ იმ ბინაში გადავბარდით. სწორედ იმ დროს, როცა იქიდან ელუარდის ნივთები გადაჰქონდათ, – კარნიზი, კარნიზი არ დაგავიწყდეთო, – შეახსენა სოფიმ მუშებს. მათ ელუარდს დაურეკეს და ჰკითხეს – წამოვიდითო? – რა თქმა უნდა, წამოვიდით, ახალ ბინაში მჭირდებაო, – უპასუხა მან. ასე ვცხოვრობდით ტკბილად და გემრიელად მე, ჯენი და სოფი. ახლა ერთი წლით წამოვედი. მომავალ შემოდგომაზე ისევ ვავემზავრები ჩემს

საყვარელ ადამიანებთან. ამაზე ნათქვამი – ხერხი სჯობია ღონესაო...“

ნათქვამია – რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო... თურმე, მეგრულის ცოდნამ შესაძლოა, მოსკოვშიც კი დიდი სამსახური გაგიწიოთ. ჩვენი მკითხველი კუროზით დაწყებულ და ტრაგიკულად დამთავრებულ საინტერესო ამბავს გვიყვება.

„იტალიელი“ მეგრელი

„ეს იყო მოსკოვში. ტრანსპორტში ერთი ბიჭი გამჭოლი მხერით თვალს თვალში მიყრიდა; რომ ჩამოვედი, ჩამომევა. წიგნის მაღაზიაში შევედი და ისიც შემომეყვა. რუსულად უაქცენტოდ საუბრობდა. დაიწყო წიგნების თვალღებება, თან, გვერდიდან არ მცილდებოდა. დახმარებაც მთხოვა – **Извините, пожалуйста, перескажите, что здесь написано?** ჩვენ შორის მოკლე დიალოგი შედგა. ილუსტრირებული წიგნი შეიძინა, იტალიურ ენაზე და მარუქა. მადლობა გადავუხადე. დაიწყო გაცნობის მეორე ეტაპი. იტალიელი ვარო, – მითხრა. ფიზიკურად მართლაც, ჩამოჰგავდა იტალიელს. მე არ მითქვამს, რომ ქართველი ვიყავი. ძალზე ტაქტიანად იქცეოდა, ნამდვილი, კარგად აღზრდილი იტალიელივით. „ჩაისი სახლში“ დამპატიჟა. შევეყვი. ათასგვარი ამბავს ჰყვებოდა, თან, კომპლიმენტებს არ იშურებდა... ყველაფერი კარგად აეწყო, ვიდრე არ ვთხოვე – იტალიურად რამე მითხარი-მეთქი. არ დაიბნა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალზე გაუხარდა და მკითხა – როგორ, თქვენც იცით იტალიური? – არა-მეთქი, – რომ ვუპასუხე, – თითქოს მძიმე ტვირთი მოესხნა, კმაყოფილი სახე მიიღო და დაიწყო „იტალიურად“ – მუ ჯგირ თოლფუ გილუ ძაბ. მუშენ რეთ სქამეფ ღო უტვინეფ? ხომ ჯგირო ვაღორენქ მუთიუნასავ ცირა... გავოცდი. დედით მეგრელი ვარ და მეგრულიც ვიცი. ჩემმა კავალერმაც ენა „აითქვიფა“. მე კი გადავირიე, რადგან ტექსტი ისე გადმომითარგმნა, თითქოს ულამაზესი კომპლიმენტი მითხრა. სინამდვილეში, მისი ნათქვამი ქართულად ასე ჟღერდა: ლამაზი თვალები გაქვს, გოგო, რატომ ხართ, ლამაზებო, ასეთი უტვინოები? ხომ მაგრად გატყუებ, მუთიანასავო!... არაფერი შევიძინე. გულში კი გავიფიქრე – ნინო არ ვიყო, თუ მაგარი „მტუკა“ არ გავიჩაღინო-მეთქი!... ვინაზებოდი, თვალებს ვაფანულელებდი, „იტალიურად“ ნათქვამი კომპლიმენტების გამო აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი. მეგრული რომ არ მცოდნოდა, მის პატიოსნებაში ეჭვიც არ შემეპარებოდა. მეორე დღეს შესვედრანზე დავთანხმდი. „სტრატეგიულად“ ვმოქმედებდი. ბევრი

რომ არ გავაგრძელო, ერთ-ერთი შეხვედრისას დავემშვიდობე მეგრულად... კაცი გალურჯდა, ენა ჩაუვარდა... მე კი ვუთხარი – მინდოდა, გამეხარებინე და „იტალიური“ ენის შემსწავლელ კურსებზე დავდიოდი-მეთქი. ძლივს წარმოთქვა – **Ну, даа... высокая, красивая и даже умная...** ამის შემდეგ რა მოხდა? – ერთი ვერ აღვეწერ, ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი. დათქმული გვექონდა, რომ ჯვარს საქართველოში, გელათში დავიწერდით. გამომგზავრებამდე ერთი კვირით ადრე, ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. ჩემი ნაჩუქარი კრიალოსანი ჯიბეში ელო... 4 წელი გავიდა. დღესაც მისი ერთგული ვარ. იმედია, დათო ამ გზაწილს წაიკითხავს და მიხვდება, რატომ მაქვს სიყვარულზე გული გატეხილი და რატომ ვარ ცივი. თუ რამე დავეშავე, იმედია, მაპატიებს და გულს არ მატყენს. ბედნიერებას ვუსურვებ მეგობარს, დათოს. ნინო მ.“

ბოლოს – მოკლე მესიჯები და „თავისუფალი თემა“, რომელიც ჩვენს მკითხველებს სათქმელის შეუზღუდავად თქმის შესაძლებლობას აძლევს...

„დედას ახლა ეძლევა ჩემი პოვნის შანსი“...

„უცხოეთში წასვლა ნამდვილად მინდა. ამიტომ ვცვლი ოროთახიან ბინას ვარკეთილში, 2 ერთოთახიანზე სხვადასხვა ქვეყანაში. პირველ სართულს და მონღოლეთის შორეულ რაიონებს ნუ შემომთავაზებთ...“

„ეს ამბავი არც უცხოეთში მოხდა და არც თქვენს თემასთან აქვს კავშირი, მაგრამ მაინც მაქვს თქვენი დახმარების იმედი. ეს ამბავი გორის სამშობიარო სახლში მოხდა, სადაც თურმე, მე დავიბადე, 1971 წლის 8 თუ 10 მარტს – ზუსტად არ ვიცი, რადგან დაბადების მოწმობაში სულ სხვა თარიღი მიწერია. დედამ სამშობიაროდან გამოყვანისთანავე გამაშვილა. მას უთხრეს, რომ ჩვილი თბილისში მიჰყავდათ. დედაზე მხოლოდ ის ვიცი, რომ მაშინ 17-18 წლის ყოფილა. სტუდენტი გოგო შეყვარებულს მიუტოვებია. სწავლობდა გორში. ჩემს ვაშვილებში სამშობიაროში მომუშავე ქალი დახმარებია. ეს ფაქტი ოფიციალურად არ დაფიქსირებულა... ამჟამად, საკუთარი ოჯახი მაქვს. მყავს ცოლი და შვილები, მაგრამ როგორც ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს, მეც მინტერესებს, ვინ არიან ჩემი ბიოლოგიური მშობლები. შესაძლოა, ჩვენი ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, იქნებ, მათ ცალ-ცალკე ოჯახებიც შექმნეს, მაგრამ შეუძლებელია, არ ეფიქრათ იმ ბავშვზე, რომელზეც ოდესღაც, ორივემ უარი

თქვა. შესაძლოა, დღეა ნანობს კიდევ თავის საქციელს. იქნებ, ოდესმე შეძებდა კიდევ, მაგრამ... ახლა ეძლევა ჩემი პონის შანსი. რა თქმა უნდა, როგორც აქამდე, ისე შეხვედრის შემდეგ, მის ოჯახს არავითარ საფრთხესა და პრობლემას არ შეეუქმნი და ცხოვრებას არ გაუერთულებ. თუ ვინმე ჩემს ნაამბობში საკუთარ თავს ამოიცნობს ან რაიმე იცის ამ ამბის შესახებ, დამიკავშირდეს თქვენი საშუალებით. წინასწარ გიხდით მადლობას“.

„ეს უცხოეთში არ მომხდარა, ხმა მოვიდა უცხოეთიდან: ადამიანმა, რომელიც ტელეფონით გავიცანი და მერე ერთდერთხელ, ისიც რამდენიმე საათით ვნახე, ვერაფერი დამირეკა. 1-ულ მარტს, „კომანდოს“ ბატალიონთან ერთად წავიდა, 4-ში კი დამირეკა. ეს სისარულზე მეტი იყო... მისი ყურადღება მთელი ცხოვრების მანძილზე შემასოვრება. უცხოეთში არასოდეს ვყოფილვარ. ალბათ, ვერც გაველბ დიდხანს. ისე, ეგვიპტეში წავიღოდი დიდი სიამოვნებით. ელისო“.

„რომ გავთხოვდი, მე და ჩემი მეუღლე საქორწინო მოგზაურობაში წავედით. პატრისციუმის ნიშნად გადაწყვიტა, „მოპინგი“ მოეწყო. შემიყვანა მალაზიაში, სკამზე დამსვა და მითხრა – შენ აქ დარჩი, ყველაფერს მე ვიყიდიო. მეგონა, რაღაც არაჩვეულებრივს მისასწოვრებდა. კაბების მთელი შეკვრა გამოიტანა, მაგრამ მე არც ერთი არ მომეწონა. სახე ჩამომტიროდა. ცუდ გუნებაზე დავდექი და იმდენად არ მიხდოდა მისი ნაყიდი კაბის ჩაცმა, რომ საქართველოში გამოვიპარე. აი, რა მიქნა ჩემმა სიჯიუტემ. ახლა მას სხვა ცოლ-შვილი ჰყავს და ალბათ, ბედნიერადაც ცხოვრობს“.

„გამარჯობა, გწერთ ათენიდან. საქართველოდან 6 წლის წინ წამოვედი. მანდ დიდი სიყვარული დავტოვე. მაშინ 26 წლის ვიყავი, ის კი – 36-ის. დღემდე უზომოდ მიყვარს ის ადამიანი და მენატრება. მაგრამ რომ არა ერთი შემთხვევა, ვერაფერი დამაკავებდა საბერძნეთში: ოთხი დღის წამოსული ვიყავი ათენში, როდესაც ქუჩაში შემთხვევით „ის“ დავინახე. არა, მართლა ის კი არ იყო – უბრალოდ, საოცრად ჰგავდა, სიარულის მანერითაც კი. ამ კაცს უკან ავედევნე და რომ იტყვიან, ძალისძაღად გავიცანი. მეგონა, მას ველაპარაკებოდი... ერთი კვირის შემდეგ კი, მის მხარზეც დავდე თავი. ეს ყველაფერი ჩემი ინიციატივით მოხდა. ვეღარ გავუძელი ცდუნებას. დღეს კი უკვე სიგიჟემდე მენატრება ჩემი საქართველოში დარჩენილი სიყვარული. მეტის ატანა აღარ შემიძლია. ახლა ყველას ვეტყვი, რომ ვერ ვბრუნდები საქართველოში: „მას“ თვალბემა ვერ შევხვდავ, მის გარეშე კი, მანდ რა მინდა?!. აი, რა მიყო უცხოეთმა.

არადა, დღემდე მჯერა, რომ ეს ყველაფერი უცხო კაცთან კი არა, სწორედ „მასთან“ მოხდა... ნინო“.

„14 წლის ვიყავი, დასასვენებლად თურქეთში რომ წამიყვანეს. სასტუმროში დავბინავდი. იქ გავიცანი იბო. ერთმანეთი შეგვიყვარდა, მაგრამ 2 თვის შემდეგ ერთმანეთს დავშორდი. მე საქართველოში დავბრუნდი და ვიცი, ველარასოდეს ვნახავ ჩემს სიყვარულს. ტელეფონით დღემდე ვკონტაქტობთ. ვგრძნობ, რომ ჩემ მიმართ გული გაუცივდა და აღარ ვუყვარვარ. ძალიან ვიტანჯები ამის გამო. მისი ხმა რომ მესმის, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ახლახან, ულამაზესი ოქროს ბეჭედი გამომიგზავნა და მითხრა, ეს ნიშნობის ბეჭედიო. თუ აღარ ვუყვარვარ, ეს თან კარგია, თან – ცული. კარგი იმით არის, რომ ჩემსავით არ დაიტანჯება... თანაც იმაზე ვგიჟდები, რომ იმ ლამაზ სიტყვებს, რომელსაც მე მეჩურჩულებოდა, შესაძლოა, ახლა სხვას ეუბნება. მარი, თუ გინდა, გამოაქვეყნე ჩემი მესიჯი, თუ გინდა – არა. მაინც არაფერში დამეხმარება. უბრალოდ, გამიხარდება, თუ ჩემი ამბავი „გზავნილებში“ მოხვდება. ანუკა“.

„გერმანიაში ცხოვრებისას, გერმანულ ბავშვს ქართული სიმღერები ვასწავლე. ქუჩაში ხალხი გაოცებული მიშტერებოდა ქართულ ენაზე მომღერალ პატარა ჰენრის. მგონი, ფიქრობდნენ – ნეტავ, რა ჯიშისააო? თინუშა“.

„გზის“ წინა ნომერში ვნახე ჩემთვის განკუთვნილი მესიჯი, რომელსაც თან ახლდა ტელეფონის ნომერი, ბოლო ორი ციფრის გარეშე. იბერული გოგოვ, მე აღარ მახსოვს შენი ნომერი. მარის დაურეკე და ჩემს ნომერს მოგცემს. გელოდები“.

„გიოფისო, ვიცი, რომ ვიყვარვარ და რატომ არ მეუბნები ამას? რატომ ვერ ბედავ? სხვისგან რატომ უნდა ვივებდე, მალოლად?... ველი შენს გაბეჯულ ნაბიჯს! შენი „ჯადო“.

„თურქეთში ვიყავით ტურისტებად და ერთ-ერთი ჩემმა მეგობარმა სტამბოლის გრანდ-ბაზარში უზარმაზარი ჩურჩხელა იყიდა და იქვე დაიწყო ჭამა. ამ

ჩურჩხელას „ვიაგრა“ ერქვა. იცით, რა მოხდა? მთელი ბაზრის კაცებმა „მომენტ“, წრე დაგვარტყეს, „ვიაგრა-ვიაგრას“ ძახილით. ჩვენ გამოვიქცეთ, გიჟბივით მოვბროდით, ისინი კი ველურბივით მოგვდევენ. ძლივს გამოვასწარიით. მათში“.

„გერმანიაში ერთი ლამაზი ბიჭი შემიყვარდა. ის იტალიელი იყო. ცოლ-შვილი მიატოვა და მე გამომეკიდა. ახლა ცოლქმარი ვართ. მაგრამ საკუთარი შვილი არ გყავს. სამაგიეროდ, მისი შავტუხა, 6 წლის გოგო ჩემთან იზრდება. უზომოდ მიყვარს და დედამისმა რომც მოინდომოს, მაინც არ გავატან. უცხოეთში გამგზავრებამ ბედს მწია. პატრისციუმით – გვანცა“.

დღევანდელ გზავნილებს ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად ვთავაზობთ – მე და ჩემი ვერი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიახმეთ, როგორი ურთიერთობა გაქვთ თქვენს ვერთან, რამდენად იოლად დაამყარეთ მასთან კონტაქტი და რა შეგიძლიათ ურჩიოთ სხვებს, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. გეშეშვით ბებით მომდევნო ხუთშაბათამდე.

ბუასილის ეფექტური მკურნალობა

რელიფი

კამოროიდული სათლავი და მალაჰო

შემადგენლობა:
 ზვიგენის ლეიძლის ქონი 3%
 ფენილუფონინის ჰიდროქლორიდი 0,25%
 ბენზოკაინი 10,3%

რელიფი სათლავი №12
 რელიფი ადვანსი №12
 (გამლიჩაჰალი მკურნალობის ეფექტით)
 რელიფი მალაჰო 28,48

ყურადღებო! გაეცნით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას.

გამოწილი ზოგადი
 თქვენს ვანუბოლომასზე

საგმელ საბავალი

გერმანული საკლასი
 ჩრეტიკა 2331

PSP
 ჩვენი ოქვანის ამბიბი
 312 აბსაბაბაბაბა, 1488



ნიკო ჯავახიშვილი

ჩემს თაობას ძალიან რთულ და მძიმე პერიოდში მოუხდა გზის გაკვალვა. ორი კვირის ვიყავი, როდესაც მამაჩემი დახვრიტეს. ის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის თანაგუნდელი იყო და 1924 წლის გამოსვლებს შეეწირა. დედამ და დიდედამ გლეხების დახმარებით ჩამოაღწიეს თბილისში. არც სახლი გვქონდა, არც — კარი. ერთ კაცს შეუფარებოდა, გვარად ალადაშვილს, ისიც ერთი პირობით: დედაჩემისთვის უკითხავს — შენ რა გვარის ქალი ხარო? — ჩერქეზიშვილიო, — უპასუხია დედას. ჰოდა, ამის შემდეგ ჩოლოყაშვილები კი არა, ჩერქეზიშვილები იქნებოდა. ის რომ ვინმეს დაებეზულებინა, ჩოლოყაშვილები შეიფარაო, ტყავს გააძრობდნენ, მაგრამ არ შეშინდა და ასეთ რისკზე წავიდა. მერე მამიდაჩემმა ბარნოვის ქუჩაზე მდებარე სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი დაგვიტოვა (თვითონ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად) და კარგა ხანს იქ ვცხოვრობდით. დედა დღე და ღამე შრომობდა. დიდედა მზრდობდა, ძალიან მკაცრი ქალი იყო. რაკი მამა არ მყავდა, ემინოდით, ქალების გაზრდილი „დედალი“ არ გამოვიდესო... მახსოვს, ომის პერიოდში, რუსი სამხედროები მოვიდნენ ღამით ჩვენთან. რაღაც საბუთი არ მქონდა და თან გაყოლა მიბრძანეს. დედაჩემმა შეკრთომა და შიში რომ შემატყო, მითხრა — რას მიფურებს, რომ გეუბნებიან, ადექი და გაჰყევო. ძალიან გამიკვირდა დედაჩემის ასეთი საქციელი, როგორ გამიმეტამეთქი, — ვიფიქრე. გზაზე მიმავალმა უკან მოვიხედე და დედა დავინახე, თან გამომყოლია. მერე მივხვდი, რატომაც მოიქცა ასე — არ უნდოდა, მშიშარა ცყოფილიყავი.

— დედა თუ გიყვებოდათ მამათქვენის შესახებ?

— ძალიან იშვიათად. საერთოდ, ერთდებოდა ამ თემაზე საუბარს. სკოლის ასაკის

კობე ჩოლოყაშვილი საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი და თბილისის საკრებულოს წევრი გახლავთ. ჩოლოყაშვილების შთამომავალს ბედმა ბევრი სიმწარეც არგუნა და სიტკბოც. ბუნებრივია, მას გასახსენებელი და მოსაგონარიც ბევრი აქვს:

„აღჩე ჩხუბის ვაჟკაცური ჰიცოლით და მტრობას“ ...

რომ გავხდი, მაშინდა დავიბრუნე ჩემი გვარი. სკოლაში ყოველთვის ვგრძნობდი, მასწავლებელთა თანაგრძნობას. კლასში სულ ორნი ვიყავით, ვისაც მამები დაუხვრიტეს. ახლა რომ ვუფიქრდები, ვხვდები, როგორ გვიფრთხილდებოდნენ, სათუთად გვექცეოდნენ. 1937 წლის შემდეგ, კლასში თითო-ორი ბავშვი დადარჩა, ვისი მშობლებიც რეპრესიებს გადაურჩნენ. აი, მაშინ კი თავიანთი სიბოლო და ყურადღება ყველას გაუნაწილეს. არაჩვეულებრივი მასწავლებლები გვყავდა და სულ სხვანაირი დამოკიდებულება იყო მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ჩემი კლასის დამრიგებელი დავითი მესხი მეველის (მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი) ქალიშვილი — ნინო მიქელაძე გახლდათ, მარტოხელა იყო. გადავწყვიტეთ, სახლში ვსტუმრობოდით და ნინოზე მიგველოცა. ყვავილების მირთმევასაც კი ვერ ვბედავდით და ერთმანეთს ვხვეწებოდით — არა, შენ მიართვი, არა — შენო. რიდი გვექონდა და იმიტომ...

— პროფესიით ფილოლოგი ბრძანდებით. უნივერსიტეტში სწავლის დროს, ალბათ, არაერთმა ადამიანმა მოახდინა თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

— ჩემი სტუდენტობის დროს ისწავლებოდა, რომ ენა არის ზედნაშენი — დაინგრევა ბაზისი, დაინგრევა ზედნაშენი. დიდი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა კი ყოველ ლექციაზე შეფარვით მიგვანიშნებდა, რომ ენა ზედნაშენი კი არა, ძირია ყველაფრისა, ბაზისია... ამას ისე ფრთხილად გვაპარებდა, რომ ზოგი ხვდებოდა, ზოგი — ვერა. ეს ამბავი როგორღაც სტალინის ყურამდეც მისულა. დაუბარებია ჩიქობავა და უთქვამს — მართალი ბრძანდებით, დაიწყეთ ამის შესახებ საჯაროდ კამათი და ჩემგან მხარდაჭერა გექნებათო... არასდროს დამავიწყდება ის დიდი გულისხმიერება, რომელიც ჩიქობავამ ჩემ მიმართ გამოიჩინა. დედა მყავდა ავად, „ლეჩკომბინატში“ იწვა. ეტყობა, გაიგო ეს ამბავი და ყველაფერი დაწვრილებით გამოქვითა. სადამოს, მოსანახულებლად რომ მივედი, დედამ მითხრა — იცი, ჩემს სანახავად არნოლდ ჩიქობავა რომ იყო მოსულიო?... არასდროს დამავიწყდება შალვა ნუცუბიძე და მისი ლექციები. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. რომ დაუპატიმრებიათ და კამერაში შეუყვანიათ, მთელი ღამე თურმე, გმინავდა და ანგრევდა იქაურობას. ვილაცას უთქვამს

კობე ჩოლოყაშვილი ოჯახთან ერთად



– გაჩერდი ერთი, რა, შენზე ნაკლები ვართ, აქ რომ ვსხედვართო? მერე გაჩუმებულა. გათენებისას წამომდგარა და ხელგაშლილს ასეთი რამ უთქვამს – „მზეო, მზეო, საქართველოს მზეო, ისეთი რა დაგიშავე, აქ რომ ჩამაგდეთ?“ აუტაციათ ხელში პატიმრებს და სულ ბოლიშები უხდიათ... კოსმოპოლიტობაზე ერთხანს დიდი კამათი მიდიოდა. კორნელი კეკელიძე რევოლუციამდე სასულიერო პირი ყოფილა და მერე მოუპარსავს წვერი. ვიღაცებს უთქვამთ – კორნელი კეკელიძე კოსმოპოლიტიაო. ეს რომ გაუგია, ნუცუბიძეს უთქვამს მისთვის, – ჩემო კორნელი, ამ კოსმოპოლიტობას მიტროპოლიტობა არ გერჩივნაო?! ციხიდან რომ გამოუშვეს, ისევ უნივერსიტეტში დაბრუნდა. ერთხელ უთქვამთ – ბატონო შალვა, გვერდ-წითელი (მაშინდელი პრორექტორი) გკითხულობდათ, ძალიან ჯავრობდა თქვენზეო. გასცინებია – სულ წითლებმა ფეხები ვერ მომჭამეს და გვერდწითელი რას მიზამსო?! ივანე ჯავახიშვილის საფლავთან მდგარი შალვასთვის ნიკო კეცხოველს უთქვამს – რაო, შალვა, მაგის გერდით წოლა ხომ არ გინდა შენცო? – მართალი ხარ, შენთან ღვთისა, ამასთან წოლა მირჩევიანო, – უპასუხია... იუმორი ალბათ ერთ-ერთი იმ თვისებათაგანია, რაც დღემდე შემორჩა ქართველ კაცს.

— როგორც ვიცი, კონსტანტინე გამსახურდიასაც იცნობდით...

– ბატონ კონსტანტინეს მართლაც, კარგად ვიცნობდი. ჩემი მეგობრის მამა – ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ცნობილი ისტორიკოსი, მეცნიერი და ჟურნალისტი, 1937 წელს დააპატიმრეს. ქრისტეფორე და კონსტანტინე მეგობრობდნენ. მისი დაპატიმრების შემდეგ, კონსტანტინე მეგობრის ოჯახს ჰპატრონობდა, ხშირად აკითხავდა და სწორედ იქ შევხვდით ერთმანეთს. მართლა ჩოლოყაშვილი ხარო, – გაუხარდა და მიამბო, როგორ შეხვდა ქაქუცას. ქაქუცამ მითხრა, მოვსპოთ კომუნისტებიო. მოვსპოთ, შენ ხმლით მოსპე-მეთქი, – დავეთანხმე – მან კი მითხრა – შენ კალმით; ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და დავშორდითო, – მიყვებოდა ბატონი კონსტანტინე... ბადურმა (ქრისტეფორეს შვილმა) ცოლი რომ მოიყვანა, ქორწილი თავის კოშკში გადაუხადა. ზვიადსაც კარგად ვიცნობდი. თუმცა ის ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო. მათთან ოჯახში რომ ვქეიფობდით, არ დაჯდებოდა, რაღაცებს შემომამატებდა სუფრას და მაშინვე გაგვეცლებოდა. ძალიან მორიდებული იყო. ერთხელ კონსტან-

ტინემ მკითხა – ზვიადის დისერტაციის დაცვაზე თუ იყავიო? – კიმეთქი, – ვუპასუხე. გაეცინა და სიამაყით თქვა – ჩემზე ნიჭიერია ეგ მამამაღლიო...

— როგორი იყო თქვენი თაობის ქართული ოჯახი?

– როგორიცაა ქალი, ისეთია ოჯახიც. ჩემმა მეუღლემ არაფრისგან ააშენა

მათთან ოჯახში რომ ვქეიფობდით, არ დაჯდებოდა, რაღაცებს შემომამატებდა სუფრას და მაშინვე გაგვეცლებოდა. ძალიან მორიდებული იყო. ერთხელ კონსტანტინემ მკითხა – ზვიადის დისერტაციის დაცვაზე თუ იყავიო?



ოჯახი. ყველაფერი ქალზეა დაფუძნებული. სამივე შვილის აღზრდაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მუშაობდა...

— სუფრაზე, ქეიფზე რას იტყვით?

– სუფრას სიმღერა, მოლხენა და ცეკვა ამშვენებს. ადრე იტყოდნენ ხოლმე – ქალი სუფრასთან უნდა გამოჩნდესო. ვინმეზე თუ იკითხავდი – როგორი კაციაო? – გიპასუხებდნენ – რა ვიცი, როგორი კაცია, მაგასთან პური არ მიჭამიაო. სასიძოს დაათრობდნენ, რომ გაეგოთ, როგორი ხასიათი ჰქონდა. კაცი პურობით ფასდებოდა. სუფრაზე ყველაფერი თავისი ადამიანი და წესი ჰქონდა, ახლა კი სუფრასაც ებრძვიან და ყველაფერსაც, რაც ქართულია. ადრე ქართველები სუფრასთან თუღს იონებდნენ. წინათ ადამიანებს იმდენი საქმე ჰქონდათ, რომ სულ სამ სადღეგრძელოს ამბობდნენ – ღმერთის, მეფის და ერის. დღეს ღვინოში იხრჩობენ თავს და სუფრა და მოლხენა ეს ჰკონიათ. სხვათა შორის, ცნობილი თამადა ვარ – ღვინის სმასა და ქეიფში ახალგაზრდობისას, ღამეებიც კი გამითენებია.

თამადასაც თავისი ლაზათი დაეკარგა. ადრე მოხუცი ასე ლოცავდა ახალგაზრდას: – „მე ჩემი კალო გავლენე, გადავაყენე ხარები. ვინც ჩემზე მეტსა გალენწავს, იმას კი ვენაცვალები“.

ახალ წელს კი ასე ლოცავდნენ ერთმანეთს:

„თქვენი კილობანი ყოფილა სავსე და წმინდა ფქვილითა, თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე წითელი ღვინითა“.

ახლა კი ყველაფერმა იცვალა ფერი. აღარ არის ისეთი თბილი ურთიერთობა, პატივისცემა, უფროს-უმცროსობა. ამით განსხვავდებიან თაობები ერთმანეთისგან. რა ვქნა, არ მომწონს, ქალები „ჭიპვადმოყრილები“ რომ დადიან ქუჩაში. არ რცხვენიათ?! რა უბედურებაა! გოგოებს ბიჭის ქუდები ახურავთ, ბიჭებს – მოსახვევები აქვთ წაკრული. ქალს და კაცს ერთმანეთისგან ვეღარ გაარჩევ... ისე, ყველას თავისი თაობა უფრო მოსწონს, მაგრამ რა ვქნა – რაც არ მომწონს, არ მომწონს...

— ბატონო კოტე, ხომ არ გიჭირთ ახალი თაობისთვის ფეხის აწყობა?

– როგორც იცით, ზვიადის მთავრობის დროს, ეროვნული ფონდი მეზარა, ამჟამად, თბილისის საკრებულოს წევრი ვარ და შეიძლება ითქვას, აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ. ყოველდღე მაქვს ურთიერთობა ახალგაზრდა თაობის ადამიანებთან. ახლანდლები უფრო ხისტიები და ფიცხები არიან, ამას წინათ, საკრებულოში ერთმანეთს დაერივნენ. იმ ჩხუბში ერთმა მეორეს რაღაც ესროლა და კინაღამ თვალი ამოსთხარა. წინააღმდეგ, ზურაბ ფვანიას დაკრძალვა იყო. აღარც ცოცხალი იცით და აღარც მკვდარი, ასეთი ამბავი როგორ შეიძლება-მეთქი?! – დავტუქსე მოჩხუბრები. კიდევ კარგი, უფროს-უმცროსობა კიდევ არსებობს, დამიჯერეს და ჩემი ხათრით შერიგდნენ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ადრე ჩხუბიც ვაჟკაციური ვიცოდით და მტრობაც. ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთხელ ჩვენი უბნის ბიჭებს ვიღაცები მოგვემარნენ. საქმის გასარჩევად რომ შევხვდით, ერთმა გარეწარმა პალტოდან ჯოხი ამოაძვრინა და ერთ-ერთ ჩვენგანს მოუქნია. ჩემმა მეგობარმა მოასწრო გვერდზე გახტომა და ჯოხი აიციდინა. იმას კი მისივე მეგობრები მისცვივდნენ და ლამის ცემაში მოკლეს. ჩხუბში დანის ან რაიმე იარაღის გამოყენება არავაჟკაციური იყო. დღეს კი ბევრი რამ, რაც ჩვენს დროს, მიუღებლად ითვლებოდა, დაშვებულია და ეს ძალზე სამწუხაროა...

«ოპოზიციონერებს «მოსარულებს» ვიცნობ, მათი გაპროტიანება გულწრფელი არ იქნება...»

ოპოზიციაში ყოფნა ჩემთვის თვითმიზანი არ არის — ეს საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობით გამოწვეული კანონზომიერი მოვლენაა; არ შემიძლია მკაცრი და კრიტიკული არ ვიყო იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ხალხის უკითხავად გამოცვალა და დაამახინჯა კონსტიტუცია, პრეზიდენტის ინსტიტუტი კი, „ლეგიტიმური ტირანის“ ინსტიტუტად გადააქციაო, — ამბობს დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი, რომელიც ბოლო წლებში, ბევრ ადამიანს თვალში მოაკლდა...

ნანა ზიტსელაური

— საკუთარ თავზე დაკვირვებას ვაწარმოებ. გამოცდილება და ეროვნულობაც ნამდვილად მომემატა. თუ ეს გამოკვეთილად არ ჩანს, საზოგადოების ბრალია — მე მას არაერთგზის მოუწოდებ კონკრეტულ ნაბიჯების გადადგმისაკენ, მაგრამ მან თავი შეიკავა, არ გამომყვა. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე, 50 მიტინგი და დემონსტრაცია მაქვს დანიშნული, მაგრამ ხალხი არ მოდიოდა. პარლამენტში სანამ ვიყავი — ვჩანდი, მეორედ აღარ ამირჩიეს... მე მგონი, ქართველ ხალხში იკლო ეროვნულმა თვითშეგნებამ და ადამიანებს ღალატობს კაცის ამოცნობის ნიჭი თუ ალღო. ხშირად, ასპარეზზე ნიჭიერი კაცი არ ჩანს, სამაგიეროდ, ჩანს მასზე ბევრად უნიჭო. მაგრამ დრო გადის და ისტორია ყველაფერს ალაგებს. ესტრადა აიღეთ — დღეს ჩანან ისეთი მოძღვრებები, რომელთაც მოძღვრებისთვის აუცილებელი პირობა — ხმა არა აქვთ. ასევეა მწერლობაშიც — ისეთები ამოტივტივდნენ, რომელთაც ღირებული არაფერი შეუქმნიათ. იგივე ხდება პოლიტიკაშიც. ერთი მეგობარი მეუბნება — აუ, რა ძლიერი პოლიტიკოსი იყავიო!.. პოლიტიკოსი ახლა უფრო ძლიერი ვარ, უბრალოდ, მაშინ ბევრი აქტიური მხარდამჭერი და მეგობარი მყავდა, რომლებიც მომყებოდნენ. პოლიტიკა სპორტი არ არის, ყველაფერი შენს შესაძლებლობებზე იყოს დამოკიდებული. პოლიტიკაში მხარდამჭერიც გინდა, დამფინანსებელიც. მე ახლაც მზად ვარ, ხალხს მოუწოდო, თუკი გამომყვება.

— თქვენ ამბობდით, ახალი რევოლუციის მოსაწყობად მილიონ

ნი მჭირდებაო. თანხა ვერ იშოვებ?...
— ეგ ხუმრობა იყო. დიდი არასერიოზულობა იქნება, „ვარდების რევოლუციის“ მოხდენა ფინანსებს დაგვარალოთ. რევოლუციას მილიონების გარდა, რევოლუციური სიტუაცია სჭირდება. ნოემბრის რევოლუციით ხალხმა მთელი არსებით გამოხატა პროტესტი იმ პიროვნების, იმ სახელის და სიმბოლოს მიმართ, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე, ანტიეროვნულ ხატად ჩამოყალიბდა. ხალხი იმდენად მიშას კი არა, უფრო შეგარდნადის გადაყენების იდეას გაჰყვა. მიშამაც საპრეზიდენტო არჩევნებში იმიტომ მოიპოვა გამარჯვების გარანტია, რომ ლიდერთა შორის იაქტიურა და შანსი არ გაუშვა ხელიდან. მარტო ფინანსები არაფერს ნიშნავს. რაც არ უნდა სოროსი და ამერიკა დასდგომოდა გვერდით ვიტალი ხაზარაძეს ან ავთო ჯორბენაძეს, რევოლუციას მოიგებდნენ?.. თუ სერიოზული ძალები უჭერდნენ მხარს — ყოჩაღ, სააკაშვილი, ამასაც დამსახურება უნდა. ისეთი პრაგმატული და ანაგარიშიანი ეპოქა მოვიდა, მამას შვილი აღარ ახსოვს და შვილს — დედა. უმიზნოდ ცხვირს არავინ დააცემინებს. რევოლუციონერთა „სასტავში“ „ნაციონალებმა“ ყველას აჯობეს. ეს შანსი მალიკომ დაკარგა. მარტო ლაქლაქი და ხელისუფლების ლანძღვა არ კმარა.

— მაგრამ შალვა ნათელაშვილმა ბრძანა, რომ იმ „სპექტაკლში“ მას როლი არ მისცეს და შესაბამისად, მიტინგებზე მის გამოსაფლასაც აზრი არ ჰქონდა.
— როლი შენ თვითონ უნდა მოიპოვო. მე რომ 9 აპრილის გმირად მთვ-



ლიან, აპრილის გამოსვლები მე კი არ დამიწყია — სხვებმა დაიწყეს. მიტინგებზე ხალხს რომ შალვა დაენახა, მას დიდი ოვაციებით და „შალვა, შალვას“ ძახილით შეხვდებოდა. ის ქართველების დიდ ნაწილს უყვარდა — ტიპია ისეთი, რომ ძნელია, არ გიყვარდეს. თუმცა, ბევრ რამეში არ ვეთანხმები. სპექტაკლში როლის მოცემა-არმოცემა მარტო რეჟისორზე არ არის დამოკიდებული, შენც უნდა იაქტიურო.

— საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა შეუწყო ხელი ამ ძალებს, ხელისუფლებაში მოსულიყვნენ...
— ცხადია, ამაში „ახლებმაც“, „მრეწველებმაც“ და ლეიბორისტებმაც დიდი წვლილი შეიტანეს. ყველა ჩემსავით რომ მოქცეულიყო, სააკაშვილი ერთპიროვნული მმართველი არ გახდებოდა. როგორც ჩანს, მიშა მათზე ნიჭიერი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. ის, დღეს იმდენ შეცდომას უშვებს, ამას არც ერთი ოპოზიცია არ შეარჩენდა. რევოლუციიდან ერთ წელში, პრემიერი მოვიწველეთ. მისი სიკვდილის შემდეგ იგებ, რომ 2 წელი შუქი არ გექნება... ჩემი ერი მიყვარს, მაგრამ ხშირად ის უღირსია.

— თქვენც ხომ ოპოზიცია ხართ, თქვენც გამოდით, ეგებ გამოგყვები, ვისაც შუქი უნდა?
— მე ყველაფერს რეალურად ვუყურებ, ბავშვი აღარ ვარ, ეროვნული მოძრაობის პერიოდში, 20-22 წლის ვიყავი. როცა ტატამზე ზვიდაური გამოდის, მას იმიტომ ვკომავებ, რომ ამ კაცს ყოველთვის აქვს გამარჯვების შანსი. ხალხმა თუ შავის და თეთრის გარჩევა არ ისწავლა, ვერაფერს მიაღწევს! არც არის აუცილებელი, ყველა უკმაყოფილება რევოლუციაში გადაიზარდოს. თუ ხალხი ერთ დიდ ქრისტიანულ მოძრაობაში გაერთიანდება, პროტესტს გამოხატავს და პრეზიდენტს მიაწვება, მიშა ნიჭიერი კაცია და ქვეყნისთვის სასიკეთო საკითხების

გადასაჭრელად, უკან დაიხვეს. ის იცით, როგორია? მხოლოდ ხალხს უყურებს, იცის – რამდენი ფულიც არ უნდა დახარჯოს და არჩევნები გააყალბოს, თუ ხალხში აუცილებელი დონის რეიტინგი არ ექნება, შორს ვერ წავა. თუ მთავრობა გააგრძელებს იმას, რასაც დღეს აკეთებს, რევოლუციის დიდი შანსი არსებობს. თუმცა, მე ამას არ ვისურვებდი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მთავრობას ოპოზიციაში ვუდგავარ, მინდა, ძლიერი ხელისუფლება გვყავდეს. დღეს სწორად გაისმის – ხელისუფლება ძლიერ და ჯანსაღ ოპოზიციაზე არ ზრუნავსო. მე კი მგონია, ხელისუფლებამ ამაზე კი არა, ხალხის კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს. დავით აღმაშენებელს თუ ოპოზიცია არ ჰყავდა, ვერ მართავდა საქართველოს? ძლიერი ოპოზიცია რომ გვეჭირდება, ცუდია – ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ გვივარგა.

— თქვენ შევარდნაძის ოპოზიციაში იმყოფებოდით, თან, იცოდით, რევოლუციის შედეგად, „მისი ხალხი“ მოდიოდა ხელისუფლებაში. მიუხედავად ამისა, აქტიურად დაუჭირეთ მხარი მიხეილ სააკაშვილს...

— შევარდნაძესთან შეურიგებელ ოპოზიციაში ვიყავი. ამათთან უბრალოდ, ოპოზიციაში ვარ. თუ ხვალ შევიტყობთ, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს ცხინვალი და სოხუმი და იქ საქართველოს დროშა აფრიალდება, უნდა მეწყინოს?.. ბევრ ოპოზიციას გული გაუსკდება იმის გამო, რომ მიშამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ადაღინოს... ხელისუფლების სიძულვილს სამშობლო არ უნდა გადავაცილოთ. ჩვენ გვძულს არა ხელისუფლება, არამედ მისი მცდარი ნაბიჯები. თქვენ ცრუინფორმაცია გაქვთ – მხარი არავისთვის დამიჭერია, ქუჩაში მდგომ ხალხს დაუდექი გვერდით. მიტინგებზე შევარდნაძის გადაღმობის მომხრეთა შორის ვიყავი. მიშა მოვიდა ჩემთან და გადაემკიცნა, ხომ არ ვეტყვიდი – რატომ მოხვედი-მეთქი?! მე კი არ დაუჭირე მიშას მხარი, მიხეილმა დაუჭირა მხარი იმ იდეას, რომელსაც მე წლების განმავლობაში ვატარებდი.

— ნატოში შესვლის იდეას გულისხმობთ?

— დიახ, დღეს ხელისუფლება ცდილობს, დეკლარაციულად მაინც „შეიყვანოს“ საქართველო ნატოში. კიდევ მე ვუჭერ მხარს?.. შეიძლება, ხელისუფლება იტყუება, მაგრამ მაინც ცდილობს იმის გაკეთებას, რასაც მე წლების მანძილზე ვლაპარაკობდი. მე იმ ექიმის მდგომარეობაში ვარ, რომელმაც 15 წლის წინ გამოწერა რეცეპტი, რომელიც უარყოფილი იქნა, დღეს კი – საყოველთაოდ

ალიარებული გახდა. ახლა ვიყვირო – არიქა, ჩემი რეცეპტია და უჩემოდ არ გამოწეროთ-მეთქი?.. ასე რომ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია პოლიტიკურ აზროვნებაში ჩემპიონია.

— ერთ დროს, სააკაშვილის დასავლურ ორიენტაციაში ეჭვი შეიტანეთ...

— თუ სააკაშვილი ამერიკასთან ყველაფერში არა, მაგრამ სამხედრო, სტრატეგიულ და თავდაცვით საკითხებში თანამშრომლობას გააგრძელებს და ამ გზაზე წინ წავა, ეს ჩვენი პარტიის დოქტორინაა. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლება ორმაგ თამაშს თამაშობს – ამერიკასთან და რუსეთთან. პოლიტიკა ჩემთვის თამაში არ არის – რა, ფეხბურთია თუ ჭადრაკი? პოლიტიკა სამშობლოს სიყვარულისთვის თავდადებაა. ასე მასწავლეს ილიამ, დავით აღმაშენებელმა,

ში ფინანსური პოლიტიკის გამტარებელი უნდა იყოს. მსმენია, კაპანაძე შესანიშნავი მეომარი იყო, ის კი, გენშტაბის უფროსის თანამდებობიდან, ახსნა-განმარტების გარეშე მოხსნეს. საზოგადოებაში უნდა იცოდეს, რატომ გაათავისუფლეს. ეგრე სად არის – ვისაც გინდა, ხსნი, ვისაც გინდა – ნიშნავ?! სააკაშვილს თუ უნდა, საქართველოში აბსოლუტური მონარქია დაამყაროს, მაშინ ცოლად უნდა მოიყვანოს ბაგრატიონთა შთამომავალი, თამარის ვარიანტი დასვას ტახტზე, თავად კი, დავით სოსლანის როლი ითამაშოს. თუ ამას პატრიარქი აკურთხებს, იყოს აბსოლუტური მონარქია, მაგის დედაც ვატირე! მაგრამ 21-ე საუკუნეში, საზოგადოებამ ერთი არჩეული კაცის ჭკუაზე იაროს – ეგრე სად არის?!

— ბატონო ირაკლი, ხომ არ



ირაკლი წერეთელი: მე ახლაც მზად ვარ, ხალხს მოვუწოდო...

ვაჟამ და მერაბ კოსტავამ.

— ზვიად გამსახურდიამ?..

— ზვიადმაც, ნაწილობრივ... სამწუხაროდ, მანაც ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამათთან შედარებით, ზვიადი ჩემთვის ახლობელი და ძვირფასი აღამინა. საერთოდ, არ მინდა მასზე, კარგის მეტი, რამე ვთქვა...

— რამეში თუ ემადლიერება ხელისუფლებას?

— ამ ხელისუფლებამ კარგი მარტო საპატრულო პოლიცია გააკეთა და თუ არ იტყუებიან, ის, რომ ბიუჯეტი გაზარდეს. არ მომწონს ოქრუაშვილის აქტიურობა – შეიარაღებულ ნაწილებში სიარული მისი საქმე არ არის. მეჩვენება, რომ გენშტაბის და თავდაცვის მინისტრის ფუნქციები ერთმანეთში ირევა. თუ ჩვენ საბჭოთა კავშირის ტიპის ტოტალიტარულ, ანტიდემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, მაშინ თავდაცვის მინისტრი პირველი პირი უნდა იყოს შეიარაღებაში. მაგრამ პირველი პირი ხომ პრეზიდენტი! მეორეა გენშტაბის უფროსი... თავდაცვის მინისტრი არმია-

გაგჩენიათ სურვილი, რეზერვისტების „ამალას“ შეერთებით?

— კარგია, რეზერვისტების წვრთნა რომ მიდის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, პროფესიონალურ და მუდმივ არმიას მეტი ყურადღება უნდა მიექციონ. რეზერვისტობაც, ნებაყოფლობითი კი არა, სავალდებულო უნდა იყოს – აბა, ვისაც უნდა, მივიღეს, რა, მინიას ბაღია?.. სმას მოვუსხმირე და შეაქრმა ამიწია, თან, ართროზი მაქვს. ამ პრობლემებს დავარეგულირებ თუ არა, მეც წავალ რეზერვისტებში.

— ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაერთიანება ტერიტორიების დაბრუნებაში თუ დაგვეხმარება?

— რა თქმა უნდა, დაგვეხმარება. მაგრამ ჩვენ სხვისი იმედი არ უნდა გვეკონდეს – ჩვენი გასაკეთებელი ჩვენვე უნდა გავაკეთოთ. აფხაზეთიც და სამაჩაბლოც ძალით უნდა დავიბრუნოთ, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სხვათა შორის, მიხეილმა მიქარა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ ახსენა. ის ძალიან განათლებული პიროვნებაა, თან წერეთლებით ამაყობს. ჰკითხოს თავის წინაპარ წერეთლებს

და აუხსნიან, რომ ქართველი ერის მრავალ-საუკუნოვან ისტორიაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომელიმე ტერიტორიას სამხრეთ ოსეთი რქმეოდა. თუ სამაჩაბლოს ოსეთად დავაკანონებთ, მოვა ამერიკელი და გვეტყვის - აგერ, ჩრდილო ოსეთია, აქ სამხრეთ ოსეთიო, - და ისიც მათ გაერთიანებას დაუჭერს მხარს. რაც სააკაშვილმა ბრძანა, დალატია და კონსტიტუციის დარღვევა. პრეზიდენტი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი უნდა იყოს, თუ - დამრღვევი? თუ ჭკვიანად არ იქნება, მისი იმპიჩმენტის მასალებიც დაგროვდება. დამოუკიდებელი საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი რომ მსოფლიო პოლიტიკაში უკანონობას დააკანონებს, იმ გადაწყვეტილების გაუქმება ჩვენს შვილებს გაუჭირდებათ. ამიტომ, საქართველოს შიგნით არანაირი ოსეთის გაფორმება არ უნდა დაუშვათ და ნებისმიერი ხელისუფლება ამ ანტიეროვნულ ინიციატივას უნდა გადავაყოლოთ.

— სააკაშვილი, ნიკო წერეთლის მხრიდან ნათესავად ხომ არ გვეკუთვნით?

— წერეთლები, ღვთის წყალობით, ბევრნი ვართ. მიხეილი ჩემი არანაირი ნათესავი არ არის. ჩემი გვარის ქება-ხსენება კი მაზარებს, მაგრამ მარტო ღვთის მხარეს რომ ახსენებს, მამის მხარეც გადასარევი ჰყავს. მიშას მამა ვაჟაკი კაცია და ყველა სააკაშვილი, ვისაც ვიცნობ, კარგი მოქიფე და არანაკლები ქართველია.

— ნელან, ჟვანიას დალუპვა ახსენეთ. მიგაჩნიათ, რომ მისი დალუპვის მიზეზი არ გამოჩვენდება?

— ჟვანიას სიკვდილი ტრაგედიაა! ჭორიკანა ვერ გავხდები, არ ვიცი, მოკლეს თუ - არა. იმდენი ილაპარაკა ირინამ, ჟვანია მოკლავს მიხეილსო, რომ თვითონ ჟვანია დაილუპა... ამიტომ ასეთი რაღაცები სარიშვლოს უნდა ვკითხოთ. ის მაღალ ემელონებში გასული

ქალბატონი და იმ ტიპის პოლიტიკოსია, ვისაც ასეთი ინფორმაციების მოპოვების მიდრეკილება აქვს... იქიდან გამომდინარე, რომ ვიცნობდი ჟვანიას, ადამიანურად მეწყინა მისი სიკვდილი. ძალიან მინდა, მოკლული არ იყოს... აი, მშრომელი ხალხის ბელადი და ქართველი მარატი - შალვა ნათელაშვილი ამტკიცებს, გინდა თუ არა, მოკლეს და საქართველოს ისტორიაში მკვლელობების ახალი პერიოდი იწყებაო. შალვა ფრთხილად იყოს, მარატის ბედი არ გაიზიაროს. თუ ჟვანია გაიმეტეს, მასაც გაიმეტებენ... ხელისუფლება იმაშია დამნაშავე, რომ ძალიან მალე, საეჭვოდ მიივიწყეს პრემიერი, ეს თემა დახურეს. მე ხომ არ მოვაწყობ ამისათვის რევოლუციას!.. იმასაც ამბობენ, ჟვანია რუსეთმა მოიშორაო. რომელი ირაკლი წერეთელი ის იყო, რომ მოეშორებინათ?! მეორენი ამერიკელებს აბრალებენ და თუ ასეა, გამოდის, რომ ხელისუფლებამ მოკლა... მითქმა-მოთქმა რომ შეწყდეს, სიმაღრთლე უნდა ითქვას, რაც არ უნდა მწარე და უხერხული იყოს ის.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ ოპოზიციის კონსოლიდაციასა და ვადადელ არჩევნებზე. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ეს ყველაფერი?

— საბედნიეროდ, დღეს ყველას აქვს სიტყვის თავისუფლად თქმის კონსტიტუციური უფლება, რომელიც მიშას ჯერჯერობით არ წაურთმევია. ჩემ გარდა, სერიოზული ოპოზიციაა გუბაზ სანიკიძე (პარტიების აღარ მწამს, მათ ამ ბოლო დროს ჩაისვარეს); შალვა ნათელაშვილი, რომელიც ორგანულად ვერ იტანს ამ ხელისუფლებას, არაჯანსაღი ოპოზიციაა, ვინაიდან მიშას და ხელისუფლების პათოლოგიურ-ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ სიძულვილს ემყარება... შემძლია დავიფიცო, რომ პირადად მე, მათ მიმართ სიძულვილი არა მაქვს. მაგალითად, კობა დავითაშვილი, სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ სააკაშვილის

რაობა და ვისაც უნდა, შემოგვიერთდეს. 9 აპრილის 16 წლისთავზე, საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიან ერისკაცთა საყოველთაო შეკრებას მოვაწყობთ. ჩვენ ხელს ვკრავთ. თქვენ კი, ოპოზიციის გაერთიანების იმედი ტყუილად გაქვთ. მათში საკუთარი თავის განუზომლად სიყვარული უფრო დიდია, ვიდრე - სამშობლოსი. კოკოსაც, შალიკოსაც, დათოსაც პრეზიდენტობა უნდათ. მე მზად ვარ, საერთო საქმისათვის ამაზე უარი ვთქვა. მათი გაერთიანების შანსი არ არსებობს - ერთმანეთს პირველობას არ დაუთმობენ. თუ მაინც გაერთიანდნენ, ეს გაერთიანება გულწრფელი არ იქნება. მე მათ „მოხარშულებს“ ვიცნობ. ვიცი, ისინი ვიდრე ტელევიზიით გამოვლენ, ერთი საათი სარკის წინ ვარჯიშობენ...

— თქვენი შემოსავლის წყაროს შესახებ თუ შეგიძლიათ, გვითხრათ რაიმე?

— ჩემი მეგობრები, კიდევ - სოფელი მეხმარება: მამაჩემს პატარა მეურნეობა აქვს. ხანდახან მეგობრები მაფინანსებენ, ახლა ერთი-ორმა შემიწვევტა და ვაი, მათი ბრალი!.. მე კლასიკური პოლიტიკოსი ვარ, რომელიც უნდა დააფინანსო, თუ ბიზნესში წახვედი, მაშინ პოლიტიკას თავი უნდა დაანებო. მინდა, პარლამენტის პენსია დამინიშნონ, მაგრამ მითხრეს - სტაჟი არ გიწყობს ხელსო - ციხეში ჯდომის წლებს არ მითვლიან. ამაზე ერთ ამბავს ავტებ. ნათია (მეუღლე. - ავტ.) ამჟამად უმუშევარია. მიმანია, რომ ქალი შინ უნდა იჯდეს. გვანცა (ქალიშვილი. - ავტ.) 13 წლისაა, ამერიკულ სკოლაში სწავლობს. ხუთოსანია. პარალელურად სუნიშვილის სტუდიაში დადის.

— რამეს თუ ნანობს ირაკლი წერეთელი?

— ძალიან ბევრ რამეს. ცოტა ხანში ახალი „გალობანი სინანულისანი“ უნდა დაწერო და ყველაფერს იქ ჩამოვყალობებ. ენანობ, თავის დროზე, ამ უნამუსო საქართველოში ბევრი ფული რომ არ ვიმოვე. აქ კაცობასა და პატიოსნებაზე მეტად ფული ფასობს. კომუნისტების დროს შემეძლო, ფული ისე მეშოვა, რომ ქვეყანა არ გამემარცხა - ბევრი ობიექტის და ტერიტორიის დაკავება შეიძლებოდა, ერის სახელით ბევრ გაქსუბულს „მოვწვევდი“. აბა, რომელმა ბიზნესმენმა იშოვა ფული თავისი ტალანტით?! იმედი მქონდა, საქართველოშიც, ისევე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში, ბიზნესმენები პოლიტიკოსებს დააფასებდნენ. ფულიც თუ ჩემი საშოვნელი გახდებოდა, არ მეგონა. საქართველოში, ვიმეორებ, ყველაზე მეტად ფული ფასობს.

პრეპარატი **ფინსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ზსოძიაზი
მეზაზა
ნიდროდარმიტი
სეზოძაზა
ნიკიტხეთ

ენდეთ სწრაფნივან გამორეზილენას!

მკურნალობა 7 ვიკრის შემდეგ

საუკუნოვანი გამომდრელები მკონა, ყველაზე ეფექტური, არაპორმონალური მალამოს საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03



ჩვენი რესპონდენტი — პაკისტანელი რაშიდ იუსეინი გახლავთ, რომელსაც ბავშვობიდან პყვარებია მოგზაურობა, თუმცა საქართველოში სტუმრობა აზრადაც არ მოსვლია. როგორ მოხვდა 18 წლის უცხოელი თბილისში, რატომ არ ბრუნდება სამშობლოში და რა უკვირს ქართველებში — ყოველივე ამაზე თავად გვესაუბრება.

ვის უხრის ფურს ქაქისტანური მამაკაცი კიხური რაბისთვის და ხა შემოსეფეაში მოიყვანს ქაიხური ცოლს

სორო ყარალაშვილი

— შეიძლება, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ სასწავლებლად მივიღიდი ჯორჯის შტატში და „ჯორჯიაში“ ამოვყავი თავი...

— კი, მაგრამ უკან რატომ არ დაბრუნდით?

— აქ სწავლა ძვირი არ ღირს, თანაც გავიგე, რომ ინგლისურ ენაზე ტარდებოდა ლექციები სამედიცინო ინსტიტუტში და მეც ჩავაბარე. ახლა უკვე ბევრი პაკისტანელი მეგობარი მყავს აქ.

— მშობლებს რა რეაქცია ჰქონდათ, როცა შეიტყვეს, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებოდით?

— ბუნებით მოხეტიალე ვარ. მშობლებმა ეს იციან, ამიტომ სულაც არ გაჰკვირვებიათ.

— მოგვიყვით საქართველოზე თქვენი პირველი შთაბეჭდილებების შესახებ.

— გაოცებული დავდიოდი. აქ ხალხი ალკოჰოლურ სასმელებს სვამს, დისკოთეკებზე დადის... ერთხელ, იპოდრომიდან მივიდიოდი, ხუთმა ბიჭმა ალყა შემომარტყა, ერთ-ერთმა მობილური გამოგლიჯა ხელიდან და გაიქცნენ. ყვირილი დავიწყე — მიშველეთ-მეთქი! — მაგრამ არავინ დამეხმარა. ალბათ იმიტომ, რომ უცხოელი ვარ. იდგნენ და მიყურებდნენ. ჩვენთან ასეთი რამეები არ ხდება.

— ეი. ქართველებზე ნაწყენი ხართ...

— უკვე 5 წელია, აქ ვცხოვრობ და ამ ყველაფერს შევეჩვიე. ჩვენც ადამიანები ვართ და მეგობრობა შეგვიძლია. მაგრამ ქართველებს რატომაც არ გიყვართ უცხოელები, მაინტერესებს — რატომ? საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. როცა ვინმე დათვრება, შემოვა ჩემთან ოთახში და მეჩხუბება — ვინ

ხარ, რატომ ჩამოხვედი, წადი აქედანო!.. ხანდახან ფულსაც მართმევენ.

— შეყვარებული თუ გყავთ საქართველოში?

— დიახ, ინგილო ქალია. ოლონდ, მასთან ისეთი ურთიერთობა არა მაქვს, როგორც ქართველ შეყვარებულებს აქვთ. პაკისტანში ქორწინებამდე, შეყვარებულთან მხოლოდ ტელეფონით საუბარი შეიძლება. ჩემად რომ შეხვდე, მისი ძმები მოგკლავენ. ჩვენ ქალს უდიდეს პატივს ვცემთ. ჩვენთან ქალები არ მუშაობენ.

— რა განსხვავებაა ქართველ ქალსა და პაკისტანელ ქალს შორის?

— პაკისტანელი ქალები ჩადრით დადიან, მხოლოდ თვალები უჩანთ. თქვენ ლამაზი, თბილი, სტუმართმოყვარე ქალები გყავთ. პაკისტანელი ქალი ზღვაში არ იბანავენ, ის ნაპირზე ჩადრით სეირნობს. მამაკაცებს შეგვიძლია, შორტით ვიბანათ. არაფრით არ შეიძლება, რომ ქალი და კაცი კაფეში ერთად დასხდნენ, თუ კლასელები არ არიან.

— შეიძლება, რომ პაკისტანელმა მამაკაცმა ქართველი ქალი შეირთოს ცოლად?

— კი. მიუხედავად იმისა, რომ მე მუსლიმანი ვარ, ჭეშმარიტ ქრისტიანზე


ქორწინება არ მეკრძალება, ოლონდ, მას აუცილებლად მყარი რწმენა უნდა ჰქონდეს. თუმცა, თუ კაცი არ მუშაობს, არც ქართველის შერთვა შეიძლება და არც არავისი. ჩვენ ქორწილსაც განსხვავებულად ვზეიობთ. საცოლეს, რომელსაც უამრავი ოქროს სამკაული უკეთია და წითელი კაბა აცვია (წითელი იმიტომ, რომ სიყვარულის სიმბოლოა), ტანტრევანზე სვამენ და ხელით მიჰყავთ სიძის სახლამდე. 3 დღის განმავლობაში, ქმარს უფლება არა აქვს, ცოლს მიეკაროს, რადგან ის ჯერ სტუმარია. მეოთხე დღეს, გოგო და ბიჭი ცალცალკე ოთახებში შეჰყავთ და უხსნიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ პირველ დამეს. ჩვენთვის ცოლი ყველაფერია, ამიტომ ქმრისთვის პირველი უნდა იყოს... ქმარი რომ ცოლთან შეუშვან ოთახში, ყველას, ვინც ოთახის კართან დგას, ფული უნდა გადაუხადოს. ქალი მორთულ საწოლზე თავდახრილი უნდა იჯდეს. ქმარი მასაც ფულს მისცემს, მერე მარცხენა ხელის არათითზე ბეჭელს გაუკეთებს. ამ ყველაფრის შემდეგ შეუძლიათ, მოეფერონ ერთმანეთს... საქორწინო წვეულება 7 დღე გრძელდება.

— როგორ იქცევა ცოლ-ქმარი, თუ ერთმანეთი აღარ უყვარს?



მე მხოლოდ განვმარტავ, მაგრამ ახალს არაფერს ვქმნი. ვარ სიძველის ერთგული და მიყვარს წარსული... ოთხ ზღვას შორის, ყველანი ძმები ვართ.

კონფუციუსი



მე არაა ბ

ბენიალური

— ჩვენთან განქორწინება არ ხდება. ან როგორ შეიძლება, აღარ გიყვარდეს?! ის ხომ შენი პირველი და უკანასკნელი ქალია!

— ხომ შეიძლება, ვიღაცამ ქორწინებამდე გაცდუნოს...


— ჩვენში მსუბუქი ყოფაქცევის ქალები არ არსებობენ. თურქეთში რომ ვიყავი, სასტუმროში ერთი ქალი გავიცანი. ღამით, როცა ჩემს ნომერში ავედი, უკვე დაძინებას ვაპირებდი, რომ კარზე დამიკაკუნეს. გავაღე თუ არა, შუქი ჩააქრო, — სექსი, სექსო! — მითხრა. თურქული არ ვიცი, მაგრამ ეს სიტყვა რომ გავიგონე, ოთახიდან გავაგდე. მეორე დღეს მითხრა — შენ კაცი არა ხარო. ავუსხენი, რომ ჩემი რელიგია ამას კრძალავს.

— ყველაზე დიდი დღესასწაული თქვენთვის რომელია?

— 14 აგვისტოს, დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავთ. ისლამბადში სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩამოდიან და ყველგან დროშები ფრიალებს.

— სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებ?

— ჯერ უნდა ვისწავლო. ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, ალბათ დავბრუნდები — ბოლოს და ბოლოს, იქ მშობლები და 7 და-ძმა მელიოდება. თანაც, პაკისტანელები 20-30-ოთახიან სახლებში ვცხოვრობთ, აქ კი ძალიან პატარა ოთახი მაქვს...



მომღერალ თამუნა ამონაშვილს თავის დროზე, ანსამბლ „ივერიის“ მუსიკალურ სპექტაკლში მელიის როლი ერგო. თუმცა, ცხოვრებაში ტყუილი არ უყვარს. ის მეგობრებისგან უსიტყვოდ გაგებას მოითხოვს. მალე კი, გულშემატკივრები შეიძლება, დაოჯახებითაც გაახაროს. საკუთარი ხასიათისა და ცხოვრების შესახებ თამუნა ქვემოთ გვესაუბრება.

თამუნა ამონაშვილი ხანდაზოგად ფიქრებს

„ამ დროს ვარ შეუყვარლი, ემოციური და სეშინლად ქეცერი“

ლევან პერალიძე

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. დავამთავრე მუსიკალური სკოლა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. შემდეგ „ივერიაში“ მოვხვდი. ომი რომ დაიწყო და „ივერია“ დაიშალა, ისეთი დებრესია მქონდა, მეგონა, ყველაფერი მე დამემხო თავზე. ჩემს თავს ვედარ ვპოულობდი. რა უნდა მეკეთებინა, ვერ ვხვდებოდი, იმიტომ, რომ მაშინ „ივერია“ ისე შემოიჭრა მეორე ოჯახად ჩემს ცხოვრებაში, რომ წარმოუდგენელი იყო მის გარეშე ჩემი ყოფა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია და გადავწყვიტე, რაღაცა ცალკე მეკეთებინა. სოლო მომღერლობას მიყვავი ხელი და დღემდე ასე ვარ.

— დღევანდელი გადასახედიდან, კმაყოფილი ხართ განვლილი გზით?

— კმაყოფილი არასდროს არაფრით ვარ. პროფესიონალი ასე, ალბათ, უფრო იხვეწება: სულ ძიებაში უნდა იყო და ეცადო, რაღაც ფასეული შექმნა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის პირობებში ვიტყვოდი, რომ რაც გამოიკეთებია, იმის 80 პროცენტით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რომ მთლიანად არ დავხარჯულვარ. არ წარმოჩენილა ბოლომდე ის, რისი შესაძლებლობაც მაქვს, გამომდინარე იქიდან, რომ რაც თავი მახსოვს, სულ ომი და რევოლუციებია. დაწყნარებული ქვეყანა რომ იყოს, ფინანსების მხრივ, რასაც ჩავლებ, იმას

რომ ვიღებდე, კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენთან ეს გამოირცხვლია. რასაც ვლებ, უკან არაფერს ვიღებ, მხოლოდ ვლებ და ვლებ... ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ღმერთმა ქნას, ყველაფერი მალე დალაგდეს, მაგრამ გული მწყდება, რომ მანამდე ალბათ უკვე დავბერდები...

— ამის გამო იმედგაცრუება ხომ არ დაგეუფლათ?

— იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, რომ მაინც ვშრომობ და ბოლო თეთრს, თუკი რაიმე გამაჩნია, შემოქმედებისთვის ვხარჯავ. ვფიქრობ, რომ საინტერესო სიმღერები შევქმენი, რომლებითაც პოპულარული გავხდები.

— ახლაც წერთ სიმღერას?

— ახლა ვმუშაობ სიმღერაზეც და კლიპზეც, არ ვჩერდები. მაგრამ დღეს, ერთმანეთის ჩაძირვის ტენდენციაა. ვისგან, საიდან და როგორ მიიღებ დარტყმას, ვერ გაიგებ, მაგრამ ალბათ პერიოდი ასეთი, რევოლუციის ბრალია. სულიერ საზრდოს რომ მთაკლებ ხალხს, დეგრადირებული ხდება და ფსიქიკა უფუჭდება. არ ვურჩევდი არავის, რომ შოუბიზნესი და საერთოდ ხელოვნება გაანადგურონ, რადგან ამასთან ერთად ერიც ნადგურდება.

— კლიპს როგორ იღებთ ხოლმე — მარტო თქვენს შეხედულებებს ითვალისწინებთ თუ სხვა-საც ენდობთ?

— რა თქმა უნდა, ყველაფრის პეროგატივა მე მეკუთვნის, მაგრამ


ყოველთვის ვქმნი ჯგუფს, რომელშიც მყავს მხატვარი, დიზაინერი, რეჟისორი. 2 თვე მიღის წინასწარი მუშაობა და გადადება. თუ გინდა, რომ კარგი გამოვიდეს, მხოლოდ საკუთარი აზრით არაფერის გაკეთება არ შეიძლება. დიზაინერი თავისებურად ფიქრობს, შენ – შენებურად და ერთობლივი ძალისხმევით უკეთეს შედეგს ვაღწევთ. დიდ სიამოვნებას ვიღებ კლიპის გადაღებისას. ამ დროს ვარ შეუვალი, ემოციური და საშინლად მკაცრი.

— ყოველთვის მკაცრი ხართ?

— მომთხოვნი ვარ ჩემს საქმეში, თორემ ისე, ძალიან „ლაითი“ ადამიანი ვარ, ქალური და ამავდროულად – ბავშვური. ცხოვრება უფრო მარტივია, როცა ბავშვური თვალთ შეხვდება. ურთიერთობისას არ მიყვარს ბანალურობა. არ შემიძლია ისეთ ადამიანთან დაახლოება, რომელიც უთქმელად ვერ ხედება, თუ რას ვგრძნობ, რა მაწუხებს და მომწონს. ასეთი ურთიერთობის აწყობაა მეგობრობა, რომლისთვისაც აუცილებელია ბევრი წელი ან, იშვიათად, შეიძლება, ერთ წელიწადში იმდენად დაუახლოვდე ადამიანს, რომ ათს უდრიდეს და გაიგო, შენნაირია თუ – არა.

— თქვენი ხასიათის რა ცუდი და კარგი თვისებებს გამოყოფდით?

— ალბათ ძნელია, ადამიანმა საკუთარ თავზე ცუდი თქვას. მე ჩემს ღირსებებს აღვნიშნავ. შეიძლება ეს ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ ჩემი პიროვნებით ძალიან ვამაყობ. ეს სიამაყე გამომდინარეობს იმ საზოგადოებისგან, ადამიანებისგან, ვისთანაც ვცხოვრობ, ვმეგობრობ, ვურთიერთობ. ვარ დამთმობი, ადვილად შემიძლია ვაპატიო, ვცდი-



ისე, ძალიან „ლაითი“ ადამიანი ვარ, ქალური და ამავდროულად – ბავშვური...

ლობ, უფრო მეტი სიკეთე დაეთესო; როცა ადამიანი მაწყენინებს, ვამჯობინებ, საერთოდ გავერიდო, ვიღრე სამაგიერო გადავუხადო. შეძლებისდაგვარად ეკლესიურად ვცხოვრობ. ყველანი წამსვლელები ვართ, და ამქვეყნად სიყვარული და შენზე მლოცველი ადამიანი უნდა დატოვო...

— ამას წინათ, სატელევიზიო შოუში გამოსვლისას თქვით, რომ კარგი ფეხი გაქვთ...

— სადაც პირველი შევალ ან თუ რაიმეს ვაჩუქებ, ყველა დიდ წარმატებას აღწევს.

— ამის გამო მეკვლეობაც ხომ არ გინევთ ხოლმე?

— ადრე – კი. მაგრამ ახლა, იმდენად დატვირთული მაქვს ხოლმე ახალი წლის პერიოდი, რომ... მსახიობების ხვედრი ის არის, რომ როცა ხალხი სამსახურს ამთავრებს, ჩვენ მაშინ ვიწყებთ მუშაობას, ანუ – ღამით. ახალი წლის და ყველა დღესასწაულის შემთხვევაშიც ასეა.

— ასე დატვირთულს, საოჯახო საქმისთვის თუ გრჩებათ დრო?

— ათასში ერთხელ რაღაცებს ვაკეთებ, მაგრამ საშინაო საქმეები დედ-ჩემის პრეროგატივაა. არა მაქვს მაგის არც სურვილი და არც ენერჯია.

— დაოჯახებას ხომ არ აპირებთ?

— შესაძლოა, ამის შესახებ გადაწყვეტილება მალე მივიღო, რაც მაშინვე ყველასათვის ცნობილი გახდება.

— როგორ ფიქრობთ — სიყვარული რამდენჯერმე ეწვევა ადამიანს?

— ეს ინდივიდუალურია. ვერავინ დაასკვნის, რომ გინდა თუ არა, სიყვარული ერთია ან – ათი. შენ როგორც გეცხოვრება, ისე ცხოვრობ. ეს მხოლოდ წიგნებშია, სულ ერთადერთი და განუმეორებელი რომ უყვართ... ვთქვათ, მოხდა ცხოვრებაში ისე, რომ საყვარელ ადამიანთან ერთად აღარ ხარ, გაგიფუჭდა და დაამთავრე ურთიერთობა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია და ცხოვრებას თავისი მოაქვს...

— თქვენი რჩეული როგორი უნდა იყოს?

— შეიძლება უვარგისი ადამიანი შეგიყვარდეს ან პირიქით, ძალიან დიდი და ვერ გრძნობდე, რომ დიდია. ეს ღვთის ნებაა. სიყვარულს ვერ განსაზღვრავ. ცხოვრება რთულია, გაურკვეველი და მკაცრი, მშვენიერი და ლამაზი. მთავარია, იცოდე, რა და ვინ გინდა. ამის შემდეგ ყველაფერი ადვილად ეწყობა.

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. მეღია გავრცელებულია ყველგან, გარდა...



- ა) ...ანტარქტიდისა;
- ბ) ...მადაგასკარისა;
- გ) ...ავსტრალიისა.

2. რომელი ფირმა ამხადვდა იაპონელი კამიკაძეებისთვის განაქთვნილ თვითმფრინავებს?



- ა) „ფორდი“;
- ბ) „მიცუბიში“;
- გ) „სონი“.

3. ეპალიტას „ურდულიო ხას“ იმიტომ ექახიან, რომ...



- ა) ...მისი ფოთლები მზისკენ გვერდულადაა შებრუნებული;
- ბ) ...მას ცოტა ფოთოლი აქვს;
- გ) ...მისი ფოთლები ტოტებს ეკვრის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„ალკოჰოლიკის თავის ტვინის სუჰათზე ქაჩბაღ ჩანს სპირტი ალკოჰოლი...“

ნათია თენიეშვილი

დააკვირდით თქვენს შვილს და თუ მის ქცევაში მსგავს ნიშნებს აღმოაჩენთ, სასწრაფოდ მიიღეთ ზომები, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. მაშ ასე, ალკოჰოლიზმის ნიშნებია:

- ინტერესის გადართვა: თუ თქვენს შვილს ჰქონდა, რაიმე კონკრეტული ინტერესი — მაგალითად, ფეხბურთი, გოგონები, ახლა კი ეს ინტერესი გაუწეულდა და სმას მოუხშირა.
- მუდამ პოულობს სმისთვის საჭირო საბაზს და მიდის ყველა სუფრაზე, იქაც კი, სადაც ადრე არ წავიდოდა;
- გამოზარბოვებას — ე.წ. „ახსმელობას“ ისე ვერ აღწევს თავს, თუ არ დალია;
- შინ არ უჩერდება სასმელი, რადგან სანამ ბოლომდე არ დალევს, ვერ ისვენებს;
- ავიწყდება სიმთვრალის დროს ჩადენილი საქციელი;
- ხშირად წასულად წვეულებაზე იმ პირობით, რომ არ უნდა დამთვრალიყო, მაგრამ მაინც დათვრა. ამდენად, ვეღარ საზღვრავს საკუთარ შესაძლებლობას და თავს ვერ აკონტროლებს.

თუ ყოველივე ჩამოთვლილი თქვენს შვილს ან რომელიმე ახლობელს ახასიათებს, ე.ი. ის დიდი საფრთხის წინაშე დგას...

„გზის“ №8-ში ნარკომანიის პრობლემებზე საუბრისას, საქართველოს ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გელა ლეჟავამ ამ სენთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოგვითხრო. დღეს ბატონ გელას ალკოჰოლიზმის პრობლემაზე ვესაუბრებით.

— ბატონო გელა, ჩვენ ცოტა ხნის წინ ნარკომანიაზე ვილაპარაკეთ. ხშირად, ყოფილი ნარკომანები ალკოჰოლიკები ხდებიან. რატომ ხდება ასე და რით არის ეს გამოწვეული?

— ყველა ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში გაგვლენას ახდენს, მოქმედებს კონკრეტულ ორგანოზე. ნარკოტიკი სხვადასხვაგვარად მოქმედებს თავის ტვინის გარკვეულ უბნებზე. ოპიატები (ნარკოტიკული ნივთიერებები) და ალკოჰოლი ერთსა და იმავე რეოლზე მოქმედებს. განსხვავებ-



ის საჩვენებლად, შემიძლია ასეთი შედარება მოვიყვანო: ჰერიონი მოქმედებს ტვინის კონკრეტულ ნაწილზე ისე, როგორც ქირურგიული ოპერაციისას სკალპელი, ალკოჰოლი კი — როგორც ნაჯახი... სამიზნეები ალკოჰოლსა და ნარკოტიკს ერთი და იგივე აქვს, უბრალოდ, ალკოჰოლი ისე კარგად ვერ ხვდება მიზანში, როგორც ნარკოტიკი. ალკოჰოლის მიღების დროს, სიამოვნება შეიძლება ყოველთვის არ იყოს წინა პლანზე წამოწეული. ბევრი ადამიანი სვამს არა იმიტომ, რომ ეს სიამოვნებს, არამედ იმიტომ, რომ დაიწყნაროს ნერვები, დაშვიდდეს. ჩვენს ენაზე ამას თავის ტვინის უჯრედების შეკავება, აქტივობის დაქვეითება ჰქვია. ამიტომაც მოჰყვება ხოლმე სიმთვრალეს ძილი. ნარკოტიკის მიღებისას, თავის ტვინის უჯრედები გადაართულია მუშაობის ისეთ რეჟიმზე, რომელიც გულისხმობს მასში — ამ პროცესში გარედან შემოსული ნარკოტიკის ჩართვას. ამიტომ როცა ხელის ერთი მოსმით ხსნი ნარკოტიკს, თავის ტვინში მიმდინარე პროცესები ვარდება მისთვის უკვე ნორმალ ქვეული რეჟიმიდან და ეს იწვევს ადამიანის აგზნებადობას. ალკოჰოლი ასუსტებს ამ აგზნებადობას და ანშობს იმ უსიამოვნო განცდებს, რომელიც ნარკომანს აწუხებს. ამ შემთხვევაში, ალკოჰოლი სიამოვნებას კი არ ჰკერის, არამედ უსიამოვნებას ანშობს და უფრო იოლად გადასატანს ხელს უნარკოტიკობას. ამიტომ მიმართავენ ხოლმე ალკოჰოლს ის ნარკომანები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ცდილობენ, თავი დაანებონ ნარკოტიკის მიღებას. უფრო ხშირად, ეს ხდება ადამიანის უსახსრობის გამო და სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, ნარკოტიკის ენაცვლება ალკოჰოლი.

— რა შემთხვევაში შეიძლება არ ჩაენაცვლოს ნარკოტიკს ალკოჰოლი?

— ამის თქმა ძალიან ძნელია. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის ადამიანის ორგანიზმზე და იმაზე, თუ როგორი ლტოლვა ჰქონდა ადამიანს ნარკოტიკების მიმართ. არამეცნიერულად შემიძლია იმის თქმა, რომ რაც უფრო მეტად აქვს პიროვნებას მოთხოვნილება და სწრაფვა იმისა, რომ თავი დაანებოს ნარკოტიკს, მით მეტია ალბათობა, რომ ის მხოლოდ იმდენ ალკოჰოლს მიიღებს, რამდენიც ტკივილის ჩასახშობად არის აუცილებელი.

— ქართველები ქვიფის მოყვარული ხალხი ვართ და დიდი სუფრული ტრადიციებით გამოვიჩნევით. სად გადის ზღვარი ქვიფსა და ლოთობას შორის?

— ეს საკმაოდ რთული კითხვაა. ხომ არ შეიძლება, ვთქვათ, რომ 10 ჭიქა ალკოჰოლის მიღება ქვიფია, 11-ის კი — ლოთობა?! ალკოჰოლის მიღებით ადამიანში ხდება სოციალური და ბიოლოგიური ნიშნების გამოვლენა; სოციალური ნიშნების გამოვლენა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უხალისოდ აკეთებს თავის საქმეს, იგვიანებს სამსახურში — ე.ი. ავლენს სოციალური ჩამორჩენილობის ნიშნებს, თუმცა ბიოლოგიურად კარგად გრძობს თავს. საქართველოში, სოციალური ცხოვრება იმდენად წამოწეული არ არის წინა პლანზე, როგორც დასავლეთში, რომ თუ ადამიანმა სამსახურში დაავიანა, სამუშაო ასი პროცენტით ვერ შეასრულა, ეს ვინმეს თვალში ეცეხს. ჩვენთან ვინ კითხულობს, როდის და რამდენჯერ დაავიანა კაცმა სამსახურში, ან რამდენი პროცენტით შეასრულა სამუშაო? ამიტომაცაა, რომ ჩვენში, პრობლემის ბიოლოგიური ფონია წინა პლანზე წამოწეული. ჩემი აზრით, საქართველოში ადამიანები, სულ ცოტა, 15 წლით მეტხანს მაინც უნდა ცხოვრობდნენ, ამდენს რომ არ ვსვამდეთ. ერთადერთი, რაც გვშველის, ეს ბუნება და ტრადიციებია. ჩვენ არასდროს ვსვამდით შიმისა და შგოთების ჩასაკლავად და ნერვების დასაწყნარებლად, ჩვენ ვსვამდით საქეიფოდ. მაგრამ ახლა, ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესებულია. უამრავი ადამიანი სწორედ დარდის ჩასაკლავად სვამს და ეს პირდაპირი გზაა ალკოჰოლიზმისკენ. უსახსრობა, უმუშევრობა, უპერსპექტივობა — ეს ყველაფერი ქმნის სიტუაციას, რომელმაც შეცვალა ქართული ღვინის სმის სურათი. ჩვენში ძალზე მომრავლდ-

ნენ ახალგაზრდა ალკოჰოლიკები. ჯერ ზუსტი მონაცემები არა გვაქვს, მაგრამ ადრე, 20, 25 წლის ალკოჰოლიკი საერთოდ არ შეგხვდებოდა, ახლა კი უკვე ამ ასაკის ბევრი ახალგაზრდა მოდის სამკურნალოდ. ეს პრობლემა სოციალურად მოუწყობელი ფენის წარმომადგენლებს ჰქონდათ, ახლა კონტინენტზე შეიცვალა. ჩვენი დიდი უბედურება ის არის, რომ ღვინო და არაყი უამრავია. ჩუქჩები ძალიან ეტანებიან სასმელს, რამდენჯერაც ჩაუვარდებათ სასმელი ხელში, იმდენჯერ დაღევენ. მაგრამ იქ სასმელი არ არის, ამიტომ არც პრობლემა დგას ასე მწვავედ. მივესალმები იმას, რომ სიგარეტის და ალკოჰოლის გაყიდვა შეიზღუდა.

— განა, ეს გადაჭრის პრობლემას? არ გაიყიდება გარეთ, მაგრამ მსურველს მაღაზიაში შეეძლება ალკოჰოლის შექენა.

— როცა ის არ იქნება უაქციზო, ფასი მოიმატებს. ცნობილია, როცა ფასი იმატებს საქონელზე, მასზე მოთხოვნაც მცირდება. მაგრამ თუ მზესუმზირის გამყიდველებმა ჩუმად დაიწყეს არყის გაყიდვა და ამაზე თვალი დაეხუჭათ, არაფერი გამოვა. არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელზეც ბევრი მიმუშავია: არ შეიძლება, ლუდი ღირდეს უფრო ძვირი, ვიდრე — არაყი. ალკოჰოლური სასმლის ფასი, მარტო თვითღირებულების საკითხი როდია — ეს არის ალკოჰოლური პოლიტიკის საკითხი: იმისდა მიხედვით, თუ რომელ სასმელს რა ფასს ადებ და სად ყიდი, იცვლება მისი მოხმარების ხასიათი. ლუდი აუცილებლად არაყზე იაფი უნდა ღირდეს. რატომ? დღეს საქართველოში ფული ბევრს არა აქვს. არაყი ყველაზე იაფი ალკოჰოლური სასმელია და ხალხიც ეტანება იმას, რაც იაფია. ღვინის დაღევას სხვა სიტუაცია სჭირდება, მას არაყით ვერ მოიყვდებ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ არაყი შეცვალოს ღვინომ. ეს ფასებმა უნდა დაარეგულიროს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. არსად არ სვამენ ვისკის ისეთი წესით, როგორც ჩვენში. ერთი ულუფა ვისკი 12 გრამია და იმასაც წყლითა და ყინულით აზავენ. ჩვენში კი ვისკით ქეიფობენ და დედამიწვილებსა და კარგი მეზობლების სადღეგრძელოებს სვამენ! გადმოვიდეთ უცხოეთიდან მაგარი სასმელი, დავიტოვეთ ქართული სუფრის ტრადიცია და მივიღეთ უბედურება. ეს დაუშვებელია. აუცილებლად უნდა გამკაცრდეს სახელმწიფო მონოპოლია ალკოჰოლზე. ყველას არ უნდა ჰქონდეს გაყიდვის უფლება. ოსლოში სულ 7 მაღაზიაა, სადაც სპირტიანი სასმლის ყიდვა შეუძლია ადამიანს. ბარში, როცა გინდა, რამდენიც გინდა, იმდენი შეგიძლია დალიო, მაგრამ

სასმელი იქ ძალიან ძვირი ღირს და ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი. სტოკჰოლმშიც გარკვეულ მაღაზიებში იყიდება და გაყიდვის დროც შეზღუდულია. ეს ყველაფერი ჩვენ ჩამოსაყალიბებელი გვაქვს საქართველოში.

— რამდენად შედეგიანი იქნება ეს მეთოდი საქართველოში? ჩვენში ხომ, სოფლად ყველა ოჯახში წურავენ ღვინოს, ხდიან არაყს...

— გეთანხმებით. ვერ ვიტყვი, რამდენად შედეგიანი იქნება, მაგრამ ვიცი, რომ თუ არაფერი ვიღონეთ, დავიღუპებით. რაღაცით უნდა დავიწყოთ. ალკოჰოლი დღეს, ყველგან აწუნებს საზოგადოებას, ზოგ ქვეყანაში — უფრო მეტად, ვიდრე ნარკოტიკები. ჩვენ ერთიც გვაწუნებს და მეორეც. ამიტომ უმოქმედობის უფლება არა გვაქვს. ამ საკითხებთან დაკავშირებით ბატონ გიგი წერეთელთან მქონდა საუბარი და დიდი იმედი მაქვს, რომ ალკოჰოლური პოლიტიკაზე მუშაობას დავიწყებთ.

— თქვენ თქვით, რომ ნარკომანის ბოლომდე განკურნება ძალზე იშვიათად ხდება. ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა ალკოჰოლიზმთან დაკავშირებით?

— ალკოჰოლიზმის შემთხვევაში, ბევრად უკეთესი შედეგებია, ვიდრე ნარკომანიაში. მაგრამ ესეც პირობითია. გააჩნია, როგორი პიროვნებაა, რა ფსიქიკა აქვს და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, მკურნალობის შემდეგ, საერთოდ არ უნდა დალიოს. ალკოჰოლიკების 90%, ვინც მკურნალობის შემდეგ დაღევენ, კვლავ ამ სენის ტყვეობაში ჩავარდებიან.

— ამბობენ, ქალები მამაკაცებზე იოლად ხდებიან ალკოჰოლიკები. ასეა?

— ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქალი უფრო ემოციურია და კარგად და ცუდსაც უფრო ძლიერად აღიქვამს, ვიდრე მამაკაცი. ქალმა თუ დაიწყო სმა, მას ძალიან უჭირს მერე, ამ საიმონებზე უარის თქმა. ეს, რაც შეეხება იმ ქალებს, ვისაც სოციალური სახე შენახული აქვს. იმ ქალის განკურნება კი, ვინც უკვე გალოთებულია და გავიდა „სოციალური რევილიანი“, იმდენად არის რთული, რომ ჩვენს საზოგადოებაში რაც მამაკაცს ეხატება, ქალს არ მიუტყვებენ. როცა ქალი გადასცდება იმ

ზღვარს, რომლის იქით მოხვედრაც არ ეხატება, მერე უკვე თვითონაც კარგავს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას. ამიტომ მისი განკურნება უფრო რთულია.

— რა არის ენ. „ბელაია გარიაჩკა“. რა ხდება ამ დროს ადამიანის ტვინში?

— ჩვენს ენაზე ამას ჰქვია დელირიუმი. ეს არის გონების დაბინდვა, რომელსაც ახლავს ჰალუცინაციები, „შიშები“. ამ დროს, მამაკაცისთვის დამახასიათებელია ეჭვიანობა ცოლის მიმართ — არა აქვს მნიშვნელობა, ის 25 წლისაა თუ 65-ის... ზოგჯერ ის ფსიქიკური დაავადება თვეების მანძილზე გრძელდება. ნარკომანს ჰეროინი რომ შეუწყვიტო, 100-დან შეიძლება არც ერთი არ მოკვდეს. ასეთი მძიმე ფორმის ალკოჰოლიკს კი, სასმელი რომ შეუწყვიტო — 100-დან 5 შეიძლება მოკვდეს. ალკოჰოლი უფრო უხემ და საზიანო გავლენას ახდენს თავის ტვინზე. სპეციალური აპარატურით გადაღებული, ალკოჰოლიკის თავის ტვინის სურათზე კარგად ჩანს ცარიელი ადგილები — ეს მკვდარი უჯრედებია...

— თუ მშობელმა შეამჩნია, რომ მის შვილს ალკოჰოლიზმის ნიშნები აქვს, როგორ უნდა მოიქცეს?

— ჯერ უნდა აუხსნას შვილს, რომ ეს საშინელებაა და განუმარტოს, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. ახალგაზრდამ თვითონ უნდა გააცნობიეროს მოსალოდნელი საფრთხე. ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია წრეს, მეგობრებს, რადგან ახალგაზრდას, მშობელზე მეტად, მეგობრის სჯერა. მხოლოდ მოწოდება — არ დალიო, არ დალიო, — ნეგატიურ შედეგს მოიტანს, საჭიროა, დავასაბუთოთ, რატომ არ უნდა დალიოს. თუ მას სასმლის შეზღუდვა თვითონ არ შეუძლია, მაშინ ეს მშობლებსა და მეგობრებს დახმარებით უნდა გააკეთოს. მაგალითად, გადაწყვიტოს, რომ თვეში მხოლოდ 3 სუფრაზე წავა. ამერიკელებს აქვთ ძალიან კარგი მეთოდი — თუ იცი, რომ სადაც მიდიხარ, იქ აუცილებლად დაღევა მოგწევს, მაშინ ნუ წახვალ; პირობა — „წავალ და არ დაღევე“ — აბსურდია... თუ ამ ყველაფერმა არ უშველა, მშობელმა ექიმს უნდა მიმართოს.

— დაბოლოს: რამდენად საშიშია, მსუბუქი ალკოჰოლური სასმელი — მაგალითად, ლუდი?

— მცირე დოზით ნაკლებად საშიშია, მაგრამ თუ ყოველდღე რამდენიმე ბოთლ ლულს მიიღებ, შენს სისხლში ყოველდღიურად, ალკოჰოლის გარკვეული დოზა დაგროვდება. ბევრი ლუდი ალკოჰოლიზმში იგივეა, რაც ანამა — ნარკომანიაში. ეს არის „ჭიშკარი“ სერიოზული, ძალიან რთული დაავადების საკენ...



ყელის მოვლა

თუ თქვენ უკვე 30 წელი შეგის-რულდათ, მეტი ყურადღება უნდა დაუთ-მოდეთ ყელის კანის მოვლას. უარი თქვით მაღალ სასთუმალზე. სიარულისას ან ჯდომისას, თავი რაც შეიძლება პირდა-პირ გეჭიროთ. ნუ მოიხრებით მხრებ-ში. გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი ყელის კანის დანაოჭებას იწვევს.

კარგია ყოველ საღამოს, ძილის წინ კისრის დაბანა – თუ მშრალი კანი გაქვთ, გრილი, ხოლო თუ ცხიმოვანი – თბილი წყლით. შემდეგ კისერი ოდნავ დაიზილეთ ხაოიანი პირსახოცით და მკვებავი კრემი წაისვით.

კარგია მასაჟიც. ოღონდ ის ძალზე ფრთხილად უნდა ჩაიტაროთ, კანი რომ არ დაიჭიმოს.

აი, ჩვენი რჩევებიც:

1. თითები შეაერთეთ და რიგრიგო-ბით ხან ერთი, ხან კი მეორე ხელით

მსუბუქად დაიზილეთ ყე-ლის ზემო ნაწილი მარ-ჯვენა ყურიდან მარცხენა ყურისაკენ და პირიქით;

2. ერთდროულად ორივე ხელის გამართუ-ლი და შეერთებული თითე-ბი (ცერების გარდა) ხე-ლუკულმა იტყაპუნეთ ნი-კაპის არეში. ამგვარი მასა-ჟი ამცირებს ცხიმების განლაგებას და ამაგრებს კუნთებს. მასაჟის შემდეგ სასურველია მკვებავი კრემის წასმა.

3. ხაოინი პირსახოცი რამდენიმე ფენად გაკეცეთ, ცივ წყალში დაასვე-ლეთ და მსუბუქად ირტყით (დაახ-ლოებით 30-ჯერ) ყელზე. შესაძლებე-ლია ყელის მასაჟი ყინულის კუბური-



თაც გაიკეთოთ. კანი რ-არ დაგიწითლდეთ, კუბ-რა რბილ ქსოვილში გაა-ვიეთ.

სიმკვრივედაკარგულ და დანაოჭებული კან-სთვის რეკომენდებულ-ზეთიანი კომპრესები. რა-დენიმე ფენად გაკეცილ-დოლბანდი გაჟღინთე-თილი ზეთით, ზემოდ-დაფარეთ პერგამენტი-ქალაღი და ყელზე 1 წუ-თით დაიფინეთ. საფ-ნის შემდეგ წაისვით შე-

დეგნარად მომზადებული მკვებავი ნილ-ბი: ათქვიფეთ ერთი კვერცხის ცილ-შეურიეთ 1 ს/კ ზეთუნის (ან ნებისმ-ერ მცენარეული) ზეთი და ნახევარ-ლიმონის წვენი.

კანის მოვლის ხალხური საშუალებები

● თუ სახის კანი გამოვიშრათ, დაიბა-ნეთ ამგვარი ნარევი: აიღეთ შავი პურის გული, დაალებთ წყალში. მიღებული ფაფისე-ბური მასა წაისვით სახეზე. გაიჩერეთ 2-3 წუთი. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ; მშრალი კანისთვის კარ-გია შემდეგნაირი ნილა-ბი: 100 გ თაფლში შერეული 1 ლიმონის წვენი ან ორი ს/კ ჩაის მაგარი ნაყენი.

● თუ კანის სიმ-შრალე სინოტივის ნა-კლებობით არის გამოწვეული, ყოველ დღით სახეზე მაწონი ან ნუშის კრემი წაისვით.

● კანის ვაცხიმიანების დროს უნდა მოამზადოთ ამგვარი ნაყენი: 1 ჩ/კ ცაცხ-ვის ყვავილითა და ნახევარი ჩ/ჭ მღულარე წყლით მომზადებული ნარევი დაასხით

ნუშის ნაჭუჭებს. მასში დასველებული ქსოვილი სახეზე დაიფინეთ და 15-20 წუთი გაიჩერეთ. ნილაბი უნდა გაიკეთოთ დღე-ბოლოში. პროცედურა სულ 15-ჯერ უნდა გაე-ორდეს.

● ფერიმჟამელების მოსაშორებლად შემდეგ-ნაირად უნდა მოიქცეთ: 2 ს/კ გულგვითელა, 30 გ ოდეკოლონი, 40 გ წყ-ალი, 1 გ გლიცერინი შეურიეთ ერთმანეთს და წაისვით სახეზე. აუცი-ლებელია დიეტის დაც-ვა; ნუ დალევთ ბევრ წყალს; თავი შეიკავოთ პურის, ცხარე კერძების, კვერცხისა და მსუქანი ხორცისაგან. ნუ მიიღებთ დიდი რაოდენობით ტკბილეულსა და ცომეულს. კარგია მაწონი, ვიტამინი A და შავი პური.



შიირთვით რძიანი ჩაი

თუკი ზოგჯერ სახეზემუშუბებული იღვიძებთ, თითებიც ვისივლებათ, მიზეზი კი ვერ გაგირკვევიათ, ყველაფერი ჭირვეული მარტის ნესტიან დღეებს უნდა დააბრალოთ. საერთოდ, ასეთ ამინდში სითხე ცუდად იღვენება ორ-განიზმიდან. პრობლემას იოლად მოაგ-ვარებთ, თუკი გრილ და ნესტიან ამინდში, დღის მანძილზე რამდენჯერმე მიიღებთ ნატურალური რძით გაზავებულ ჩაის (სწორედაც რომ ჩაის და არა ყავას), რადგან ის საუკეთესო შარდმდენი სა-შუალებაა. ალბათ ამიტომაც არის, რომ ნისლიანი ალბინის მცხოვრებლებს აგრერიგად უყვართ ეს ჯადოსნური სასმელი – იქ ხომ მუდამ სივრილე და სინესტეა. სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში უროლოგთური დაავადებების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

კეთილხმოვანი მუსიკა, ჰანგი	გამოთქმა: ანუ ფრთოსანი ...	აქლემების მწკრივი უდაბნოში	სახეზე გაჩენილი ლაქა	სატელე-ფონო სიტყვა	სიმინდის ნათესი	კინორეჟი-სორი ... ვან სენტი
მედიკალი	ფილიქანი	ვატა-ფშაველა	ქან კლოდ ... დამი	სახელმწიფო ევროპაში	ლაწვი	ატომური დაბო-განადგურებული იაპონიაში

კარტოფილის კერძები

სალათა „ჯაჯალი“

მასალად საჭიროა: 500 გ კარტოფილი; 1 თავი ხახვი; 2 ჩ/ჭ ნივოზი, 2 კბილი ნიორი, ქინძი, რეპანი, ოხრახუმი, წიწკა, მარილი.

მომზადების წესი: კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენიტ, დაჭერით. ნივოზი, ნიორი, წიწკა (გემოვნებით), ქინძი (ან რეპანი) მარილთან ერთად დანაყეთ და შეურიეთ კარტოფილს. ბოლოს მოაყარეთ ოხრახუმი.

„ფენოვანი“ ქარტოფილი

მასალად საჭიროა: 1,5 კგ კარტოფილი; 4 ს/კ მცენარეუ-

ლი ზეთი; 1 ჩ/კ ქონდარი ან დაფქული ქინძის თესლი; დაფნის ფოთოლი; ნიორი; მარილი, პილპილი.

მომზადების წესი: გათლილი, თხლად დაჭრილი კარტოფილი გაყავით



არაყნიანი ქარტოფილის ბრანულა

მასალად საჭიროა: 2 კგ კარტოფილი, 2 ჩ/ჭ პურის ფქვილი, 250 გ არაყანი, 2 კვრცხის გული, მცენარეული ზეთი, გახეხილი ყველი, წიწკა, საფანელი, მწვანელი.

მომზადების წესი: კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენიტ და ზეთში მოხრაკულ ხახვთან ერთად დასრისეთ. შემდეგ მოაყარეთ ფქვილი და კარგად აურიეთ – მანამ, სანამ ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ. მოათავსეთ ცხიმწასმულ ყაღბში. არაყანს შეურიეთ 1 ს/კ გახეხილი ყველი და ზემოდან მოასხით. დაასაღეთ პილპილი-მარილი კვრცხის გულელები. ბოლოს, გახეხილი ყველი და ორცხობილის საფანელი მოაყარეთ. შეღვით ქურაში ნახევარი საათით. მზა კერძი მწვანელით მორთეთ.

ორ ნაწილად. პირველი ფენა ზეთ-მოსხმულ ფორმაში მოათავსეთ. მოაყარეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლთან ერთად დანაყილი ქონდარი ან ქინძის თესლი და წმინდად დაჭრილი ნიორი. ზემოდან მოაწყვეთ მეორე ფენა კარტოფილი, მოასხით ზეთი და დაუმატეთ მღულარე წყალი – ისე, რომ კარტოფილი დაიფაროს. დადგით გაზქურაზე. როგორც კი წამოდუღდება, ცეცხლს დაბალზე დაუწიეთ. წყლის დაშრობისთანავე, კერძი შედგით გახურებულ ლუმელში, 15-20 წუთით.

სიმინდიანი სალათა

მასალად საჭიროა: 200 გ კარტოფილი; 200 გ სიმინდის მარცვალი; 30 გ მწვანე ხახვი; 2 ს/კ ზეთი; 2 ს/კ სუფრის ძმარი, მარილი, პილპილი.

მომზადების წესი: კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენიტ, დაჭერით და შეურიეთ სიმინდის მოხარშული მარცვალი. შეკაზმეთ ზეთითა და ძმრით. გემოვნებით მოაყარეთ მარილი, პილპილი. სუფრაზე მიტანის წინ მწვანე ხახვი მოაყარეთ.

მითხარით, როგორ გძინავთ...

- ფსიქოლოგების აზრით, პირქვე ჩამხობილი ძილი მერყევი ხასიათის მქონე და პროფესიით უკმაყოფილო ქალებს სწევიათ.
- ზურგზე ძილი თავდაჯერებულ და ცხოვრებით კმაყოფილ ქალებს ახასიათებს.
- მათ, ვისაც მოკუნტულს ან გულში ბალიშჩახუტებულს სძინავთ, გარშემო მყოფთაგან სითბო აკლიათ და სათუთ მოპყრობას საჭიროებენ.
- თუკი ქალს ძლის დროს, თავზეც კი საბანი აქვს წაფარებული, ის გამოუსწორებელი პესიმიზტია.




გაქვთ სურვილი გამოიყარაოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!

**წონაში დაკლებას
კომფორტული მეთოდით
5-დან 12კგ.-მდე
ყოველგვარი პარკიონისა
და შიშხილის გარეშე.**

თქვენ მოგამ ახურაბათ
კვალიფიციური სპეციალისტია.

ტელ.: 893-20-33-76
მღივანი: 76-66-04
ბ-მღ. კობა



ნაის მღილი იდან)	თანხ- მოზა	მთრემილაგი ნივთიერება	კარტოფილის მავნებელი ... სოჭო	მღინარე რომში	ვივიენ ...	მველებური იშვიათი ნივთები მოვჭრე
გ	ი	ნ	ს	ო	ღ	მ
სამიკიგნოს პატრონი და დახლიდარი	მევიოლინე ... პაგანინი	მზის ღმერთი	მეგობარი (მგ.)	დამუშავებული ალმასი	ფიჭვის ნაფოტი. იყენებენ სანთელღივით	

ასპირინი — პასუხი მრავალ კითხვაზე

რუბრიკას უძღვება ემილი თამარ გამაცაშვილი

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული წამალი — ასპირინი, რომელსაც თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს, დღეისათვის მრავალ კითხვას, საექვო მოსაზრებასა და დავას იწვევს.

ცნობილია, რომ ასპირინი, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი „კოლეგებისაგან“ გამოირჩევა იმით, რომ დადებითად ზემოქმედებს სისხლძარღვების მდგომარეობაზე, ხელს უწყობს გულის მუშაობას და იცავს ადამიანს ინფარქტისა და ინსულტის განვითარებისგან. ამერიკელებმა, რომლებიც ამ წამლის ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან, ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირებაც კი მოახდინეს და ირწმუნებიან, რომ ერთი ვაშლი კი არა, ერთი აბი ასპირინი დღეში, დაგიცავთ ექიმთან მისვლის აუცილებლობისგან. გამოდის, რომ ამერიკელებმა ნებაყოფლობით შექმნეს მეგაჯგუფი კლინიკური გამოკვლევებისათვის, რომლის პირველი შედეგიც ასეთია: მანებელია არა თვით პრეპარატი, არამედ მისი გადამეტებული რაოდენობით მიღება. მეტისმეტი გულმოდგინებით ამ წამლის მიღების გამო, ამერიკაში წელიწადში 100 ათასი ადამიანი ხვდება საავადმყოფოში.

რატომ არ ვენდობით ასპირინს?

სალიცილის მჟავა (ასპირინის პროტოტიპი), რომელსაც უხსოვარი დროიდან გამოყოფდნენ თეთრი ტირიფის ქერქიდან, კარგად აყურებდა ტკივილს და აქვეითებდა სიცხეს, მაგრამ საკმაოდ არასასიამოვნო გვერდითი ეფექტებიც ჰქონდა: იწვევდა გულისრევას, მუცლის ტკივილს და სისხლდენას კუჭიდან. ამ „სისხლიანმა ლაქებმა“ იმდენად შელახა ასპირინის რეპუტაცია, რომ მთარული ხმების თანახმად, დღემდე ეჭვქვეშ აყენებს მის უსაფრთხოებას.

შემდგომში მოხდა სალიცილის მჟავის აცეტილირება და შეიქმნა ყველასათვის ცნობილი „ბაიერის“ ასპირინი, რამაც მნიშვნელოვნად შეამუშაუა მჟავის ზემოქმედება კუჭის ლორწოვანზე. მერე შეიმუშავეს პრეპარატის კიდევ უფრო უსაფრთხო ფორმები — შუშუნა აბები C ვიტამინით და ასპირინის აბები სპეციალური გარსით, რომლებიც ხანგრძლივი მიღებისთვისაა განკუთვნილი.

ამდენად, გვერდითი ეფექტების ალბათობა დღეისათვის 0,1%-ია (ათასიდან ერთი შანსი), რაც არ აღემატება პარაცეტამოლის ან იბუპროფენის გამოყენებისას მოსალოდნელი რისკის ალბათობას.

კლინიკურად დამტკიცებულია, რომ სერიოზული გვერდითი ეფექტების განვითარება პრეპარატის მხოლოდ ხანგრძლივად მიღებისას (3 თვეზე მეტხანს) შეიძლება მოხდეს.

ერთხელ გადაყლაპული აბი კი კუჭის ნაზ ლორწოვან გარსზე სერიოზულ კვალს არ ტოვებს.

ასპირინის მიღების უკუჩვენებებია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ეროზიულ-წყულულოვანი დაზიანებები გამოწვევების ფაზაში და სისხლდენები კუჭიდან და ნაწლავებიდან.

ბევრი რამ არის შეუცნობელი...

ბოლო წლების გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ დღემდე ცნობილი პლუსების გარდა, აცეტილსალიცილის მჟავას სხვა დადებითი ეფექტებიც აქვს:

აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში. სალიცილატების ეს თვისება ექიმებისთვის ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო ცნობილი. მაგრამ მისი მექანიზმი 2003 წელს აღმოაჩინა ჩინელმა მეცნიერმა. აღმოჩნდა, რომ ასპირინი ზრდის უჯრედთა მგრძობელობას ინსულინისადმი, რომლის დაქვეითებაც უდევს საფუძვლად მე-2 ტიპის ინსულინს. შარშან, დიაბეტის ამერიკულმა ასოციაციამ თავის რეკომენდაციებში შეიტანა პაციენტებისთვის ასპირინის 75-160 მგ რაოდენობით ყოველდღიური მიღება.

ასუსტებს ოქროსფერი სტაფილოკოკის აქტიურობას. სტაფილოკოკი ხელს არავის უშლის, ვიდრე კანსა და ლორწოვანზე ცხოვრობს. საშიშია მისი გადასახლება სისხლში, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც შესუსტებული აქვს იმუნიტეტი — ახალშობილებისთვის, მოხუცებისთვის, ავადმყოფებისთვის ოპერაციის შემდგომ პერიოდში. დღეს ეს საშინელი მიკრობი პრაქტიკულად ყველა ცნობილ ანტიბიოტიკს შეეგუა. ამიტომ ასპირინის როლი მასთან ბრძოლაში მეტისმეტად მნიშვნელოვანია.

სსნის შაკის შეტევებს (დოზა 1000 მგ) ისეთივე წარმატებით, როგორც



სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი პრეპარატები (ე.წ. ტრიპტანული რივისა). სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ორივე წამალი მხოლოდ სანახევროდ შველის შაკიკით შეწუხებულებს, შეტევისგან თავის დაღწევას კი მხოლოდ ყოველი მეოთხე ახერხებს.

ასპირინის ასეთი მრავალმხრივი ეფექტი, მეცნიერთა აზრით, იმით აიხსნება, რომ ბოლო დროს, ძალიან მცირე რაოდენობით სალიცილატებს ვიღებთ საკვებთან ერთად. მეცნარეები კი, მათ თავდაცვის მიზნით გამოიმუშავებენ. რა თქმა უნდა, ვერც ერთი პროდუქტი ვერ უზრუნველყოფს ისეთ ეფექტს, როგორსაც ასპირინის აბი, მაგრამ რაციონის ამ ნივთიერებით გონივრული შევსება მაინც სასარგებლოა. მისი 30 მგ-იც კი, ყოველდღიურად მნიშვნელოვნად აქვეითებს ინსულტისა და ინფარქტის რისკს, რომ აღარაფერი ვთქვათ, მის ანტიოქსიდანტურ მოქმედებაზე, რის გამოც, უნარი აქვს, შეანელოს დაბერების პროცესი.

სალიცილატებით მდიდარი პროდუქტებია:

	100 გმგ
თაფლი	2,5-11,2
შავი ქლიავი	6,9
ქიშმიში	5,8-7,7
კამა	6,9
წითელი მოცვი	5,6
ჟოლო	5,1
ფინიკი	4,5
შავი მოცვი	3,6
ნუში	3,0
ალუბალი	2,8
გარგარი	2,6
ფორთოხალი	2,4
ანანასი	2,1

მცენარეული პროდუქტები, რომლებიც ამ სიაში არ შევიდა, სალიცილატებს ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს. ცხოველურ პროდუქტებში კი ისინი საერთოდ არ არის. სალიცილატების ნამდვილ საბადოს წარმოადგენს კერძის საკაზში სუნელები: ძირა, კოჭა, როზმარიანი, ურცი, კურკუმა და სხვები.

პრეპარატის ფორმები

75-325 მგ-იანი აბები განკუთვნილია სისხლძარღვების პროფილაქტიკისათვის,

მამასადამე – ხანგრძლივი მოხმარებისათვის. ასეთ ასპირინს „კარდიოს“ უწოდებენ. გარსიანი აბები იხსნება არა კუჭში, არამედ ნაწლავებში, რაც უზრუნველყოფს კუჭის ლორწოვანის დაცვას გაღიზიანებისაგან, თანაც – პრეპარატის თანდათანობით გამოყოფას და ორგანიზმში მისი კონცენტრაციის შენარჩუნებას.

500 მგ-იანი აბები – ტრადიციული ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწვევი და ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა. ასპირინი + C – აბი შეიცავს 400

მგ ასპირინს და 240 მგ C ვიტამინს. გაცივების საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებაა. ეს ორი ნივთიერება ავსებს და აძლიერებს ერთმანეთის მოქმედებას.

საბავშვო ასპირინი – არსებობს ასეთი ფორმაც, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ 12 წლამდე ბავშვებისათვის აცეტილსალიცილის მჟავის მიცემა სიცხის დასაწევად არ შეიძლება. მას იშვიათად უნიშნავენ პატარა პაციენტებს ტკივილის გასაყუჩებლად, მაგრამ მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით. ■



კითხვა: მყავს 13 წლის ვაჟი, რომელიც თავისი სიცოცხეს გამო ხშირად იღებდეს ტრავმას და ნატკენ ადგილებზე ბუნებრივად ჩალურჯებები უფიქრდებოდა. მაგრამ ბოლო დროს ვამჩნევ რომ ასეთი ჩალურჯებები სულ უმნიშვნელო დარტყმის შედეგადაც უჩნდება. ხომ არ მეტყველებს ეს რაიმე დაავადებაზე? როგორ მოვიქცე?

კითხვა: ჩემი ერთი თვის პატარა, ჭამის შემდეგ ამოქარვეებს ხოლმე და მერე ისეთი ძლიერი სლოკინი ეწყება, რომ მთელი სხეული უძაგდაგებს. არსებობს თუ არა ასეთ სლოკინთან ბრძოლის ეფექტური საშუალება?

პასუხი: ჩვილ ბავშვებში სლოკინი ჩვეულებრივ, ჭამის შემდეგ იწყება და ზოგჯერ, ამოქარვების და ღებინების მიზეზიც ხდება. ახალშობილთა სლოკინი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოუმწიფებლობასთანაა დაკავშირებული. სლოკინის მიზეზად ნაწილობრივ გვევლინება ხოლმე აგრეთვე, სველი საფენები (გადაცივება) ან ცივი ჰაერი, რომელიც კუჭში ხდება და დიაფრაგმას „აღიზიანებს“. თუ ამოქარვება ჭამიდან ნახევარი საათის განმავლობაში ხდება, არარეგულარულია და განსაკუთრებით, გადამტებული ჭამის შემდეგ აღინიშნება ხოლმე, ეს ნორმალურია. გირჩევთ, ბავშვი კვების შემდეგ, 5-10 წთ-ით დაიკავთ ვერტიკალურად, თან ზურგზე თბილი ხელი რამდენჯერმე გადაუსვით – თქვენი ხელის სითბო და მდებარეობის შეცვლა შეუჩერებს სლოკინს, თანაც, რძესთან ერთად გადაყლაპული ჰაერი გამოიყოფა. თუ ამგვარად, სლოკინს ვერ მოუსხნით, შეგიძლიათ, მუცელი თბილი საფენით გაუთბოთ ან ცოტათოდენი შემთბარი წყალი დაალევინოთ. ■

პასუხი:

კანზე ჩალურჯებული უბნების წარმოქმნა, ტრავმის დროს კაპილარების გასეთქის შედეგია. ტრავმის გარეშე ჩალურჯებების გაჩენა კი შეიძლება, განპირობებული იყოს სისხლძარღვთა კედლის სიმყარის დაქვეითებით (ირღვევა მისი მთლიანობა და სისხლი კანქვე იღვრება) ან სისხლის პათოლოგიით (მისი შედეგების ფუნქციის დარღვევით). გირჩევთ, თქვენი შვილი გაასინჯოთ თერაპევტს და აგრეთვე, ანგიოლოგს. დაგჭირდებათ სისხლის საერთო ანალიზი და ანალიზი შედეგების ფუნქციის დასადგენად.

მედიცინის სიახლეები

კვლაროვალური კოსმეტიკის სიახლე

რომის იმპერიის დროინდელ მოდას აყოლილები ტონალურ კრემს იყენებდნენ. ამას მოწმობს ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან შემორჩენილი ქილა, რომელიც არქეოლოგებმა სამხრეთ ლონდონის ტერიტორიაზე წარმოებულ გათხრებისას აღმოაჩინეს. ქილაში შემორჩენილია კრემი, რომლის შემადგენლობაში შედის ცხოველური ცხიმოვანი, სახამებელი და კალის ჟანგი, რომელიც სახეს დიდებულთათვის დამახასიათებელ სიფერმკრთალეს ანიჭებდა. სპეციალისტებმა უძველესი რეცეპტის მიხედვით, კრემის საკუთარი ვარიანტი დაამზადეს. აღმოჩნდა, რომ იგი კარგად შეიწოვება კანში, არბილებს და ზავერდო-

ვანს ხდის მას. სპეციალისტთა აზრით, უძველეს კრემს შეუძლია, კონკურენცია გაუწიოს თანამედროვე კოსმეტიკურ საშუალებებს. ■

როგორ მოვიპოროთ ნაოჭები

ბრიტანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ინფრაწითელი შუქით დოზირებული დასხივება შესაძლოა, ნაოჭების საწინააღმდეგო რადიკალურ საშუალებად იქცეს. ინფრაწითელი სხივები ასტიმულირებს კანში ელასტინის გამოქმედებას, რის შედეგადაც, იგი მკვრივი და გლუვი ხდება. თვალის ირგვლივ მგრძობიარე კანზე ჩატარებულ ცდებს ადამიანთა 95%-ში დადებითი ეფექტი მოჰყვა: „ბატის თათები“ თვალზე მთლიანად

ქრებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ეფექტი ხანმოკლე აღმოჩნდეს. ნაოჭებთან საბრძოლველი დამოუკიდებელი ხმარებისთვის განკუთვნილი ხელსაწყო და მზადებას კიდევ რამდენიმე ხანი დასჭირდება. ■

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108


18 წლიდან
მომსახურება ფანსინია

რა უნდა ვიცოდეთ სპირიტიზმთან დაკავშირებით?

სპირიტიზმს — გარდაცვლილთა სულების გამოძახებას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი „ძველი ალტქმის“ დროსაც არსებობდა: გავრცელებული იყო ბაბილონელებსა და ეგვიპტელებში. გარდაცვლილთა სულების გამოძახებას ელინებიც მიმართავდნენ. სპირიტიზმი არც „ახალი ალტქმის“ პერიოდისთვისაა უცხო მოვლენა, მას ჩვენს დროშიც მიმართავენ ადამიანები... გვესაუბრება წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი გილახი ნატროშვილი.

შორენა მერაბილაძე

„...უ იქნება თქვენ შორის თავისი ვაჟისა და ასულის ცეცხლში გამტარებული, ჯადოქარი, მომნუსხველი, მარჩიელი, მსახვრალი, გრძნობით შექცრელი, შექალთანე, მხნობაეი, მკვდართა გამომშვიტხველი, რადგან საძაგელია უფლისთვის ყოველივე ამის გამკეთებული“ — ვკითხულობთ „ძველ ალტქ-



მაში“. ამგვარად, მიცვალებულთა სულების გამოძახება სასტიკად იკრძალებოდა „ძველი ალტქმის“ დროს. თუკი

სპირიტიზმი მიუღებელი იყო იმ პერიოდისთვის, მით უფრო მიუღებელია „ახალი ალტქმისთვის“, რადგან იგი ღვთის საწინააღმდეგო საქმედ ითვლება. ეკლესიური მოძღვრებით, სპირიტიზმი ჯადოქრობაა, რომლის საშუალებითაც ადამიანი ცდილობს, ჩასწვდეს მისთვის დაფარულს. დაფარულის დანახვის ნებისმიერი მცდელობა კი უმძიმესი ცოდვაა, რადგან ეს არის მცდელობა იმისა, რომ მოსტაცო უფალს იმის ხედვა, რაც ჩვენთვის დაფარულია (საჭირო რომ ყოფილიყო, უფალი თვითონვე დაგვანახებდა სულიერ — იმქვეყნიურ სამყაროს და უფრო მარტივადაც, ვიდრე სხვადასხვა ჯურის მისნები ცდილობენ მის გამოვლენას — მოძრავი მაგიდებით, თვითმწერი ფანქრებით თუ სხვა გზით. თუკი უფალმა რაიმე დაგვიფარა, ე.ი. საჭირო იყო და არის ჩვენს სასიკეთოდ). სპირიტიზმი ღმერთური წარმოშობისაა და

დიდმარხვა

როგორც „გზის“ წინა ნომერში გაუწყებდით, დიდმარხვის პირველი შვიდეულის დასასრულს, იხსენიება წმინდა თეოდორე ტირონი, იკურთხება კოლიო და აღინიშნება მართლმადიდებლობის ზეიმი...

დიდმარხვის პირველი შვიდეულის დასასრულს კოლიოს კურთხევას, საფუძვლად უდევს შეძღვეი ამბავი: კონსტანტინოპოლის იმპერატორმა — იულიანე განდგომილმა (361-363 წ), რომელიც სამეფო ტახტზე ავიდა კონსტანტინე დიდის ძმის, კონსტანციუსის შეძღვე, უარყო ქრისტიანული სჯული და კერპთაყვანისმცემლობას შეუდგა. იგი ვერ ბედავდა ქრისტიანთა ამკარად ღვენას, ამიტომ მათ წინააღმდეგ ფარულ ხრიკებს მიმართავდა. იულიანემ კარგად იცოდა, რომ დიდმარხვის პირველ კვირას, ქრისტიანები მარხვას განსაკუთრებით ინახავდნენ. დიდი მარხვის დაწყების წინ, მან დაიბარა ქალაქის თავი და უბრძანა, რომ მთელი კვირის მანძილზე, კონსტანტინოპოლის ბაზარში გამოტანილი ყველა სამარხვო პროდუქტი

რატომ იკურთხება კოლიო დიდმარხვის პირველ შვიდეულში?

ნაკერპალის (სამსხვერპლო ცხოველების) სისხლით შეებლათ. იმპერატორის ბრძანება ზუსტად შესრულდა.

ამ განსაცდელის უამს, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ევლოქსის გამოეცხადა წმინდა მოწამე თეოდორე ტირონი (იგი მრავალი წლის წინ იყო ნაწამები ქრისტიანული სჯულისთვის). წმინდა მოწამე აუწყა ეპისკოპოსს, რომ ბაზრებში გამოტანილი ყველა სახის სამარხვო პროდუქტი ნაკერპალის სისხლით იყო შებილწული, თან ურჩია — შეეკრება ქრისტიანები და გაეფრთხილებინა, არ შეეძინათ ბაზარში არანაირი პროდუქტი.

— როგორ უნდა მოიქცეს ღარიბი ხალხი, ვისაც არა აქვს შეიმონახული

სურსათის მარაგი? — ჰკითხა ეპისკოპოსმა. წმინდა თეოდორემ კი ამცნო, რომ მიეცა მათთვის კოლიო — თაფლთან ერთად მონარშული ზორბალი.

ეპისკოპოსმა ევლოქსიმ სასწრაფოდ შეკრიბა ქრისტიანთა სამწყსო და ამცნო მათ წმინდა თეოდორეს გამოცხადების შესახებ. შეძღვე შეიძინეს ზორბალი, მონარშეს კოლიო და მთელი კვირის მანძილზე, მას იხმევდნენ. უფლისადმი მადლიერების გამოხატვის ნიშნად კი, ქება შეასხეს წმინდა თეოდორეს; დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს, წმინდა თეოდორეს ხსენება იდღესასწაულეს და მის პატივსაცემად აკურთხეს კოლიო. ამ სასწაულის მოსახსენებლად, იმ დროიდან

მისი მამობრავებული ძალა სატანაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ამბროსი ოპტინელი წერს: „სპირიტუში სხვა არაფერია, თუ არა მტრული ხიბლი. ეს არის სულეთან ურთიერთობის სწავლება, მაგრამ სულეთან არა სინათლის, არამედ ბნელეთის“.

— აქედან გამომდინარე, სპირიტული სეანსის დროს, გარდაცვლილის სულების ნაცვლად, კავშირი მყარდება ბოროტ სულებთან. მაგრამ სპირიტული სეანსის მიმდინარეობისას ხომ ანგელოზთა და წმინდანთა გამოცხადებაც ხდება...

— სპირიტული სეანსის მიმდინარეობისას, ადამიანი კავშირს ამყარებს არა გარდაცვლილის სულთან, არამედ დემონთან, რომელიც გამოძახებული გარდაცვლილის სახით ცხადდება. დემონურ ძალთა გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის უჩვეულო მოვლენებიც, რომლებიც თან სდევს სპირიტულ სეანსს — თევზის, მაგიდის თუ სხვა უსულო საგნების ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოძრაობა, იღუმალის ხმები და ა.შ. არ არის გამორიცხებული, რომ ამ დროს, ბოროტი ძალა ანგელოზის ან რომელიმე წმინდანის სახითაც გამოცხადდეს, სიმართლედ გვამცნოს და გვიწინასწარმეტყველოს, რადგან მას

მოყოლებული დღემდე, დიდმარხვის პირველ შაბათს, ტაძარში იხსენიება წმინდა თეოდორე ტირონი და იკურთხება კოლიო (თეოდორე ტირონის ხსენება აღესრულება 1-ელ მარტსაც, მისი წამების აღსანიშნავად).

მართლმადიდებლობის მეიმი

დიდი მარხვის პირველი შვიდეულის დასასრულ — კვირადღეს, წმინდა ეკლესიის მიერ აღინიშნება მართლმადიდებლობის ზეიმი — დღე, როდესაც გაიმარჯვა მართლმადიდებლობამ და დაიგმო ხატმებრძოლობა, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ეს დღესასწაული დაწესდა 787 წელს, მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე: კრებაზე წმინდა მამებმა ომსჯელეს, დაგმეს ხატმებრძოლობის ერესი და დაადგინეს, რომ მართლმადიდებლურ ტაძრებში, წმინდა და ცხოველყოფილი ჯვრის გვერდით, აუცილებლად უნდა განთავსებულიყო წმინდა ხატები, თაყვანი ეცათ და პატივი მიეცათ მათთვის.

ამის ძალა შესწევს. ამ გზით ბოროტი სული ადამიანის მოტყუებას და დაღუპვას ცდილობს (მართლმადიდებლური ეკლესია აღიარებს ანგელოზთა და წმინდანთა გამოცხადების შესაძლებლობას, მაგრამ ისინი ეცხადებიან მხოლოდ ღვთის რჩეულთ, ღვთისთვის სათნოყოფელი ცხოვრებით მცხოვრებ ადამიანებს და არა ჩვეულებრივ მოკვდავთ, ამავდროულად ანგელოზები და წმინდანები, ადამიანური ენით გვაუწყებენ ღვთის ნებას და არა რაღაც კაკუნით, რომლიდანაც ასოები უნდა ამოვიცნოთ). წმინდა მამები, რომლებმაც საკმაოდ კარგად შეისწავლეს ეშმაკის ხრიკები, ბრძანებენ, რომ დემონი არასოდეს სთავაზობს ადამიანს ცოდვის ჩადენას პირდაპირ, რადგან იცის, რომ ამაზე ვერ დაიყაბულებს, ამიტომაც თავიდან, უმნიშვნელო აზრებს აწვდის, შემდეგ კი, როდესაც მიხვდება, რომ ადამიანი მიენდო, აკეთებინებს იმას, რაც სურს. ასევე ხდება სპირიტუშიზის დროსაც.

— როგორია სპირიტუშიზის ცოდვით დაცემულთა იმქვეყნიური მისაგებელი?

— სპირიტუშიზით დაინტერესებული ადამიანები უფლისგან უმძიმეს სასჯელს — მარადიულ სატანჯველს დაიმსახურებენ, რადგან მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში უარყვეს ღმერთი და საკუთარი ნებით დაუკავშირდნენ ბნელეთის მოციქულს — სატანას. მაგრამ თუკი ამ ცოდვით დაცემული ადამიანი მიწიერი ცხოვრების დროს ჩასწვდება, თუ რაოდენ მძიმე და სულის მომაკვინებელია ეს ცოდვა, გულწრფელად მონანიებს ღვთისმსახურის წინაშე და საშუალოდ განეშორება მას, კაცთმოყვარე უფალი მიუტყუებს და შეუნდობს.

— ვარდება თუ არა სპირიტუშიზის ცოდვაში ადამიანი, რომელიც გართობის ან უბრალოდ, ინტერესის გამო

მონანილებს სპირიტულ სეანსში?

— სპირიტულ სეანსში მონაწილეობა ნებისმიერ შემთხვევაში უმძიმეს ცოდვად ითვლება. თუმცა ადამიანთა ნაწილს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებსაც პროფესიონალი სპირიტისტის გარეშე, დამოუკიდებლად გამოუძახებიათ გარდაცვლილის სული, მართლაც, გულუბრყვილო ხუმრობად მიჩნიათ ეს და ვერც იმას აცნობიერებენ, თუ რაოდენ მძიმე ცოდვით დაიმძიმეს სული. ამიტომ თუკი ადამიანს, თუნდაც გაუცნობიერებლად, მიუღია მონაწილეობა სპირიტულ სეანსში, ეს ცოდვა აუცილებლად უნდა მოინანიოს ღვთისმსახურის წინაშე და განიწმინდოს მისგან.


— რატომ ენიშნება ეპიტიმია (საეკლესიო სასჯელი) ადამიანს, რომელიც სპირიტუშიზის ცოდვის მონანიებას გადაწყვეტს?

— საერთოდ, ადამიანს ეპიტიმია ენიშნება მძიმე, მომაკვინებელი ცოდვის მონანიების შემდეგ, რათა ამ გზით, მონაწილე ღრმად ჩასწვდეს ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს, ნათლად დაინახოს მისი დამღუპველი ზემოქმედება და რაც მთავარია, სრულყოფილად განიწმინდოს ჩადენილი ცოდვისგან. ეპიტიმის სახით, მოძღვარმა მონაწილეს შეიძლება დაუწესოს ლოცვითი კანონი, კერძო მარხვა, დაუნიშნოს მეტანიები და სხვა. მაგრამ სხვადასხვა მონაწილეს, ერთი და იმავე ცოდვის გამო, შესაძლოა, ღვთისმსახურმა დაადოს სხვადასხვა სახის საეკლესიო სასჯელი, რადგან ეპიტიმის დაწესების დროს, გასათვალისწინებელია სინანულის ხარისხი, აგრეთვე მონაწილის სულიერი, ფიზიკური და ოჯახური მდგომარეობა.

☆★☆☆

უკეთუ თვალი შენი მარჯვენა გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, — შეუპოვარი რწმენის დევიზთაგანი.

მათე 5, 28



ბენიალური



საჩუქარი ეტო'ო, ვარსკვლავი, როგორც ხალხის სიყვარული დაიხსნა

ცოტა ხნის წინ, „ბარსელონის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, სამუელ ეტო'ო 24 წლის გახდა. რა თქმა უნდა, მისთვის ყველაზე კარგი საჩუქარი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე თამაშის უფლების მოპოვება იქნებოდა. მაგრამ როგორც ცნობილია, „ბარსამ“ მერვედფინალური განმეორებითი შეხვედრა ლონდონის „ჩელსისთან“ ანგარიშით 2:4 დათმო და ასპარეზობას დროზე ადრე გამოეთიშა, თავად ეტო'ომ კი, სწორედ ამ მატჩში აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. არადა, კატალონიური გრანდი თავიდანვე, ტურნირის გამოკვეთილ ფავორიტად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, სამუელი პესიმოზმს არ მისცემია და იმედოვნებს, რომ გუნდთან ერთად მიმდინარე სეზონში ესპანეთის პრიმერადივიზიონის გამარჯვებულის ტიტულს მიიღვდა.

„ბარსელონასთან“ კონტრაქტის გაფორმებიდან 7 თვის შემდეგ, სამუელ ეტო'ო გუნდში ჩინებულად გრძნობს თავს, გაწეული სამუშაოსთვის კლუბის პრეზიდენტ ხუან ლაპორტასა და მთავარ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს აქებს და ხაზს უსვამს იმას, რომ მოთამაშეთა შორის არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევს.

კამერუნელმა ფორვარდმა „ბარსას“ მოთამაშის ამბლუაში თავისი პირველი დაბადების დღე იხეიმა. მან ისიც კარგად იცის, თუ რა გაახარებდა ყველაზე მეტად: „მართლაც, ბედნიერი ვარ იმით, რომ დაბადების დღეს აქ ვიხდი. პრიმერადივიზიონში გამარჯვების მიღწევა მსურს. ეს ჩინებული საჩუქარი იქნებოდა იმ დიდი სამუშაოსთვის, რომელსაც ჩვენ ვეწევი. ვამაყობ იმ თამაშის მანერით, რომელსაც ვაჩვენებთ. მთელ მსოფლიოს დავანახვეთ, რომ კარგი, ლამაზი ფეხბურთის თამაში დღესაც შესაძლებელია“.

თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, სამუელს დიდი და რთული გზის გავლა მოუხდა, ვიდრე საქვეყნო აღიარებას მიაღწევდა. მაგრამ მის ცხოვრებაში ყოველთვის დომინირებდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: „ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია – ჩემი ცხოვრება და ბედნიერება. თუმცა, ის ხანდახან, უსიამოვნებასაც მანიჭებს.“ ეტო'ო ხაზს უსვამს იმას, რომ „ბარსაში“ გადასვლის შემდეგ, იგი განსაკუთრებულ ატმოსფეროში აღმოჩნდა. „ეს საოცარი გრძნობაა, – დასძენს კამერუნელი, – თავიდან არ ვუჯერებდი ჩემს მრჩეველებს, რომლებიც მეუბნებოდნენ, რომ აქ რაღაც



უჩვეულო გარემოა შექმნილი. მაგრამ ახლა მეც ამ გუნდის განუყოფელი ნაწილი ვარ და ვხედავ, რომ ის მართლაც, უნიკალურია. ვიმედოვნებ, რომ მიმდინარე სეზონში გაგვიმართლებს. მოდი, ვიბრძოლოთ და წარმატებაც არ დააყოვნებს“.

სამუელი არც „ბარსელონის“ ერთგულ ფანებს ივიწყებს და მოუწოდებს, რომ საფეხბურთო სეზონის დასკვნით ეტაპზე, კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი საყვარელ გუნდს. „ჩვენი ქომაგები დიდ სიხარულს იმსახურებენ. ახლა, როდესაც ფინიშს ვუახლოვდებით, მათი დახმარება კიდევ უფრო გვესაჭირობა. სწორედ მათი მხარდაჭერით მივაღწევთ სანუკვარ მიზანს“, – აცხადებს ეტო'ო, რომელიც ამჟამად, ესპანეთის პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირია და ისევე, როგორც სხვა გოლეადორებს, ადგილობრივი გულშემატკივრები მასაც „პიჩის“ ეძახიან. კატალონიელთა ფორვარდს 19 გოლი პრიმერადივიზიონში, ხოლო 4 – ჩემპიონთა ლიგაში აქვს გატანილი. მისი ოცნება კი, კარიერის „ბარსაში“ დასრულებაა. „ყოველთვის ვამბობდი, რომ აქ ბევრი შანსი მომეცემა, რადგან გუნდში მეგობრებით ვარ გარშემორტყმული, რომლებიც თავ-თავიანთ სათამაშო პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესონი არიან. ეს მორალურ სიმტკიცეს მმატებს. როდესაც მათ ყველაფერი გამოსდით, ბევრი გოლი გამატებს“, – დასძენს აფრიკელი თავდამსხმელი, რომელსაც საკუთარ ბომბარდირულ მიღწევებზე ფოკუსირება არ სურს: „არასოდეს ვფიქრობ და ვლაპარაკობ იმაზე, თუ რამდენ გოლს გავიტან, რადგან ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება. ყოველ მატჩში თავდაუზოგავად ვიბრძოლებ და მწვრთნელის დავალების ზედმიწევნით ვუსტად შესრულებას შევეცდები“.

ეტო'ო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრეზიდენტ ხუან ლაპორტისა და მთავარი მწვრთნელის ფრანკ რაიკარდის

მიერ გაწეულ სამუშაოს. „პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა, რათა აქ გადმოსვლაში დამხმარებოდა. ჩვენ ერთმანეთს სიტყვა მივეცით. შეიძლება ითქვას, მე და ლაპორტა ვმეგობრობთ, რაც ურთიერთნდობაზეა აგებული. ვიმედოვნებ, ჩვენი ურთიერთობა კიდევ მრავალი წელი გაგრძელდება. მწვრთნელზე კი, იმის თქმა შემიძლია, რომ ის ყოველთვის მშვიდია, თუმცა ბევრი, წინასწარობიდან მის გამოყვანას ცდილობს. რაიკაარდი განსაკუთრებული ადამიანია და ნამდვილად იმსახურებს დიდ წარმატებებს“, – აცხადებს სამუელი, რომელიც ცოტა ხნის წინ, ზედიზედ მეორედ დაასახელეს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად. სამუელმა უკან ჩამოიღო კოტ დ'ივუარის ნაკრებისა და „ჩელსის“ თავდამსხმელი დიდი დროება და ნიგერიის ეროვნული გუნდის შემტევი ნახევარმცველი, ჯეი-ჯეი ოკონა. შეგახსენებთ, რომ შარშან, როდესაც ის „მალიორკის“ ღირსებას იცავდა, ასევე დაასახელეს „შავი კონტინენტის“ საუკეთესო მოთამაშედ. „ბარსაში“ გადასვლის შემდეგ კი, ეტო'ო კიდევ უფრო მაღალ დონეზე ათამაშდა.



ახლა კი იმ ადამიანებს მოვუსმინოთ, ვინც სამუელ ეტო'ოს პირადად იცნობს.

ალბერტ ლუკე („სამუელის თეთრი ძმა“): „გისურვებ, რომ მომავალშიც ისეთივე წარმატებით გეასპარეხო, როგორც „ბარსაში“ გადმოსვლის პირველ თვეებში და დაუფლებოდე ყველა ტიტულს, რომელზეც ოცნებობ. შენ ჩემი დიდი მეგობარი ხარ, ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომლებიც ყოველთვის ჩემ გვერდით არიან, როდესაც მათი დახმარება მესაჭიროება. მინდა, რომ დიდ გამარჯვებებს მიაღწიო, რადგან ამას ნამდვილად იმსახურებ“.

მაგდალენა გრაცია (ბარსელონელი მონაზონი): „ის ძალიან მორწმუნე, კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანია. სამუელმა დიდი დახმარება გაგვიწია. მას ადამიანებში ნდობის მოპოვების საოცარი უნარი აქვს. ეტო'ო ყოველთვის დადებით ენერჯიას ასხივებს და უსაგნოდ არასოდეს ლაპარაკობს. კარგია, რომ ჩვენ შორის, სამუელის მსგავსი, ეკლესიური ადამიანები კიდევ არიან“.

პედრო პაბლო ბრაიოსი („ლინარესის“ მწვრთნელი): „საჩუქარი? მსურს, რომ პრიმერადივიზიონის და „პიჩინის“ ტიტულს დაეუფლო. ამას ნამდვილად იმსახურებ. ეს ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნით მიღებულ ტკივილს შეგიმსუბუქებდა. შენი ბრძოლისუნარიანობითა და გამარჯვებისადმი უჩვეულო სწრაფვით „ბარსასთვის“ ნამდვილი განძი ხარ“.

მადრიდული სასტუმრო Tryp Centro Norte-ს თანამშრომლები (სწორედ იქ ცხოვრობდა სამუელი, როდესაც პირველად ეწვია ესპანეთს): „სამუელ, ნუ დაგავიწყდება, რომ შენი ავტოგრაფით დამშვენებული მაისური უნდა გვაჩუქო. ეს ნუ დაგავიწყდება, თუმცა, ისიც შეგიძლია, რომ შენი ავტომობილებიდან ერთ-ერთი ჩვენ გამოგვიგზავნო. გრეგორიო, გონსალო და ყველა დანარჩენი მოგესალმებით და გამოგხატავთ ჩვენს მადლიერებას იმის გამო, რომ მადრიდში ყოველი ჩამოსვლისას, ჩვენს სასტუმროში ჩერდებოდი. დაბადების დღეზე კი, საჩუქრად ლექსიკონს გიგზავნით, იმიტომ, რომ არავინ გვეგულება ისეთი, ვინც პრესკონფერენციაზე შენს ნათქვამს გაიგებდა... ეს ხუმრობაა, მეგობარო. ხშირად ვიხსენებთ, თუ

რა სასაცილოდ წარმოთქვამდი ჩვენს სახელებს, როდესაც რაულ ბრავოსთან ერთად ცხოვრობდი ნომერში და ესპანურად ერთი სიტყვაც არ იცოდი. მოდი, ასეთივე ბიჭად დარჩი, კარგი?“

კონსეპსიონ მარტინესი (დიასახლისი, 6 შეილის დედა): „სიმართლე გითხრათ, ფეხბურთი არ მიყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ბარსელონაში“ სამუელი გადმოვიდა, ამ გუნდის ქომაგი ვავხდი. კლუბის წევრი ვარ და ეტო'ოს პირადად ვიცნობ. მოხიბლული ვარ მისი სალი აზროვნებით. სამუელი ხომ ორი მცირეწლოვანი შეილის მამაა, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს“.

ვინფრედ შეფერი (კამერუნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი): „მინდა, რომ ახლა ბარსელონაში

ვიყო, რათა მაგრად გადავხვით და ვკითხო – როგორ გრძნობ თავს? სამუელი მართლაც ძალიან მენატრება. ის ექსტრაორდინარული ფეხბურთელი, გულითადი ადამიანი, ჭარმაგი ადამიანის სიბრძნით დაჯილდოებული ბავშვია, რომელსაც სამშობლოში ძლიერ აფასებენ. კარგი იქნებოდა, რომ ყველა მოთამაშე მისი მსგავსი ყოფილიყო. ჩემი საჩუქარი? – ჯანმრთელობა და კარგი განწყობა. ხალხის გასაერთიანებლად მან უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ბევრმა პოლიტიკოსმა: ეტო'ო რასიზმისა და რასისტების დაუძინებელი მტერია“.

მარიუს მეკონ ნკოიოკი (საფეხბურთო აგენტი): „მეგობარო, დარწმუნებული ვარ, რომ „ჩელსისთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, კარგი დღეებიც დაგეგმება. ხომ იცი, კამერუნში დაბადების დღეს დიდებულად ზეიმობენ. ჩემი მხრივ, რაიმე ამადღევებელს, მთელი სულითა და გულით მოგართმევდი“.

ახმედ ფეიზი (სუვენიერების მაღაზიის გამგე): „ეტო'ოს მაისურები ყველაზე კარგად სადღება. თანაც, მას ძირითადად, არა ჩვეულებრივი ტურისტები, არამედ მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანები ყიდულობენ. მეც და ისინიც სამუელს ყველაფერს ვაჩუქებდით, რაც კი გავაჩანია“.



სშირად მოასმენინეთ მცენარეებს კლასიკური მუსიკა



გორი, გორის ციხით, სტალინის სახლ-მუზეუმითა და თურმე კიდევ... შურა პაპის ბალით ყოფილა განთქმული. ალექსანდრე ელიზბარაშვილმა საკუთარი ეზო ნამდვილ ბოტანიკურ ბაღად აქცია, მისი გაშენება ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო. ამ საუცხოო ბაღის სანახავად საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოდიან. აქ დეკორატიული, ეგზოტიკური და რაც მთავარია, ძალზე იშვიათი, ჩვენი კლიმატური პირობებისთვის უჩვეულო მცენარეები ხარობენ.

ელენე ხირსელი

— როგორ დაიწყეთ ეს საქმიანობა?

— 1953 წელს გორში ძველი, ეზოიანი სახლი ვეიდე, დავანგრიე და მის ადგილას დიდი ორსართულიანი სახლი წამოვჭიმე. მაგრამ სახლი რა სახლია, თუ მას ბაღი არ ამშვენებს?! გადავწყვიტე, ისეთი ბაღი გამეშენებინა, დიდი თუ პატარა — ყველა გამოეცხინა! მგონი, მივალწიე საწაღელს. ნერგები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილიდან ჩამომქონდა. სამწუხაროდ, თვითონ ვერ მოვახერხე საზღვარგარეთ გამგზავრება, მაგრამ როგორც კი შევიტყობდი, ვინმე უცხოეთში მიემგზავრებოდა, ნაცნობსა თუ უცნობს — ყველას ვთხოვდი იშვიათი მცენარეების თესვები ჩამოეტანათ. სხვათა შორის, აფრიკაში ერთი ისეთი კამკამა ხე ყოფილა („ემსაკის ხეს“ ეძახიან), რომელიც ღამით ანათებს. თურმე, ისეთი შარავანდედი ადგას თავზე, რომ ღამით მის ძირში წიგნის კითხვაც კი შეიძლება. აი, ასეთი ხე რომ მქონოდა, როგორ დაამშვენებდა ჩემს ბაღს!

— რამდენი სახეობის მცენარეა თქვენს ბაღში?

— ასამდე. ყველას რა მოთვლის: ტროპიკული ლიანები, მანდრაგორა, იშვიათი ჯიშის პალმები. მარადმწვანე ქაჯვი, 5-6 სახის ბუჩქი, ტუია, ჩინური ვარდი, ცხენისწაბლა...

ჩემი ბაღი მთელი წლის განმავლობაში — ზამთარ-ზაფხულ, ერთნაირად ლამაზია. სხვადასხვა ჯიშის სხვადასხვა სეზონზე ყვავილობს. გაზაფხულზე ძირითადად, ვარდები ყვავილობენ, ივნისში — ფხვიერა ეხვევა, თანდათან ტროპიკული მცენარეებიც იღვწის.


რეებიც იღვიძებენ, მერე, სამი თვე — ვაზი, სურღი და ჟასმინი ახარებს თვალს, ზამთარში კი, მარადმწვანე მცენარეების წყალობით, ბაღი ისეთივე მშვენიერი და თვალისმომჭრელია, როგორც წლის ნებისმიერ დროს. როცა თოვლი მოდის, საოცარი სანახაობაა: ხასხასა მწვანე მცენარეებს, თეთრი ფიფქები ადნება. მწვანე ფერი — ახალგაზრდობისა და სიმორცხვის სიმბოლო, სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლო — თეთრ ფერს ერწყმის. ზოგიერთ მცენარეს — მაგალითად, ტუიას — ფრინველები (შაშვი, გარეული მტრედი...) ეტანებიან. თუ გინდა, რომ ჩიტების ჭიკჭიკით დატკბე, ამ ხის ძირას უნდა ჩამოვდე — უდიდესი სიამოვნებაა!.. ერთი მოზრდილი და რამდენიმე მომცრო ზომის კუნძი, მაგინდისა და სკამების ფუნქციას ასრულებს — დამეთანხმებით, აქ ქეიფსა და ტკბილ მუსიკას არაფერი სჯობს! ეგზოტიკურ

ბაღს სიმყუდროვეს მატებს ქართული ეროვნული ატრიბუტები: კოხტად მოწყობილი მარანი, ქვევრითა და ჭურით, თონე, არყის სახდელი...

— თქვენს ბაღში ბევრი ისეთი ჯიშია, რომელიც ჩვეულებრივ, ჩვენს პირობებში არ ხარობს...

— თავიდან, მხოლოდ ჩვენს პირობებს შეჩვეულ მცენარეებს ვრგავდი. მერე გადავწყვიტე, ჩინური ვარდი, აფრიკული პალმის ერთი იშვიათი ძირი მეხარებინა. ისე გაინაგარდეს, როგორც შშობლიურ ნიადაგზე. ამან იმხელა სტიმული მომცა, თავი ყოვლისშემძლე ვიგრძენი. რომელ მცენარესაც არ უნდა მოვკიდო ხელი, როგორი მოწყვნილიც არ უნდა იყოს, მაშინვე გახალისდება. წარმატებებმა ფრთები შემასხა. როგორც პატარა ბავშვს, ისე ველოლიავები და ვეფერები თითოეულ ღეროსა და ფოთოლს. ყველამ იცის, რომ მცენარე ცოცხალი არსებაა — სუნთქავს, მრავლდება, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მათ აღამიანური გრძნობებიც აქვთ და ჩვენი ენაც ესმით. ამიტომაც ვცდილობ, სშირად ვესაუბრო. როცა რაღაც მაწუხებს, ისინიც მოიწყვენ ხოლმე, თუ გახარებული ვარ, ამათაც უხარიათ გადაიშლებიან და ისეთ არომატს აფრქვევენ — დაგათრობს... კიდევ, მცენარეებს ძალიან უყვართ მუსიკა, თუმცა, სხვადასხვა სტილზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ: წყნარი, ლირიკული მელოდები ამშვიდებთ, მხიარული და რიტმული ახალისებთ, როკი და მეტალი ალაგზნებთ... თუ გინდათ, რომ თქვენი მცენარეები სწრაფად გაიზარდონ, სშირად მოასმენინეთ კლასიკური მუსიკა..

— როგორც ვიცო, თქვენი



ამას წინათ, ამერიკელი ბიოლოგი მენჯია... ერთი საათი მეხვეწა, ოღონდაც ვამიზილე, რა საიდუმლოს ფლობ და ვაღმში არ დაგრჩებო...

ბაღის სანახავად, უამრავი სტუმარი მოდის...

— დღე არ გავა, სტუმრები რომ არ მივიღო. ჩამოდიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან. აგრონომები და სელექციონერები პროფესიული საკითხებით ინტერესდებიან, ბევრიც უბრალოდ დასათვალიერებლად მოდის. ამას წინათ, ამერიკელი ბიოლოგი მეწვია. გაცეკულებული იყო, ვერაფრით წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა რადიკალურად განსხვავებულ პირობებს შეჩვეული მცენარეების გვერდიგვერდ თანაარსებობა. ერთი საათი მეხვეწა, ოღონდაც გამიმხილე, რა საიდუმლოს ფლობ და ვალში არ დაგრჩებიო. ჩემი საიდუმლო ის არის, რომ ბუნება საკუთარ თავზე მეტად მიყვარს-მეთქი. ასეთმა პასუხმა არ დააკმაყოფილა და გამინაწყენდა...

— ბაღში მხოლოდ დეკორატიული მცენარეებია?

— რა თქმა უნდა, არა. ის ბაღი რა ბაღია, სადაც კაცს პირის ჩატკბარუნება არ შეუძლია?! ჩემთან შეგიძლიათ მიირთვათ ვაშლი, მსხალი, კოროლიოკი, თხილი, ალუბალი, ციტრუსულები, ყურძენი... აქვე შეგიძლიათ ჩემი დაწურული ღვინოც ივემოთ, რომელიც მუდამ დგას დოქით, ხის ძირში.

— შურა პაპა, ახლა თქვენს ცხოვრებაზე, წინაპრებზე გვიამბეთ.

— დავიბადე 1926 წელს, გორთან ახლოს, სოფელ ქვეშში. ეს ისტორიული ადგილია — იქ არის ქსნის ერისთავთა საძვალე, XII საუკუნის სამონასტრო კომპლექსი იკორთა და ციხე. შეძლებულ ოჯახში გავიზარდე, 8 დედამამიშვილი ვიყავით — 1 და და 7 ძმა. ჩემი წინაპრები პატარა ფეოდალები იყვნენ, სახლი და ქონება ბრძოლებში მოიპოვეს. ჩემი დიდი პაპა სოფელ საცხენეთის (ახლანდელი ცხინვალის), რაიონის მკვიდრი, ქსნის ერისთავების მსახური, მეომარი, იკორთის დამცველი გახლდათ. XIX საუკუნის 40-იან წლებში, დაღესტნელთა შემოსევებისას გამართულ ბრძოლებში ისახელა თავი და ამისთვის კარგად დააჯილდოეს: ერისთავმა 40 ჰექტარი მიწა უბოძა, თავისი ტყით, აუშენა სახლი და თავის მეზობლად დაასახლა. მეგობრობა თაობიდან თაობებს გადაეცა: ნიკოლოზ ერისთავის შვილიშვილი ლადო (მამაჩემის თანატოლი და სენნია) ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. მამა ყმაწვილკაცობაში ვაჭარ იაკობ ენატაშვილს ჰყავდა შეგირდად. სხვათა შორის, ამ ოჯახის მოსამსახურე იყო სტალინის დედა — ეკატერინე ჯუღაშვილი და პატარა სოსოს ხშირად უწევდა აქ ყოფნა. ეგ-


ნატაშვილის გაკვეთილებს, როგორც ჩანს, უქმად არ ჩაუვლია და მამა, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ნამდვილი ბიზნესმენი დადგა. ძალიან ჭკვიანი, პრაქტიკული, გამჭრიახი გონების, შრომისმოყვარე და საოცრად წესიერი კაცი იყო. სულ იმას გვაწავლიდა, პატიოსნად გვეცხოვრა. გახსოვდეთ, ნაარმევი ქონება არავის შერჩებაო, — გვეუბნებოდა. ბაღებს ყიდულობდა, ხილი მოჰყავდა და მერე, საკუთარ მალაზიებში (მამის საბაყლო ერქვა) ყიდდა. 1930 წელს ბოლშევიკებმა თბილისის ბინა, მალაზიები — ყველაფერი ჩამოგვართვეს და საცხოვრებლად სადღაც სარდაფში შეგვეყარეს... საშუალო სკოლა 1942 წელს დავამთავრე. გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, ცოტა ხანს ფრონტზე ბრძოლაშიც მომიწია. მერე, დაუსწრებლად მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტში ვსწავლობდი. სად არ მიმუშავია?! 1951 წელს, დავქორწინდი. მეუღლე, — ექიმი-სტომატოლოგი იყო, კეთილშობილი, სანდომიანი ქალბატონი. ცხოვრება სიამტკბილობაში გავლიეთ. სამწუხაროდ, 8 წლის წინ გარდაიცვალა. მყავს 2 ქალიშვილი, ერთი დანიაშია გათხოვილი და 17 წლის გოგონა ჰყავს, მეორეს ორი გოგონა ჰყავს... მეუღლე სულ მხარში მედგა, ძალიან უყვარდა ჩვენი ბაღი, განსაკუთრებით ყვავილებზე ზრუნავდა. მისი უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი ისე მოვაწყვე, როგორც თავად მოეწონებოდა — მისი საყვარელი ყვავილებითა და იშვიათი, მათ შორის, მარადმწვანე მცენარეებით დავამშვენე...

— ვიცი, რომ თქვენ ლექსებსაც წერთ...

— მაქვს ასეთი სისუსტე. ხანდახან როცა შემომავლება სევდა, დაჯვდები ჩემთვის და ვწერ: ცხოვრებაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე...

— და რა თქმა უნდა, ბუნებაზეც, ხომ?

— არა, ბუნებას არ ვეწერ, რადგან ვფიქრობ, რომ ვაჟას შემდეგ სირცხვილია, ამ თემაზე ვწერო... მიზ-



ჩემი წინაპრები პატარა ფეოდალები იყვნენ, სახლი და ქონება ბრძოლებში მოიპოვეს

იდავს აღმოსავლური პოეზია: ნაზიმი, ომარ ხაიამი... ვწერ მოთხრობებსაც, მინდა, დავეწერო ისტორიული რომანი შამილის დროიდან დღევანდლამდე, სადაც ჩემი წინაპრების ცხოვრებაც იქნება ასახული.

სუსინი ჯლიუსი

სანდო და ეფექტური პრეპარატი მთელი ოჯახისთვის!

ხველბის საწინააღმდეგო საშუალება მოზარდთაგან და ბავშვებისთვის.

შეამდგანოება:
1 რ.კ.-ში (5 მლ): ბავიფენაინი - 100 მგ, დამსტრომეტორფანის პილრობრომილი - 10 მგ.

- ხსენის ხველას
- ათხელბის ნახველს და აიოლბის მის გამოღვენას სასუნთქი გზებიდან
- თრბუნავს რაფლბატორულ ხველას
- არ შეიყავს სპირტს, აჰვს სასიამოვნო ალუბლის ბემო

ბოთლის ყალი დალაჰულია საფირმო დასავი შოჰთით. თან ახლავს დოზირბული შიჰა. 1 TSP = 1 რბის კოზბი

ყარბღბით ბავსანით საშორბლო საშუბლის ბაშოყბვის ინსტრბჰისა

რბი ოჯახის აშთიბი
 ალბბბბბბბბბბბბბბ 148/11

საბბბლი მწარბოტკულ სატბლი, ჩბკბი, ა.მ.მ.



ლუბა ელიაშვილი

ჟზე, დიდი ქვის ქვეშ უზოვია. ჩანთაში, სხვა წვრილმანებთან ერთად, საოჯახო ფოტოსურათი დევს, რომელზეც ნატალიას ვარაუდით, 4 წლის ანკაცაა გამოსახული... ქალი გადაწყვეტს, ეს სურათი უჩვენოს ბატონ ვახტანგს, რომელიც ირწმუნება — ფიზიონომისტი

სანედისწერო კოიაჟი

(დასაწყისი ის. გზა №7-10)

თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე თავის ორ შვილთან — 16 წლის ჯაბასა და 4 წლის ლიზისთან ერთად მყოფი ნატალია თევზაძე, მეტსახელად ბატი ტასიკო, ქართველი გოგონას — ანკას მკვლევლობის გარემოებათა დადგენას ცდილობს. ნატალია და ჯაბა დარწმუნებული არიან, რომ ამ დანაშაულთან არავითარი კავშირი არა აქვს ანკას მეგობარ ბესოს, რომელსაც თურქ სამართალდამცველები ეჭვმიტანილად მიიჩნევენ და დააკავებენ კიდეც. სხვა დამსვენებლებთან ერთად, გამომძიებლები იმავე სასტუმროში მყოფ ქართველებს — დედა-შვილ თევზაძეებს, ახალგაზრდა წყვილს — ნათია და ელგუჯა ქორიძეებს, მათი შვილების ძიძას ლიკას, ფსიქიატრ მეცნიერს ვახტანგ აბაშმაძეს დაჰკითხავენ.

შოკური მდგომარეობიდან დამსვენებელთა გამოსაყვანად, მენეჯერი საიდი და მისი ცოლი ნიკოლი ენ. „ბიზ-ფართის“ მოაწყობენ. ნიკოლი ყურადღების ცენტრშია: მაღალი, მოხდენილი ქალბატონი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს, არავის აკლებს ყურადღებას და მიუხედავად ერთგვარი მოუხეშაობისა, ბევრ ადამიანში სიმპათიას აღძრავს. მაგრამ ვახტანგ აბაშმაძეს ის წარსულის ერთ-ერთ ეპიზოდს გაახსენებს, რომელიც ცხანეთში მის მოგზაურობას და ტრანსსექსუალებთან შეხვედრას უკავშირდება.

მკვლევლობასთან დაკავშირებული ფაქტების დასადგენად, ნატალია ახლომდებარე რესტორანში მიდის. იქ მას მზარეული ქალი, დაღუპული ანკას პატარა ზურგჩანთას გადასცემს, რომელიც პლა-

ვარ და შემოიღია, ერთი შეხედვით გამოვიცნო, თუ რა უდევს გულში ადამიანსო... ცოტა ხნის შემდეგ, ნატალია შეიტყობს, რომ ლიკა და ელგუჯა საიდუმლოდ ხვდებიან ერთმანეთს და მათ დიალოგსაც მოჰკრავს ყურს, მაშინ, როდესაც გამწარებული ძიძა ეკითხება კაცს — რატომ არ მენმარები ბავშვის დაბრუნებაში, ის ხომ შენი შვილიცაა?..

— აბა, რა შემოიღია აქ, ამ უცხო ქვეყანაში?! დაწყნარდი, რამეს აუცილებლად მოვიფიქრებ. ხომ ხელავ, ბავშვს არაფერი უჭირს.

ამ ხმასაც კარგად ვიცნობ. ისე, წესით, მისი პატრონი სულ სხვაგან მეგულებოდა.

— იცოდე, აქედან ჩემი შვილის გარეშე, არ წავალ. ექსპერტიზას მოვითხოვ, დელობას დავამტკიცებ. იცი, რა მითხრა იმ დამპალმა?! ბავშვზე უარი თვითონ თქვი და საბუთებზეც ხელი მოაწერე, ახლა კი შანტაჟს მიწყობო. თითქოს სხვა გამოსავალი დამიტოვა...

— დაწყნარდი, გთხოვ! ტირილით საქმეს არ ეშველება.

— სულ ეგ არის შენი სათქმელი, შენი კაცობა? სულ არ გიყვარვარ... იცოდე, ნებით თუ არ გამატანს ბავშვს, მოვიტაცებ და წავიყვან. თავიც რომ დაგიღუბო, მაინც ასე მოვიქცევი... შენთვის ალბათ ადვილია, სხვა შვილებიც გყავს... მე რა ვქნა, რა?

— რომ არ მეყარებოდი, აქ არ წამოვიყვანდი. ნათიამ რომ გაიგოს, რა შარში გავხვები, ბავშვებს მომანატრებს. შენი სიყვარულის გამო ყველაფერი სასწორზე შევაგდე!

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ თავშეკავებული და საკმაოდ ცინიკოსი

ელგუჯა ქორიძის გულში ასეთი ვნებები ბობოქრობდა. არადა, ფაქტი სახეზე იყო. ელგუჯა ლიკას ჩემ თვალწინ ესვეოდა და კოცნიდა, უკვე მსუბუქი საზაფხულო სარაფნის გახდაც დაუწყო... ის იყო, სირცხვილით სახეაწითლებულმა გაპარვა დავაპირე და უკან ნაბიჯიც გადავდგი, რომ ელგუჯამ გამოიხედა. ჩემი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მან თვალი თვალში გამიყარა, მაგრამ ჩემკენ ზურგით მდგარი ლიკას გაშიშვლება არ შეუწყვეტია. ახლა კი მივხვდი, რომ იქ ვერაფერი შემაჩერებდა და ადგილიდან მოვწყდი.

ჯაბა საბავშვო აუზის კიდეზე ჩამოგდარიყო. ხელში პატარა, წითელი ნიჩაბი ეჭირა და ბავშვებს წყალს აშხუფებდა. ლიზი, კატო და ოთო მის გარშემო დახტოდნენ და კისკისებდნენ. აქომინებული და გულამოვარდნილი, შეზღონებულ დავეხეთქე. ჯაბას, ბავშვებს რომ არაფერი გაეგოთ, ჩურჩულით, მოკლედ აუხსენი საქმის ვითარება. მანაც მიპატაკა, რომ ანიმატორების უფროსისგან საინტერესო ინფორმაცია შეიტყო ანკას შესახებ. ორი დღის ჩამოსული ანკა სკანდალში გახვეულა, მაგრამ მერე, ნიკოლის თხოვნით, ეს სკანდალი ჩაუფარცხავთ და ანკაც აღარ გაუგდიათ.

— ჯორდანას რომ ჰკითხო, ეს ნიკოლი ანგელოზია, საიდას რომ უძლებს. სამი წლის წინ, მთავარმა მენეჯერმა, ერთ ქართველ ანიმატორთან რომანიც გააბა. მაშინ ნიკოლი ისე გაბრაზდა, რომ საქართველოდან ჩამოსული ანიმატორების მიღება საერთოდ აკრძალა. მერე ბესოს გულისთვის გამონაკლისი დაუშვა. მან კი ანკა ჩამოიყვანა. ჰოდა, ეს ანკა ოთხი დღის წინ, ნიკოლს, თავისი ქმრის კაბინეტში, საწერ მაგიდასთან დახვდა წამოსკუპებული. ნიკოლმა ჯერ დაცვას გამოუმხსა და ანკას, სასტუმროდან გაგდებდა დაუპირა, მერე კი რატომღაც გადაწყვეტილება შეცვალა. მოკლედ, ხმაური ატყდა და ანიმატორებმა ამიტომ გაიგეს ეს ამბავი. ნიკოლს ალბათ ეგონა, რომ ანკა საიდის გაქურდვას აპირებდა. მერე, ეტყობა, გაარკვია, რომ საიდმა მისცა კაბინეტის გასაღები და ეს ამბავი ღამაღამ. ანკას კი, როგორც ჩანს, თვითონაც უნდოდა, ნიკოლს რომ ენახა ქმრის კაბინეტში შეპარული.

— ეგ საიდან მოიტანე? — ჩავეკითხე ჯაბას.

— ჯორდანასთვის უკითხავს, — ნიკოლი ქმრის კაბინეტში როდის არის ხოლმეო? — და იმასაც უთქვამს, რომ საიდი უკვე ორი თვეა, ყოველდღე, პირველი საათისათვის, ანტალიაში მიემგზავრება ხოლმე. „სილენდის“ სისტემის იქაური შვევი ახალია და უფროსობის

დავალებით, საიდა ეხმარება. მაგ დროს კაბინეტში ნიკოლი რჩება და ზარებს პასუხობს. მოკლედ, ანკამ კარგად იცოდა, რომ ნიკოლი დაადგებოდა თავზე და მაინც იმ დროს გაიჩითა კაბინეტში.

– გაუგებარია, რატომ უნდა ნდომებოდა ანკას ძალით სკანდალში გახვევა?

– ჯორდანა ამბობს, რომ ეგეთი ნაშები არსებობენ, რა... სპეციალურად ჩაიწინებენ, თავისი საყვარლების ცოლებს გააგებინონ ქმრების ამბავი, ოჯახი რომ დაუნგრინონ.

გამეღიმა. ეს ვერსია არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა. არაფრით დასტურდებოდა, რომ ანკას საიდთან რომანი ჰქონდა. თანაც, ასეთ შემთხვევაში, ნიკოლი უპრობლემოდ გააგებდა ანკას სამსახურიდან, რადგან ეტყობა, რომ ქმარზე დიდი გავლენა აქვს. წარმოუდგენელია, საიდას თავისი მზეთუნახავი ცოლი ორი დღის გაცნობილ ანიმატორში გაეცვალა და კაბინეტში მომხდარი სკანდალის შემდეგ, ნიკოლის სურვილის საწინააღმდეგოდ, გოგონა სამსახურში დაეტოვებინა. საფიქრებელია, რომ ანკას დატოვების გადაწყვეტილება თავად ნიკოლმა მიიღო. რატომ?.. ნათიას მოსვლამ გამოამფიხლა. ელგუჯას ცოლს, ორანჟერეაში ნანახი სცენის შემდეგ, თვალს ვერ ვუსწორებ. თითქოს, ლიკას მაგივრად, მე ვიყავი მისი მონაწილე. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ვახშამზე ერთმანეთის გვერდით ვისხდებით – მე, ნათია, ლიკა და ელგუჯა.

– ლიკამ ბავშვები მოგიყარა და სადღაც გაიპარა ხომ, ეგ პატარა უსაქმური?! – კეთილად გაწყრა ნათია. – რა ქნას, ჯერ სულ ბავშვია. მე მგონი, იმ მინსკელ ანიმატორს, ვიქტორს ებრანჭება. მე წინააღმდეგი ვიყავი, ბავშვებისათვის ასეთი ახალგაზრდა და თავპირიანი ძიძის აყვანის, მაგრამ ელგუჯამ დაიჟინა... არ უნდოდა თურქეთში ჩვენი მოხუცი ძიძის წამოყვანა. მიმტკიცებდა, წნევა შეაწუხებს და იქით გახდება ჩვენი მისახედილი. მეც დაუუჯერე და შევცდი... მაგრამ, ახლა უკვე გვიანია, – მექაჩანება ნათია და თან ბავშვები სასადილოსკენ მიგვყავს. სახეზე ალბურით მომეკიდა. ლიზისთვის ხელის დაბანა მოვიმიზეზე და ნათიას ხელიდან დავუსხლტი. სასადილოში რომ შევბრუნდი, ნათია და ლიკა სახლის კარნიზზე ჩამომსხდარი მტრედებივით ელულუნებოდნენ ერთმანეთს. ელგუჯა არსად ჩანდა. მე, კუთხის მაგიდასთან, ბატონი ვახტანგი შევნიშნე და გვერდით მიუჯექი. ლიზი საიმოვნებით შეექცეოდა რძეში ჩაბაღალ სიმინდის ბურბუმულას. ჯაბამ ერთი ჭიქა ყავა და ტორტის ნაჭერი აიღო, მე კი მაგიდასთან მოახლოებულ ოფიციალტს ჭიქაში ჩაი

დავასხმევენი, მეტი არაფერი მინდოდა. გადატანილი სტრესის შემდეგ, მადა დაგვარგე. ბატონი ვახტანგი ცხელ ტოსტს ახრამუნებდა და იღუმალი გამომეტყველებით გასცქეროდა სივრცეს.

– ქალბატონო ნატალია, ჩემო ჯაბა, ერთი სენსაციური აღმოჩენა გავაკეთე, მაგრამ უშორჩილესად გთხოვთ, ჯერ ნუ მოთხოვთ გამხელას. სანამ რამდენიმე დეტალს არ დავაზუსტებ, ვერაფერს გეტყვით – მეშინია, აკვირებული იდეთ შეპყრობილად არ ჩამთვალეთ.

ჯაბა დიდხანს ეღრიალა ბატონ ვახტანგს, საიდუმლო გაემხილა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.

– ხომ არ იცით, ყმაწვილო, თუ არის შესაძლებელი, სასტუმროში ინტერნეტით სარგებლობა? – იკითხა მოულოდნელად ბატონმა ვახტანგმა. ჯაბამ აუხსნა, რომ „რესეპშენის“ გვერდით სპეციალური ოთახი იყო ამ საქმისთვის გამოყოფილი.

– თბილისში მინდა რამდენიმე შეკითხვის გაგზავნა, – აგვისხნა ბატონმა ვახტანგმა. – ძალიან მაინტერესებს, ჩვენი სასტუმროს ადმინისტრაციის თბილისური კონტაქტები.

ამის მეტი ვერაფერი დავაცდენინეთ. მოგვიანებით, ჯაბამ კომპიუტერების ოთახში შეიხედა და დაინახა, რომ ბატონი ვახტანგი ინტერნეტში მუშაობით იყო გართული.

– ჩემდა ჭირად მივასწავლე გზა, ერთი საათი ველოდე და არავინ დამითმო კომპი. დღეს ფოსტა არც გამიხსნია. საიდაც იქ იყო და მისი ცოლიც, თითქოს არ შეუძლიათ, თავის ოთახში დასხდნენ კომპიუტერთან.

ჯაბას ბუზღუნს ყურადღება არ მივაქცევ და ისიც სადღაც გაშა. საწოლზე წამოწოლილი ლიზი დიდი მონდომებით უყურებდა კატა ტომისა და თავი ვერის უთავბოლო სირბილს. მე მოვიწყინე. უსაქმოდ ჯდომას ვამჯობინე, ჩემი ძიების საქმე წინ წამეწია და თბილისში დავრეკე. ჩემდა გასაოცრად, ჩემმა ტელეწამყვანმა დამ, რომელიც უცნობ სატელეფონო ზარებს ჩვეულებრივ, არ პასუხობს ხოლმე, მაშინვე მიპასუხა – როგორც ჩანს, მრავალციფრიაანმა უცხოურმა ნომერმა მიიქცია მისი ვარსკვლავური ყურადღება. ჩემი თხოვნით, ელენემ სასწრაფოდ გადმომირეკა უკან. მის ბიუჯეტს ამგ-



ვარი რამ მძიმედ არ დააზარალებს: მოგესვენებათ, ცნობილი ტელესახეა და მის ხელფასს სამი აკურატულად მოხაზული ნული ამშვენებს. ინფორმაცია მისი ჰონორარის შესახებ, როგორც ჩემს დასუყვარს თქმა, კონფიდენციალურია და ამიტომ, რა წერია სამი ნულის წინ, ვერ გავამუდავებ. იმას კი გეტყვით, რომ ქვეყანაში, რომელშიც პროფესორებს ორმოცი ლარი აქვთ ხელფასი, ამაზე ლაპარაკი, კონფიდენციალურიც რომ არ იყოს, მაინც უხერხული მგონია. ჩემს დას თავისი „ვარსკვლავური იმიჯი“ საგარეო მონარებისათვის სჭირდება, შინაურებისთვის კი კეთილი და უპრობლემო ადამიანია. ჭორებს მისი ჭირვეულობის, მძიმე ხასიათისა და ეგზოტიკური გატაცებების შესახებ (სახლში გიგანტური ხვლიკი იგუანა ჰყავს და შინაური ძაღლივით უყვარს), მისი იმიჯმეიკერი მასკი ავრცელებს. მასკის აზრით, ვარსკვლავს სწორედ ასეთი თვისებები უნდა ჰქონდეს, ხალხს თავი რომ დაამასსოვროს. თვითონ მასკის ბანალური სახელი – მაღხაზი ჰქვია და როცა ელენემ გაიცნო, მახოს ემახდნენ. რაც მედიასივრცეში დაიწყო ტრიალი და ელენეს მუდმივ თანამგზავრად იქცა, ყველა მასკის ემახის. ჩემი და, თავის იმიჯმეიკერს, ძირითადად, უჯერებს და ჯერჯერობით მასთან თანამშრომლობა ძალიან მოსწონს. სიტუაცია მხოლოდ ერთხელ დაიძაბა, როდესაც მასკიმ ჩემი დისთვის სახელისა და გვარის უფრო კეთილხმოვანი ფსევდონიმით შეცვლა მონდობა. ელენემ გააჯიუტდა და კატეგორიული უარი განაცხადა. თუ გია სურამელაშ-

ვილი, ლალი ტოტიკაშვილი, თაკო სალუნიშვილი და თამუნა ამონაშვილი შეიძლება ვარსკვლავებს ერქვათ, ელენე ფარცხალაძემ რაღა დაამავა, ყველა ღიზა ბაგრატიონი ხომ არ იქნებაო?..

– მე ჩემი სახელი და გვარი ძალიანაც მომწონს და ვისაც არ უნდა, ნუ დაიძახსოვრებს! – განაცხადა ჩემმა დაიკომ, რითიც მამაჩემის აღფრთოვანება და მასკის ერთკვირიანი დეპრესია გამოიწვია. ელენესთვის ოჯახი და მშობლები ყველაზე მთავარია, დედამამიშვილიც რასაკვირველია. პირადად მე, მასზე თბილ, პასუხისმგებლობით აღვსილ და კეთილ ადამიანს არ ვიცნობ. თუ მასკის ჰგონია, რომ ელენეს ეს თვისებები საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს, მისი საქმეა. მე კი კარგად მომეხსენება, რომ ელენე ნემსის ყუნწში გაძვრება და ჩემს დავალებას შეასრულებს.

ჩემს ყოვლისშემძლე დას ვთხოვე, ანკა მაკარიძის შესახებ მოვეგროვებინა ინფორმაცია; ასევე გაერკვია, ვინ არის კოლია ობოლაძე. ეს ის სახელია, რომლის ხსენებასაც უცნობი მოძალადე ანკას უკრძალავდა. მე იმის გაგებაც მინდოდა, არიან თუ არა თბილისში ნამყოფი საიდ ჩულიყული და მისი ცოლი ნიკოლი, მაგრამ გადაწყვეტიტი, ეს ამბავი ადგილზე გამერკვია. ანკას ბიოგრაფიას იქნებ იმისთვისაც აეხსნა ფარდა, რატომ ეძახდა უცნობი მას „სესტრიცას“ ანუ დაიკოს. თუმცა, რას გაიგებ, იქნებ, უბრალოდ, ყველა ახალგაზრდა ქალს ასე მიმართავს. მაგალითად, ჯაბა, რომლის ჟარგონულ მეტყველებას დღემდე ვერ შევარჩევ ყური, ამ ცოტა ხნის წინ, ჩემი ასაკისა და ოდნავ უფროს, მსუქან, სპეციფიკური ვარცხნილობისა და შავი კაბის მოყვარულ ყველა ქალს „ბიცოლას“ ეძახდა. მისი თქმით, მე და ჩემი სადაქალო „ბიცოლები“ კატეგორიას არ მივკუთვნებით, რადგან თავს ვუვლით, მოღას მივღვეთ და კორპისძირიანი საბოები იმდენ ხანს არ გვაცვია, ვიდრე თავიდან არ შემოვა მოღაში. იქნებ, ანკაც ისეთივე „დაიკო“ იყო იმ ტიპისათვის, როგორც ჩვენი მეზობელი თალიკო – ჯაბას „ბიცოლა“.

იმ საოჯახო სურათზე, ანკას ზურგჩანთაში რომ ვიპოვე, ვიღაც ახალგაზრდა კაცი იჯდა კიბეზე. იქნებ, მართლაც ჰყავს დაღუპულ ანკას ძმა და იმან იცის, ვინ და რატომ გააბრაზა ვინმე ნიკოლოზ ობოლაძემ. ფოტოსურათმა გამახსენა ბატონი ვახტანგის დაბრუნება, მოგვიანებით გაეშვილა ჩვენთვის თავისი ფიზიონომისტური ძიების შედეგი. ისიც კი გავიფიქრე, რომ ჩემი მხრიდან დიდი სისულელე იყო, უცხო ადამიანისათვის ასეთი მნიშვნელოვანი სამხილის გატანება. დაშვებული შეცდომის

გამოსასწორებლად მაშინვე ბატონ ვახტანგს დავურეკე და ფოტოსურათის დაბრუნება ზრდილობიანად მოვთხოვე.

– ჩემი ძვირფასო ნატალია, თითქმის უტყუარად შემიძლია გითხრა, რომ ვიცი იმ ყმაწვილის ვინაობა, მაგრამ ვიდრე გეტყვოდეთ, ერთი პატარა ემპირიული დაკვირვება უნდა ვაწარმოო. ამიტომ, სულ ცოტა ხნით, სტუმრად მივლივარ. ამ აუდიენციის შემდეგ, პირადად გვახლებით და ზუსტად გეტყვით ყველაფერს...

– აუცილებლად მობრძანდით, ნომერში ვიქნები. ღიზი დაიძინებს და გარეთ ვეღარ გავალ. ძალიან გთხოვთ, სურათი არ დაგრჩეთ, ძალიან მჭირდება.

– არავითარ შემთხვევაში არ დამრჩება. ის ხომ ჩემი ექსპერიმენტის მთავარი კომპონენტია, – დამინტრიგა ბატონმა ვახტანგმა და დამემშვიდობა.

ცოტა ხანი ღიზის დაძინებას მოვანდომე, მერე სასტუმროს მაღაზიაში ძვირად ნაყიდი „კოსმოპოლიტენი“ ვიკითხე. ბოლოს, ფრჩხილებს მივხედე, მაგრამ არც ჯაბა გამოჩნდა და არც ბატონი ვახტანგი. ჯაბას მობილური არ მასუსობდა. ბატონი ვახტანგის სანახავად და ფოტოს გამოსართმევად გავედი. ღიზი რომ არ გამეძვინებინა, კარი ფრთხილად გამოვხურე და ჩვენსავე სართულზე ბატონი ვახტანგის ნომერს მივადექი. მორიდებით დავაკაკუნე. არავინ გაძიღ. გადავწყვიტე, დისკოთეკაზე ჩავსულიყავი ჯაბას საპონელად. სასტუმროდან გავედი თუ არა, სული შემეხუთა. კონდიციონერულ შენობას მოუჩვეველი ადამიანისათვის უჩვეულო განცდაა, გრილი შენობიდან გარეთ რომ გადინარ და მოსალოდნელი ცივი ნიავის ნაცვლად, ჩახუთული და ცხელი ივლისის ღამე გხვდება. პირველ ხანებში ამ მოულოდნელობით დაბნეული, ნაპირზე დარჩენილი თევზივით ვადებდი პირს. ახლაც, შავ ზღვაზე დასვენებას ნაჩვენებს, ზღვიდან მობერილი სივრილის ნაცვლად დაგუბებული, ცხელი ჰაერი მეცა სახეში. არ მესიამოვნა. იქვე, ბაღის სკამზე ჩამოვჯექი და კიდევ ერთხელ ვცადე ჯაბასთან დარეკვა. უცებ, მამაკაცის თავგანწირული ღრიალი გავიგონე და ვიდრე მივხედებოდი, რომელ მხარეს გამეხედა, ჩემი სკამიდან ათ ნაბიჯში, რაღაც მძიმე, თეთრი საგანი დავარდა. ისეთი ხმა ჰქონდა, ბოძის გასკდომას ჰგავდა. შიშისაგან თავზე ხელები წავიფარე და მოვიკუნტე. „ვიღაცამ ნომრიდან ზეწარში გახვეული ტელევიზორი გადმოაგდო“, – გამიელვა თავში სულელურმა აზრმა. სკამიდან წამოვხტი. კარგად მახსოვს, როგორ მივირბინე დაბლა დაგდებულ დიდ, თეთრ საგანთან, რომელიც თავიდან აივნიდან გადმოფრენილი თეთრი ზეწარი მეგონა. ფხვებთან, ოთხად აკურატულად გაკეცილი

ფურცელი ამიფრიალდა. ანგარიშმოცემულად გტაცე ხელი. მის ასაღებად დახრდილი, მიწაზე დაცემულ საგანთან ახლოს აღმოვჩნდი. მახსოვს, როგორ მოიხზა ჩემს აღქმაში თეთრი საგნის მკვეთრი კონტური და როგორ მივხვდი, რომ ეს იყო ადამიანი, რომელიც აივნიდან გადმოვარდა. ჩემში ექიმის ინსტინქტმა იმდღავრა და მისკენ დავიხარე, რომ გამეგო, იყო თუ არა ცოცხალი. იმ მომენტში უკვე ვიცოდი, რომ ეს ადამიანი ჩემი კარგი ნაცნობი და არშემდგარი თყვანისმცემელი, სიმბათიური, ჭალარა ფსიქიატრი, ვახტანგ აბაშმაძე იყო – თეთრ საზაფხულო შარვალსა და ბალახონივით ფართო, ვენაში ნაყიდ თეთრ პერანგში გამოწყობილი, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში იცვამდა ხოლმე და ძალიან უხდებოდა. ამის შემდეგ კი ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს. მე მთელი ხმით დავაკივლე და რამდენიმე წუთში მივხვდი, რომ განგაშის სირენის ხმა, რომელიც გაუძღვებოთ ჩამესმოდა ყურში, ჩემი საკუთარი კივილი იყო. გარშემო უამრავი ხალხი მოგროვდა. ჯაბა რაღაცას ჩამძახოდა. ბატონი ვახტანგი „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში მოათავსეს. ჯაბამ მხარზე ხელი მომხვია და ნომერში ამიყვანა.

– წავივლეთ აქედან! – ვიმეორებდი მომართული სათამაშოს სავით და თვალებიდან დაპალუპით მომდიოდა ცრემლები. ჯაბამ პირი დამბანა, ძილის წამალი დამალევინა, თან განუწყვეტლივ ჩამჩურჩულებდა ყურში:

– დამშვიდდი, ტასი, ბატონი ვახტანგი ცოცხალია, შეიძლება გადარჩეს კიდევ.

მე კი კარგად ვიცოდი, რომ ბოძის გასკდომის მაგვარი ხმა, მე რომ გავიგე, ვახტანგ აბაშმაძის თავის ქალამ გამოსცა, მიწაზე დანარცხებისას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი გადარჩენის მცირე შანსი თუ მაინც არსებობდა, მისი გონებრივი შესაძლებლობები სერიოზულად და სამუდამოდ შერყეული დარჩებოდა.

მეორე დღეს კიდევ ერთხელ დავიბარეს დაკითხვაზე. მე მთელი ნებისყოფა მოვიკრიბე და ღიზი რომ არ შემეშინებინა, აღარ მიტირია. ჯაბა, როგორც ქართულის მცოდნე, ბატონი ვახტანგის ოთახის დათვალიერებას დაასწრეს. მაგიდაზე იღო მისი გახსნილი ნოუტბუკი. ეკრანზე ამონათქვამული წარწერა – „ჩემს სიკვდილში ნურავის დადანაშაულებთ. ჩემს თავს განაჩენი თავად გამოვუტანე – იქნებ, ანკას მოკვლის მძიმე ცოდვა მეპატიოს.“ – თურქ გამოძიებელს ჯაბამ უთარგმნა. „სიცრუე“, – აპროტესტებდა ამ ვერსიას მთელი ჩემი არსება. შეუძლებელია, ეს წერილი ბატონ ვახტანგს დაეტოვებინა, შეუძლებელია, მას თავი მოეკლა და კიდევ უფრო წარ-

მოუღვენელი — თვითონ მოეკლა ვინმე.
— ვიცი, ვიცი, — თავზე ხელს მისვამდა ჯაბა. — მე და შენ ყველაფერს გავარკვევთ. მკვლეელი აუცილებლად დაისჯება!

ჩვენი ჩაშნამებული დასვენების ფინალამდე ერთი კვირა დარჩა, დიდი სიამოვნებით გავემგზავრებოდით შინ, მაგრამ წყალში მოტივტივე ანკას ცხედარი, თურქულ ციხეში გამომწყვდეული ბესო და რეანიმაციაში, აპარატზე შეერთებული ვახტანგის შებღალული სახელი მავალდებულებდა, აქედან ფეხი არ მომეცვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, თურქ გამომძიებლებს მაინც ვერსად წავეუილოდი, რადგან ორივე შემთხვევაში, უბედურების პირველადომიწინი სწორედ მე გახლდით. ასე რომ, მათ სერიოზული ექვსის საფუძველი ნამდვილად ჰქონდათ.

— ტასი, მოდი, არაფერი თქვა გამომძიებელთან, შენს ეჭვებზე. ბატონი ვახტანგი რეანიმაციაშია, ბესოს გამოუშვებენ, მე და შენ მკვლელს ვიპოვით, ბესოც მოგვეხმარება... გეხვეწები, ბესო ცოლო, — დაიჟინა ჯაბამ.

ჩემო მეგობრებო, აქ იწყება ჩემი თხრობის ყველაზე სამარცხვინო ნაწილი: მე, ჯაბას ხეწნით გულგაწერილებულმა, ვულალატი წვეთოვანზე შეერთებულ უმწყო ადამიანს და გადავწყვიტე, დაემალა სიმართლე.

თუ გინახავთ ბატი ტასიკო, ხელზე რედიკულგადაკიდებული, თავზე ცილინდრჩამომსობილი, ნარნარი ნაბიჯით რომ მიფარფატებს „ლომის ხახაში“ — სწორედ ასეთი სანახავი ვიყავი, როცა მტკიცე გადაწყვეტილებით შევადე საიდის კაბინეტის კარი.

კითხვებს იგივე თურქი გამომძიებელი მისვამდა, მაგრამ ამჯერად ჩვენს საუბარს მხოლოდ საკონსულოს წარმომადგენელი ესწრებოდა და ისვე თარგმნიდა. მე გამომძიებელს დაწვრილებით ვუამბე, როგორი შესანიშნავი ადამიანი

ყოფილი ვახტანგი, როგორ დაეცა იმ ღამეს ჩემს სკამთან და როგორ ვუხმე საშველად სხვებს. არ დავმალოვ და, ვთქვი ისიც, რომ არ მეჯერა, თითქოს მან მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ ფოტოსურათის შესახებ, არაფერი მითქვამს. არც ჩემი და ბატონი ვახტანგის უკანასკნელი საუბრის შინაარსი გამომხეღია. ბოლოს ისიც ვთქვი, რომ ჩემი აზრით, ბატონი ვახტანგი აივნიდან ვილაცამ გადმოვადლო და რომ მისი და ანკას მკვლეელი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს...

— ახლა ალბათ გაათავისუფლებთ ბესოს?! — ვიკითხე ბოლოს, თან დაბნეული ვახანამებელი თვალბს.

— სასამართლო გადაწყვეტს! — ბრახიანად მომიჭრა გამომძიებელმა. საკონსულოს თანამშრომელი, ვაჟა ბერაია კი, დამპირდა, რომ ამ საკითხს ბესოს ადვოკატთან ერთად განიხილავდა.

— ბესო აქამდე დუმილის უფლებას ინარჩუნებს, — ამიხსნა ბატონმა ვაჟამ. — საელჩოს დახმარებით, მისმა მშობლებმა ადვოკატი დაიქირავეს და ახლა უფრო დაჩქარდება ამ საქმის განხილვა.

— ისედაც ბევრჯერ შეწუხდით ჩვენ გამო, მთარგმნელადაც გაქციეთ, — მოუბოდიშე ბატონ ვაჟას.

— ამის გაკეთება თურქებმა მთხოვეს. როცა დაადგინეს, რომ საიდმა ქართული კარგად იცის და წლების განმავლობაში თბილისში ცხოვრობდა, მიზანშეუწონლად ჩათვალეს მისი და ნიკოლის მთარგმნელობა. თანაც, ერთ-ერთი ტურისტის ინფორმაციით, გადმოვარდნის დამეს საიდი ვახტანგის ოთახის სიახლოვეს დაუნახავთ.

— რას მეუბნებით?! — გავიკვირე მე.

— თვითონ როგორ ახსნა ეს ამბავი?

— განაცხადა, რომ ნიკოლი ვერ იპოვა და სართულებზე დაეძებდა.

— თუ ქართული წერა-კითხვა იცის, ესე იგი იმ წერილის დაწერაც შეეძლო, ვითომ ბატონმა ვახტანგმა რომ დაგვიტოვა, — გონება გამინათდა მე.

— გამართული ქართული წერა რამდენად იცის, ვერ გეტყვით, მაგრამ მასაც და მის ცოლსაც ენა ესმით და თუ არ ვცდები, ლაპარაკიც შეუ-

ძლიათ. საიდს იმ დროიდან ვიცნობ, რაც „ბონ-ვოიაჟმა“ მის სასტუმროსთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. ჩვენს თანამემამულეებთან ბიზნესკონტაქტზე გასვლამი სიამოვნებით ვეხმარები თურქებს. საიდი როცა გავიცანი, აზერბაიჯანთან უკვე აწყობილი ჰქონდა მუშაობა. მან ამიხსნა, რომ საქართველო ძალიან უყვარდა, ქართული იცოდა და ამიტომაც უნდოდა ჩვენს ტურსააგენტოებთან დაკავშირება. როგორც საიდმა მიაბო, თვითონ სამარყანდში დაბადებულია, მაგრამ დედა ქართველი ჰყოლია — სტალინის რეპრესიების პერიოდში გადასახლებული, ამიტომ ბავშვობიდან საქართველოზე ოცნებობდა თურმე. მისი ცოლიც — ნიკოლი, რომელიც ბაქოში გაიცნო, ნახევრად ქართველი, თბილისში გაზრდილი ყოფილა და ბუნებრივია, ქართული იმანაც იცის.

პირდაღებული ვუსმენდი ამ წარმოუდგენელ ამბავს. მამ რაში დასჭირდა ნიკოლს ჩვენთან რუსულ-ინგლისური ურთიერთობა? ის ლიზის ქართულ ტიკტიკს ისეთი გაკვირვებული ღიმილით უსმენდა ხოლმე, დარწმუნებული ვიყავი, არც ერთი სიტყვა არ ესმოდა. ამ ინფორმაციის შემდეგ, აღარ გამოვრიცხავ, რომ მაშინ, სასტუმროს ვერანდაზე, ანკას საიდი ემუქრებოდა, ან იქნებ, ნიკოლი... მისი დაბალი რეგისტრის ხმა, მით უმეტეს ჩურჩული, იოლი შესაძლებელია, კაცის ხმად მოგეჩვენოს. თანაც, ჯაბა ამტკიცებს, რომ იმ დროს აპარტამენტზე თავისუფალი იყო და იქ არავინ ცხოვრობდა... საიდს და ნიკოლს უპრობლემოდ შეუძლიათ ნებისმიერი ოთახის კარი გააღონ... ეს ახალი ინფორმაცია მკვლელობის საქმეს სრულიად სხვა ელფერს აძლევს. აქამდე მე მათში ეჭვი მხოლოდ იმტომ არ შემპარავია, რომ დარწმუნებული ვიყავი, ჩულო-ყულის ოჯახს არ შეიძლებოდა, რაიმე საერთო ჰქონოდა ქართველ ანიმატორ გოგონასთან... ახლა კი, არაფერს გამოვრიცხავ... ჯაბას უნდა გავაგებინო ეს ამბავი. ისიც მეტყვეს თავის აზრს. იქნებ, ბესოს მართლაც ეშველოს რამე.

— თქვენი იმედი მაქვს, — მივამახე გამომშვიდობებისას ბატონ ვაჟას. მისი მოცემული სავიზით ბარათი შევინახე და დაკითხვის ოთახი გულდამძიმებულმა დავტოვე.

სასადილოსკენ მიმავალმა, ჰოლში ყური მოვკარი, საიდი თურქულად ეკამათებოდა ნიკოლს. განგებ ჩავუარე ახლოს. რომ შემნიშნეს, ხმას დაუწიეს, მაგრამ მაინც გავიგონე, როგორ ახსენეს ბავშვის სახელი — ზულიკა.

გაგრძელება იქნება





მარადი ლოლიტა

ის ამბავი, რომ კაილი მინოუგი ოდეს-ღაც მსახიობი იყო, დღეს მხოლოდ ხანში შესულ ავსტრალიელებს, 80-იანი წლების ახალგაზრდული სერიალის – „მეზობლები“ ფანატებს თუ ანსოვთ. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მათი ოთახის კედლებს ვარდისფერ კოსტიუმში გამოწყობილი გოგონას პლაკატები ამშვენებდა. პლაკატები გაქრა, მაგრამ კაილი მათთვის მარადიულ ლოლიტად დარჩა. „რას დაღვე, პატარავ – „ბანან-სპლიტს“ თუ „კოკა-კოლას“? ეკითხებოდნენ კაილის შოუბიზნესის ზვიგენები, რომლებსაც მინოუგი თავისი პირველი ალბომის სარეკლამოდ მოწყობილ ტურნეს დროს ეცნობოდა. „არ ვარ პატარა!“ – პასუხობდა კაილი და სასოწარკვეთილი, მსოფლიოს საუკეთესო კლუბების საცეკვაო დარბაზებში ცეცხლოვან ცეკვებს ცეკვავდა, თმას წითლად იღებავდა, გველის ტყავისაგან შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილი, თვალებს შავად იღებავდა, ფოტოსურათების გადაღებისას კი მის სხეულს მხოლოდ მძივები ამშვენებდა. მაგრამ ყველაფერი ამო იყო. პატარა (154 სმ) გოგონას მცდელობა, თავი მოწიფულ ქალად მოეჩვენებინა, ისეთივე გულის ამარყევებელი და უაზრო იყო, როგორც ტელესერიალის – „სექსი დიდ ქალაქში“ გმირის, სამანტას მცდელობა იქნებოდა, თავი რომ ქალწულად გაესაღებინა.

მხოლოდ კაილის ფირფიტის – Fever ფენომენალურმა წარმატებამ დაუკარგა მის ახლობლებს სურვილი, რომ გოგონას კანფეტებით გამასპინძლებოდნენ, თავად კაილი კი პირველი სიდიდის პოპ-ვარსკვლავად იქცა.

კაილი 2 კომპლექსი

„მოხარულიყ ხე ვარ, რომ ადრე წარმატებას ვერ მივალნიე. ჩემთვის ლანგრით არავის არაფერი მოურთმევია“


რაც არ უნდა თქვან, კომპლექსები მაინც პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. კაილი ლოს-ანჯელესში რომ დაბადებულიყო, ცოლად ფრიადოსან თანაკურსელს გააყოლოდა და ლა დიეზი ადვილად აეღო, ალბათ სუპერვარსკვლავი ვერასოდეს გახდებოდა.

უიღბლობა

ეს წარმატება, შესაძლოა, არც ყოფილიყო. ზოგჯერ ვარსკვლავები ქრებიან, მათ ივიწყებენ. ისინი პირველი და უკანასკნელი წარმატებული ალბომით ნაშონი ფულით ნაყიდ ვილებში ცხოვრობენ, შვილებს ზრდიან და შემდეგ, უკვე გასუქებულნი და მოტეხილნი ასაკოვანი მლომანებისათვის განკუთვნილ რომელიმე სატელევიზიო არხის ეთერში იხსენებენ, როგორ ჩაწერეს 40 წლის წინ პირველი ჰიტი. 1992 წელს კაილი სწორედ ამ გზას დაადგა. მის შესახებ ინფორმაცია

რად მოუხდა. „ცოტა ხნის წინ ფოტო-გადაღებებზე მივედი, იქ საკიდარზე ჩამოიდებული ტანსაცმელი შეენიშნე და გავიფიქრე – ოდესღაც ეს ტანსაცმელი მე მეცვა-მეთქი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ სამოსს დღესაც სიამოვნებით ჩავიცვამდი. ყველამ იცის, რომ მე 80-იანი წლების პირში ვარ, პომპუსიკას 1981 წლიდან ვუსმენ. მაშინ ბევრი მამაკაცი, ქალის ხმით მღეროდა და ქალის ვარცხნილობას ატარებდა. დღეს კი, 80-იანი წლების მოდას ვუბრუნდებით, რაც ძალზე მაკვირვებს. უცნაური შეგრძნება მაქვს: ერთი მხრივ, წარსული წლები ბრუნდება, მეორე მხრივ კი – ისევ დღევანდელ ეპოქაში ვცხოვრობთ!“ – ამბობს კაილი.

რას ფიქრობს იგი თავის ზღაპრულ დაბრუნებაზე? ის ერთადერთია, ვისაც ეს სასწაულებრივი დაბრუნება არ გააკვირვებია. ამისათვის კაილი მართლაც ბევრს შრომობდა. – „მადონა მუდამ მიზნისაკენ მიისწრაფოდა, როდესაც მეც მოვინდომე, რომ ჩემი სიტყვა მეთქვა, ძალისხმევა გავაითმავე და ყველაფერი შესანიშნავად გამომივიდა. მოხარულიყ კი ვარ, რომ ადრე წარმატებას ვერ მივადღვიე. ჩემთვის ლანგრით არავის არაფერი მოურთმევია. ყველაფერს ჩემით მივადღვიე... თუმცა ჩემი წარმატებები კიდევ უფრო ელვარეა, ვიდრე ეს ოცნებაში წარმომედგინა. როდესაც მრავალი წარუმატებლობის შემდეგ,




კაილი მინოუგი მაიკლ ჰაგინთან ერთად

მხოლოდ ქრონიკისა და მაღალი საზოგადოების შესახებ ჭორების რუბრიკაში თუ იბეჭდებოდა. კაილი ბოიფრენდებს, ხმის ჩამწერ სტუდიებს, პროდიუსერებსა და ხმის რეჟისორებს ზედიზედ იცვლიდა – მაგრამ ამაოდ. მან სამსახიობო კარიერის გაგრძელებაც სცადა და ფილმებში – „ქუჩის მებრძოლები“ და „ბიოსახლი“ ითამაშა, მაგრამ ეს კინოსურათები დღეს არავის ახსოვს.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც პროდიუსერებმა იგრძნეს, რომ 80-იანი წლების მოდა ისევ ბრუნდებოდა, მათ წარსულის ნაკლებად გაცვეთილი სახის ძებნა დაიწყეს და კაილის სახე შესაფერისი მოეჩვენათ.

ოცი წლის წინანდელი მუსიკა და ტანსაცმელი კაილი მინოუგს იდეალუ-



კაილი მინოუგი და ნიკ კევიი



ჩემოდნები ჩავალაგე და შინ დაბრუნდი, ვფიქრობდი, რომ ჩემს ოცნებებს სამუდამოდ დავემშვიდობე“.

პროვინციელი ქალიშვილი

მას შემდეგ, რაც კაილის პირველი ჰიტი ბრიტანულ ჩარტებში მოხვდა, მინოუგს მუდამ იმის ემინოდა, რომ ის სამუდამოდ იმ ავსტრალიელ ვარსკვლავად ღარჩებოდა, რომელსაც ხუთწუთიანი ევროპული დიდება მხოლოდ ერთხელ ეღირსა. ემინოდა, რომ ბედისწერა უკან – კოალეების, კენეურებისა და გარეული კურდღლების სამყაროში მოისვრიდა. მან კარგად იცოდა, რომ სიღნეში მის კონცერტებზე დარბაზი მუდამ სავსე იქნებოდა, მაგრამ უფრო მეტის მიღწევა სურდა. მას ნიკ კეივისა და ჯგუფ INXS-ის ლიდერის მაიკლ ჰატიჩინსის რიგებში ყოფნა სურდა. იმ ადამიანების გვერდით ყოფნა უნდოდა, რომლებმაც მთელ სამყაროს უჩვენეს, რომ ავსტრალიას მარჯუნის რიგების, სერფინგისტების გარდა სხვა კიდევ ბევრი ღირსება აქვს. უნდა ითქვას, რომ კაილიმ მიზანს მიაღწია – მან ორივე მათგანთან რომანი გააბა და მათ კაილის დაბრუნებაში დიდი როლი ითამაშეს. პირველი ბონუს-თამაში მინოუგმა სწორედ ნიკ კეივთან ერთად შესრულებული ღუეტის შემდეგ მიიღო.

მუდამ „ვილაცის“ გოგონა

1995 წელს კაილის სახელს პრესაში მხოლოდ მის რომანებთან დაკავშირებით თუ ასახელებდნენ. ამ თემაზე დასაწერი კი მართლაც მრავალ, უფრო სწორად კი მრავალ ვინმეზე იყო. მისი პირველი ბიოგრაფიული კაილის პარტნიორი სერიალში – „მეზობლები“ ჯეისონ ღონოვანი იყო. მინოუგი ღონოვანს სწორედ მაშინ დაშორდა, როდესაც მისი ჰიტი „ბილბორდში“ პირველად მოხვდა. ღონოვანი მაიკლ ჰატიჩინსმა შეცვალა, ჰატიჩინსი – პრინცმა, პრინცი – ლუტიცია კასტას ბავშვის მომავალმა მამამ, ფოტოგრაფმა

სტეფან სედნაუმი. შემდეგი ტიმ ჯეფერი იყო, რომელიც კაილის შემდეგ ესტაფეტასავით ქალის ხელიდან ხელში გადადიოდა და ელ მაკვერსონის გავლით კლაუდია შიფერის მკლავებშიც აღმოჩნდა. ესტრადაზე ხელმეორედ დაბრუნების მომენტში კაილი მინოუგი ცნობილ მანეკენთან და პლეიზოსთან ჯეიმს ჰუდინგთან ერთად ცხოვრობდა. ამგვარი სია არაერთი ვარსკვლავის საძინებელს „დაამშვენებდა“, მაგრამ კაილის ეს არ აკმაყოფილებდა. მოძღვრალმა პირველი საგანგაშო სივანალი მაშინ შეიგრძნო, როდესაც პრესაში ტრადიციული ფრაზა: – „კაილი მინოუგს ახალი ბიოგრაფიული ჰეაფს“ – ახალმა სიტყვებმა შეცვალა. მაგალითად: – „მაიკლ ჰატიჩინსმა ახალი გოგონა გაიჩინა. თქვენ აღბათ კიდევ გახსოვთ კაილი მინოუგი“... გამწარებული კაილი ცეცხლს აფრქვევდა და ყველას ახსენებდა, რომ ლოგინში ჩინებული სექსის გარდა, მას კარგად სიმღერაც შეეძლო.

Fever-ის წარმატებამ კაილი ბიოგრაფიის გარდა იმ შიშისაგანაც გაათავისუფლა, რომ ის მუდამ მხოლოდ „ვილაცის“ გოგონაა და სხვა არაფერი. ახლა მას გახურებული რომანი აქვს ფრანგ მსახიობ ოლივიე მარტინეზთან. ეს ის მარტინეზია, რომელმაც ფილმში – „მოლალატი“ – ნათამაშები საყვარლის როლით მრავალი მაცურებელი აიძულა, რომ ცოლქმრული ერთგულების შესახებ შეხედულება შეეცვალა.

მგეთუნახავი

ღღეს უხერხულიც კი არის კითხვა იმის შესახებ, თუ ვინაა კაილი მინოუგი. ამ კითხვაზე პასუხს მუსიკალური სკოლის სანოტო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარიც კი გაგცემთ და მის სიმღერებსაც დაუფიქრებლად დაგისახელებთ. პირველ რიგში, გაიხსენებს რაღაც La-La-La-ს და რაღა თქმა უნდა, Can't Get You Out of My Head, რომლის მუსიკაზე მთელი პლანეტის გოგონები ეროტიკულ ცეკვებს ცეკვავენ. კაცმა რომ თქვას, კაილი მინოუგის რეპერტუარი ამით ამოწურება, რადგან ავსტრალიელი ვარსკვლავის ათეულობით ფირფიტაზე ჩაწერილმა სხვა სიმღერებმა აკუსტიკური დანადგარებიდან მსმენელის გულებადმდე გზა ვერ გაიკვალა.

მიზეზი კი სრულიად მარტივია. კაილი მინოუგი ხომ უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ სახეა – ელვარე, ლამაზი, საკუთარი მუსიკის აკომპანიმენტზე მოცეკვავე ქალი თავბრუდამხვევი უკანალითა და თეძოებით. ამ შთამბეჭდავი ვიდეორიგის გარეშე მისი უბრალო სიმღერები აქტუალობას და მომხიბვლელობას კარგავს. კაილის ცხოვრებაში ყველაზე თავზარდამცემი ის ღღე აღმოჩნდა, როდესაც სრულ-

ად გააცნობიერა, რომ პოპულარობას პირველ რიგში, საკუთარ გარეგნობას უნდა უმადლოდეს. „მე ხმა მაქვს! მხოლოდ მამაკაცთა გნების ობიექტი რომ ვიყო, ჩემს ფირფიტებსა და კონცერტების ბილეთებზე უკეთ ჩემი პოსტერები და კალენდრები გაიყიდებოდა“, – არწმუნებდა კაილი საკუთარ თავს და მთელ სამყაროს.

ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი მუსიკა არანაკლები ყურადღების ღირსია, ვიდრე ვიდეოკლიპები. სინამდვილეში კი, მისი მღვლეარება უსაფუძვლოა, რადგან კაილის ყოფილი კონკურენტები აღარსად ჩანან. ის ერთადერთია 80-იანი წლების ვარსკვლავთა შორის, რომელიც თანამედროვე ესტრადაზე ტრიუმფით დაბრუნდა.


80-იანი წლების სექსობობა სანდრა ესპანეთის პაწია კუნძულზე ცხოვრობს და ერთ დროს პოპულარული „მარია მაგალინიელის“ ნაცვლად ბავშვებს იაენანას უმღერის. კიმ უაილდი გასუქდა და კლიპებში მხოლოდ უფორმო ბალახონებში ჩაცმული ჩნდება. სამანტა ფოქსი ოჯახური ცხოვრების რუტინას არ შეეპუა, კომპრომისზე არ წავიდა და ცოტა ხნის წინ თავის ყოფილ იმპრესარიო ქალბატონზე გათხოვდა, ან ვინ იცის, იქნებ ცოლადაც შეირთო. სამანტა ერთობა, შიგადაშიგ გვიწვეულებებს მართავს და პორნოჟურნალებისათვის პოზირებს.

კაილი მინოუგი კი ღღესაც სუპერ-ვარსკვლავია და ამაში მას მისი კომპლექსებიც დაეხმარა: პროვინციელი გოგონას მუდმივმა შიშმა, რომ ცნობილი ბიოგრაფიების ჩრდილქვეშ ღარჩებოდა, კაილი 80-იანი წლებიდან XXI საუკუნეში დააბრუნა. რაც შეეხება გარეგნობას – კაილის საწუწურო მართლაც არაფერი აქვს, მით უმეტეს, რომ მან თავის ბოლო ალბომს Body Language უწოდა.



კაილი ამჟამინდელ ბიოგრაფიულთან ოლივიე მარტინეზთან ერთად

ჯონ ტრაველტა პრინცესა დაიანას საიდუმლოებებს გაამხელს



ჯონ ტრაველტას ავტობიოგრაფიული წიგნი შესაძლოა სენსაციად იქცეს. მსახიობი მკითხველს ჰპირდება, რომ ამ წიგნში ის პრინცესა დაიანასთან მეგობრობის „ინტიმურ“ საიდუმლოს გაამხელს.

ტრაველტამ ლედი დი 1985 წელს თეთრ სახლში გამართულ მეგლისზე გაიცნო. ამერიკის მამნდელმა პირველმა ლედამ – ნენსი რეიჯანმა ტრაველტას უთხრა, რომ პრინცესა მასთან ერთად ცეკვაზე ოცნებობდა.

„ეს ჩემი კარიერის ყველაზე უიღბლო პერიოდი იყო და ამ ოთახში თავს ბაყაყად ქცეულ პრინცად ვგრძნობდი – იხსენებს ტრაველტა. – მე მოკრძალებით მივეახლე მას

და მივმართე: – „მომიტყვეთ, პრინცესა, ცეკვას ხომ არ იხსენებდით?“ – მან თავი დახარა, შემომხედა და გაწითლდა. მერე კი მიპასუხა: – „სიამოვნებით“. შემდეგ ჩემი ფილმიდან მუსიკა აუღერდა, ყველანი კედლებთან დადგნენ... მხოლოდ ჩვენ, ორნი ვცეკვავდით. პრინცესას უთხარი: – ჩვენ ღარბაზის ცენტრში ვდგავართ და მთელი საყვარო ჩვენ შემოგვცქერის!“

„ამას იმიტომ ვწერ, რომ ვფიქრობ ინგლისელი მკითხველისათვის საინტერესო იქნება პრინცესა დაიანას შესახებ იმ ამბების გაგება, რომელიც ჯერ არავისთვის მომიყოლია,“ – ამბობს მსახიობი.

აგენტი 007-ის ორსული გოგონა ქმარს შობდა

მსახიობმა დენის რიჩარდსმა თავის მეუღლესთან და კოლეგასთან, ჩარლი შინთან განქორწინებაზე განცხადება შეიტანა და მოტივად ქმართან უთანხმოებას ასახელებს. 34 წლის ვარსკვლავის გადაწყვეტილებაზე იმ ფაქტმაც კი ვერ იმოქმედა, რომ ის 6 თვის ორსულია. ვარსკვლავურ წყვილს უკვე ჰყავს 1 წლის ქალიშვილი სამი. აგენტი 007-ის ყოფილი გოგონა ჩარლი შინს ცოლად 2002 წელს გაჰყვა. დენისმა და ჩარლიმ ერთმანეთი 2000 წელს ფილმის – „კარგი რჩევა“ გადაღებებზე გაიცნეს. მათი რომანი კი 2001 წელს, მას შემდეგ დაიწყო, რაც 32 წლის დენის რიჩარდსმა ტელესერიალში – Spin City ეპიზოდური როლი ითამაშა, ჩარლი შინმა კი მარტოხელა კაცი განასახიერა. შინი პოლიციულ ფილმებზე გარყვნილი კაცის რეპუტაციით სარგებლობს, ის საროსკიპოების სშირი სტუმარია და მეძავეებს დიდ ქონებას ახარჯებს. შინმა განაცხადა, რომ პირველ ხანებში ისინი ბავშვების გაჩენას არ აპირებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან ახალ კომედიამი – Two And A Half Man მამის როლი ითამაშა, მამობის განცდა მოუწია და მალე პირველი შვილიც შეეძინათ, მაგრამ მათი ოჯახი კრახისგან ბავშვმაც კი ვერ იხსნა.



„ქალიშვილი მილიონ დოლარად“ მეტროთი მგზავრობის ჩვეულებას ატოვებს

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენი ერთ-ერთი ყველაზე კრიმინოგენური ადგილია მთელ ამერიკაში. მიუხედავად ამისა, მსახიობმა ჰილარი სუონკმა, რომელმაც



კლინტ ისტუუდის ფილმში – „ქალიშვილი მილიონ დოლარად“ ნათამაშები მთავარი როლისთვის ცოტა ხნის წინ „ოსკარი“ მიიღო, განაცხადა, რომ წარმატება ხელს არ შეუშლის, რომ ისევ მეტროთი იმგზავროს. ჰილარი ირწმუნება, რომ ადამიანთა ქცევის შესასწავლად ნიუ-იორკის მეტროპოლიტენი საუკეთესო ადგილია. „მეტრო ადამიანებზე დაკვირვებისათვის შესანიშნავი ადგილია – გაზეთის კითხვისას როგორ იკეთებენ ან იხსნიან სათვალეს, როგორ გამოიყურებიან დალილი და ღონეგამოცილინი“, – ამბობს მსახიობი.

წლებანდელი „ოსკარი“ ჰილარი სუონკისათვის მეორე ჯილდოა. პირველი მოქრული ქანდაკება მსახიობმა 2000 წელს, ფილმში – „ბიჭები არ ტირიან“ ნათამაშები როლისათვის მიიღო.

ჯასტინი ლოტონს ცნაობის გატეხვა განასახიერებს



მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი ავტობიოგრაფიულ ფილმში ახალგაზრდა ელტონ ჯონის განსახიერებას აპირებს, მაგრამ ვიდრე ფილმში მონაწილეობაზე თანხმობას განაცხადებდა, მან პირობა წამოაყენა, რომ ფილმში აუცილებლად შესულიყო სერ ელტონის „ველურ“ წარსულთან დაკავშირებული აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრებისა და ნარკოტიკების გამოყენების ეპიზოდები. ელტონ ჯონმა ამ როლზე ჯასტინ ტიმბერლეიკის კანდიდატურა თავად დაასახელა. მომავალი ფილმის ბიუჯეტი 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება. სურათის დასახელება ჯერჯერობით მოფიქრებული არ არის. უცნობია გადაღებების დაწყების თარიღიც.

„მე კარგად ვიცნობ სერ ელტონის ცხოვრების წესს. ამიტომ, ძალზე გამიხარდა, როდესაც შევიტყვე, რომ ამ როლს მე მთავაზობდნენ, მაგრამ სცენარის თავდაპირველმა ვარიანტმა იმედი გამიცრუა – მასში ყველაზე საინტერესო მომენტები იყო გამოტოვებული. ფილმში მონაწილეობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, თუ სცენარს რეალბასთან შესაბამისობაში მოიყვანდნენ“, – ამბობს მომღერალი. მკითხველს შეგახსენებთ, რომ ჯასტინ ტიმბერლეიკმა ახალგაზრდა ელტონის როლი ერთხელ უკვე ითამაშა მის კლიპში This Train Don't Stop These Any More.

ჯუშუბარ ჯანდირას უპირველესად, როგორც სიმღერის — „თეთრი რაში“ — ავტორს იცნობენ. არადა, მისი შემოქმედებითი ცხოვრება სცენით დაიწყო. მაგრამ ბატონი ჯუშუბერი არასდროს შემოიფარგლებოდა მიღწეულით და მუდამ ახალ ასპარეზს ეძებდა საკუთარი სათქმელის გამოსახატავად. ასე მოვიდა ჯერ მუსიკაში, შემდეგ — მხატვრობაში. პოეზიაში ძალების მოსინჯვასაც მოზღვავებული ნაფიქრი აიძულებდა ხოლმე...

ბატონი ჯუშუბერი არაჩვეულებრივი მოსაუბრეა. მას ინტერვიუსთვის ოჯახში ვესტუმრეთ. თითქმის ყველა ოთახის კედელს მისი და მისი ვაჟის — ჯარჯის მიერ შესრულებული სურათები ამშვენებს.

ნათია ჰივიძე

— სკოლის დამთავრების შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. მართალია, ჩემს მშობლებს გულით ეწადათ, რომ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ არ დაუვჯერე. მეორე კურსზე ვიყავი, როცა შეიტყვეს, თუ სად ვსწავლობდი... მსახიობობა სკოლის ასაკიდან დავიწყე და ეს ბატონი სერგო ზაქარაიძის დამსახურებაა. მაშინ სკოლებში დადიოდნენ და ასე არჩევდნენ ნიჭიერ ბავშვებს. მეც სკოლაში მიპოვეს, წამიყვანეს და „გაუციონარი ხელმწიფის“ როლი მათამაშეს. იმ სპექტაკლში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ: ლალი ბადურაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სადარაძე... ასე დაიწყო ჩვენი წარმატებები. ეს სპექტაკლი ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავდა. უცებ გავხდი პოპულარული. სკოლაში თითქმის ყველა კარგ გოგოს მოვწონდი. ამის შემდეგ, შეიცვალა ჩემი ცხოვრების გზაც. ჩემი

„უპერპოლი“ „თეთრი რაში“ და რატომ იბეზინებს გალაქტიონის ლექსებზე შექმნილი სიმღერების კლბოში



ტელესერიალი „ვაფა და ლუდის“ შემოქმედებითი ჯგუფი

არჩევანი არც მინანია, რადგან არაჩვეულებრივ ხალხთან ერთად მომიწია მოღვაწეობამ. თეატრალურის დამთავრების შემდეგ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გამანაწილეს. ერთხელ, ევრიპიდეს „მელეას“ ვღვამდით, სადაც მთავარ როლს ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებდა. სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი მაშინდელი პირველი მუსიკალური სკოლის ხელმძღვანელი არჩილ ჩიმაკაძე გახლდათ, რომელიც, როგორც ჩანს, მაკვირდებოდა. დამიძახა და მითხრა — ასეთი ნიჭიერი ხარ და მუსიკას რატომ არ გაჰყევი? შენ აუცილებლად უნდა მიიღო მუსიკალური განათლებაო. მუსიკალური ათწლედი დამთავრებული მქონდა. ამ ამბის შემდეგ კი, დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, საკომპოზიციო ფაკულტეტზე ჩავაბარე და როცა დავამთავრე, ხარკოვის კონსერვატორიაში განვაგრძე სწავლა. მსახიობს მძიმე საბუშარი გრაფიკი აქვს, თითქმის არასოდეს სცალია, მაგრამ თეატრის დირექტორმა ძალიან შემიწყო ხელი, რომ მუსიკალური განათლებაც მიმეღო... მარჯანიშვილის თეატრის შემდეგ, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც ვმუშაობდი. მერე კი, როცა განხეთქილების ნიადაგზე, ქართულმა დასმა სოხუმის თეატრის შენობა დატოვა და უშენობოდ

დარჩა, კულტურის სამინისტრომ მთხოვა, რომ ერთი წლით სოხუმის თეატრში გადავსულიყავი და დავხმარებოდი. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. დიდი წვალეების შემდეგ, ქართულ თეატრს აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრისთვის განკუთვნილი შენობა გამოუყვეს. ნელ-ნელა ავალორძინეთ ის თეატრი, სადაც მაშინ ჩემი პედაგოგი, ცნობილი რეჟისორი იური კაკულია მუშაობდა, ხოლო თეატრის დირექტორად — ცნობილი მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე დაინიშნა. ერთი წლით წასულმა, იმ თეატრში 12 წელი ვიმუშავე და მსახიობობასთან ერთად, თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგის ფუნქციასაც ვითავსებდი.

— სოხუმის თეატრიდან როდის და რატომ წამოხვედით?

— სოხუმის თეატრიდან ქალაქის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, ფაქტობრივად, ბოლო წუთებში წამოვედი. სხვა გზა აღარ მქონდა — ყველაფერი დაინგრა და განადგურდა... ოჯახი კი აქ მყავდა, მაგრამ მე ვერ მივატოვე იქაურობა. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც მოვახერხე იქ სახლის აშენება. მაშინ ეს ძალზე რთული იყო. ჩემი სახლის ტიპკრიდან რომ გამოხვიდოდი, უკვე ზღვის სანაპიროზე იდექი. გარშემო ულამაზესი ხედი იშლებოდა. ჩვენი მეზობლები იყვნენ: ზურაბ წერეთელი, ნოდარ



სოხუმის თეატრიდან ქალაქის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, ფაქტობრივად, ბოლო წუთებში წამოვედი. სხვა გზა აღარ მქონდა


ტესტი ერუდიციისაზე

1. უცნაური, მაგრამ
ნამბალი გამოიგონეს...



- ა) ...იტალიაში;
- ბ) ...მესოპოტამიაში;
- გ) ...ინდოეთში.

2. „მე... მივიძვრა, დამიწ-
ყო სამოქალაქო ომი“ —
ამბობდა აბრაამ ლინკოლნი;
რომელია გამოთქმული
სიტყვები?



- ა) „ჩემი ქვეყნის სიყვარულმა“;
- ბ) „აშშ-ის კონსტიტუციამ“;
- გ) „ბიჩერ-სტოუს რომანმა — „ბი-
ძია თომას ქოხი“.

3. რა ეწოდება ავადმყო-
ვის ხელით განიხილვას
სააქტივო პრაქტიკაში?



- ა) პუნქტუაცია;
- ბ) მედიტაცია;
- გ) პალპაცია.

3. რომელი იყო ანაკეპის
დავითი?



- ა) „იყავი ჭკუჭყიანი, არ დაიბანო“;
- ბ) „იცხოვრე სწრაფად, მოკვდი
ახალგაზრდა“;
- გ) „სვი ლუდი, რამდენსაც შე-
ძლებ“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ლუმბაძე, მერაბ ბერძენიშვილი და სხვა
კულტურის მოღვაწეები. მიუხედავად იმ-
ისა, რომ სახლი ჯერ დაუმთავრებელი
იყო, იქ ცხოვრება მაინც მოვასწარით.
კაბინეტში მედია როიალი, რომელზეც
სიმღერებს ვწერდი. მერე თურმე, ის
როიალი თურქეთში გადაუტანიათ და
გაუყვინძიათ. ჩემი სახლი კი დაიწვა...
სხვათა შორის, იქ დავეწერე ჩემი ყვე-
ლაზე პოპულარული სიმღერა — „თეთრი
რაში“... წარმოშობით კახელი ვარ და
ეს კუთხეც, ცხადია, ძალზე მიყვარს. მა-
გრამ სოხუმი სულ სხვაა... მენატრება
ის დრო. იქაური ბუნება აბსოლუტურ-
ად განსხვავებულია.

— **ორიოდე სიტყვით თქვენ
მიერ შესრულებულ როლებზეც
მოგვიყვით...**

— ჩემი ყველაზე საყვარელი როლებია:
მელქისედეკ კათალიკოსი — კონსტან-
ტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარ-
ჯვენაში“ და სალარიძე — ნოდარ ღუმბ-
აძის „საბრალდებო დასკვნაში“. ისე, სულ
ასამდე მთავარი და ეპიზოდური როლი
მაქვს შესრულებული. ეს ჩემი პროფე-
სიაა და ყველა მათგანი ძვირფასია
ჩემთვის.

— **კინოში არ გითამაზიან?**

— ჩემი სტუდენტობის დროს, ეს ძალზე
პრობლემატური გახლდათ, რადგან თე-
ატრალურის სტუდენტს, რომელიც ფილმ-
ში ითამაშებდა, ინსტიტუტიდან რიცხ-
აუნდენ... გადაღებული ვარ სიკო დოლიძ-
ის ფილმში — „ეთერის სიმღერა“, სა-
დაც აბესალომის ვეზირის როლი შევას-
რულე. ამ ცოტა ხნის წინ კი, ტელევი-
ზიაში — „ყავა და ლუდი“ — მივიღე
მონაწილეობა: ერთ-ერთ სერიაში კომპოზი-
ტორი განვასახიერე, პარტნიორობას კი
— ჩემი ყოფილი მეუღლის როლში —
ლალი ბადურაშვილი მიწევს. დაახლოე-
ბით 10-15 წელია, რაც თეატრს თავი
დავანებე, მაგრამ ახლა, რაიმე როლი რომ
შემომთავაზონ, ალბათ, უარს არ ვიტყვი,
თუმცა, მივლ ჩემს დროს, მუსიკასა და
მხატვრობას ვუთმობ.

— **სიტყვამ მოიტანა და მოდ-
ით, თქვენს მუსიკალურ შემოქმედე-**



სადაც არ
უნდა წავიდე,
მერაბ
სეფაშვილის
შესრულებული
„თეთრი
რაში“
ყველგან
ისმის

**ბაზე ვისაუბროთ. თუ არის რაიმე
სიახლე?**

— მიუხედავად იმისა, რომ დღევან-
დელ ახალგაზრდობას სრულიად გან-
სხვავებული გემოვნება აქვს, ჩემი სიმღ-
ერა — „თეთრი რაში“ — მაინც ისე-
თივე პოპულარულია, როგორც წინა
თაობაში. რესტორანი არ არსებობს, სა-
დაც ამ სიმღერას არ მღერიან. სადაც
არ უნდა წავიდე, „თეთრი რაში“ ყველ-
გან ისმის და ეს ძალიან მემამყება.
ახლა, ამ სიმღერის დაწერიდან 15 წლის
შემდეგ, მისი გაგრძელება — „ისევ მიქრის
თეთრი რაში“ — დავეწერე. მერაბ სე-
ფაშვილმა ეს სიმღერა უკვე ჩაწერა და
რადიოსტუდიების ეთერშიც ტრიალებს.
9 აპრილის შემდეგ, უკეთესი ნაწარმოე-
ბი — „რეკვიემი“ დავეწერე, რომელიც
დღესაც ვრუანტელს ჰგვრის ადამიანს.
მაგრამ „თეთრი რაში“ მაინც უფრო
ამაღლებული და ძალიან მელოდურია
და უამრავმა ადამიანმა შეისისხლხორ-
ცა... ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მა-
გრამ პირველი კომპოზიტორი გახლავ-
ართ, ვინც გალაკტიონ ტაბიძის ლექსები
„აამღერა“. დიდი გალაკტიონის ლექსზე
დაწერილი პირველი სიმღერა იყო —
„მზეო, მარიამ“, რომელსაც ბუბა კიკაბი-
ძე ასრულებდა, „ქარი ქრისს“ — ნანი



ფერწერას კი ცოტა
მოგვიანებით მოვიციფე ხელი

ბრეგვაძე მღეროდა, „ის-
ფერ თოვლსაც“ ნანი ას-
რულებდა. ახლა მინდა, გამ-
ოუშუშა ალბომი, სადაც მხ-
ოლოდ გალაკტიონის ლექ-
სებზე დაწერილი სიმღე-
რები შევა. ან სხვადასხვა
მომღერალი იმღერებს, ან
— მხოლოდ ერთი და თუ
ასე მოხდება, ეს, რა თქმა
უნდა, მერაბ სეფაშვილი
იქნება. ამ ჩანაფიქრის გან-
სახორციელებლად, საონ-

სორი მჭირდება... აქვე უნდა ვითხრაო, რომ ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს და ჩემი მუსიკისთვის საკუთარ ლექსსაც ვიყენებდი ხოლმე. სხვათა შორის, 10 საავტორო დისკის ავტორი ვარ. ადრინდელი ფირფიტების დიდი ნაწილი მოსკოვში მაქვს გამოშვებული. მაშინ ასე ადვილი კი არ იყო ეს საქმე - მხოლოდ 3 წელიწადში ერთხელ იყო შესაძლებელი ფირფიტის გამოშვება, ისიც - თუ ე.წ. სპეციალური ნებართვა გექნებოდა. თანაც, ცალკე არსებობდა მუსიკის შემფასებელ-მიმღები კომისია, ცალკე - სიმღერის ტექსტის... ახლა კი, თუ ფული

ში, დიფონში. ჩემი ნამუშევრები დაცულია ხალხთა მეგობრობის მოსკოვის მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, შესულია 1996 წლის ფრანგულ კატალოგში - „დიფონი“ და 1992 წლის რუსულ კატალოგში - „ნეიზვესტნი გრანტ“.

— ამ ბოლო დროს, აქტიურად ალაპარაკდნენ საავტორო უფლებებზე, სშირია დავა მასთან დაკავშირებულ საკითხებზე — არადა, საქართველოშიც ხომ არსებობს საავტორო უფლებების დაცვის სააგენტო...

დღეში რამდენჯერმე მოისმენო, სხვა სიმღერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ შემოსავალი მაინც არ გვაქვს... სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, შეიქმნა საავტორო უფლებების დაცვის ცენტრი - „აია“, რომლის პრეზიდენტობაც შემოთავაზეს და თავდაპირველად, დავთანხმდით კიდევ ამ წინადადებას, მაგრამ ეს საქმე იმდენად შრომატევადია და იმდენი დრო მიაქვს, რომ მოგვიანებით, უარი ვთქვი... ამ ცოტა ხნის წინ, ჩამოყალიბდა „პოპულარული სიმღერების ავტორთა კავშირი“, რომლის ხელმძღვანელიც, კომპოზიტორი ვია მაჭარაშვილია. ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის, ვნახთ, მომავალში რა იქნება.

— დაბოლოს, ორიოდე სიტყვა თქვენს ოჯახზეც გვითხარით...

— ჩემი მეუღლე, რუსუდანი დიდი ქართველი პატრიოტის, წარსულში აფხაზეთის მთავარი არქიტექტორის, ბატონ ლეო გვათუას ქალიშვილი გახლავთ. წარმოშობით სოხუმიდანაა. გვყავს 2 შვილი - ჯარჯი და ინგა. ჯარჯი ჩემი აზრით, საინტერესო მხატვარია. ჯერ მხოლოდ მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, როცა მხატვართა კავშირის წევრად მიიღეს. მე და ჯარჯი 1996 წელს, საფრანგეთის ქალაქ დიფონში გამართულ გამოფენებში ერთად ვმონაწილეობდით. ჩემს ქალიშვილს, ინგას საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, პარალელურად, სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ასპირანტურაც დაამთავრა... აი, ასეთი, შემოქმედებითი ოჯახი მაქვს. თუმცა, ახლა რომ ვუკვირდები, ჯობდა, შვილებისთვის სხვა რამ მესწავლებინა, რადგან შემოქმედ ადამიანს ძალზე რთული ცხოვრება აქვს...



გაქვს, ყველაფრის გაკეთება შეეძლია, თანაც, ცხადია, რასაც გინდა, იმას დაწერ - მაშინ, როდესაც კომუნისტური მმართველობის პერიოდში, ღმერთის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა!.. ჩემი სიმღერისთვის - „ნოსტალგია“ - მორის ფოცნიშვილმა ასეთ მეტაფორას მიმართა: „მე ვარ გადაჭრილი ვენახი, ვაზის, მზის სხივებზე ვვარცხულები...“ წინასწარვე ვიცოდი, რომ ამ ტექსტს არ დაამტკიცებდნენ, ამიტომ მოსკოვში ტყუილის თქმა მომიხდა: რუსულ ენაზე აბსოლუტურად სხვა ტექსტი ვთარგმნე და სიმღერის ჩაწერის უფლებაც მომიცეს. მევე ეს ფირფიტები ვილაცამ საზღვარგარეთ სუვენირად გაიტანა...

— ახლა კი, მხატვარ ჯუმბერ ჯანდიერზეც მოგვიყვიეთ...

— ფერწერას ცოტა მოგვიანებით მივყავი ხელი. თუმცა, უკვე ძალიან ბევრი პერსონალური გამოფენა მქონდა, მათ შორის მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში: კოლენში, ბერნში, ამსტერდამში, პრალა-

— დიას, არსებობს ასეთი სააგენტო, რომელიც ამ საქმეს, ფაქტობრივად, ვერ უძღვება. დღეს საქართველოში არანაირი საავტორო უფლებების დაცვა არ ხორციელდება. ჩვენი ნაწარმოებები ხომ სრულდება რადიოსტუდიების, ტელეკომპანიების ეთერით; რა თქმა უნდა, რესტორნებშიც, მაგრამ ამისთვის ფულის გადახდა არავის სურს... „თეთრ რაშს“ ნებისმიერ რესტორანში

სამრეხბაო ორთოქალაფი
 გთავაზობთ თქვენი თეთრეულის
 იღეალოურად სუფთა ვარემოში რეცხვას,
 გამრობას და დაუთოვებას დაბალო ფასებში.
 მოგემსახურებით ადვილზე. ტრანსპორტირება უფასოა.

**ახავე ბთაზაზობთ მომსახუჩაბის ახალ სახას
 თვითომოსახუჩაბას**

თავენ შაბიძიძით დღის ნაბისიძიხი ძიღს
 მობიძანეთ, თავენა ჩაბვიითით
 თავენი სახასნი მანანაში, ახავე
 ბააშიოთ თვით დიძინაბაბი
 ბანსასაბიძის აი ბახიბს აბაბიბა
 საბიბოში (ბახსბა 30 ნათი,
 ბაბიბა 30 ნათი).

იღეალური ბაბიბო ბაბლავით
 ლოფინის საბუბაბაბაბაბა!
 დეახაბით: 75-00-20; 877-75-80-20

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები:

1. მირმეკოფობია ჭიანჭველების შიშია.
2. ჰარი ტრუმენი ფერმერის ოჯახში დაიბადა.
3. მარცვლეულის თავთავის ერთ შტოს კუბერა ჰქვია.
4. ღამურების ზოგიერთი სახეობა თევზით იკვებება.
5. II მსოფლიო ომის დროს, 4 მილიონი გერმანელი ჩავარდა ტყვედ.
6. „ვაი, თქვენს პატრულს, უბედურს!“ – ამბობს კოტე ყუბანეიშვილი.
7. ჩეხ – ასე ერქვა ლეგენდის მიხედვით ლეგემირს, რომელმაც ჩეხეთი დააარსა.
8. რომელი მხედართმთავრის, პომპეუს დიდის მამა, პომპეუს სტრაბონი, მენმა მოკლა.



9. „ესენინი“ და „სიგიჟე“ – ეს ორი სიტყვა ერთად პირველად აისე-ღორა ღუნკანმა ასხენა.

10. შხამისმფრქვეველი კობრა მსხვერპლს 4 მეტრის მანძილიდან თვალეში ასხამს შხამს.

11. ინგლისში მსახურებს დათხოვნის შესახებ ყოველთვის, 2 კვირით ადრე აფრთხილებდნენ.

12. „ვერავენ ეღირსება სააკაშვილის ხელისუფლების გახრწნას“, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

13. „ჯობს, „აკეთო“ ახალი ამბები, ვიდრე ახალ ამბებზე ილაპარაკო“, – ამბობდა უინსტონ ჩერჩილი.

14. პრინც ჩარლზის საყვარლის, ლედი კამილა პარკერ ბოულსის დიდი ბებია ჩარლზის დიდი ბაბუის საყვარელი იყო.

15. „ტაფ გონ“ (ეულკანური დარტყმა) – ეს მეტსახელი მომღერალმა ზობ მარლიმ მაშინ აიღო, როდესაც ქუჩურ ცხოვრებას ეწეოდა.

16. ქართველ მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული.

17. პეტრე ბაგრატიონმა სამხედრო სამსახური 17 წლის ასაკში, კავკასიის მუშკეტერთა პოლკის სერჟანტად დაიწყო.


18. გურამ ფანჯიკიძეს ეკუთვნის გენიალური სახუმარო განცხადება: „აკითხულობ ლექციას თემაზე „ინდივიდუალიზმი და მისი უარყოფითი მხარეები“, რობინზონ კრუზო“.

19. ნატოს სტანდარტებით, სამხედრო მფრინავს ფრენის 10 საათზე ნაკლები სტაჟი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო ტანკ-

ლუკას კულინარობით თათია გიორგობიანი ჯერჯერობით კმაყოფილია

სიყვარული არასოდეს ნელდებაო, — ამბობს მეუღლეზე უზომოდ შეყვარებული თათია გიორგობიანი, რომელიც ლუკა ხოჯავას გემოვნებასაც უნონებს, საქმიანობასაც და თქვენ წარმოიდგინეთ, კულინარულ ტალანტსაც. თათია ამბობს, რომ უყვარს სიურპრიზები და ამას მისი საყვარელი მეუღლეც ხშირად ითვალისწინებს. ახალგაზრდა ცოლქმარს ჯვრისნერიდან დღემდე, ჯერჯერობით დასვენება ვერ მოუხერხებია. მიუხედავად ამისა, თათია ესტრადაზე დაბრუნებაზეც ფიქრობს და კლიბის გადაღებასაც აპირებს...

კეა მინდა



მეცვა არაჩვეულებრივი ვარდისფერი საქორწინო კაბა

კმაყოფილი არიან.

— თაფლობის თვე სად გაატარეთ?

— თბილისში, ტელევიზიაში. ორივე ვმუშაობდით და გრაფიკიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ სადმე გამგზავრება. თუმცა ძალიან გვინდოდა მოსკოვში წასვლა. ლუკას იქ ნათესავები ჰყავს. იმედი მაქვს, გამოვნახავთ დროს, რომ რაღაც პერიოდი, მოსკოვში დავისვენოთ.

— ჯვარი სად დაინერეთ?

— წმინდა სამების ტაძარში. ეს დღე უმნიშვნელოვანესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ჩვენ არ გვექონია პომპეზური ქორწილი. ვფიქრობ, რომ ამ დღეს, ჩვენ გვერდით მხოლოდ უახლოესი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ.

— თათია, თავს როგორ გრძობ ახალ ოჯახში?

— მშვენივრად, ყველაფერი ნორმალურად არის.

— როგორი ურთიერთობა გაქვს ლუკას ოჯახთან?

— არაჩვეულებრივი. ლუკას შესანიშნავი ოჯახი აქვს. მიუხედავად ამისა, ჩემი მეუღლის დედა და და ცალკე ცხოვრობენ, ხოლო ჩვენ – ცალკე. ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობთ.

— შენი ოჯახი როგორ შეეგუა შენს გათხოვებას?

— ნორმალურად. ბუნებრივია, მანც იყო ნერვიულობის მომენტი იმის გამო, თუ როგორ და რანაირად განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ დრო გავიდა და ნერვიულობა უკან დარჩა. დღეს კი, მშობლები ჩემი ბედით გახარებული და

— ვინ იყვნენ შენი მეჯვარეები?

— ჩემი მეჯვარე იყო ბავშვობის დროინდელი უახლოესი მეგობარი თამუნა თოთლაძე და კომპოზიტორი გია მაჭარაშვილი.

— საქორწინო კაბა ქართველი დიზაინერის შეკერილი იყო?

— კი. მეცვა არაჩვეულებრივი ვარდისფერი საქორწინო კაბა, რომლისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ავთო ცქვიტინიძეს. ეს მისი საჩუქარი იყო. სხვათა შორის, კაბას მარტო მე არ ვაქვებ, მისი დიზაინით ყველა აღფრთოვანებული დარჩა. რაც შეეხება ფეხსაცმელს – ასევე არაჩვეულებრივი დიზაინერის – მადონა ხარატიშვილის ნახელავი, ვარდისფერი ფეხსაცმელი მეცვა.

— ახლა ის მითხარი, როგორი

მეუღლეა ლუკა?

– ძალიან ყურადღებიანი, თბილი და მოსიყვარულე. მე მასზე მხოლოდ დადებითი შემიძლია ვთქვა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემი მეუღლეა – ის მართლაც, არაჩვეულებრივი ადამიანია. სხვათა შორის, სამსახურშიც ყველას უყვარს.

– **თუ შეიცვალა და მეუღლე ლუკა შეყვარებული ლუკასგან თუ გამოირჩევა რამით?**

– არანაირად არ შეცვლილა. პირიქით – თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემდამი სიყვარული უფრო გაუძლიერდა.

– **სიურპრიზს ხშირად გიმზადებ?**

– კი. ლუკა ამის დიდოსტატია. პირველი მისი სიურპრიზი იყო ის, როცა საჯაროდ გამომიცხადა – მიყვარხარო.

– **სურვილებს თუ გისრულებ?**

– რა თქმა უნდა. თუმცა, მე არა ვარ ძალიან მომთხოვნი, არასოდეს არაფერს ვითხოვ. სხვათა შორის, არც ჩემი მეუღლეა მომთხოვნი. ჩვენ ერთმანეთს ამითიც ვგავართ. მე მის თვალეში შემიძლია, ამოვიკითხო, თუ რა სურს და რა მოეწონა ან არ მოეწონა. ასევეა ისიც.

– **შენს ჩაცმულობაში თუ ერევა ხოლმე?**

– იშვიათად. უბრალოდ, რჩევის სახით ორივეს გვითქვამს ერთმანეთისთვის – მოდი, ეს ჩაიცვი-თქო. ისე, ჩემი ჩაცმულობის სტილით ლუკა ძირითადად, კმაყოფილია. მაგრამ თუ რაიმეს მირჩევს, მის რჩევას ყოველთვის ვითვალისწინებ, იმიტომ, რომ მას, შეიძლება ითქვას, ბოლომდე ვენდობი.

– **როგორი კულინარი ხარ და რა უყვარს ლუკას ყველაზე მეტად შენი მომზადებული კერძებიდან?**

– სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ლუკა თავად არის არაჩვეულებრივი კულინარი და მე ამით ვამაყობ კიდევ. რასაც აკეთებს, ყველაფერი გემრიელი გამოსდის. ძირითადად, არასტანდარტულ კერძებს იგონებს. რაც შეეხება ჩემს კულინარობას – ხორციის მოყვარული არა ვარ და ხშირად გამზადებ სალათას, რომელსაც ლუკაც დიდი სიამოვნებით მიირთმევს და კმაყოფილი ამბობს: შენც არა გიშავს რაო...

– **ამბობენ, სიყ-**

ვარული დროთა განმავლობაში ნელდება და ქრებაო...


– არა, მე ამას არ ვეთანხმები. მართალია, ჩვენს შემთხვევაში, იმდენი დრო არ გასულა, რომ გვეგრძნო სიყვარულის განულება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასე არც არასოდეს მოხდება.

– **ამჟამად, შემოქმედებითად რას საქმიანობს ახალდაქორწინებული წყვილი?**

– ჩვენი ძირითადი საქმე ტელევიზიაში მუშაობაა. ლუკა „ვაკაჯი ნიუსის“ პროდიუსერია. სამომავლოდ უამრავი გეგმა აქვს. მე დილის პროგრამისა და შაბათ-კვირის, განახლებული ფორმატის მუსიკალური გადაცემის წამყვანი ვარ. მართალია, ძალიან ვიღლები, მაგრამ ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს.

– **როგორც მომღერალმა, რატომ გააკეთე ამხელა პაუზა?**

– ტელევიზია საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს და მუსიკაში მცირედი შესვენება გამომივიდა. მაგრამ ახლა უკვე ვაპირებ, ჩავწერო ახალი სიმღერები. სხვათა შორის, კლიპის გადაღებაც მინდა, მაგრამ ამაზე წინასწარ არაფრის თქმას არ ვაპირებ, იმიტომ, რომ შეიძლება, ამის განხორციელება ვერ შევძლო და ტყუილის თქმა გამომივიდეს. ყოველ შემთხვევაში, ყველანაირად ვეცდები, რომ მუსიკას დაუბრუნდე.



თაფლობის თვე თბილისში, ტელევიზიაში გაავატარეთ...

ინფორმაციულ-შეხვედებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის ნიგნაკიდან:

ისტს – 10 საბრძოლო ჭურვზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს გასროლილი.

20. რუსეთის რკინიგზის რელსების ზომა განსხვავებულია ევროპული ქვეყნების რკინიგზის რელსების ზომისაგან.



ამ ფაქტს ბალტი-სპირელები ორპირიდან და დაცინვით შეახსენებენ ხოლმე რუსებს.

21. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის, კონსტანტინე მეთერთმეტის მოკვებითი თავი თურქეთის სულთნის, მუჰამედ მეორის ბრძანებით, მაღალ სვეტზე გამოკიდეს.

22. რუსები არ აპირებენ ასლან მასხალოვის ცხედრის გადაცემას მისი ახლობლებისათვის. ამ ფაქტს მსოფლიო საზოგადოებამ მუსლიმანური რელიგიის მასხრად აღება უწოდა.

23. კოტე აბდუშელიშვილი აკაკი წერეთლის მოურავი იყო. პოეტს გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა მასთან და თავისი მიწების გამორიგებელს ეძახდა. „ძმავ კოტე...“ – ასე იწყებოდა აკაკის მიერ მოურავისადმი მიწერილი ყველა წერილი.

24. XIX საუკუნეში, ღუგუის დროს, თუ მოწინააღმდეგისთვის მხოლოდ ჭკუის სწავლება უნდოდათ და არა მისი მოკვლა, დამბახის ლულაში დიდი რაოდენობით ღენთს ყრიდნენ, ხოლო ვისაც მოწინააღმდეგის გარდაუვალი სიკვდილი სწყუროდა, იარაღს ნაკლები რაოდენობის ღენით ტენიდა. იმ დამბახიდან გასროლილი ტყვია, რომელშიც ბევრი ღენი იყო ჩაყრილი, სხეულში გამჭოლ ჭრილობას ტოვებდა. ასეთი ჭრილობის განკურნება მაშინ, შედარებით იოლი იყო. ხოლო ღენთის მცირე რაოდენობით დატენილი დამბახიდან გასროლილი ტყვია მოწინააღმდეგის სხეულში რჩებოდა, რაც მისი დაღუპვის შანსს საგრძნობლად ზრდიდა.

25. ერთხელ, რომის პაპმა იტალიელ ფერმწერ ჯოტო დი ბონდონესთან ბერები გაგზავნა თხოვნით – ტაძრის მონახატად მხატვარს ვეძებ და შენი შემოქმედების შესაფასებლად რამდენიმე ნახატი გამომიგზავნეო. ჯოტომ სუფთა ტილოზე ერთი ხელის მოსმით დახატა იდეალურად მრგვალი წრე, ბერებს გადასცა და უთხრა: ვისაც მხატვრობის რაიმე გაეგება, ჩემს შემოქმედებას ამ წრის მიხედვითაც შეაფასებო. P.S. ამ ნახატს შემდგომში ჯოტოს „ო“ უწოდეს.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „გზა“ №9-10)

საბინა დარდენე 12 წლის იყო, როცა გაიტაცეს. ის ბელგიელ პედოფილს 80 დღე ჰყავდა ბნელ საკანში გამომწყვდეული.

დღეს საბინა 21 წლის არის და საკუთარ თავში პოვა ძალა, რომ თავს გადახდენილ ტანჯვანამებზე წიგნი დაენერა. მისი აღსარება არის გათავისუფლების აქტი: „რათა მომავალში შევიტოვებო ალარავინ დამისვას“.

ის პირველ დღესვე დაინახე. მერეც, ზემოთ რომ ავიდოდი ვხედავდი ხოლმე, მაცივარზე იდგა.

- ტელეფონი მუშაობს?
- ვერ ღარეკავ, ეს შეფის შტაბბინის ცენტრალურია.
- ძალიან გთხოვ, მშობლებთან დამარეკვინე, სულ ხუთი წუთით...
- არა, შენი მშობლების ტელეფონი ისმინება და შეფი ყველაფერს შეიტყობს. აი, მაშინ კი ნამდვილად მოგკლავს...

ორიოდე დღის შემდეგ, კიდევ ერთხელ წამოვიწყე:

- კარგი, ხუთი ნუ იქნება, მხოლოდ ორი წუთი... ორი, რა, გეხვეწებით!
- არა, შეფი თუ არა, რომელიმე მორიგე შენს ლაპარაკს აუცილებლად მოისმენს და მაშინ წასულაა შენი საქმი!

უარს რაც უფრო დაჟინებით მეუბნებოდა, ჩემს მშობლებთან დარეკვის სურვილი მით უფრო მეძალებოდა. დარეკვა მაინც ვცაადე. ის ზემოთ რაღაცას საქმიანობდა. მაცივარი მაღალი იყო, მე კი - ძალიან დაბალი. სასწრაფო კეთილი, სკამს ან რაღაც ყუთს ვეძებდი, რომ ზედ შევმდგარიყავი და ამ დაწყველილ ტელეფონს მივწვდომოდი. სწორედ ამ დროს, ის კიბეზე გამოჩნდა...

ალარ მანსოვს, მშობლებისთვის წერილის გაგზავნის უფლება მე ვთხოვე თუ ჩემი გულის მოსაგებად, თავად შემომთავაზა. ასე იყო თუ ისე, მთავარი იყო, რომ უფლება მომცა, მშობლებისთვის ხმა მიმეწვდინა და 13 ივნისს, ჩემი პირველი წერილის წერა დავიწყე.

სამწუხაროდ, ის წერილი დაიკარგა, დანარჩენი 3 კი, მოგვიანებით, პოლიციამ ჭილოფის ქვეშ საგულდაგულოდ დამალული აღმოაჩინა. ისე კი, დაახლოებით მანსოვს იმ, პირველი წერილის შინაარსი: ეწერდი, რომ ტყვეობას სასჯელად აღვიქვამდი, ამ კაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არ მიხდოდა და იქნებ, გამოსასყიდი თანხა როგორმე ეშოვათ, თან დაწვრილებით აღწერდი თუ ჩემი „მცველი“ რას სჩადიოდა და რის გაკეთებას მაიძულებდა...

წერილზე პასუხი არ მიმიღია. ამის ნაცვლად „უსახელომ“ ასეთი ამბავი



მომიტანა:

- შენმა მშობლებმა წერილი მიიღეს. ის, ჩემმა ძმაცკმა დედაშენს გადასცა. დედამ შემოგიტოვალა - კარგად უნდა იკვებო, რომ დიდი გოგო გაიზარდო; კიდევ - სექსი კარგია და სასიამოვნო, ვერ გამოვიტყვებ, რატომ არ მოგწონსო? ვითვლის - ჯერჯერობით, ფულს ვერ ვშოულობთ და ვიდრე არ ვიშოვით, მანდ უნდა დარჩე და მაგ შენს „მეგარველს“ ყველაფერი დაუკვირო. დედაშენი მართალია, როგორც ვითვლის, ზუსტად ისე უნდა მოიქცე.

ვიფიქრე - თუ მან ეს ყველაფერი არ შეთხზა, გამოდის, რომ ჩემმა მშობლებმა ამ მონსტრს ჩამაბარეს და მის ბრჭყალებს თავს ვეღარ დავაღწეე... ეს არ მაქმარა და მეორე დღეს გამომიცხადა - დედაშენმა ყველა შენი ნივთი დიდ მუყაოს ყუთში ჩაალაგა და სხვენში აიტანა... გამოდიოდა, რომ მშობლებმა საბოლოოდ დამივიწყეს. მათთვის აღარ ვარსებობდი.

ეს არაკაცი ისე მოქმედებდა, რომ ლოგიკურად აზროვნების უნარი საერთოდ დავკარგე. არ ვიცო, შემინება უნდა თუ ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენა, როდესაც ერთ დღეს, იარაღი - თოფი მიჩვენა, მერე ისიც გავიგე, რომ სახლის ჩხრეკისას, პოლიციამ ბნელ სარდაფში კიდევ ერთი იარაღი აღმოაჩინა.

...გარეთ, საქმეებზე რომ გადიოდა, სახლში სამარისებური სიჩუქე ისადგურებდა. მე კი დროს ვიხელთებდი და მაშინვე ჩემს სასკოლო წიგნებს ვეცემოდი, ვწერდი, ვხატავდი. ზოგჯერ უბრალოდ, ჩემს დაფლეთილ ლეიბზე ვგდებ. ასეთ დროს, თავსატეხის ამოხსნას ვცდილობდი: „მარ-

„ჩემი დაკარგული ბავშვობა“

ფიგურები ნიგონიან

წმუნებს, მე გადავარჩინე, შენი მხსნელი ვარო, მაშინ ასე საზიზღრად რატომ მექცევა?...“ საბოლოოდ მტკიცედ გადავწყვიტე: „მორჩა, უნდა გავიქცე!“

საიდუმლო კართან ზურგით დავდექი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მივაწეკი. 30 კგ-ს ვიწონიდი და ამ 100-კილოგრამიან კარს რას მოვუხერხებდი?! საოცარია - ორიოდე სანტიმეტრით მაინც გავწიე, თუმცაღა ქანცი გამწვდა... წყალი დავლიე. მერე ისევ კარს მივადექი. ამჯერად არ გამომართლა - ძვრა ვეღარ ვუყავი: ვერც გავაღე, ვერც დავხსურე. ვერ მოვწიე ისე, როგორც ადრე იყო. ე.ი. მიხვდებოდა, რომ ვეჯავჯავურებოდა... ვცაადე, მორალურად მოვმზადებულიყავი, თუ რას მიზამდა ამ დანაშაულისთვის. ვიფიქრე - ის არაკაცი ნამდვილად მომკლავს-მეთქი... ნაბიჯების ხმა შემომესმა. ის ჩამოდიოდა. მაშინვე საბნის ქვეშ შევიფეყე.

იღრიალა - გაგიჟდი? ახლა რომ შეფი მოსულიყო, იცო, რას გიზამდა? კაცის კვლა მისი ხელობაა, მაგრამ სანამ მოგკლავდა, საშინლად გაწამებდაო...

დარტყმისთვის მოვემზადე. ხელები სახეზე ავიფარე, მაგრამ ამჯერად არ ვუცემივარ, მუქარით და წამების იმ საღამაზონისტური მეთოდების ჩამოთვლით შემოიფარგლა, რომლებზეც ჩემი ასაკის გოგონებს წარმოდგენა არა აქვთ...


კვირა, 14 ივლისი, 1996

„საყვარელო დედა, მამა, ბებია, ნანი, სოფი, სებასტიან, სამ, ტიფი და ყველა, ყველა!“

კაცს, რომელიც დიცავს, თქვენთვის წერილის მოწერის უფლება ვთხოვე. იცო, რატომ, დედიკო? იმიტომ, რომ შენი, სოფის და სამის დაბადების დღეები ახლოვდება. ისეთი უბედური ვარ, რომ თქვენთვის ამ ბედნიერი დღის მოლოცვა და კოცნა არ შემიძლია, ვერც ვერაფერს გაჩუქებთ!

დედიკო, ფული რომ მქონოდა, ედელვაისების დიდ თაიგულს, შიგ ჩაწყობილი წითელი ვარდებით, მოგართმევდი... მაგრამ ამისთვის ფულის გარდა, კიდევ ერთი რამ არის საჭირო... თქვენ გვერდით ვიყო! ეს, დედიკო, ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა. მე რომ სახლში დავბრუნდე, ისინი ყველას დაგვხოცავენ, ეს კი ნამდვილად არ მინდა! ამას სჯობია, წერილები მოგწეროთ და სადაც ვარ, იქ დავრჩე... ძალიან მიყვარხართ, თქვენზე ხშირად ვფიქრობ. ისე მენატრებით, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებ. იმედია, თქვენც გახსოვართ და ჩემზე ფიქრობთ. სადილობის ან ვახშობის დროს, თუ ჩემს საყვარელ სასუსნავს — მაგალითად, შოკოლადს ან ნამცხვარს ჭამთ, ჩემზე იფიქრეთ ხოლმე. მე ხომ რამე გემრიელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მამღევენ, თუკი „იმი“ ყველა სურვილს დავაკმაყოფილებ. არ ვიცი, ხვდებით თუ არა, ამ „სურვილში“ რასაც

ჩემთვის მოაქვს, ვადაგასულია. არადა, მიმტკიცებს — შეგვრახე გაყიდვის თარიღით მითითებული, ნახე, ძველი არ არისო. შოკოლადი მომცა, რომელიც 1993 წლამდე იყო ვარვისი... დედა, ბებიასთან რამდენჯერაც მიხვალ, იმდენჯერ დამიკოცნე და ყოველ საღამოს, დაძინების წინ, სამს ყურზე აკოცე. და ყველამ, ყველამ წარმოიდგინეთ, რომ ყოველ დილას, ყოველ საღამოს და დღის ნებისმიერ დროს გკოცნით ბევრს. მოუთმენლად ველოდები თქვენგან წერილს ან ამბავს მაინც. ყველანი ძალიან მიყვარხართ. გკოცნით. რა კარგი იქნებოდა, თქვენ რომ შეფისთვის ფულის მცემბა შეგეძლოთ, მაშინ ხომ სახლში დამაბრუნებდნენ! მაგრამ ეს ალბათ, ძალიან, ძალიან ბევრი ფულია, არა?.. იმედი მაქვს, წერილის მოწერის უფლებას კიდევ მომცემს. და თუ ეს დიდი ხნის მერე იქნება, იმედს ვიტოვებ, რომ გახსოვართ და ჩემზე ფიქრობთ! მიყვარხართ! საბინა“.



მარკ დუტრო სასამართლო პროცესზე

ამ წერილს რამდენიმე დღე ვწერდი. მინდოდა, ჩემიანებისთვის ჩემი ცხოვრების ყველა წვრილმანი მომეთხრო. ის 14 ივლისით არის დათარიღებული. ჩემს კალენდარში ამ ფურცელს, დავაწერე — „წერილი“, 16-23 ივლისის ფურცლებს კი — „გაემზავარა“, რაც ნიშნავდა, რომ იმ დღეებში, მონსტრი „მივლინებაში“ იმყოფებოდა და სამალავში სრულიად მარტო დავრჩი.

„უსახელომ“ ჩემი წერილების წაკითხვის შემდეგ დაასკვნა, რომ მე დანაშაულის გრძნობა მაწვალებდა და ამით იმ ყველაფრის გამო ვისჯებოდი, რასაც მშობლები მსაყვედურობდნენ ხოლმე (მაგალითად: დედაჩემს საოჯახო საქმეებში არ ვეხმარებოდი ან სკოლაში ბუჯითად არ

ვგულისხმობ... მაინტერესებს, გარეთ როგორი ამინდია. მე ხომ მხოლოდ მაშინ შემიძლია გარეთ გახედვა, როცა ზემოთ ვარ და ისიც მხოლოდ ერთი ფანჯრიდან, რომელიც ჭერზეა. ყველა სხვა ფანჯრის დარბები დახურულია. სამწუხაროდ, გარეთ გასვლა და ეზოში თამაშის აკრძალული მაქვს... მაგრამ არის კიდევ სხვა, უფრო დიდი პრობლემა...“ წერილის ამ ნაწილში აღწერე იმ სექსუალურ კავშირს, რომელსაც ეს კაცი ჩემთან ამყარებდა და რაზეც აქ ლაპარაკი არ მინდა. „...ძალიან მაკლიხართ! საშინელებაა, რომ თქვენთან ყოფნა არ შემიძლია. ამ ბოლო დროს, ის თითქმის ყოველდღე შეურაცხმყოფს, მაგრამ იძულებული ვარ, ყველა მისი მოთხოვნა შევასრულო. ხანდახან ტელევიზორის ყურების უფლებას მამღევენ, მაგრამ... საკვები, რომელიც მას

ვსწავლობდი)...
სამშაბათი, 23 ივლისი, 1996
 ეს დღე ჩემს კალენდარში წითელი ვარსკვლავით აღვნიშნე. რაც „ძალიან, ძალიან ცუდს“ ნიშნავდა. ის „მივლინება“ დაბრუნდა და სამალავიდან ზემოთ ამიყვანა. იმ დღეს იქ ჩვეულებრივზე დიდხანს დამტოვა... მერე კი, ქანცაყვეტილი, ხელში აყვანილი ჩამიყვანა ჩემს ჭუჭყიან „სარკოფაგში“. სასოწარკვეთილმა, დედაჩემს მუდარით სავე წერილი მივწერე. მერე ეს წერილი პოლიციელებმა, გაუსხნელი, იმ არაკაცის სახლში, ჭილოფის ქვეშ აღმოაჩინეს. პირველად ის მოსამართლემ გახსნა.
 სხვათა შორის, ეს წერილი დედაჩემს მერეც არ წაუკითხავს — ახლა უკვე მე არ მივეცი უფლება: მის ნერვებს გავუფრთხილდი. მაგრამ პროცესზე საჯარ-

ოდ წერილების წაკითხვაზე თანხმობა განვაცხადე. ეს სიმართლის დადგენის მიზნით გავაკეთე და კიდევ იმიტომ, რომ ადამიანებს გაეგოთ, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს საღისტის ფანტაზიები, თუკი მის ხელში აღმოჩნდება სუსტი, დაუცველი არსება, რომელსაც იგი თავის ჭკუაზე ათამაშებს.

ახალი ტყვე

იმ დღეს საგრძობლად გაუარესდა ჩემი ფიზიკური მდგომარეობა. ძლიერი სისხლდენა და გაუსაძლისი ტკივილები მქონდა. მუცელზე რომ ვწვებოდი, მთელ სხეულში მტეხდა. ბოლმა მახრჩობდა, საკუთარი თავი თან მეჯავრებოდა, თან — მებრალბებოდა. „რა მინდა ამ ბუნავში, ამ ღორის გვერდით, რომელიც მთელი დღე მაწამებს და მოსვენების საშუალებას წუთითაც არ მამღევენ?“ ჩვენ შორის სულ ერთი და იგივე დიალოგი იმართებოდა:

- ეს საჭმელი გულს მირევს.
- მორჩი წუწუნს და ჭამე!
- დედ-მამის ნახვა მინდა!
- არ გამოვა!
- მომეზრდა, აღარ შემიძლია! დამლაპარაკებელიც კი არა მყავს; ადრე ბევრი მეგობარი მყავდა, მათთან ერთად ვერთობოდი ხოლმე. აქაც მინდა, მეგობარი მყავდეს.

- არ გამოვა! მეგობარი არაფერში გჭირდება!
 მაგრამ ერთ დღეს მორიგ „მივლინებაში“ გამეზავრებამდე, უეცრად მაუწყა:
 - დაწყნარდი, მეგობარს მოგიყვან...
 არ დავიჯერე. რომ ეთქვა — კარი გააღე და სახლში წადიო, — ამას უფრო დავიჯერებდი...

8 აგვისტოს საღამოს ის დაბრუნდა. კალენდარზე ეს დღეც ისევ წითელი ვარსკვლავით აღვნიშნე. 9-ში ის არ მიხანავს. 10 აგვისტოს სარდაფში ჩემს წასაყვანად ჩამოვიდა. კიბეზე რომ ავდიოდით, ახალი ამბავი შემატყობინა: „შენი მეგობარი აქ არისო.“

გავოგნდი! რაღა თქმა უნდა, მაშინვე მისი ნახვა მოვიწოდებ!

ნომის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები
822 009 005
 ხარი ფასიანია, 18 წლიდან
 დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-გარანტიითაც

საწოლზე მიბმული, შიშველი, ისე, როგორც მე, იმავე ფარდაზე იწვა...

– აი, შენი ახალი მეგობარი! – გამო-
მცხადლა საზეიმოდ.

ენა დამება, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა:
– ვინ არის? რა ჰქვია?

77-ე დღე

თვალწინ დამიდგა ჩემი ტუსალობის პირველი დღეები. საწოლი, ჯაჭვი ყელზე... ამ გოგონაში საკუთარ თავს ვხედავდი: იგივე ფარდავი, იგივე ჯაჭვი, შიშველი სხეული – ეს მე ვიყავი...

სინდისის ქენჯნა ვიგრძენი: „ეს რა მოვითხოვე?! ეს რა ჩავიდინე?!“ მინდობდა, მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე. თავი გავაქნიე, მწარე ფიქრები მოვიშორე. ვცადე, როგორმე გამემხნეებინა – გავუღიმიე და ვკითხე – ცუდად ხომ არა ხარ-მეთქი? ეტყობა, ნარკოტიკებისგან იყო გაბრუნებული და ძლივს ამოილულა...

- რა გქვია?
- საბინა. შენ?
- ლეტიცია.
- რამდენი ხანია, აქ ხარ?

თავი დავხარე. ამ კაცის თანდასწრებით იმის თქმა, რომ აქ უკვე მესამე თვეა ვარ, შემეშინდა: რა გარანტია მქონდა, რომ უცებ არ იფიქრებდა – დროა, თავიდან მოვიშოროო?!

მერე ლეტიციამ მიაძმო: იმ კაცმა მითხრა – ერთ ბოროტ კაცს, ჩემს შეფს შენი მოკვლა უნდა, მე კი შენ გადაგარ-

ჩინეო...

– მეც იგივე მითხრა!

...ლეტიცია კარგა ხანს, თითქოს ძილ-
ღვიძილში იმყოფებოდა, გონზე მოსვლა უჭირდა. თვალებს ძლივს ახელდა. ამ თავის სოროში ორ ადამიანს სუნთქვა გაგვიჭირდება, რა უნდა ვქნათ? უნდა გავიქცეთ, აქაურობას თავი უნდა დავაღ-
წიოთ! მაგრამ როგორ? კარის გაღება ერთხელ ვცადე და ძალა არ მეყო. ორნი კი, ალბათ ამას შევძლებთ...

როცა „ის“ სარდაფში ჩამოვიდა, მიბრ-
ძანა: „შენ აქ დარჩები!“

...როცა ლეტიცია უკან დაბრუნდა, ჩემთვის არაფერი უთქვამს.

4 თუ 5 დღე „ის“ აღარ გამოჩენლა.

ეს უცნაურად მომეჩვენა. კაცს ხომ „მოთხ-
ონილება“ ჰქონდა და დღე არ გავიდო-
და ისე, რომ არ შევეწუხებინე... ჩემი ფიქრები ლეტიციას გავუზიარე და ორივემ ვთქვით, რომ ეს მართლაც, უცნაური იყო.

როგორც შემდეგ გაირკვა: 13 აგვის-
ტოს ის თურმე, დაუჭერიათ. ამ დღეს, ერთმა ჟანდარმმა სახლი გაჩხრიკა, მა-
გრამ საეჭვო ვერაფერი შეამჩნია. არც ჩვენ გაგვიგონია რამე.

საწყალმა ჟანდარმმა მოგვიანებით, იმ-
დენი საყვედური მიიღო და ამის გამო ისე იყო განერვიულებული, რომ სასა-
მართლო პროცესზე ატირდა კიდევ. ნა-
ძღვეს ვღებ, რომ თაროების უკან საგულ-
დაუგლოდ დამაღულ საიდუმლო კარს ვერავინ აღმოაჩენს. ამიტომაც, საწყ-
ალი ჟანდარმისთვის საყვედური არ მითქვამს და მის წინააღმდეგ სასა-
მართლოზე არც ერთი სიტყვა არ დამცდენია – პირიქით – დავიცავი.

მე-80 დღე

თუ შეიძლება, რომ ჩემს საათს ვენლო, ეს 15 აგვისტო იყო, დღის 12-
ს ცოტათი იყო გადაცილებული. მე და ლეტიცია ისევ სოროში ვიმყო-
ფებოდით და 90 სანტიმეტრი სიგა-
ნის ჭუჭყიან ლეიბზე დასაძინებლად მოთავსებას ვცდილობდით, როცა ხმაური და ლაპარაკის ხმა გავიგო-
ნეთ და...

- გესმის?
- ჰო. რა ხდება?

– „უსახელო“, ალბათ, შეფთან და თანამეინახეებთან ერთად მოვიდა...

მერე ნაბიჯების ხმა გაისმა, ვილა-
ცა კიბეზე ჩამოდიოდა.

შიშისგან აკანკალებულები, საბ-
ნის ქვეშ შევძვებით. სმენად ვიქცით. შიშისგან ვკანკალებდი, რომელსაც ვერაფერს ვუხერხებდი. ლეტიციას ჩაეჭურჩულე:

– ბევრი არიან, მემინია, ბოთლე-
ბი გააქეთ, მალე კარს გაღებენ...

მაგრამ, როგორც ყოველთვის,

„მისი“ ხმა შემოგვესმა:

– მე ვარ! ახლა შემოვალ!..

კარი გაიღო, სწორედ იმდენად, რომ ჩვენ გავტეულყავით... ის დაბლა, კიბის ბოლო საფეხურზე იდგა – იქ, სადაც ყოველთვის მელიდებოდა, როცა ჩემს წასაყვანად მოდიოდა... მაგრამ ამჯერად იქ სხვებიც იმყოფებოდნენ – მამაკაცები უნიფორმაში. შიშისგან კინალამ გონება დაეკარგე. მოულოდნელად ლეტიციამ ერთ-ერთი მამაკაცისკენ გაიშვირა ხელი და სისხარულით შესძახა:

– ამას ვიცნობ, ვიცნობ! პოლიციელია! ნუ გემინია!..

ცხოვრებას დაგებრუნდი

პირველ დღეებში მეგობრების ნახვას ვერიდებოდი. მემინოდა, რომ უამრავ შე-
კითხვას დამისვამდნენ, რომელზეც პასუხის გაცემა გამიჭირდებოდა. თურმე, სულ ტყუი-
ლად მემინოდა. ჩემს ამხანაგთაგან შეკითხვა არავის დაუსვამს და მოუხედავად იმისა, რომ ჯერ სულ პატარები იყვნენ, ჩემი მღო-
მარეობა ზოგიერთ ზრდასრულზე უკეთე-
სად ესმოდათ.

ფსიქოთერაპიაზეც უარი ვთქვი. საკუ-
თარ თავს თავად ვუმკურნალე. უბრალოდ, ვცხოვრობდი ისე, როგორც 13-15 წლის გოგონამ უნდა იცხოვროს...

მერე სიყვარულიც მეწვია.

ორივესთვის ეს პირველი სიყვარული იყო...

სიყვარული დამეხმარა წარსულის დავიწყებაში და თავი სრულფასოვან ქალად მაგრძნობინა.

შეიძლება, ეს ის ურთიერთობა არ იყოს, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება. იქნებ, დავმორღეთ კიდევ ერთმანეთს და ამან გული მატკინოს. მაგრამ ეს იქნება ჩემი სიყვარულით გამოწვეული ტკივილი. პირველ სიყვარულთან განსორებით გამოწვეული ტკივილი...

P.S. საბინა და ლეტიცია სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს. მანამდე, მარკ ლუტროს 4 გოგონა ჰყოლია მოკლული.

ჯული ლეუნე და მელისა რუსო – ორივე 8 წლის, მან გაიტაცა 1996 წლის 24 ივნისს. გააუპატიურა და შემდეგ დახოცა.

ანა მარშალი (17 წლის) და ეფი ლამბრე (19 წლის) – 1995 წლის 24 ოქტომბერს – ასევე გააუპატიურა და მოკლა...

12 წლის საბინა დარდენე (გაიტაცა 1996 წლის 28 მაისს) და 14 წლის ლეტიცია დელჰეცი (გაიტაცა 1996 წლის 9 აგვისტოს). მისი სადისტური ქმედების მსხვერპლნი კი გახდნენ, მაგრამ სიკვდილს გადაურჩნენ.

მოამზადა დოლო თოფურიამ



საბინას და ლეტიციას შესვედრა ნიგნის პრეზენტაციის დროს

ახალი Bentley – ჯობიორები და სრული უსაფრთხოება

ბრიტანული კომპანიის ეს მოდელი წლეულს, ლოს-ანჯელესში წარმოადგინეს ავტომოყვარულთა სამსჯავროზე. Arnage Drophead Coupe – „ბენტლის“ საფირმო სტილში შესრულებული, ელევანტური თავლია ავტომანქანა: მას გრძელი კაპოტი, რელიეფური უკანა ფრთები, ხელით ნაკეთები ბამპერები, კომფორტული და მდიდრულად მოპირკეთებული სალონი აქვს. საჭე ქრომიტ დაშუშავებული, ძვირად ღირებული ხის მასალისგანაა დამზა-

დებული. Arnage კომპანიის საკულტო მოდელის – Bentley Azure-ის (მას 1995-დან 2003 წლამდე აწარმოებდნენ) ტრადიციას განაგრძობს.

ახალი 4-ადგილიანი მანქანა 8-ცილინდრიანი ძრავას – Arnage R – სპეციალური ვერსიითაა აღჭურვილი. მისი საშუალო მოცულობა 6,75 ლ, სიმძლავრე კი – 450 ცხ.ძ. გახლავთ. ავტომობილი ე.წ. სწრაფი რეაგირების სისტემითაა აღჭურვილი: მანქანის ამობრუნების შემთხვევაში, ამ სისტემის მყისიერი გააქტიურება ხდება, რის შედეგადაც, იხსნება უკანა სავარძელში ჩატანებული, უსაფრთხოების დგარები; საჭარე მინის გაძლიერებულ ჩარჩოსთან ერთად, ეს დგარები მანქანის მთელ მასას გაუძლეობს.



საშმრინი რბილი სახურავი ჰიდრაულიკური ამძრავითაა აღჭურვილი და დაკეცილ მდგომარეობაში (ეს პროცესი სულ რაღაც 25 წმ-ში ხორციელდება), უკანა თაროს მიღმა თავსდება.

Drophead Coupe ჯერჯერობით მხოლოდ ექსპერიმენტული მოდელი გახლავთ. კომპანია კვლავ განაგრძობს ამ ტიპის კუპეს მიმართ ბაზრის მოთხოვნილების შესწავლას. თუ მის პოტენციურ მომხმარებელთა რიცხვი სოლიდური აღმოჩნდა, ახალი მანქანის სერიული წარმოება 2006 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ■



Hymer – ბორბლებზე „ჰემოგლობინი“ ობიექტი

„ბორბლებიანი სახლების“ წარმოებაში დახელოვებული გერმანული კომპანია Hymer მალე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შესთავაზებს მოდელს – EXSIS, რომელიც გაბარიტებით მსუბუქ ავტომობილს უტოლდება. მისი სიგრძე 5,45, სიგანე კი – 2,06 მ-ა. კომპაქტური ზომის წყალობით, ამ „სახლს“ იოლად დააყენებთ ნებისმიერ სადგომზე, მის სამართავად კი, B კატეგორიის მართვის უფლებაც საკმარისია და არც რაიმე განსაკუთრებული მომზადება დაგჭირდებათ.

ეს მანქანა იდეალურია წლის ნებისმიერ დროს მთელი ოჯახით სამოგზაუროდ. მასში გათვალისწინებული წყლის, გაზისა და ელექტროენერჯის მარაგი 2-3-დღიანი ცხოვრების გარანტიას იძლევა. საბაზო კომპლექტაციაში შედის: გაზქურა, მაცივარი, ბიოტუალეტი, პირსაბანი, გაზგამათბობელი, მაგრამ მომხმარებელს შეუძლია, შეუკვეთოს დამატებითი დანადგარები და ტექნიკური აღჭურვილობა.

EXSIS-ის გარდა, Hymer, „ბორბლიანი სახლების“ კლასში მომხმარებელს სთავაზობს მოდელებს: Camp, Camp Classic და Camp GT. ამ მოდელების ფასები 49 ათასი ევროდან იწყება. ყველა ჩამოთვლილი მოდელი Fiat Ducato-ს ბაზაზეა აგებული და მათი მასა 3,5 ტონას არ აღემატება. ■



Nissan Note – საოცარი მანევრულობით გამორჩეული ჰენი

იაპონური კომპანია ქვეყნის ბაზარზე ამ მოდელის გამოტანას იწყებს. ეს კომპაქტური ვენი კონცეპტუალური მოდელის – Nissan Note – სერიული ვერსია გახლავთ, რომელიც შარშან, პარიზის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. Note-ის ბაზას, ფრანგულ კომპანია „რენოსთან“ ერთად შემუშავებული, ერთიანი პლატფორმა წარმოადგენს. ავტომობილის სიგრძე 3,99 მ-ა და ის იშვიათი მანევრულობით გამოირჩევა (შემობრუნების რადიუსი 9,50 მ-ს შეადგენს), რაც ძალზე აიოლებს მის ექსპლუატაციას დიდი ქალაქის პირობებში. კონცეპტუალური ვერსიისგან განსხვავებით, „ნოუტს“ არა აქვს გამჭვირვალე სახურავი, მაგრამ შესაძლებელია, რომ მომხმარებელმა ის, როგორც ოპცია, ისე შეუკვეთოს ქარხანას.

იაპონიაში ეს მანქანა 1,5 ლ მოცულობის ბენზინის ძრავით და ავტომატურ გადაცემითაა კოლოფით იქნება აღჭურვილი. ვენის ევროპული პრემიერა შემოდგომისთვის, ფრანკფურტის ავტოსალონზე დაგეგმილი, რაც შეეხება ბაზარს – ევროპელი მომხმარებელი მას მხოლოდ 2006 წლის იანვარში მიიღებს. Note-ის საექსპორტო მოდიფიკაცია 1,4 ლ მოცულობის (88 ცხ.ძ.) ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი; ისევე, როგორც Nissan Micra-ს, მას ექნება აგრეთვე „რენოში“ შემუშავებული, 86 ცხ.ძ-იანი დიზელის აგრეგატი. ■





მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე ცოტა ხნის წინ ახალ ამბლუაში მოგვევლინა — იგი ფოტოხელოვნებამ გაიტაცა და უკვე გამოფენაც მოაწყო. ის უკომპლექსო ადამიანია, რომელიც სცენაზე გასვლის წინ უსტვენს ხოლმე...

რუსუდან ბოლქვაძე, ცხვირისხმო, სუნამო...

...ნივთები, ხომლებიც მსახიობს დადებით მუხს აძევს

ლიკა ქაჩია

— კულისები ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი და ტევადი სიტყვაა, ვიდრე თეატრი, სპექტაკლი. ეს არის ადგილი, რომელიც ადამიანისთვის შეიძლება იყოს სამზარეულოც, საძინებელიც, სადაც სიცოცხლე ღულს, საინტერესოა. ის მარტო შენია, მაგრამ მაინც გახსნილი, გაშიშვლებულია.

— რას საქმიანობთ თეატრს მიღმა?

— ათას რამეს. მაგრამ ჩემთვის, მაინც ყველაფერი თეატრს უკავშირდება... ამ ეტაპზე, თეატრის გარდა, ფოტოგრაფიით ვარ გატაცებული. ადრე, მეგობრის ფოტოაპარატით ვიღებდი სურათებს, დღეს კი საკუთარი ფოტოკამერა მაქვს.

— რატომ გაგიტაცათ მაინცდამაინც ფოტოხელოვნებამ?

— თეატრიდან ხშირად მივდიოდით გასტროლებზე ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენთვის „უცხო ხილი“ იყო, განსაკუთრებით, 80-იან წლებში. საბჭოთა მოქალაქის ოცნების მწვერვალს პოლონეთისა

და იუგოსლავიის ნახვა წარმოადგენდა. ჩვენ კი, უცებ მოვხვდით ავსტრალიაში, ამერიკაში, ახალ ზელანდიაში, ესპანეთში, საფრანგეთში!.. ამ ქვეყნებში ვიღებდით ქუჩებს, სახლებს, ადამიანებს და დამიგროვდა ძალიან ბევრი სლაიდი. ზოგიერთი ფოტო საინტერესო გამოვივიდა. მართალია, ამ საქმეში პროფესიონალი არა ვარ, მაგრამ ფოტოხელოვნებამ საოცრად გამიტაცა.

— გასტროლებზე ყოფნის დროს, ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა დაგამახსოვდა?

— მოგზაურობა ყველგან და ყოველთვის საინტერესოა. ამიტომ, ვერც ერთ ქვეყანას ვერ გამოვყოფ. სხვადასხვა ქვეყანა კულტურით, ადამიანებით, ფსიქოლოგიით განსხვავდება. ვთქვათ, იმას, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, სხვაგან შეიძლება პატივს სცემდნენ და — პირიქით.

— რა განსხვავებაა ქართველ და უცხოელ მაყურებლებს შორის და ნუნაც თუ არა კარგი მაყურებელი მხოლოდ ოფციას, ტაშს?

— კარგი მაყურებელი მარტო ოფიცია როდია. არსებობს მოწონების ორი გამოხატულება — გამყვანებელი და გაუმყვანებელი. მაყურებელს შეიძლება მოეწონოს სპექტაკლი, მაგრამ არ გადაირიოს, ფეხები არ აბაკუნოს, არ იფიქროს — უბრალოდ, ჩუმად იჯდეს და გისმინოს. მაგალითად, ევროპელი მაყურებელი — ვთქვათ, ინგლისელი ან ლიტველი მაყურებელი ასეთია: როცა სპექტაკლს უყურებს, მისგან არანაირი რეაქცია არ მოდის, გვინია, რომ დარბაზი ცარიელია, მაგრამ სპექტაკლის ბოლოს, დარბაზი ინგრევა ტაშით. იქაურ მაყურებელს მიანია, რომ თამაშის დროს მსახიობს ხელი

არ უნდა შეუშალოს, არ უნდა გაიცინოს, ტაში არ უნდა დაუკრას. ამ დროს, არგენტინელს, კოლუმბიელს ვერ წარმოუდგენია, რატომ არ უნდა გაიცინოს, თუ სასაცილოა.



ფოტოხელოვნებამ საოცრად გამიტაცა

— რას იტყვით ქართველ მაყურებელზე?

— სპექტაკლი თუ მოგვეწონა, ვცდილობთ, ეს მსახიობს ვაგრძნობინოთ, მხარი დაუჭიროთ. ჩვენს თეატრში, საბედნიეროდ, ნორმალური მაყურებელი მოდის. საქართველოში, ვმჯდარვარ დარბაზში, სადაც მოწონების გამოხატავადა, ისე ხმაურობდნენ, რომ არც მუსიკა ისმოდა, არც საუბარი... ეს სითბოს გამოხატვა კი არა, უპატივცემულობაა, ამით მსახიობსაც ხელს უშლი და მაყურებელსაც. ახალ თაობას, რომელიც სპორტის სასახლის კონცერტებზე აღიზარდა და არ ფლობს იმის კულტურას, თუ როგორ მოიქცეს თეატრში, ჰგონია, რომ შეუძლია იფიქროს, დარბაზში იაროს, ტელეფონით რეკოს და ილაპარაკოს. თანაც, ამ დროს ფიქრობს, რომ საოცრად კარგი, თბილი ტიპია, ჰგონია, რომ გემარება... ამით განსხვავდებიან მაყურებლები ერთმანეთისგან, თორემ, სპექტაკლის მოწონებას ყველა ისე ამჟღავნებს, როგორც შეუძლია.

— ცნობილია, რომ სესილია



მოგიერთი ფოტო საინტერესო გამოვივიდა

თავაიშვილი, თავისი გმირის ხასიათის გასახსნელად, ისეთ ნივთებს, ელემენტებს, სპეციფიკურ სუნს აქცევდა ყურადღებას — მაგალითად, როგორცაა ქინძის, ომბალოს სუნი. თქვენ თუ გჭირდებათ ამგვარი ატრიბუტები იმისათვის, რომ თავდაჯერებულად განასახიეროთ ესა თუ ის გმირი?

— გააჩნია, რა შემთხვევაში. თუ სპექტაკლში გმირის სახე პირობითადაა გადაწყვეტილი, მაშინ ქინძის სუნი საჭირო არ არის... თუმცა — არა, მსახიობს მაინც სჭირდება რაღაც, იმიტომ, რომ ზოგჯერ ამ სუნს, შეგრძნებებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ შემლო შენი პერსონაჟის გაცოცხლება.

— თქვენ თუ გქონიათ ასეთი შემთხვევა?

— მეც მქონია ასეთი შემთხვევა. მაგალითად, ავიღოთ სპექტაკლი — „ჩვენი პატარა ქალაქი“, სადაც მოხუც ქალს ვასახიერებ. იქ თან მაქვს ჩანთა, რომელიც ბებიანჩემის დის ნაქონია. ჩანთაში მიწვევა ნივთები, რომლებიც მართო მე ვიცი, რომ მიღვეს, — პატარა ბლოკნოტი, იგი თავის დროზე ბაბუაჩემმა აჩუქა დედას. მართალია, პაწაწინაა, მაგრამ დღურითაა: მასში არის რაღაც ნახატები, ლექსები, დედაჩემის მეგობრების სახელები და მისამართები. ჩანთაში დევს ასევე ბებიანჩემის ერთ-ერთი დის ნაქონი ცხვირსახოცი, სუნამო, რომელიც ოდესღაც ბაბუაჩემმა მაჩუქა. ეს ის ნივთებია, რომლებსაც მაყურებელი ვერ ხედავს, მაგრამ ხედავს ამის შედეგს: ამ ნივთებით ვთბები, ამის შედეგად თბება, ცოცხლდება, სუნთქვას იწყებს ჩემი პერსონაჟიც, ეს სუნთქვა კი, მაყურებელს ათბობს. ასე იკვრება ჯაჭვი — ანუ თეატრი იწყებს სუნთქვას.

— თქვენ მიერ გაცოცხლებული რომელი პერსონაჟია თქვენს ხასიათთან ყველაზე ახლოს?

— ამ კითხვაზე პასუხს ვერავენ გაცემს. თითოეული პერსონაჟი შენი ხასიათის რომელიღაც თვისებას ეხმიანება. შეიძლება ვთქვა, რომ ამ პერსონაჟს არ ვგავარ, მაგრამ თუ კარგად მოვძებნი, ამ თვისების ერთ ნამცეცს მაინც აღმოვაჩენ ჩემში. უბრალოდ, რაღაც მეტად მაქვს გამოკვეთილი, რაღაც — ნაკლებად, მაგრამ ის ნაკლებიც ხომ მაქვს! ამ პერსონაჟის გასაცოცხლებლად ეს ნამ-

ცეცი უნდა გავადიო... ჩემ მიერ გაცოცხლებული ყველა გმირი მეაგს.

— თქვენ მონაწილეობდით სატელევიზიო საბავშვო გადაცემებში. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს თქვენთვის?

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო... სულ 3 ზღაპარი გადავიღეთ, თითოეულში 4-5 პერსონაჟი იყო.

— არ გაგიჭირდათ

სხვადასხვა ცხოველისათუ ფრინველის განსახიერება?

— სიმართლე გითხრათ, მე თვითონ ვთხოვე რეჟისორს, ნება მოეცა, მთელი დატვირთვა ჩემს თავზე ამელო. თავიდან ჩანაფიქრი ასეთი იყო — თითოეული როლი სხვადასხვა მსახიობს უნდა ეთამაშა, მაგრამ საბოლოოდ, ეს ყველაფერი თვითონ გავაკეთე... ამ საბავშვო გადაცემაზე მუშაობის პერიოდი კარგად მახსენდება. სახალისო იყო, თუმცა ფიზიკურად გამიჭირდა კიდევ: სახსრების უქონლობის გამო, ეს ყველაფერი ერთ ღამეში გადავიღეთ. ძალიან ბევრჯერ მომიწია გრიმისა და კოსტიუმის გამოცვლამ. ეს ურთულესი იყო. მიხარია, რომ კარგი გამოვიდა და ამით არა მარტო ბავშვებმა, არამედ მათმა მშობლებმაც ბევრი იხალისეს.

— ამ ბოლო დროს, მსახიობთა უმეტესი ნაწილი, მეტწილად, მაგრამ მაინც მონაწილეობს სერიალებში. თქვენ რატომ პასურობთ?

— მე არავის გავხსენებია. ზოგ შემთხვევაში, ეს მიხარია, ზოგში კი — ნაკლებად.

— სერიალში მონაწილეობა რომ



ნათელა ურუშაძე



ელდინო სალარაძე

შემოგთავზონ, ამ წინადადებას მიიღებთ იმიტომ, რომ მოგწონთ ქართული სერიალები თუ იმიტომ, რომ ამაში თანხას გადაგიხდიან?

— გააჩნია სერიალს — სცენარს, რეჟისორს, პარტნიორს. თუ ჩემთვის რაიმე კატეგორიულად მიუღებელია, ვერანაირი თანხა ვერ მიმიზიდავს.

— მსახიობობა, ცხოვრებაში თამაში გინვით ხოლმე?

— ახლა ვინ არ თამაშობს?.. შენ არ ვითამაშა ცხოვრებაში?.. გააჩნია თამაშს. მსახიობობას ხშირად ეძახიან არაგულწრფელობას, სიყალბეს. ე.ი. სცენაზე რომ ვთამაშობ, ვტყუო? სიმართლე თუ გინდათ, ზოგჯერ სცენაზე უფრო მართალი ვარ, ვიდრე ცხოვრებაში.

— სცენაზე გასვლის წინ, რაიმე ტრადიცია ხომ არ გაქვთ?

— ერთი პატარა, ჩიტის ფორმის სასტკენი მაქვს, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია ქალბატონმა ოდესღაც მაჩუქა და მაშინ შევპირდი, რომ ასე მოვიქცეოდი: სპექტაკლის დაწყებამდე, ვუსტვენ და ამით ერთგვარ მისალმებას ვუგზავნი ხოლმე. ეს ყველა ჩემმა პარტნიორმა იცის. მაგრამ ამ ბოლო დროს, უცხო პარტნიორებთან მომიხდა თამაში და როცა ჩემს „ჩიტს“ დავადრობ და ვუსტვენ, რეაქცია აქვთ — ალბათ, ყველას გიჟი ვგონივარ.

— თქვენ კულისები პირველ რიგში, სამზარეულოს შეადარეთ. როგორი კულინარი ხართ?

— ვერ ვიტყვი, რომ კარგი კულინარი ვარ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უგებურად არასდროს ვამზადებ. ისე, ჭურჭლის რეცხვა მირჩევნია, თუმცა, თუ დამჭირდა, ვიცი, რომ კულინარიის დარგში ოსტატიც გავხდები.

მკურნალობა გარანტიით!
 თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა, ამოდის თმა, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში, კანის და ფრჩხილის სოკო, ფსორიაზი.
 მის: ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ჩიხის სასტან, სოფ. აგოლაშვილი
 აპოლინიკიანი, 11-18 სმ-249, შავათს 13-15 სმ-249
 ☎ 30-94-73; 35-32-62; 893-91-89-17 (სალამოს) მკურნალობამდე და შემდეგ

კვირის

(21 - 27 მარტი)

ასტროლოგიური პროგნოზი

პირი - 21/III-20/IV

ძალი: ეს კვირა თქვენთვის მეტის-მეტად იბღიბინი იქნება. ამიტომ ნუ აყვებით ემოციებს. კვირის ბოლოს მოგვემთ შანსი, კიდევ ერთხელ დაამტკიცოთ, რომ პატიოსანი ადამიანი ხართ. პირად ცხოვრებაში სახსლე შემდეგ კვირაში მოსალოდნელი.

მამაკაცი: საქმიანი სარბიელი მეტად ნაყოფიერია. მგზავრობა თუ გადაწყვეიტე - ბევრ სიამოვნებას მიიღებთ. უარი არ თქვით ახალ წინადადებაზე. დოკუმენტებზე ხელმოწერისას სიფრთხილე გამართებთ.

პერი - 21/IV-21/V

ძალი: პირად ცხოვრებაში გრანდიოზულ გეგმებს ნუ დაისახავთ. სამსახურშიც იმდენი იშრომეთ, რამდენიც მოგიხსოვებათ. სერიოზული საქმეების წამოწყებისგანაც თავი შეიკავეთ. მეტი იზრუნეთ ოჯახის წევრებზე.

მამაკაცი: ვარსკვლავები სასიამოვნო სიურპრიზს და მატერიალურ ანაზღაურების გაუმჯობესებას გპირდებიან. თავი არიდეთ ხალხმრავალ ადგილებს - შესაძლოა, ვინმესთან კონფლიქტი მოგივიდეთ.

პარეზი - 22/IV-21/V

ძალი: სამსახურში ცვლილებები მოსალოდნელი. ახალ თანამდებობას ან ახალ პროექტს შემოგთავაზებენ. ნებისმიერ შემთხვევაში წარმატება გელით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას სულგრძელობა გამოიჩინეთ.

მამაკაცი: სასიყვარულო შეხვედრები სხვა დროისთვის გადადეთ და საქმეს მიხედეთ. თქვენს შრომისმოყვარეობაზე ბევრი რამა დამოკიდებული. თუ კოლეგები თქვენი ავტორიტეტის შელახვას შეეცდებიან, არ აყვეთ - ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

პირი - 22/VI-22/VII

ძალი: კონკრეტულ პრობლემებზე გამართებ მობილიზება და ფინანსური საქმეებიც თქვენს კონტროლქვეშ მოექცევა. თვის ბოლოს საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებენ. ნუ დაკარგავთ წარმატების შანსს.

მამაკაცი: კვირის ბოლოს ახალი ნაცნობობა გელით, რომელიც შესაძლოა რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. ყურადღებით იყავით: ფული არ დაკარგოთ! უქმე დღე განტვირთვისთვის გამოიყენეთ.

ლირი - 23/VI-23/VII

ძალი: ეცადეთ, თქვენი საიღუმლო ახლობლებსაც არ გაანდოთ. წერილმანებში კი ნურც ფულს დასარჯავთ და ნურც - ნერვებს. ბედნიერებაში ხელს მხოლოდ სამაყე ვიშლით. მოაწყვეთ პატების კვრუელი.

მამაკაცი: ადამიანი, რომელსაც ამ კვირაში გაიცნობთ, საქმიან პარტნიორად არ გამოგადგებათ. მოლაპარაკება, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, სასურველია, პარასკევს გამართოთ. შემოსავალს იქიდან მიიღებთ, საიდანაც არ ელით.

კლერი - 24/VI-23/VII

ძალი: ახლა თქვენთვის მთავარია, სწორი ინფორმაცია მიიღოთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ. ჰკითხეთ რჩევა გამოცდილ ადამიანებს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის სფეროში მოღვაწიობთ, დაინტერესდით საქმიანი პარტნიორების ბიოგრაფიით და ყურადღებით მოუსმინეთ მათ ოპონენტებს.

მამაკაცი: ახლა სწორედ ის დროა, კარიერაზე იფიქროთ. შესთავაზეთ ახალი იდეები უფროსობას, ისინი სათანადოდ შეაფასებენ საქმისადმი თქვენს ერთგულებას. მეტი ყურადღებით მოეკიდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

სანორი - 24/VII-23/VIII

ძალი: თყვანისმცემლებთან თუ უფრო კორექტული არ იქნებით, მალე მარტო დარჩებით. შეეცადეთ დაინახოთ მათი კარგი თვისებები. ჭორების თაობაზე არ იდარდოთ და ამის გამო ცხოვრების სტილი არ შეიცვალოთ. მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

მამაკაცი: ოჯახურ პრობლემებს მიხედეთ - ნუ მიიღებთ სწრაფ გადაწყვეტილებებს. ყურადღებით იყავით საჭესთან. გამოიჩინეთ დიპლომატიური ნიჭი და ჭკვიანურად დაგვეთ თქვენი საქმეები. დასვენების დღეები ოჯახთან ერთად გაატარეთ.

ღრინაპალი - 24/VIII-22/IX

ძალი: დაოკეთ თქვენი ტემპამენტი, თორემ ახლობლებთან კონფლიქტი გარდაუვალია. თუ მშობლებისგან ცალკე ცხოვრება გადაწყვიტეთ, ნუ აჩქარდებით - ამის შესანიშნავი შესაძლებლობა მოგვიანებით მოგვემთ.

მამაკაცი: სამსახურში ახალი პერსპექტივა გამოიჩნდებათ და ეს თქვენი ოჯახის ბიუჯეტსაც შეეცვობა. სიფრთხილის გამოჩენაც გამართებთ, რომ პარტნიორებმა არ მოგატყუნონ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

მედილიანი - 25/VI-24/VII

ძალი: მოეშით ფუჭ ოცნებებს და იმოქმედეთ. ფინანსურ სფეროში წარმატება მოსალოდნელი, თუმცა, ყველაფერი თქვენს აქტიურობაზე დამოკიდებული. ამ კვირაში დავემძღვ საქმეს სხვა დროისთვის ნუ გადადებთ. იზრუნეთ ახალი იმევის დამკვიდრებაზე.

მამაკაცი: დიდი ალბათობაა იმის, რომ ამ კვირაში დაწყებულმა საქმემ წარმატება მოგიტანოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ვიმართლებთ. მშენიერი სქესის წარმომადგენლები, ალტაცებით ხვდებიან თქვენს ნებისმიერ წინადადებას.

თხის რა - 22/VII-20/VIII

ძალი: დროა, ერთფეროვან საქმეს მოსწყდეთ და ცხოვრება გაიხალისოთ. თუმცა, ენაზე კბილის დაჭრა, ახლა ისე გჭირდებათ, როგორც არასდროს. ახალ პროექტებს თქვენთვის წარმატება მოაქვს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პროექტზე თქვენთან ერთად მამაკაცებიც იმუშავებენ.

მამაკაცი: თუ ყურადღებით არ იქნებით, სამსახურებრივ პრობლემებს თავიდან ვერ აიცილებთ. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. ჯობს, მოუსმინოთ და გაითვალისწინოთ გამოცდილი ადამიანების რჩევები.

მერკური - 21/VIII-19/IX

ძალი: ამ კვირაში მომჭირნობისკენ მოიწოდებთ. ნუ გაასესხებთ ფულს, მეგობრებთან ურთიერთობისას კი თავი შეიკავეთ საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი გარდაუვალია.

მამაკაცი: მოერიდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენდამი მტრულად არიან განწყობილნი. ამ კვირაში მათი აგრესიულობა იზრდება და კრიტიკულ ზღვარს აღწევს. თქვენი მოთმინება შედეგს უახლოეს მომავალში გამოიღებს.

თიშუბი - 20/IX-20/X

ძალი: ნუ გაგიტაცებთ ყოველდღიური საზრუნავი ისე, რომ საკუთარ იმეზე ზრუნვა დაგავიწყდეთ. დროა, შეაროთ მალაზიაში ან სილამახის სალონში და თავს ასიამოვნოთ. არ ღირს წუწუნის იმეზე, რისი გამოსწორებაც ძალიან იოლად შეგიძლიათ.

მამაკაცი: ამ კვირაში დიდი ხნის სურვილს წარმატებით განახორციელებთ. ბედი განსაკუთრებით ხელოვნებით გატაცებულ ადამიანებს წყალობთ. ნუ გაიფუჭებთ განწყობილებას და ნუ ჩაერევთ ოჯახურ კამათში. ამ დროს მეგობართან ვიზიტი საუკეთესო გამოსავალია.



ანექდოტები

ლი და სვან გველს ეუბნება:
– დაანებე, თუ ძმა ხარ, მაგ შლანგს თავი, მაგალითად!

მიხო შვილთან ფირუხასთან ერთად ტელევიზორში გადაცემას – „Вокруг света“ უყურებს.
– მამი, ველურებსა პრეზიდენტი ჰყაამო?
– არა, ვოო... რას ამბობ!..
– მთავრობა?
– ი-ი!.. არც მთავრობა.
– აბა, ეგრე დაშეულები და გამ-წარებულები რალატო დარბიან?

ქალაქში ჩასული სვანი და მისი ქალაქელი ახლობელი ქუჩებში დასეირნობენ. ბოლოს, სვანის თანამგზავრს ნერვებმა უმტყუნა:
– რამდენჯერ უნდა გითხრა – აფთიაქის დანახვაზე პირჯვარს ნუ იწერ-მეთქი!..

ციხიდან 5 წლის შემდეგ გამო-სულ ქმარს სახლში ცოლი თოთო ბავშვით ხელში ეგებე-ბა.
– როგორ! ეს შენი შვილია?
– რა თქმა უნდა, ჩემია,
– პასუხობს ცოლი. – წესიერად რომ მოქცეუ-ლიყავი, შენიც იქნებოდა.



დედა ჩრჩილი ეუბნება შვილს:
– ჩრჩილიკო, თუ ახლა ამ ძველ წინდას არ შეჭამ, ღესერტად ვერ მი-იღებ „ნორკის შუბას“.

მასწავლებელი პირველკლასელებს ეუბნება:
– აბა, ვინ მეტყვის, რამდენი იქნება, 2-ს რომ მიეუმატოთ 2?
– ეჰ, ნეტაი შენა, მასწავლებელო, – ამოიხვნეშა მიხომ, – მეტი სადარდე-ბელი რო არა გაქ!..

სვანი გველი ეზოში მწოლიარე გე-ვლს აბამს. გამოივლის მეგრელი გვე-

ექიმი ეკითხება პაციენტს:
– ეწვევი?
– არა!
– ხომ არ სვამ?
– არა!
– მასე იდიოტურად ნუ იცინი, რალაცას მაინც გიპოვი!



– არანაირი ძალდატანება ჩვენ შორის არ ყოფილა. ის ამბობს, რომ ეს ყვე-ლაფერი ექსტაზში მოხდა, მე კი ნამდ-ვილად მახსოვს, რომ სარდაფში მოხდა...

პანსიონატის დირექტორი:
– აქ თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში.
დამსვენებელი:
– რას ამბობთ?! არადა, მე აქ დასას-ვენებლად ჩამოვედი!

– როგორია, შენი ცოლი სამზარეულო-ში?
– ისეთივე მოუხ-ერხებელი, როგორიც სხვა ოთახებში.



– ალო... ეს კეთილი ჯადოქრის ბიუროა?
– ჰო... რა ჯანდაბა გინდა?!

მიხო საბავშვო ბაღში მივიდა და მასწავლებელს ეუბნება:
– გამამიყვანე ჩემი შვილი, უნდა წავიყვანო!
– მიხო, რომელია შენი, რო აღარ მახსოვს?
– დაიბნა ახალგაზრდა მასწავლებელი.
– გამამიყვანე „ლუ-ბოი“... სულერთია, ხვალ დილით, ისევ აქ არ უნდა მავიყვანო?!



– ვაიძე, დელიჯან, რა უშნო ვარ,

ძალიან, ძალიან „სტრაშნი“ ვარ! – სარკეში იხედება და ხმაძალა მოთქ-ვამს შაირაზას გოგო სირანუშა.

– „ხვატიტ“, შემოგვევლე, მართალია, „ჩუტ-ჩუტ ნეკრასივი“ ხარ, მაგრამ აბა, ნახე, ცავატანემ, რომელ შენს ტოლს აქვს შენხელა ცხვირი?!

თეთრი დათვის ბელი მიდის დელასთან და ეკითხება:
– დელი, შენ დარ-წმუნებული ხარ, რომ ნამდვილად თეთრი დათვი ხარ?
– რა თქმა უნდა, შვი-

ლო.

– ისე, შემთხვევით... პანდა ხომ არა ხარ?
– არა, შვილო, თეთრი დათვი ვარ. დათვის ბელი ახლა მამას მიადგა და იგივე შეკითხვები დაუსვა.
– არა, შვილო, თეთრი დათვი ვარ. რატომ, რატომ მეკითხები?
– რა ვიცი, რატომღაც ვიყინები.

„ალ-ქაიდას“ წლის სლოგანი:
– ჯერ კიდევ გჯერათ ამერიკის დემოკრატიისა? მაშინ ჩვენ მოვფრი-ნავთ თქვენთან!

სვანი ჯარისკაცი წერილს წერს:
– მამი, წერილს ძან ნელა ვწერ, რადგან ვიცი, სწრაფი კითხვა არ შეე-იძლია...

მამა-შვილი საუბრობს. შვილი ეკითხ-ება:
– მამი, მამი, მთვრალი კაცი რას გრძნობს?
მამა პასუხობს:
– აი, შვილო, იქ რომ ორი ხე არის, ხომ ხედავ? მთვრალ კაცს მოეჩვენება, რომ იქ ოთხი ხეა...
– მამი, მამი, იქ ერთი ხეა!

მოსამართლე:
– დაზარალებული გარდაიცვალა, ბლაგვი, მძიმე საგნით მიყენებული ტრავმების შედეგად. ეჭვმიტანილი:
– მე არაფერი ვიცი... მე მარტო თავი დავარტყი.

რამდენად კარგი ნერვების პატრონი ხართ?

ადამიანის ნერვული სისტემის მდგრადობას არა მარტო მემკვიდრეობითობა განსაზღვრავს, არამედ ისიც, თუ რამდენად აქვს მას ნერვიულობის მიზეზი. ჩვეულებრივ, ადამიანები საკუთარ თავს იმაზე მეტად ნერვიულებად მიიჩნევენ, ვიდრე სონამდვილეში არიან. თქვენც ასეთივე შეგრძნება გაქვთ? ამ ტესტის მეშვეობით გადაამოწმეთ საკუთარი თავი და გაარკვიეთ, რამდენად კარგი ნერვების პატრონი ბრძანდებით.

1. რა არის ისეთი, რისი გული-სთვისაც რიგში დადგებით?

ა) არაფრის გულისთვის არ ღაფლები - 0;

ბ) თუკი ჩემთვის საჭირო ნივთის შესაძენად რიგში ჩაღვამ აუცილებელია და სხვა გამოსავალი არ მაქვს, მაშინ მეც ღაფლებ რიგს - 6;

გ) თუკი ჩემთვის სასურველი ნივთის სხვაგან შეძენის შესაძლებლობა არსებობს, იქ წასვლას ვამჯობინებ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მაღაზია არცთუ ისე ახლოს მდებარეობს - 3.

2. ტელეფონის ზარი ხომ არ გაკრთობთ ხოლმე?

ა) ამას სამსახურში იმდენად მიჩვეული ვარ, რომ სულაც არ მაწუხებს - 6;

ბ) დიას - 0;

გ) არა - 8.

3. რამდენი ხნით ადრე მიდიხართ ხოლმე რკინიგზის სადგურში, როცა სხვა ქალაქში მიემგზავრებით?

ა) მატარებლის გასვლამდე ერთი საათით ადრე - 3;

ბ) თხუთმეტი წუთით ადრე - 9;

გ) ნახევარი საათით ადრე - 0.

4. დაძაბული და განერვიულებული ადამიანის საზოგადოებაში ყოფნას, თქვენც ხომ არ გადმოგედებათ ხოლმე მისი განწყობილება?

ა) ბუნებრივად ვადმოძლებ, თუკი ეს ადამიანი ჩემი ახლობელია - 4;

ბ) იმ შემთხვევაში გაენერვიულები, თუკი

არაფრით შემიძლია მისი დახმარება - 6;

გ) ნებისმიერ შემთხვევაში ვადმოძლებ მისი განწყობილებას - 1.

5. როცა რაღაცაზე ნერვიულობთ, ცუდად ხომ არ გრძნობთ ხოლმე თავს (მაგალითად, ხომ არ გახურებთ, ხელ-ფეხი ხომ არ გეყინებათ ან თავბრუს ხომ არ გეხვევათ)?

ა) არა - 8;

ბ) ზოგჯერ ასეც მემართება - 5;

გ) ნერვიულობის შემდეგ, მთელი დღის მანძილზე თავს ცუდად ვგრძნობ - 0.

6. ეთანხმებით თუ არა გამოთქმას: „ადრე თუ გვიან, ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება“?

ა) სრულიად ვეთანხმები - 10;

ბ) კარგი იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც ამის არ მჯერა - 3;

გ) საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად ადამიანს თავადვე უნდა შეიწყოს თავი - 6.

7. რა გრძნობა დაგეუფლებათ თათბირზე დაგვიანების შემთხვევაში?

ა) ასეთი რამ ხომ ნებისმიერს შეიძლება დაემართოს - 8;

ბ) ვამჯობინებ, საერთოდ არ შევიდე თათბირზე - 0;

გ) ბუნებრივად, უნერხულობის გრძნობა დამეუფლება - 6.

8. რა შემთხვევაში უმკლავდებით საქმეებს უკეთესად: როცა უამრავი



საქმე გაყრიათ თავს, თუ როცა შედარებით ცოტა რამ გაქვთ გასაკეთებელი?

ა) რაც უფრო დაკავებული ვარ, მით უფრო მეტი რამის გაკეთებას ვასწრებ - 6;

ბ) ბევრი საქმე მთრგუნავს და აღარ ვიცი, რომელ ერთს ვეცე, ამიტომ დიდ დატვირთვას ძნელად ვართმევ ხოლმე თავს - 0;

გ) ყოველთვის ერთი და იმავე ტემპით ვმუშაობ - 10.

9. ხალხმრავალ ადგილას ყოფნას, რაიმე პრობლემა ხომ არ გექმნებათ?

ა) ზოგჯერ კი, ზოგჯერ - არა - 6;

ბ) ხალხმრავლობას ვერ ვიტან და ამის გამო ვლიზიანდები ხოლმე - 1;

გ) ხალხმრავლობა ხელს არაფერში მიშლის - 9.

10. რამდენად კარგად გძინავთ უცხო ადგილას?

ა) თუკი კარგ პირობებში ვიძყოფები, მშვენივრად მძინავს - 6;

ბ) მიჭირს დაძინება - 1;

გ) ნებისმიერ ადგილას შესანიშნავად მძინავს - 10.

ტესტის შედეგები

35 ქულაზე ნაკლები: ემოციური ადამიანი ხართ და ძალზე მგრძობიარე ნერვული სისტემა გაქვთ. ამის გამო ზოგჯერ (შესაძლოა, ხშირადაც) იტანჯებით. დაფიქრებულხართ ოდესმე, რა არის თქვენი ტანჯვის მიზეზი? იქნებ, თქვენ მეტისმეტად მგრძობიარე, გაუბედავი ადამიანი ხართ და თქვენს გარემოცვაში უსაფრთხოდ და საიმედოდ ვერ გრძნობთ თავს? ერთი გამოცდილი და ძალზე საიმედო მეთოდის გამოყენებას გირჩევთ: თუკი რაიმე (ან ვინმე) თქვენზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ნუ დაკარგავთ თავს, ნუ აჩქარდებით და ნურც ნურაფერს მოიძიებდებით, ვიდრე გონებაში ოცამდე არ დაითვლით.

36-70 ქულა: თქვენ წინდახედული, მშვიდი ადამიანი ბრძანდებით და შეიძლება ითქვას, რომ უკიდურესობებში არასოდეს ვარდებით. თქვენს მოქმედებებს, ჩვეულებრივ, ემოციები კი არა, გადანწყვტილებები განსაზღვრავს. მართალია, თქვენი წონასწორობიდან გამოყვანაც შეი-

ძლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საამისოდ სერიოზული მიზეზი გაქვთ. ფაქტებისა თუ მოვლენების სწორად შეფასების უნარით გამოირჩევით და ამას თქვენი განონასწორებელი ხასიათი უწყობს ხელს. თქვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ როცა რაიმე ხდება, თქვენ საკუთარი ნერვების დაწინარებას კი არ უნდებოთ, არამედ პირველ რიგში, პრობლემის გადაწყვეტას ცდილობთ.

71 ქულაზე მეტი: რკინის ნერვების პატრონი ბრძანდებით! იმდენად გონებადამჯდარი და განონასწორებელი ადამიანი ხართ, რომ თქვენმა ამ თვისებებმა ზოგჯერ შესაძლოა ირგვლივ მყოფების გაღიზიანება გამოიწვიოს, სავარაუდოა, რომ თქვენს პირად ცხოვრებასა თუ თქვენ გარშემო მომხდარ უსიამოვნო მოვლენებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევთ. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ძალზე ილბიანი ადამიანი ყოფილხართ.

ოხი წლის წინ დაეხვედი ხატა შინ დაბეხნდა

კატა სახელად მარუსია, რომელიც ულიანოვსკის ვაგზალზე დაიკარგა, ორი წლის შემდეგ შინ დაბრუნდა. „მოგზაური“ კატის პატრონი ცოლ-ქმარი – ფახიმა და რენატ მორდანოვები, კუი-



ბიშვის რკინიგზის, ბაშკირეთის განყოფილების საფოსტო ვაგონში მუშაობს. როგორც ფახიმა ჰყვება, რამდენიმე წლის წინ, ცოლ-ქმარს, ერთ-ერთი სადგურის ბაქანზე პატარა ენუტი უპოვია და შინ წაუყვანია. ვინაიდან, ფახიმა და მისი ქმარი, სამსახურიდან გამოძღინარე, გამუდმებით გზაში არიან, კატაც მათთან ერთად მოგზაურობდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი რეისის დროს, ულიანოვსკში გაჩერებული მატარებელი უცებ დაძრულა და ბაქანზე მოსივრნე კატას, ვაგონში ახტომა ვეღარ მოუსწრია. შეწუხებულ ცოლ-ქმარს კოლეგებისთვის უთხოვია, კატა ვაგზალზე მოეძებნათ, მაგრამ იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

„ამ ამბიდან ორი წელი გავიდა. რამდენიმე დღის წინ, ჩემი ქმარი მანქანას გარაჟში აყენებდა, როცა მისკენ გაქუცული, გაძვალტყავებული კატა გაექანა და გულზე შეახტა. რენატმა ძლივ-ძლივობით ამოიცილა ორი წლის წინ დაკარგული მარუსია. წარმოვიდგენიათ?! – ჩვენამდე რომ მოღწეოდა, მან 600 კმ-ზე მეტი გამოიარა“, – ამბობს ბედნიერი ფახიმა. ამჟამად მარუსია კვლავ ცოლ-ქმართან ერთად მოგზაურობს, მაგრამ მდინარეებისა და ხედების პანიკური შიში დასწმუნდა. მათი დანახვისას, ის საცოდავად კნავის, კანკალებს, პატრონს ეკვრის ან ბნელ კუთხეში იმალება. ცოლ-ქმარი მორდანოვები დღემდე გაოგნებული არიან, როგორ მაგნო მარუსიამ სახლს, როგორ შეძლო ორი პირქუში ზამთრის გადატანა, ანდა რით იკვებებოდა მთელი ამ პერიოდის მანძილზე. ■

ვენევის ავტოსადონზე ეკოლოგიუხად სუფთა ავტომობილი ნახმოადგინეს



მსოფლიოში ცნობილ, ვენევის ავტოსადონზე ერთ-ერთმა ევროპულმა ფირმამ, ავტომობილის ახალი მოდელის ექსპერიმენტული პარტია წარმოადგინა, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა – ხილის, ბოსტნეულისა და მერქნისგან ნაწარმობე საწვავზე იმუშავებს. ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილი, დღესდღეობით არა მარტო კარგი ტონის მაჩვენებელია, არამედ მანქანათმშენებლების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. ბევრი ავტომ-

წარმოებელი კომპანიის უპირველესი ამოცანა, ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე მომუშავე მანქანების წარმოება – რათა რეალური უპირატესობა ჰქონდეთ კონკურენტებთან შედარებით.

ამ სიახლემ ეკოლოგები ძალზე გაახარა. მათი აზრით, მხოლოდ ამგვარი ექსპერიმენტები თუ გადაარჩენს მსოფლიოს ეკოლოგიური კატასტროფისაგან. როგორც ღონისძიების ორგანიზატორები ამბობენ, „ხილის“ ავტომანქანები ექსპერიმენტულია და მათ სერიულ გამოშვებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. ■

დაეხვედი დანა – თავის ახეში აღმოჩნდა

61 წლის პოლონელი მამაკაცი – ლეონარდ ვორონოვიჩი, რომელმაც თავის ტკივილების მიზეზის დასადგენად კლინიკას მიაკითხა, მართლაც რომ იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. აი, რენტგენოლოგი კი, რომელმაც პაციენტს გამოკვლევა ჩაუტარა, კინაღამ შოკში ჩავარდა, როცა რენტგენის აპარატმა ვორონოვიჩის თავის არეში – მის მარჯვენა ყურთან უცხო სხეული, კერძოდ, 13 სმ-



იანი დანის პირი დააფიქსირა. საბედნიეროდ, პაციენტს არც ერთი სისხლძარღვი და ნერვი არ დასზიანებია. არანაკლებ საოცარია ისიც, რომ ის თავს მშვენივრად გრძნობდა – მხოლოდ თავის არეში უმნიშვნელო ტკივილებს უჩიოდა და ერთობ გაკვირვებული დარჩა, როცა ექიმებმა საოპერაციოდ გაიყვანეს. ოპერაციამ, რომელიც სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, წარმატებით ჩაიარა. პაციენტზე არანაკლებ გაოცებულმა ქირურგმა მარეკ როგოვსკიმ ამ შემთხვევას უპრეცედენტო უწოდა და ბოლოს იმითაც დაინტერესდა, თუ როგორ აღმოჩნდა დანა პაციენტის თავის არეში.

როგორც გაირკვა, ამ ამბამდე რამდენიმე დღის წინ, დილით, ყოფილ მასწავლებელს – ლეონარდ ვორონოვიჩს სამსახურში მიეჩქარებოდა. უცაბედად, მას ფეხი დასხლტომია, სამზარეულოში დაცემულა და თავი იატაკისთვის დაურტყამს. იატაკზე რატომღაც ბევრი სხვადასხვა ინსტრუმენტი ყოფილა მიმოფანტული, ამიტომ, სავარაუდოა, რომ ის დანაც ყოფილიყო, რომლის პირიც ვორონოვიჩს თავში შეერჭო. ფეხზე წამოდგომისთანავე, მას ყურთან ახლოს, უმნიშვნელო ჩხვლეტა უგრძნია, მაგრამ ამ ფაქტისთვის არანაირი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია – რადგანაც დაცემის შემდეგ თავის ტკივილი სრულიად ბუნებრივ მოვლენად ჩაუთვლია და ჩვეულებრივ, სამსახურში წასულა. მეორე დღეს, ლეონარდოს დიდხანს, უშედეგოდ უძებნია პურის საჭრელი დანა. მოგვიანებით კი, მხოლოდ მისი ტარი აღმოუჩნია, პირი უკვალოდ გამქრალიყო.

ცხადია, ქირურგების დახმარების გარეშე, მას აზრდაც არ მოუვიდოდა, სად უნდა ეძებნა დაკარგული ნივთი. ■

ფოტოკუჩიონები



657/13

№6(92) 17-30.III.2005

ოჯახის

მეურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

**მთავარი თემა:
ნამღაზი**

**გაზაფხულივით
მზვანიერი
არსება**

**მოსაზრებანი
ასთმის
შესახებ**

**კიპერაქტიური
ბავშვები**

ლიფოვა

**ქვირადღირებულ
პრეპარატს
იაფფასიანი
ანალოგი
მოეპოვება**

**ფილტვის
ცუბერკულოზი**

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის